ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მირიან ტუხაშვილი

საქართველოს შრომითი პოტენციალი

(ფორმირება და განაწილება)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1998

65.9 (2124; 6 659(2) (2Г)
331. 104 (479.22)
ტ 947

ნაშრომში განხილულია საქართველოს მოსახლეობისა და შრომითი რესურსების კელავწარმოების პრობლემები, შრომითი პოტენციალის ფორმირების რეგიონული თავისებურებანი და მოსალოდნელი ცვლილებები 2010 წლამდე. გამოელენილია მოსახლეობის მიგრაციის ძირითადი მიმართულებანი, ნაკადთა სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურა, ხარისხობრივი შემადგენლობა და მისი გავლენა შრომითი პოტენციალის რეგიონული გადანაწილების პროცესზე. გაანალიზებულია შრომითი პოტენციალის მთავარი კომპონენტის – განათლების პოტენციალის ზრდის კანონზომიერებანი და 90-იანი წლების კრიზისულ ეითარებაში სპეციალისტთა ჭარბწარმოებით შექმნილი პრობლემები.

წიგნი გათვალისწინებულია ეკონომისტების, დემოგრაფების, სოციოლოგების, ეკონომ-გეოგრაფების, საზოგადოდ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი პროფესორი ნუბზარ პაიჭაძე

რეცენზენტები: პროფესორი მერაბ ხმალაძე
პროფესორი ანზორ თოთაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998
© მირიან ტუხაშვილი, 1998

ტ 0605010203 / 608(06)-98

ISBN 99928-56-12-2

წინასიტყვაობა

დამოუკიდებელი საქართველოს წინაშე მდგარი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა. საბჭოთა კავშირის მოულოდნელ დაშლას და ეკონომიკური კავშირების გაწყვეტას თან დაერთო შინა პოლიტიკური აშლილობა, სამოქალაქო ომი, ეთნოკონფლიქტები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, რამაც უდიდესი ნგრევა გამოიწვია. ამას მოჰყვა პოლიტიკური და შრომითი მიგრაციები, ხალხთა დიდი მასის იძულებითი გადაადგილება. საქართველოს მოსახლეობა ურთულესი ამოცანის წინაშე დადგა: ესაა დანგრეული ეკონომიკის აღორძინება და ცენტრალიზებული გეგმიანი სისტემის ნაცვლად საბაზრო მეურნეობის ფორმირება. ამის განხორციელებას კიდევ უფრო აძნელებს ჯერ კიდევ აღუდგენელი ტერიტორიული მთლიანობა და შექმნილი არახელსაყრელი გეოპოლიტიკური სიტუაცია. საჭირო ხდება შინა რესურსების მაქსიმალური მობილიზება. ამ რესურსების თავმოყრა და რეალიზაცია დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომ გადაუდებელი ამოცანაა ქვეყნის რესურსული პოტენციალის სწორი შეფასება და მისი რეალიზაციის შესაძლებლობათა გამოვლენა.

საქართველოს რესურსულ პოტენციალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომით პოტენციალს. 90-იანი წლების საყოველთაო კრიზისის მიუხედავად მას დიდი ვარდნა არ განუცდია. თუკი შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობის მატებით საქართველო უმეტეს მეზობელ ქვეყნებს აშკარად ჩამორჩება, შრომითი რესურსების ხარისხობრივი მაჩვენებლებით აღემატება მათ. ეს პრინციპული განსხვავება შრომითი პოტენციალის ფორმირებითაცაა განპირობებული. აღნიშნულ განსხვავებაში არის სასარგებლო დადებითი და უარყოფითი მომენტებიც, რაც სწორ გააზრებას საჭიროებს. შრომითი პოტენციალის შეფასება, რომელსაც წმინდა ეკონომიკურთან ერთად საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო არანაკლები პოლიტიკური დატვირთვა აქვს, უნდა ემყარებოდეს სწორ მეცნიერულ საფუძველს.

ამჟამად განსაკუთრებით გართულებულია შრომითი პოტენციალის ფორმირების პროცესი. ბოლო წლებში მკვეთრად შემცირდა შობადობა და მოსახლეობის ბუნებრივი მატება. აჩქარდა მოსახლეობისა და შრომითი რესურსების დემოგრაფიული დაბერება, განსაკუთრებით საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთში. ყოველივე ამან შეცვალა შრომითი პოტენციალის

ფორმირების რეჟიმი, საჭირო გახდა მოსახლეობის ახალი პროგნოზული გაანგარიშებანი და შრომითი პოტენციალის დემოგრაფიული სისტემის განვითარების ახლებური გააზრება.

არანაკლები ცვლილებები მიმდინარეობს შრომითი პოტენციალის ხარისხობრივ კომპონენტებში. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა გაზარდა განათლებისა და კვალიფიკაციის ეკონომიკური მნიშვნელობა. საქართველოში მოსახლეობის განათლების დონე განვითარებული ქვეყნების დონეს აღწევს. ეკონომიკის სპეციალისტებით გაჯერების მაჩვენებელიც ძლიერ მაღალია, მაგრამ ბოლო წლებში დაიწყო ბაზრის მოთხოვნილებებით გაუთვალისწინებელი უპრეცედენტო რაოდენობის სპეციალისტთა მომზადება. შეიქმნა პარადოქსული მდგომარეობა, როცა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებმა ეაკანსიებმა გაასწრეს არა მარტო აბიტურიენტების, არამედ საშუალო სკოლის გამოშვების რიცხოვნობასაც. სტუდენტთა კონტიგენტის არნახული ტემპით მატება, როცა ერთი სტუდენტის მომზადებაზე დანახარჯები რამდენჯერმე შემცირდა, გადაიზარდა სპეციალისტთა მომზადების ფალსიფიკაციაში. მის შედეგებს მეცნიერული შეფასება და გათვალისწინება სჭირდება.

შრომითი პოტენციალი დინამიურია. იგი ცვალებადია დროშიც და სივრცეშიც. მისი სივრცობრივი გადანაწილების პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს. ბოლო წლებამდე გადანაწილება სტაბილური ხასიათისა იყო. მაგრამ 90-იანი წლების კატაკლიზმებმა არსებითი ცვლილებები გამოიწვიეს მოსახლეობისა და, შესაბამისად, შრომითი პოტენციალის ტერიტორიულ გადანაწილებაში, რომელსაც ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნიკური ფაქტორების ზემოქმედების ძალთა მონაცვლეობა განსაზღვრავდა. გაძლიერდა არა მარტო ემიგრაციული პროცესები, არამედ შეიცვალა შიგამიგრაციული მობილობის ძირითადი პარამეტრები. ყოველივე ამას საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში მეცნიერული შესწავლა და სწორი შეფასებები სჭირდება. სხვაგვარად, გაძნელდება მიგრაციულ პროცესებზე ზემოქმედება, მოსახლეობის რაციონალური განაწილება და ოპტიმალური განსახლების სისტემის ფორმირება, რომლის ერთ-ერთი ფაქტორი შრომითი პოტენციალის რაციონალური ტერიტორიული განაწილებაცაა.

ზემოაღნიშნული უმწვავესი პრობლემების მეცნიერული შესწავლის გადაუდებლობამ დამაჩქარებინა ამ წიგნის დაწერა. ბუნებრივია, იგი უნაკლო არ იქნება. მადლიერებით მივიღებთ მკითხველთა შენიშვნებს.

დასასრულ, დიდ მადლობას ვუხდით ცნობილ მეცნიერებს, პროფესორებს: ნ. ხურციძეს, ო.საღარეიშვილს, რ. ქუტიძეს, ზ. გალდავას ნაშრომის ხელნაწერის გაცნობისა და ფრიად საყურადღებო შენიშვნებისათვის.

თავი 1. შრომითი პოტენციალი, მისი სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში თანდათან აქტიურდება ადამიანის ფაქტორი საზოგადოებრივ წარმოებაში, ეკონომიკურ ზრდაში. საზოგადოების ეკონომიკური პოტენციალის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია შრომითი პოტენციალი. მასზე დიდადაა დამოკიდებული ეკონომიკური პოტენციალის ფორმირებისა და რეალიზაციის ხარისხობრივი მხარე.

შრომითი პოტენციალის შესწავლის მნიშვნელობა განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში გაიზარდა, რადგან არსებითი ცვლილებები მოხდა როგორც მის რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივი კომპონენტების ფორმირებაში. საქართველოში მიმდინარე საყოველთაო: პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა, კულტურულმა კრიზისმა შეცვალა ის პარამეტრები, რომელიც დამახასიათებელი იყო შრომითი პოტენციალისათვის შედარებით სტაბილური განვითარების ხანაში. შრომითი პოტენციალის როგორც ფორმირების, ისე მისი რეალიზაციის კანონზომიერებათა გამოვლენის გარეშე თითქმის შეუძლებელია სოციალურ-ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება და რეგულირება.

„შრომითი პოტენციალის" ცნება სამეცნიერო ლიტერატურაში გაერცელდა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან. იქამდე დიდი დავა იყო „შრომითი რესურსების", „სამუშაო ძალის", „ერთობლივი სამუშაო ძალის" და „ერთობლივი მუშაკის" ცნებების ირგვლივ.

ხშირია, როცა მკვლევართა ნაწილი არ იძლევა შრომითი პოტენციალის განმარტებას, ისინი კმაყოფილდებიან „პოტენციალის" სემანტიკური მნიშვნელობით და არ თვლიან საჭიროდ მისი, როგორც ეკონომიკური არსის მქონე ცნების სპეციალურ ახსნას. რიგ შემთხვევაში, მართლაც, საკმარისია ასეთი მიდგომა. მაგრამ როცა საქმე ეხება წარმოების ადამიანური ფაქტორისადმი მიძღვნილ სერიოზულ გამოკვლევას, საჭიროა აღნიშნული ცნების შინაარსის განსაზღვრა, რათა მკითხველისათვის უფრო ნათელი იყოს, რაზეა იქ მსჯელობა.

ჩვენი ჩაბმა ამ არცთუ მოგვარებულ საქმეში ამ მიზანს ისახავს. ამისათვის მოვიძიეთ ჩვენს ბიბლიოთეკებში შრომითი პოტენციალის ირგვლივ თითქმის ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი შრომა. არის აზრთა სხვადასხვაობა. იმის მიუხედავად, ვემხრობით თუ არა ამა თუ იმ ავტორს, არ ნიშნავს მათ მცდარობას ან უეჭველობას, რადგან ვერ ეხვდებით ურთიერთგამომრიცხავ

განმარტებებს. ისინი მეტ-ნაკლები სიფართით უყურებენ ამ ცნებაში მოთავსებულ შინაარსს და ცდილობენ, ლოგიკურად დააზუსტონ იგი.

ჩვენ იმასაც არ გამოვრიცხავთ, რომ ტერმინ „შრომითი პოტენციალის" შემოტანაზე ზეგავლენა მოახდინა სოციალურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებულმა ცნებებმა: „ეკონომიკური პოტენციალი", „საწარმოო პოტენციალი", „რესურსული პოტენციალი", „მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი" და ა. შ.

თუ ტერმინი „შრომითი რესურსები" პირველად იხმარა ს. სტრუმილინმა[1], „შრომითი პოტენციალი" - ვ. კოსტაკოვმა[2] შემოიტანა. მეცნიერები მას წარმოების განვითარებაში ინტენსიური ფაქტორების როლის ამაღლებას უკავშირებენ. როგორც ა. ილინი აღნიშნავს, თანამედროვე ინტენსიურ წარმოებას უკვე ადეკვატურად ვეღარ მოიცავს ტერმინი „შრომითი რესურსები", ინტენსიური წარმოებისათვის უფრო შესაბამისია ტერმინი „შრომითი პოტენციალი"[3].იგი მიუთითებს არა მარტო მთელი საზოგადოების, არამედ ცალკეული ინდივიდის, კოლექტივის, ადამიანთა ტერიტორიული ერთობის, დასახლებული პუნქტების მიხედვით შრომითი პოტენციალის ამაღლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და რეგიონულ გამოკვლევებში მის შეუცვლელობას[4]. შრომითი პოტენციალის რეგიონულ თავისებურებათა ხაზგასმა აქ შემთხვევით არ მოგვიტანია. მასზე აქცენტირება საქართველოს ეკონომიკური განვითარების გამოკვლევებისათვის არსებითია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „შრომითი პოტენციალი" ა. ილინს განმარტებული არა აქვს. იგი მისი სემანტიკური მნიშვნელობით კმაყოფილდება.

ვ. კოსტაკოვის განმარტებით, „შრომითი პოტენციალი" - ესაა შრომის მარაგი. იგი დამოკიდებულია შრომითი რესურსების მთლიან რიცხოვნობასა და მის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე, სქესისა და ასაკის მიხედვით დასაქმებაზე, დაგროვილ ცოდნაზე, შრომის ეფექტიანობისა და მოსახლეობის სოციალური მობილობის (ტერიტორიული და პროფესიული) ამაღლების პირობებისადმი დემოგრაფიული სტრუქტურების შესაბამისობის ხარისხზე[5].

პირველი, რაც თვალში საცემია, ისაა, რომ იგი კმაყოფილდება შრომითი

---

[1]Струмилин С.Г. Наши трудовые ресурсы и перспективы. Хозяйственное строительство. 1922, вып. 2. В кн.: Проблемы экономики труда. М.: Наука, 1982, с. 30-39.

[2] Костаков В. Г. Задачи и основные направления социально-экономического анализа. В кн.: Трудовые ресурсы: социально-экономический анализ. М.: Экономика, 1975, с. 18.

[3] Илин И. А. К вопросу изучения трудового потенциала: территориальный аспект. В сб.: Методологические проблемы развития и размещения производительных сил. М.: СОПС, 1989, с. 108.

[4] იქვე, გვ. 108-115.

[5] Трудовые ресурсы: социально-экономический анализ. М.: Экономика, 1976, с. 18.

პოტენციალის უმოკლესი განმარტებით, რომ „ესაა შრომის მარაგი" შემდგომ კი მოცემულია არა ის, თუ რა არის შრომითი პოტენციალი, არამედ ის, თუ რაზეა იგი დამოკიდებული.

სხვა მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. კოსტაკოვის გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ აზრი არა აქვს შრომითი პოტენციალის სინთეტიკური მაჩვენებლის ძიებას, რადგანაც ძნელია მასზე მოქმედ ფაქტორთა მრავალსახეობის ერთ მაჩვენებელში გამოხატვა[1]. ამ გარემოებას ხაზს უსვამს თავის სტატიაში ლ. ხურციძეც[2], ე. კოტლიარიც[3].

ვ. კოსტაკოვი შემდგომ გამოკვლევებში კიდევ უფრო აზუსტებს თავის ადრინდელ განსაზღვრებას: „ქვეყნისა და მისი რეგიონების შრომითი პოტენციალი - ესაა შესაბამისი შრომითი რესურსები, განხილული მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მხარის მთლიანობის ასპექტში. შრომითი პოტენციალის რაოდენობრივ მხარეს შეადგენს შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობა. ხარისხობრივ ასპექტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომითი რესურსების ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, განათლების დონე, პროფესიული მომზადება და მობილურობა"[4].

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც შეიძლება შევნიშნოთ ვ. კოსტაკოვის ნაშრომებში ისაა, რომ იგი წინა პლანზე სწევს დემოგრაფიულ ფაქტორს: მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, განათლების, დონესა და მობილობას, რასაც ჩვენც დიდ ყურადღებას მივაქცევთ.

ჩვენი აზრით, ვ. კოსტაკოვის განმარტების ანალოგიურია გ. სერგეევასა და ლ. ჩიუოვას განმარტება: „შრომითი პოტენციალი - ესაა შრომითი რესურსები, რომელსაც ფლობს საზოგადოება. მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი ხარისხობრივი მახასიათებლები (სქესი, ასაკი, განათლება, პროფესიული მომზადება, კვალიფიკაცია და ა. შ.) განსაზღვრავენ შრომითი პოტენციალის რეალურ მნიშვნელობას. შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი და იგივე რიცხოვნობის ფარგლებში ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესება, პრაქტიკულად, ზრდის შრომით პოტენციალს"[5].

ძლიერ საინტერესოა მეცნიერთა იმ ჯგუფის პოზიციაც, რომელიც შრომითი პოტენციალის განსაზღვრას პიროვნების შრომითი პოტენციალის ინტერპ-

---

[1] Трудовые ресурси: социально-экономический анализ. М.: Экономика, 1976, с. 18

[2] ხურციძე ლ. შრომითი რესურსები და შრომითი პოტენციალი // ეკონომისტი, 1990, N 12, გვ. 10-12

[3] Население и трудовые ресурсы. Справочник. М.: Мысль, 1990, с 319.

[4] Костаков В., Попов А. Интенсификация использования трудового потенциала //Соц. труд, 1982, N 7, с. 75.

[5] Сергеева Г. П., Чижова Л. С. Трудовой потенциал страны. М.: Знание, 1982, с. 3.

რეტაციით იწყებს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მ. სკარჟინსკის გამოკვლევები. იგი შრომით პოტენციალს განიხილავს, როგორც წარმოების პიროვნული ფაქტორის ეკონომიკურ ფორმას, რომელიც გამოხატავს ნივთობრივ ფაქტორებთან მის ერთობლივ მოძრაობას. იგი თვლის, რომ ფუნქციონირებენ საზოგადოების, საწარმოო კოლექტივის და ცალკეულ მუშაკთა ურთიერთდაკავშირებული შრომითი პოტენციალები[1]. პრინციპულად, მ. სკარჟინსკი მხარს უჭერს თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც შრომითი პოტენციალი პიროვნული ფაქტორის მოძრაობის ეკონომიკური ფორმაა წარმოების ნივთობრივ ფაქტორებთან მისი შეერთების დამამთავრებელ სტადიაზე[2].

პიროვნების შრომით პოტენციალზე მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა ა. ვიშნიაკმა, თუმცა მან, როგორც თვითონაც აღიარებს, შეძლო მოეცა მისი მხოლოდ ერთი ასპექტის, პროფესიულ-კვალიფიკაციური პოტენციალის ანალიზი. ამ ნაშრომში არაა რამდენადმე ჩამოყალიბებული განმარტება შრომითი პოტენციალის შესახებ. სამაგიეროდ, საინტერესოა შრომით პოტენციალზე გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა[3].

ა. მერსონის განმარტებით კი, მუშაკის შრომითი პოტენციალი - ესაა მისი შრომის უნარი, რომელიც განსაზღვრულია მისი კვალიფიკაციით, პირადი თვისებებით და სამსახურებრივ მოვალეობასთან დამოკიდებულებით[4].

შრომითი პოტენციალის სტრუქტურის შესახებ თავის ნაშრომებში რ. ქუტიძე[5] და ო. სტაკანოვა[6] გამოჰყოფენ სამ-სამ სტრუქტურულ ელემენტს. რ. ქუტიძეს მიაჩნია, რომ მთავარი სტრუქტურული ელემენტებია: ენერგეტიკული, ინტელექტუალური და ხარისხობრივი. ხოლო სტაკანოვა ინდივიდის შრომით პოტენციალში გამოჰყოფს: ფსიქოფიზიოლოგიურ, საწარმოო-კვალიფიციურ და პიროვნულ კომპონენტებს.

რ. ქუტიძის ორიგინალური შეხედულებით, შრომითი პოტენციალის ენერგეტიკული მაჩვენებლის ფორმირების წყაროა მოსახლეობა თავისი დემოგრაფიული სტრუქტურებით, ინტელექტუალური კი საზოგადოების და ინდივიდის სულიერ, კულტურულ და გონებრივ შესაძლებლობებს ასახავს, რომელიც იზრდება ზოგადი და სპეციალური განათლებისა და პროფტექნიკური განათლების ზრდის მიხედვით. რაც შეეხება მესამე

---

[1] Скаржинский М. И., Баландин И. Ю., Тяжов А. И. Трудовой потенциал социалистического общества: М.: Экономика, 1987, с. 15.

[2] იქვე, გვ. 3.

[3] Вишняк А. И. Личность: соотношение трудового потенциала и системы потребностей (Социологический анализ). Киев: Наукова думка, 1986, с. 7.

[4] Мерсон А. Формирование и использование трудового потенциала ИТР. / Соц. труд. 1984, N 12, с. 64.

[5] რ. ქუტიძე. შრომითი პოტენციალის სტრუქტურა. ეკონომისტი, 1990 N 11, გვ. 13-20.

[6] Стаканова О. В. О структуре трудового потенциала. //Социол. исследования. 1981, N 2, с. 75

ელემენტს - ხარისხობრივის გამოყოფის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ შრომითი რესურსები, მუშაკები, რომლებიც ერთსა და იმავე ფიზიკურ ენერგიასა და გონებრივ უნარს ფლობენ, შრომის პროცესში (შრომის ხარისხიდან გამომდინარე) სრულიად განსხვავებულ შედეგებს ღებულობენ. შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი ელემენტი შრომითი საქმიანობის პროცესში ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალის შრომის საბოლოო პროდუქტად გარდაქმნის ხარისხს ახასიათებს.[1]

რ. ქუტიძე რაზედაც მიუთითებს (შრომითი პოტენციალის მესამე სტრუქტურული ელემენტის გამოყოფის დროს), უდავოდ ხელშესახებია. მაგრამ, ვფიქრობთ, აქ უკვე საქმე გვაქვს შრომითი პოტენციალის რეალიზაციის, გამოყენების სფეროსთან, გამოყენების ხარისხთან, ვიდრე მის შესაძლებლობასთან, რომელიც სემანტიკურად „პოტენციალს" აქვს. ამჟამინდელ საქართველოში შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობა შეამცირა ძლიერმა კრიზისულმა მოვლენებმა, მაგრამ შრომითი პოტენციალის ისეთივე დაცემა არ მომხდარა, როგორც წარმოებისა. დღესაც საქართველოს შრომითი შესაძლებლობები დიდია იმის მიუხედავად, თუ რა დონეზე იქნება გამოყენებული ეს შესაძლებლობები. თუმცა ისიც მართალია, რომ განყენებულად შრომით შესაძლებლობებზე მსჯველობის პრაქტიკული ახრი არც ისე მნიშვნელოვანია. ამასთან, ვფიქრობთ, რომ ინდივიდუალური შრომითი პოტენციალის შენახვა ამ კრიზისულ ეპოქაში მაინც მოხდა.

ო. სტაკანოვას სქემით შრომითი პოტენციალის კომპონენტებია: ფსიქოფიზიოლოგიური პოტენციალი - ადამიანის უნარი და მიდრეკილება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მუშაობისუნარიანობა, ამტანობა, ნერვული სისტემის ტიპი და ა. შ. საწარმოო-კვალიფიციური პოტენციალი - ზოგადი და სპეციალური განათლების დონე, შრომითი ჩვევები და უნარები (ხერხიანობა), რომლებიც განაპირობებენ განსაზღვრული ხარისხის შრომის უნარს. პიროვნული პოტენციალი - მოქალაქეობრივი შეგნებისა და სოციალური სიმწიფის დონეები, ინტერესები, ფასეულობითი ორიენტაცია, შრომის სფეროში მოთხოვნილებანი და სულიერი მოთხოვნილებანი[2].

იხილავს რა ო. სტაკანოვას შემოთავაზებულ სტრუქტურულ სქემას, ა. ეიშნიაკს მიაჩნია, რომ განხილული მესამე ელემენტი ზედმეტია. მისი აზრით, შრომითი პოტენციალი ორი კომპონენტისაგან შედგება: ფსიქოფიზიოლოგიურისა და პროფესიულ-კვალიფიკაციურისაგან[3]. მართლაც, ო. სტაკანოვას სქემაში მესამე კომპონენტი პიროვნული პოტენციალის ფორმირებაცა და

---

[1] რ. ქუტიძე.. დასახელებული ნაშრომი. გვ. 14, 15, 19.

[2] Стаканова О. В. О структуре трудового потенциала. //Социол. исследования. 1981, N 2, с. 75.

[3] Вишняк А. И. Личность: Соотношение трудового потенциала и система потребностей (Социологический анализ). Киев: Наукова думка, 1986, с. 11.

რეალიზაციაც მარტო შრომის სფეროს ფარგლებში არ ხდება. იგი სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარეობს. ამიტომ, პიროვნული პოტენციალის შემოტანით ძლიერ დაეცილდებით არსებითს როგორც შრომითი პოტენციალის განმარტებაში, ისე, საერთოდ, მის გაგებაში.

ა. პანკრატოვის აზრით, შრომითი პოტენციალი არის შემდეგი სამი სიდიდის წარმოებული: 1. მოცემულ მომენტში შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა; 2. წარმოებისათვის საჭირო რეგლამენტირებული დრო (დღე-ღამე, კვირა, თვე, წელი, ადამიანის სიცოცხლე); 3. რეგლამენტირებული დროის განმავლობაში შრომითი საქმიანობის საზოგადოებრივად აუცილებელი დაძაბულობა (ინტენსივობა)[1].

უნდა ითქვას, რომ აქ შრომითი პოტენციალის რაოდენობრივი მხარეა წინა პლანზე წამოწეული. ხარისხობრივი მხარე, რომელიც შრომითი პოტენციალის სულ უფრო არსებითი მახასიათებელი ხდება, ჩრდილშია. თავისებურად ამის შეცვლას ცდილობს ს. კუსმინი, რომლის განმარტებით, „შრომითი პოტენციალი - ესაა მოსახლეობის სამუშაო დროის პოტენციალი, რომელსაც აქვს საზოგადოებრივად სასარგებლო მახასიათებლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ერთობლიობა, განსაზღვრული ამა თუ იმ რეგიონის განვითარების დონითა და მისი სამეურნეო, ისტორიული, დემოგრაფიული, ეთნიკური თავისებურებებით, რომელიც ამ მოსახლეობას საზოგადოებრივ წარმოებაში ან მის რომელიმე სტრუქტურაში პოტენციალურად გამოსაყენებელს ხდის"[2].

ყურადსაღებია, რომ ს. კუსმინი შრომითი პოტენციალის შინაარსის გადმოცემისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსახლეობის ტრადიციებს, როგორც შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი სტრუქტურის ფორმირების ფაქტორს. მას მაგალითად მოაქვს სსრკ სამხრეთში მოსახლეობის ტრადიციული ცოდნა და ჩვეული ხალიჩების ქსოვაში. საქართველოში შრომითი ტრადიციის ერთ-ერთი მაგალითია მოსახლეობის დიდი ცოდნა-გამოცდილება მევენახეობა-მეღვინეობაში.

ს. კუსმინს შრომითი პოტენციალი არსებითად დაჰყავს სამუშაო დროის ერთობლივ ფონდზე. იგი ზედა საზღვრად სდებს მომუშავეთა ფიზიოლოგიურ შესაძლებლობას, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დონით, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით, რაციონალური კვებით, შრომისა და ყოფის პირობებით. ქვედა საზღვარს კი განაპირობებს საზოგადოებრივად აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტის, პირადი და საზოგადოებრივი მოხმარების თანაფარდობა, მოხმარებასა და გაფართოებულ კვლავწარმოებას შორის თანაფარდობა[3].

---

[1] Панкратов А. С. Трудовой потенциал в системе управления производством. М.: МГУ, 1983, с. 30.

[2] Кузмин С. А. Эффективная занятость населения. М.: Экономика, 1990, с. 23.

[3] იქვე. გვ.23.

შრომითი პოტენციალის რაოდენობრივ მხარეში სამუშაო დროის დანახარჯების კომპონენტი ხასგასმულია ლ. გოლდინის მიერაც[1].

ს. პიროუკოვი, რომელმაც არაერთი ნაშრომი მიუძღვნა შრომით პოტენციალს, თვლის, რომ "შრომითი პოტენციალი უნდა მოიცავდეს შრომისუნარიანი მოსახლეობის სიცოცხლის დროის ფონდს. ამიტომ, მისი განმარტებით, მთელი ქვეყნის, ან რომელიმე მისი რეგიონის შრომითი პოტენციალი - ესაა ცოცხალი შრომის რესურსები და რეზერვები (ანუ შრომის ერთობლივი პოტენციური უნარი), რომელიც აქვს შრომისუნარიან მოსახლეობას მოცემული სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დროს. მისი სიდიდე განისაზღვრება რაოდენობრივი და ხარისხობრივი კომპონენტების კომპლექსებისაგან. რაოდენობრივია - შრომისუნარიანი კონტინგენტების რიცხოვნობა და მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, სამუშაო ასაკში დარჩენილი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასთან, ანუ შრომისუნარიანი მოსახლეობის ცხოველქმედების დროის ფონდთან კავშირში. ხარისხობრივი კომპონენტებია: მოსახლეობის დასაქმება, განათლებისა და კვალიფიკაციის დონე, მუშაკის პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც მის შრომით მოღვაწეობას უკავშირდება[2].

ს. პიროუკოვი დაწერილებით მსჯელობს შრომითი პოტენციალის დემოგრაფიული ქვესისტემის შესახებ, რომელიც აგებულია პოტენციური დემოგრაფიის ძირითად პრინციპებზე, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის უ. ფილრროხეს[3].

მომდევნო გამოკვლევებში ს. პიროუკოვი უფრო ასუსტებს შრომითი პოტენციალის განმარტებას: „შრომით პოტენციალში ჩვენ გვესმის ამ საზოგადოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობის ფიზიკური და სულიერი, უნარის ერთობლიობა, რომელიც რეალიზდება, ან შეიძლება რეალიზდეს შრომის პროცესში. ამგვარად, შრომითი პოტენციალი განიხილება, როგორც კერძო პოტენციალების - დემოგრაფიულის, პროფესიულ-კვალიფიკაციურის, სოციალურ-კულტურულის რთული დინამიკური სისტემა[4].

ამ განმარტებაში ს. პიროუკოვი უფრო მეტად უსვამს ხაზს შრომით პოტენციალს, როგორც უნარს. ამავე დროს, ზემოაღნიშნული განმარტებისას ძირითადი ფორმულა გამოდის, რომ შრომითი პოტენციალი არის ერთობლივი სამუშაო ძალა პლუს ერთობლივი პოტენციური სამუშაო ძალა.

---

[1] Гольдин Л. И. Актуальные проблемы развития трудового потенциала общества зрелого социализма // Вопросы философии. 1982, N 5, с. 3.

[2] Трудовые ресурсы и трудовой потенциал. В. кн.: Развитие населения и его трудового потенциала. Киев: Наукова думка, 1985, с. 197-198.

[3] Фильрозе Ж. Очерк потенциальной демографии. Пер. с польского. М.: Прогресс. 1975.

[4] Пирожков С. И. К разработке концепции трудового потенциала и методы его оценки. В сб.: Демографические аспекты ускорения социально-экономического развития. Ч. 3. Киев: ИЭ АН УССР, 1987, с. 9.

შრომითი პოტენციალს, როგორც „შესაძლებლობას", რომელიც ჯერ არაა რეალიზებული, რამდენჯერმე უსვამს ხაზს ლ. ხურციძე[1].

ჩვენ შევეცადეთ, „შრომითი პოტენციალის" განმარტებები და შინაარსზე მსჯელობა დაგვეელაგებინა ისეთი თანმიმდევრობით, რომ ნათლად გამოჩენილიყო აღნიშნული კატეგორიის შემოტანის აუცილებლობა და მისი არსის შესახებ მეცნიერული ახრის ევოლუციური განვითარება. ერთი რამ ცხადია: უკვე სხვა სიღრმე ეძლევა მანამდელი „შრომითი რესურსების" კვლევას. „შრომითი რესურსებიც", როგორც შრომითი პოტენციალის შემადგენელი ნაწილი, სამეცნიერო ბრუნვაში, ჩვეულებრივ რჩება. ჩვენს მიერ სპეციალურად გადამუშავებულ-გადასინჯულ მეცნიერულ გამოკვლევებში (ექვს ათეულზე მეტი ნაშრომი), სადაც შრომითი პოტენციალი მეტნაკლებადაა განმარტებული, აშკარად ჩანს, რომ ხდება შეხედულებათა დაახლოება, უფრო ლოგიკური ხდება იმ შინაარსის ჩამოყალიბებაც, რომელსაც ეს კატეგორია ასახავს. ამის მაგალითია ის ლოგიკური მსჯელობა, რომელსაც ე. კოტლიარი გადმოსცემს „მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ცნობარში,"[2] რასაც, ზოგიერთი შესწორებით არსებითად ეემხრობით.

ე. კოტლიარის ფორმულირებით, „შრომითი პოტენციალი - შრომის ერთობლივი საზოგადოებრივი უნარია", ანუ სხვა სიტყვებით - იგი „საზოგადოების პოტენციური შრომითი ქმედუნარიანობაა, მისი შრომითი რესურსებია"[3].

შრომითი პოტენციალის რაოდენობრივი მხარე იქმნება: ა) შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობით (შრომითი რესურსები); ბ)სამუშაო დროის რაოდენობით, რომელიც შრომის მოცემული ინტენსივობის პირობებში შეუძლია გამოიმუშაოს შრომისუნარიანმა მოსახლეობამ.

შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი მხარე მოიცავს:

ა) საზოგადოების შრომისუნარიანი წევრების ჯანმრთელობას, განვითარებასა და ფიზიკური ქმედუნარიანობის ხარისხს;

ბ)განათლებისა და კვალიფიკაციის დონეებს;

გ)შრომისუნარიანი მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკურ დონეს[4].

შრომითი პოტენციალის რაოდენობრივი მხარე შეიძლება გამოიხატოს კაცწლებში, რომელიც მიიღება, მოცემულ პერიოდში, ერთი შრომისუნარიანის შრომითი საქმიანობის საშუალო ხანგრძლივობის გამრავლებით შრომისუნარიანთა რიცხოვნობაზე (სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით).

---

[1] ლ. ხურციძე. შრომითი რესურსები და შრომითი პოტენციალი. ეკონომისტი, 1990, N 12, გვ. 12, 14.

[2] Трудовой потенциал. В кн.: Население и трудовые ресурсы. Справочник. М.: Мысль, с. 318-321.

[3] იქვე. გვ. 318.

[4] იქვე. გვ. 318-319.

როგორც ზემოთაც მივუთითეთ, შრომითი პოტენციალის ხარისხობრივ მხარეს არა აქვს ერთიანი სინთეტური გამოხატულება, იგი მაჩვენებელთა სისტემის მეოხებით გამოიხატება.

ე. კოტლიარის აზრით, შრომითი რესურსების რიცხოვნობა შრომითი პოტენციალის რაოდენობრივი მახასიათებლის ერთ-ერთი ელემენტია. შრომითი პოტენციალი შრომის ერთობლივი საზოგადოებრივი უნარია, ხოლო შრომითი რესურსები - ამ უნარის მატარებლები. იგი თვლის, რომ „შრომითი პოტენციალის" ცნების გენეტიკური საფუძველია მშრომელი ინდივიდის შრომის უნარი, ანუ სამუშაო ძალა, როცა „შრომითი რესურსების" კატეგორიის გენეტიკური საფუძველია ამ შრომის უნარის მატარებელი ინდივიდი, მუშაკი[1].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ პრინციპულად ვეთანხმებით შრომითი პოტენციალის ე. კოტლიარისეულ გააზრებას, თუმცა, ჩვენი აზრით, მისი ხარისხობრივი მახასიათებლებიდან აქ შესაცვლელია „შრომისუნარიანი მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკური დონე". იგი ფორთომასშტაბიანი ცნებაა. არ შეიძლება იმისი უარყოფა, რომ იგი მეტ-ნაკლებ ზეგავლენას ახდენდეს შრომის პროცესზე, მაგრამ შრომითი პოტენციალის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად მისი შეყვანა გადაჭარბებულია. მისი გაზომვის მაჩვენებელთა სისტემას: „სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრთა წილი", „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სწავლებადამთავრებულთა და ჩაბმულთა წილი" და ა. შ., რომელსაც ავტორი გვთავაზობს, შრომითი პოტენციალის დინამიკასთან უშუალო კავშირი არა აქვს. ვერც იმას ვიტყვით, რომ ავტორი იძულებული იყო, ანგარიში გაეწია თანამედროვე მკაცრი პოლიტიკური რეჟიმისათვის. წიგნი 1990 წელსაა გამოცემული.

ჩვენ ვთვლით, რომ შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი კომპონენტების გამოყოფისას ზემოხსენებული „იდეურ-პოლიტიკური დონის" ადგილზე უნდა შევიტანოთ „შრომისადმი განწყობა, ადამიანის ფასეულობით ორიენტაციაში შრომის ადგილი, მისი აბსოლუტური და შეფარდებითი მნიშვნელობა"

როგორც შრომის სოციოლოგიაშია ცნობილი, შრომისადმი განწყობა ესაა მუშაობისადმი მზადყოფნა. საერთოდ, განწყობა პიროვნების სტაბილური მზადყოფნაა განსაზღვრულ სიტუაციაზე ან სიტუაციათა კომპლექსზე რეაქციებისადმი. იგი ერთმნიშვნელოვნად აყალიბებს ინდივიდის ქცევის წესს, ამ შემთხვევაში, შრომისადმი დამოკიდებულებას. რაც იდენტურია შრომისადმი ადამიანის ფასეულობითი ორიენტაციისა, იმისა, რასაც ადამიანი ფასეულობათა სისტემაში შრომას აკუთვნებს[2].

---

[1] Трудовой потенциал. В кн.: Население и трудовые ресурсы. Справочник. М.: Мысль, с. 320-321.

[2] Штольберг Р. Социология труда. Пер. с немецкого. М.: Прогресс, 1982, с. 48-50.

შრომითი განწყობის შიგნით უმნიშვნელოვანესი როლი შრომით მოტივაციას აქვს. მასში უშუალოდ მოქცეულია ადამიანის შრომისადმი დამოკიდებულების წაქეზებლური მიხეზები. მოტივაცია ყოველთვის მოქმედებასთანაა დაკავშირებული. მოტივაცია გვიჩვენებს, თუ ადამიანი განსასაზღვრულ სიტუაციაში რატომ იქცევა ასე, ან ისე. თუ განწყობებს აქვთ სტაბილური ხასიათი, მოტივები ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ სიტუაციასთან და მოქმედებასთან[1].

შრომისადმი განწყობის ფორმირებაში დიდი როლი ეკუთვნის ეკონომიკურ აღზრდას, რომლის შეღეგადაც ყალიბდება ეკონომიკური კულტურა. ეკონომიკური აღზრდის ძირითადი ამოცანებია ადამიანებში ისეთი სოციალურ-ეკონომიკური თვისებების ფორმირება, როგორიცაა მომჭირნეობა, დისციპლინიანობა, გერგილიანობა, ორგანიზებულობა, შრომისმოყვარეობა[2].

მეორე შესწორება, რომელიც შეიძლება შევიტანოთ ჩვენს მიერ შედარებით მისაღებ სქემაში, ესაა ხარისხობრივ კომპონენტებში „განათლებისა და პროფესიული მომზადების დონეებთან ერთად „მობილურობის" მიმატება. მობილურობა მრავალგვარია. ამ შემთხვევაში ჩვენ თავს ვიკავებთ ზოგადად სოციალური მობილურობისაგან და შრომითი პოტენციალის ხარისხობრივ მხარეში „პროფესიულ-კვალიფიციურ და ტერიტორიულ მობილობას" ვამატებთ. ამგვარად, შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი მხარის მეორე კომპონენტი ასეთი სახით წარმოგვიდგება: „განათლებისა და კვალიფიკაციის დონეები; პროფესიულ-კვალიფიციური და ტერიტორიული მობილურობა"

შრომითი პოტენციალის ფორმირებაში მობილურობის პოტენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რომელიც ეთნიკურ-დემოგრაფიული და ისტორიულ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებათა გამო გაჩნია. მართალია, მობილურობით რაოდენობრივი მაჩვენებლების ცვლილებებიც მიმდინარეობს, მაგრამ იგი ხარისხობრივი მახასიათებელია.

გადამუშავებული განმარტებებისა და სტრუქტურული ანალიზის შედეგად, ე. კოტლიარის სქემის შესწორების შემდგომ, შრომითი პოტენციალის სტუქტურული სქემა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ;

რაოდენობრივი ელემენტებია:

ა) შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობა;

ბ) შრომის ნორმალური ინტენსიურობის დროს კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო დღის პირობებში შრომისუნარიანი მოსახლეობის სამუშაო დროის ფონდის მოცულობა.

ხარისხობრივი ელემენტებია:

---

[1]Штольберг Р. Социология труда. Пер. с немецкого. М.: Прогресс, 1982, с. 51-52.

[2] დაწვრილებით: Румянцев Э. М., Яковенко Е. Г., Янаев С. И. Инструментарий экономической науки и практики. М.: Знание, 1985, с. 286.

ა) შრომისუნარიანი მოსახლეობის ჯანმრთელობა და ფიზიკური ქმედითობა;

ბ)განათლებისა და კვალიფიკაციის დონეები, პროფესიულ-კვალიფიკაციური და ტერიტორიული მობილობა;

გ) შრომისადმი განწყობა, ადამიანის ფასეულობითი ორიენტაციაში შრომის ადგილი, მისი აბსოლუტური და შეფარდებითი მნიშვნელობა.

რაც შეეხება შრომითი პოტენციალის ფორმირებას, იგი მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილის დემოგრაფიულ-პროფესიული პარამეტრების მთლიანობით განსაზღვრული ცოცხალი შრომის მაქსიმალური გამოყენების შესაძლებლობაა, ან სხვანაირად, შრომითი პოტენციალი არის სათანადო პირობებში პოტენციურად რეალიზებადი შრომითი უნარების მაქსიმალური სიდიდე.

შრომისუნარიანი მოსახლეობა და შრომითი რესურსები მუდმივ მოძრაობაშია. იცვლება მათი რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამ მოძრაობაში ფორმირდება შრომითი პოტენციალი, მისი დემოგრაფიული სისტემა.

შრომითი პოტენციალის დემოგრაფიული ასპექტით კვლევა მოსახლეობის კვლაცწარმოების კანონზომიერებებისა და თავისებურებების გამოვლენითაც გამოიხატება. იგი უნდა წარიმართოს დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ერთიანობის ფონზე. ამავე დროს, მეთოდურად უმჯობესია, განხილულ იქნეს არა ერთი პერიოდის დემოგრაფიული სიტუაცია, არამედ ისტორიულად მეტნაკლებად ხანგრძლივ პერიოდში მოსახლეობის კვლაცწარმოების რეჟიმის განვითარება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იმდენად არსებითია ამჟამინდელი დემოგრაფიული ვითარების ცვლილებანი, რომ შეუძლებელია, იგი ცალკე შესწავლის გარეშე დარჩეს.

დემოგრაფიული პროცესების ანალიზი დემოგრაფიული განვითარების სირთულის გამო, მრავალ მაჩვენებელში აისახება. შრომითი პოტენციალის ფორმირების კანონზომიერებათა დადგენისათვის საჭიროა მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ბუნებრივი მატების, მისი შემადგენლების, შობადობისა და სიკვდილიანობის ანალიზი, ესენი განსაზღვრავენ შრომითი პოტენციალის რაოდენობრივ მხარეს და იძლევიან საშუალებას, გავითვალისწინოთ წარმოების უზრუნველყოფა ადამიანის ფაქტორით.

რადგანაც გვაინტერესებს შრომითი პოტენციალის ფორმირების სპეციფიკა მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის დროს, აუცილებლად უნდა შეფასდეს კრიტიკული დემოგრაფიული ვითარება და მისი შედეგების გავლენა საქართველოს შრომითი პოტენციალის ცვლილებებზე როგორც ამჟამად, ისე იმ დროის განმავლობაში, სანამ, სავარაუდოდ, სტაბილური დემოგრაფიული სიტუაცია აღდგება.

შრომითი პოტენციალის ფორმირების ანალიზისას ცალკე უნდა გამოიყოს

მოსახლეობის მიგრაცია. მიგრაციული პროცესები ეკონომიკური ზრდის შესაბამისად ცვალებადია. შრომითი პოტენციალის რაოდენობრივ მხარეზე იგი ზემოქმედებს პირდაპირ, ცვლის შრომითი რესურსების რიცხოვნობას, რადგან მიგრანტთა უდიდესი ნაწილი შრომითი რესურსების შემადგენლობაში შედის. მაგრამ არანაკლებია შრომითი პოტენციალზე მიგრაციული პროცესების არაპირდაპირი ზემოქმედება. მიგრაციის შედეგად იცვლება მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმი, შობადობა, სიკვდილიანობა, ბუნებრივი მატება, ასაკობრივი სტრუქტურა, რეპროდუქციული განწყობა და ქცევა. მიგრაციის კვალი განსაკუთრებით ატყვია მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესს. მიგრაცია ცვლის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას, ცალკეული ტერიტორიული ერთეულების შრომით პოტენციალს.

ამიტომ შრომითი პოტენციალის ფორმირების შესწავლისას საჭიროა დეტალურად იქნეს გამოკვლეული მიგრაციულ ნაკადთა ძირითადი მიმართულებანი, მისი სიდიდე, ინტენსივობა; აქედან გამომდინარე კი, შრომითი პოტენციალის რაოდენობრივ მხარეზე მისი ზეგავლენა. იმავდროულად აუცილებელია მიგრაციული ნაკადების სტრუქტურული ანალიზი, მიგრანტთა ხარისხობრივი შემადგენლობის განსაზღვრა და შრომით პოტენციალზე მისი ზემოქმედების შესწავლა როგორც მოცემულ მომენტში, ისე ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე.

მიგრაციის სურათის დადგენა მოვლენის მთლიანობაში გასააზრებლად საკმარისი არაა. საჭიროა მოიძებნოს ის მიზეზები, რომელიც ამ მოვლენას უდევს საფუძვლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური მიზეზების გამოვლენას.

საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობა, რთული რელიეფი, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, ეკონომიკური განვითარების შიგარეგიონული თავისებურებანი ქმნიან რთულ, ე. წ. მრავალრეგიონიან სისტემას. თავიანთი საწარმოო-ეკონომიკური სტრუქტურით, მოსახლეობის სიმჭიდროვითა და ეთნოდემოგრაფიული შემადგენლობით ეს რეგიონები მკვეთრად განსხვავდებიან. შეიძლება ითქვას, რომ იშვიათია პატარა ქვეყანა, რომლის რეგიონული სპექტრი ისეთი რთული იყოს, როგორც ეს საქართველოშია. ეს სულ სხვა მოთხოვნებს უყენებს რეგიონულ კვლევას. შრომითი პოტენციალი, რომლის ფორმირებაში დემოგრაფიული ფაქტორი უმნიშვნელოვანესია, სხვადასხვა რეგიონში მკვეთრად განსხვავებული დემოგრაფიული სტრუქტურებითაა გამოხატული. ეს თავისებურებანი, ერთის მხრივ, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებიდან მომდინარეობს, ხოლო, მეორეს მხრივ, ისტორიული განვითარების ფაქტორიც მნიშვნელოვანია.

შრომითი პოტენციალის რეგიონული პროპორციების დადგენა საჭიროა წარმოების ტერიტორიული გაადგილების შემდგომი სრულყოფისათვის,

განსახლების ოპტიმალური სისტემის ფორმირებისა და რეგულირებისათვის. მეორეს მხრივ, შრომითი პოტენციალი, რამდენადაც იგი ასახავს რეგიონების შრომისუნარიან მოსახლეობას და მის სტრუქტურას, თავისებური გამოხატულებაა დემოგრაფიული პროპორციებისა და დაკავშირებულია რეგიონების დემოგრაფიული ტევადობის პარამეტრებთან.

რეგიონული კვლევა არ ნიშნავს მთელი ტერიტორიიდან მარტო რეგიონების გამოყოფას და დიფერენცირებული ანალიზის ჩატარებას. იგი გულისხმობს სხვადასხვა რეგიონებში, სხვადასხვა ტაქსონომურ დონეებზე კვლევასაც. ჩვენ შემთხვევაში ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქისა და სოფლის, სხვადასხვა რანგის ქალაქების, მათი ჯგუფების მიხედვით, შრომითი პოტენციალის ფორმირებასაც და განაწილებასაც. საქართველოსათვის ასეთ ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ეკისტიკური პოლიტიკის აქტივიზაციის მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა თბილისის ზრდის საჭირო ზღვრამდე შეზღუდვა და საშუალო და პატარა ქალაქების განვითარება იმ ზღვრამდე, რასაც რაციონალური განსახლების მოდელები ითვალისწინებენ.

საქართველოში კვლევის რეგიონული ასპექტები ხშირად გადადის ეთნიკური თავისებურების ანალიზში. ამ თვალსაზრისით შეიძლება დაჯგუფებები ძირეული ადმინისტრაციული ერთეულების, ეკონომიკური რაიონების (ზონების), დემორეგიონების და ეთნორეგიონების მიხედვით. ხშირად, დემორეგიონები და ეთნორეგიონები ერთმანეთს ემთხვევა, ან ადმინისტრაციული რეგიონალიზაციის მთავარ ნიშნად გვეელინება.

მეცნიერულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით რეგიონულ გამოკვლევებში გამოყოფილია ბუნებრივ-ეკონომიკური ზონები, რომლებსაც ზოგჯერ ეკონომიკურ რაიონებსაც უწოდებენ. აღნიშნული ზონები მოსახლეობის რიცხოვნობით, დემოგრაფიული ტევადობით, მოსახლეობის სტრუქტურითა და კვლავწარმოების რეჟიმებით, მიგრაციული მობილობით აშკარა სპეციფიკურობით გამოირჩევიან. ამიტომ შრომითი პოტენციალის ფორმირებაში და განაწილება-გადანაწილებაში მრავალ თავისებურებას ქმნიან. ისინი განსხვავდებიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონითაც და შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი მაჩვენებლებითაც, რაც კვლევისას გათვალისწინებას მოითხოვს.

შრომითი რესურსების დემოგრაფიული მატება ბოლო ათწლეულებში შენელდა. თანდათან გაიზარდა შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი მაჩვენებლების მნიშვნელობა. ეკონომიკის ცენტრალიზებული გეგმიანი სისტემა, ეკონომიკური ზრდისათვის კარგად იყენებდა ექსტენსიურ ელემენტებს. ამჟამად კი, დემოგრაფიული ზრდის შეჩერებასთან ერთად საბაზრო მეურნეობაზე გადასვლამ და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებამ წინა პლანზე წამოსწია შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი სრულყოფა.

შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი მხარე, როგორც მის სქემაში განვიხილეთ, შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან, რომელთაგან ყველაზე მოძრავი განათლებისა და კვალიფიკაციის დონეა.

ბოლო წლებში განათლების სისტემაში მიმდინარეობს არსებითი ცვლილებები. განათლების დაფინანსების წყაროების მეტისმეტმა შემცირებამ და ფინანსური სახსრების უქონლობისას განათლების ქსელის შეუსაბამო გაფართოებამ უამრავი ძნელად გადასაჭრელი პრობლემა წარმოშვა. თუ ფორმალურად, სტატისტიკურად, განათლების პოტენციალის ზრდა გაძლიერდა, სინამდვილეში ამ სფეროში განვითარება დაიწყო ისეთმა მოვლენებმა, რომელნიც არცთუ შორეულ მომავალში მრავალ სოციალურ ბარიერს შეუქმნიან საზოგადოებას. შრომითი პოტენციალის ფორმირების შესწავლის ამოცანებიდან გამომდინარე, საჭიროა მისი შეფასება და იმ კონკრეტული ამოცანების დაყენება, რომელიც შრომის ბაზრის მოთხოვნასთან იქნება დაკავშირებული. იმისათვის, რომ სწორად შეფასდეს განათლების პოტენციალის პერსპექტივა, საჭიროა იგი განვიხილოთ ამჟამად მიმდინარე განათლების რეფორმის ამოცანებთან ერთად. გასათვალისწინებელია რეფორმის უახლოესი რეალური შედეგები, პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. ამასთან აუცილებელია, გაანალიზდეს სახელმწიფო დაფინანსების როლი განათლების პოტენციალის ზრდაში. დაფინანსების სხვა წყაროების გაჩენამ არ უნდა გამოიწვიოს სახელმწიფო დაფინანსების შემცირება.

განათლების საერთო დონისა და სპეციალისტთა მომზადების ხარისხობრივ სრულყოფასთან ერთად ყურადღება უნდა გამახვილდეს პოტენციალის სტრუქტურულ სრულყოფაზე, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის ოპტიმალური თანაფარდობის დამყარებაზე, აგრეთვე მაღალკვალიფიციური მუშების მომზადებაზე. ბოლო წლებში პროფტექნიკური განათლების ქსელი მოიშალა, მატერიალური ბაზა კრიტიკულად შესუსტდა, მომზადების მასშტაბები შემცირდა. შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციურ მუშებზე მოთხოვნა არის და კიდევ უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე სპეციალისტებზე. კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადება ყოველთვის პრობლემატური იყო საქართველოში. ეკონომიკური აღმავლობის დაწყება, უცხოელ პარტნიორებთან ერთად თანამედროვე წარმოების განვითარება მაღალკვალიფიციურ მუშებზე მოთხოვნას კიდევ უფრო გაზრდის. ამიტომ პროფმომზადების მეცნიერული ანალიზი და სრულყოფის გზების დასახვა გადაუდებელი ამოცანაა შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი სრულყოფის გზაზე.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომითი რესურსების ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობას და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას. ჯანმრთელობა უშუალო ზეგავლენას ახდენს შრომისუნარიანობაზე და შრომითი საქმიანობის პერიოდის ხანგრძლივობაზე. ჯანდაცვის რეფორმამ, რომელიც ყველაზე მტკივნეულად შეეხო მოსახლეობას, ჯერჯერობით ვერ

დასახა ახლო მომავლისათვის შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი გაუმჯობესების რეალური გზები. მას საფანადო მეცნიერული შეფასება სჭირდება.

შრომითი პოტენციალის მნიშვნელოვანი ხარისხობრივ-დემოგრაფიული მაჩვენებელია შრომისუნარიანთა ასაკობრივი სტრუქტურა. მისი ევოლუცია არსებითად დემოგრაფიული გადასვლის პროცესის კანონზომიერებებითაა განსახღვრული. საქართველოში მოსახლეობის მთლიან დემოგრაფიულ დაბერებასთან ერთად დიდი დიფერენციაცია შეიმჩნევა რეგიონების მოსახლეობის დაბერების დონეებში, რომელიც მოსახლეობის კვლავწარმოების სხვადასხვა რეჟიმებმა და მიგრაციული სალდოს ინტენსივობათა დიფერენციაციამ განაპირობა. ეს კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შრომითი პოტენციალის ფორმირების რეგიონულ თავისებურებას. მისი ანალიზი და შემდგომი მართვა გადაჯაჭვულია მთლიანად დემოგრაფიული პროცესების მართვასთან, განსახლებაში რეგიონული დისპროპორციულობის გაძლიერების ტენდენციების აღმოფხვრის ღონისძიებათა შემუშავებასთან. თავის მხრივ, ასაკობრივი სტრუქტურა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის კვლავწარმოების ტემპებზე როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე მის ცალკეულ რეგიონში.

შრომითი პოტენციალის შეფასებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების თანაფარდობის ცვლილებათა ანალიზს. იმას, თუ როგორ იცვლება პროპორცია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობასა და მის გარეთ მყოფ კონტინგენტებს შორის. აქ დასადგენია თანაფარდობა შრომითი რესურსების რიცხოვნობასა და მათ კმაყოფაზე მყოფ კონტინგენტებს შორის როგორც ამჟამად, ისე მომავალში. საერთოდ, საჭიროა შრომითი დატვირთვის ევოლუციის ანალიზი როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ისე ცალკეულ რეგიონებში.

შრომისუნარიანი კონტინგენტის შიგაასაკობრივი ჯგუფების ურთიერთთანაფარდობის ანალიზით უნდა დადგინდეს შრომითი რესურსების დემოგრაფიული დაბერების ტენდენციები და განისაზღვროს პერსპექტივაში პოტენციალურად კმაყოფაზე მყოფთა თანაფარდობა ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან. ცალკე კვლევის საგანია შრომითი აქტიურობის ასაკობრივი დიფერენციაცია.

მთელი რიგი ახალი პრობლემები წარმოშვა საპენსიო ასაკის კანონმდებლობითმა ცვლილებებმა, რომელიც ბოლო ხანს განახორციელეს დირექტიულმა ორგანოებმა. აქ პრობლემურია ის, რომ ეს შეცვლა მოხდა არა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის გამო, ან ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის გაუმჯობესების დროს, არამედ პირიქით, ამ პირობების გაუარესებისას. პენსიაზე გასვლის ასაკის გადაწევამ შრომით პოტენციალშიც გამოიწვია ცვლილებანი. ამიტომ გადასაანგარიშებულია შრომითი პოტენციალის ზრდის პერსპექტიული ვარიანტი.

თავი II. საქართველოს შრომითი პოტენციალის ფორმირების დემოგრაფიული ბაზა

§ 1. ეკონომიკისა და მოსახლეობის განვითარების ერთიანობა და ურთიერთგანპირობებულობა

შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და განაწილების პრობლემა აუცილებელია განვიხილოთ ეკონომიკისა და მოსახლეობის, როგორც ორი ურთიერთდაკავშირებული სისტემის დიალექტიკური ერთიანობის ფონზე. მათი კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ, როგორც ცნობილი დემოგრაფი ა. გ. ვიშნევსკი აღნიშნავს, „მოსახლეობის განვითარების ეკონომიკური შედეგები დემოგრაფიული პროცესების მრავალ შედეგს შორის იმყოფება და იგი იზოლირებულად შეიძლება შეფასდეს ანალიზის განსაზღვრულ სტადიაზე, რომელიც მაინც უსათუოდ წინ უნდა უძღოდეს სინთეზს"[1]. ზემოაღნიშნულ ურთიერთობაში აშკარად გამოიკვეთება შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და განაწილების პრობლემები. იგი, ჩვენი აზრით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების დღევანდელ ეტაპზე უმწვავეს საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება. მისი სახელმწიფოებრივი რეგულირება მოიცავს როგორც დასაქმების, ისე აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას.

ამავე დროს, არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმ თავისებურებათა განსაზღვრას, რომელიც, თავის მხრივ, განპირობებულია ამა თუ იმ სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის ადგილით მოსახლეობის კვლავწარმოებაში, დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ზრდაში. მოსახლეობის ესა თუ ის ჯგუფი მნიშვნელოვნად განსაზღვრულია ეკონომიკური განვითარებით, იმავდროულად იგი თავისებურ ზემოქმედებას ახდენს თვით ეკონომიკურ განვითარებაზე. საკმარისია, მაგალითად მოვიტანოთ მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების დიფერენცირებული ზემოქმედება ეკონომიკისა და საზოგადოების სოციალურ განვითარებაზე.

იმისათვის, რომ მთლიანობაში გავიაზროთ საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარება, გამოვაელინოთ დემოგრაფიული ვითარების ძირითადი ტენდენციები და კანონზომიერებანი, საჭიროდ მიგვაჩნია, დემოგრაფიული პროცესები, შეძლებისამებრ, ხანგრძლივი პერიოდის

[1] Вишневский А. Г. Социальное управление демографическими процессами. Автореферат докторской диссертации. М.: ИСИ, 1981, с. 5.

მანძილზე განვიხილოთ, რასაკვირველია, ეკონომიკურ განვითარებასთან ურთიერთკავშირში, თანაც დემოგრაფიული განვითარების პერიოდიზაციის გამოყენებით. ეფიქრობთ, მიზანშეწონილია, ამგვარ პერიოდიზაციას საფუძვლად დავუდოთ საბჭოურ ლიტერატურაში მრავალჯერ გაკრიტიკებული, მაგრამ ბოლოს საყოველთაოდ აღიარებული დემოგრაფიული გადასვლის პრინციპული სქემები. ასეთი მიდგომა იწყება ცნობილი მეცნიერების – ა. ლანდრის, უ. ტომპსონის, ფ. ნოუტსტონის ნაშრომებში, რომელიც შემდგომ განვითარდა ზ. პაველიკის, პ. კალტაბარის, ვ. ტრებაჩის, ა. ბოიარსკის, ო. ლარმინის, ა. კვაშას, ა. ვიშნევსკის შრომებში. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერებათა გამოვლენაში დემოგრაფიული გადასვლის კონცეფცია ფართოდ გამოიყენეს ქართველმა მეცნიერებმა: ნ. ადეიშვილმა, ვ. გუჯაბიძემ, ა. სულაბერიძემ, გ. ფირცხალავამ, ლ. ჩიქავამ, მ. ხმალაძემ. მათ შორის ვხედებით ორიგინალურ პერიოდიზაციასაც. მაგ., ვ. გუჯაბიძის მიერ შემოთავაზებულია 5 სტადიანი დემოგრაფიული განვითარების სქემა[1],სადაც ავტორი გამოჰყოფს მთლიან განვითარებაში დემოგრაფიული ქცევის ქალაქური ტიპის გაერცელების პერიოდს. ასეთი პერიოდიზაცია რაციონალურია რეგიონული დემოგრაფიული განვითარების თავისებურებების კვლევისას.

დემოგრაფიული გადასვლის თეორიის თანახმად, ნებისმიერი მოსახლეობის განვითარების ისტორია შედგება რამდენიმე ეტაპისაგან.

პირველი ეტაპია მოსახლეობის კვლავწარმოების ტრადიციული ტიპი. იგი ხასიათდება მაღალი, შეგნებულად შეუზღუდავი შობადობით, დიდი სიკვდილიანობით, და, აქედან გამომდინარე, მცირე ბუნებრივი მატებით, რაზეც დიდ ზეგავლენას ახდენს ეკოლოგიური ზემოქმედებანი, როგორიცაა, ვთქვათ, შიმშილი და ეპიდემია.

მოსახლეობის განვითარების შემდგომ ეტაპზე სწრაფად მცირდება სიკვდილიანობა, შობადობა ამყარავნებს ინერციულობას და ფიზიოლოგიური შესაძლებლობის დონეზე რჩება. ამის გამო ბუნებრივი მატება სწრაფად იზრდება. ამ დროს მოსახლეობის ეკონომიკაზე ზემოქმედება ჯერ კიდევ აშკარად არ ვლინდება. სიკვდილიანობაზე მოქმედებს ისეთი მოვლენები, როგორიცაა შიმშილი, ეპიდემიები, ომები და ა. შ. მოსახლეობის სხვა ხარისხობრივ-დემოგრაფიული მახასიათებლები, როგორიცაა შობადობა, ქორწინება, მიგრაციული მობილობა. ასაკობრივი სტრუქტურები – ნელი ცვალებადობით ხასიათდება.

კვლავწარმოების რეჟიმის ცვლილებებს თან მოჰყვა დემოგრაფიული სტრუქტურების ზოგიერთი ცვლილებაც. ეკონომიკური და დემოგრაფიული

[1] Гуджабидзе В. Демографический переход и старение населения в Грузии. В сб.: Актуальные проблемы развития демографических процессов в Грузии. Тб.: Мецниереба, 1990.

ფაქტორების ურთიერთზეგავლენის ხასიათი უკვე სხვაგვარია. ეკონომიკური ფაქტორების გავლენა ნაკლებადაა უშუალო ხასიათის, თუმცაღა ეკონომიკის განვითარების კვალობაზე მიმდინარეობს სიკვდილიანობის შემცირება. როგორც ა. კვაშა აღნიშნავს, „ეკონომიკური მოთხოვნების ზეგავლენით, დემოგრაფიული სტრუქტურების ევოლუცია მიმდინარეობს ნელა, თუმცაღა ზრდადი ტემპით"[1].

მოსახლეობის განვითარების მეორე ეტაპზე სტრუქტურული ხასიათის ცვლილებები უფრო შესამჩნევია. მაგ. სიკვდილიანობის შემცირების შედეგად იზრდება შრომის ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა.

განვითარების მესამე ეტაპის დამახასიათებელი ნიშნებია: შობადობის სწრაფი შემცირება, სიკვდილიანობის შედარებით ნელი შემცირება. აქ უკვე ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესების ურთიერთკავშირის ხასიათი შესამჩნევად იცვლება. ეკონომიკური ფაქტორის მოქმედება კიდევ უფრო შუალობითი ხდება. წარმოიქმნება დროის რაღაც შუალედი ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესების ურთიერთზეგავლენაში, სახელდობრ, ამ ეტაპზე თანდათან იზრდება დემოგრაფიული პროცესების ზემოქმედება ეკონომიკაზე. შობადობაში ცვლილებანი რამდენიმე წლის შემდეგ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებებს იწვევს. მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ მთავარი მაინც მოსახლეობის ხარისხობრივ მაჩვენებელთა ცვლილებებია: პირველ რიგში, განათლების დონესა და პროფესიულ-კვალიფიციურ მომზადებაში. თავის მხრივ, მოსახლეობის ხარისხობრივი ზრდა უკუგავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე, მაგ., შობადობაზე, სიკვდილიანობაზე. მისი გავლენა, საზოგადოდ, დემოგრაფიულ ქცევაზე თანდათან ძლიერდება.

როგორც აღვნიშნეთ, განათლების დონის ცვლილებებს თან სდევს შობადობასა და სიკვდილიანობაში ცვლილებები, რასაც, თავის მხრივ, მოსდევს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებები. ვითარდება მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი. იგი დემოგრაფიული განვითარების ამ ეტაპის დასაწყისში შობადობის შემცირებით ვითარდება, ხოლო ეტაპის დასასრულს - უკვე უფროსი ასაკის მოსახლეობაში სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირებით.

მეოთხე ეტაპისათვის დამახასიათებელია შობადობისა და სიკვდილიანობის დაბალი დონე და, თუ ამ ეტაპზე მყოფი განვითარებული ქვეყნების მიხედვით ვიმსჯელებთ, – მოსახლეობის ინდივიდუალური მიგრაციის მაღალი ინტენსივობა, მცირეშვილიანი ოჯახების მასობრივი გავრცელება, მისი შეუქცევადი ხასიათი. რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი შობადობაში რაიმე ცვლილება მოხდა, იგი მცირეშვილიანი ოჯახის ფარგლებს ვერ გასცდება. ამ

[1] Кваша А. Я. Демографическая политика в СССР. М.: Финансы и статистика. 1981, с. 35.

ეტაპზე ეკონომიკური პროცესები გადამწყვეტ გავლენას ახდენენ დემოგრაფიულ ურთიერთობებზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მეტისმეტად გაძნელებულია ამ გავლენის რაოდენობრივი გამოხატვა. მაგალითად, დაბადებათა ერთი და იმავე რაოდენობის დროს ასაკობრივ ჯგუფებში მიმდინარეობს შობადობის ინტენსიურობის ცვლილებები, ეკონომიკური და დემოგრაფიული მოვლენების ცვლილებებს შორის კავშირი დროში არ ემთხვევა და ა. შ.

ეკონომიკის განვითარებით დეტერმინირებული დემოგრაფიული პროცესების განვითარება, თავის მხრივ, ზემოქმედებს ეკონომიკაზე. ეს ზემოქმედება სხვებთან ერთად შრომითი პოტენციალის რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებების მეოხებითაც ხდება. სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება უფრო მეტად ამ პროცესის რაოდენობრივ მხარეზე ზემოქმედებს, რადგან მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობა დამოკიდებულია სქესსა და ასაკზე. როგორც ცნობილია, ახალგაზრდობას ხნიერ თაობასთან შედარებით ახალი ცოდნის ათვისებისა და ახალი ეკოლოგიური გარემოსადმი შეგუების მეტი უნარი ახასიათებს. ამ ნაკლს ხნიერი თაობა წლობით დაგროვებული გამოცდილებით ავსებს. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, თანდათან, რაც უფრო დრო გადის, მიღებული ცოდნის მოძველება უფრო სწრაფად ხდება და უკვე ხნიერი ასაკის მუშაკებს სულ უფრო მეტად უძნელდებათ ახალი ტექნიკისადმი ადაპტაცია, მათი ეკონომიკური მოღვაწეობის შედეგები კლებულობს. ეს ნათლად გამოვლინდა ჩვენში საბჭოთა მეურნეობაზე გაღასვლისა და კომპიუტერიზაციის პროცესში, როცა ახლებური აზროვნება მეტად გამოცდილ მუშაკებსაც გაუჭირდათ. ამან კი ხანშიშესულთა შრომის ეფექტური გამოყენების ახლებური გააზრება მოითხოვა.

ანდა, ავიღოთ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ეკონომიკაში დასაქმებულობის ხარისხი. ახალგაზრდობის სულ უფრო დიდ ნაწილს სწავლის პროცესი ეკონომიკაში შრომით მოღვაწეობიდან სწყვეტს. მდედრობითი სქესის მოსახლეობაც თავისი გენერაციული ფუნქციის გამო იძულებულია, საკმაოდ ხანგრძლივად მოსწყდეს სამუშაოს.

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს ახასიათებთ დასაქმების განსხვავებული სტრუქტურები. ეს ნათლად ჩნდება ხოლმე მოსახლეობის დაბერების პროცესის ემპირიული შესწავლისას, როცა ხანშიშესულთა დაქვეითებული სოციალური მობილობის გამო იქმნება შრომითი რესურსების დეფიციტი მრეწველობის ახალ, პროგრესულ დარგებში, სადაც უფრო მეტად ახალგაზრდობაა აკუმულირებული.

აღსანიშნავია, რომ რეგიონული ანალიზის დროს ამა თუ იმ რეგიონის გამოყოფისას, ხშირად ნათლად ვლინდება ეკონომიკისა და მოსახლეობის განვითარების ურთიერთკავშირი. კონკრეტულად, საქართველოს საერთო დემოგრაფიული სიტუაციისაგან განსხვავებით, აღნიშნული ურთიერთკავშირი რეგიონულ ასპექტში უფრო მკვეთრი, აშკარა შედეგებით გამოიხატება.

მოსახლეობისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირის რთულ პრობლემატიკაში როგორც ეკონომიკის, ისე მოსახლეობის განვითარების მრავალი ასპექტი აისახება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც შეიძლება ამ პრობლემატიკიდან გამოვყოთ, არის რესპუბლიკაში და მის ცალკეულ რეგიონში შრომითი პოტენციალის კვლევა, ძირითადი ტენდენციებისა და თავისებურებების დადგენა, რომლებსაც, თავის მხრივ, ამ რეგიონების დემოგრაფიული განვითარების დონეები განსაზღვრავენ.

§ 2 საქართველოს მოსახლეობის კვლავწარმოების ძირითადი ტენდენციები

/საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება, მთელი XX საუკუნის განმავლობაში, ასახავს კვლავწარმოების ტრადიციულიდან თანამედროვე ტიპზე გადასვლის სურათს: როგორც ვარაუდობენ, გადასვლის პროცესი კიდევ უფრო ადრე დაიწყო[1].

თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 1,9 მლნ-დან 5,4 მლნ-მდე გაიზარდა (ცხრილი 1).

თუ მთელი მოსახლეობის რიცხოვნობითა და ბუნებრივი მატების ტემპით საქართველო XIX საუკუნის ბოლოს აღემატებოდა აზერბაიჯანსა და სომხეთს[2], XX საუკუნეში საქართველოს მოსახლეობის ხვედრითი წონა ამიერ-კავკასიაში თანდათან შემცირდა. მაგ., 1913-1989 წწ. საქართველოს მოსახლეო-ბა გაიზარდა 2,1-ჯერ, აზერბაიჯნისა - 3-ჯერ, სომხეთისა - 3,3-ჯერ. მოსახ-ლეობის ზრდის ტემპში სხვაობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კიდევ უფრო გაძლიერდა. 1959-1989 წწ. საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ 1,3-ჯერ გაიზარდა, მაშინ როცა როგორც აზერბაიჯნისა, ისე სომხეთისა - 1,9-ჯერ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ისტორიულ-დემოგრაფიული განვითარების მრავალ თავისებურებათა გამო, საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული განვითარების თავისებურებანი რუსეთის მთელ იმპერიასთან შედარებით, მოსახლეობის ზრდის შედარებით დაბალ ტემპში გამოვლინდა. შემდგომაც, საქართველოს მოსახლეობა იზრდებოდა ისეთივე ტემპით, როგორც ყოფილი სსრკ მთელი მოსახლეობა. 1950-იან წლებთან შედარებით 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს მოსახლეობის საშუალოწლიური ზრდის ტემპი 1,7%-დან 0,5-0,6%-მდე დაეცა. საერთოდ კი, XX საუკუნეში მოსახლეობის შედარებით სტაბილური ზრდის პერიოდი

---

[1] მ. ხმალაძე, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები, სადოქტორო დისერტაცია. - თბ. 1994, გვ. 104.

[2] Пирцхалава Г. Некоторые вопросы старения населения Грузии. Тез. докл. Международного конгресса геронтологов. Т. 3. Киев, 1972, с.244

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა 1897-1996 წწ.

წელი	მოსახლეობის რიცხოვნობა, ათასი კაცი	მათ შორის		წელი	მოსახლეობის რიცხ-ოვნობა, ათასი კაცი	მათ შორის	
		ქალაქის მოსახლეობა, %	სოფლის მოსახლეობა, %			ქალაქის მოსახლეობა, %	სოფლის მოსახლეობა, %
1897	1894,2	19,0	81,0	1979	5064,8	51,9	48,1
1913	2601,0	25,4	74,4	1985	5200,9	53,8	46,2
1917	2338,0	18,1	81,9	1989	5443,0	55,8	44,8
1921	2411,0	19,7	80,3	1990	5456,1	56,1	43,9
1926	2677,2	22,2	77,8	1991	5464,2	56,2	43,8
1939	3540,0	30,1	69,9	1992	5462,8	56,2	43,8
1950	3494,1	35,5	64,5	1993	5447,1	56,0	44,0
1959	4044,0	42,4	57,6	1994	5429,0	55,7	44,3
1970	4686,4	47,8	52,2	1995	5407,0	56,0	44,0
1975	4895,4	49,7	50,3	1996	5373,4	55,2	44,8

[1]. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა. სტატისტიკური კრებული, თბ. 1993. მოსახლეობა ციფრებში. მოკლე სტატისტიკური კრებული. - თბ.: სიახლე, 1995, გვ. 16-17. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში არსებული პირველადი ინფორმაცია.

შეიცვალა 4-ჯერ. პირველი გრძელდებოდა საუკუნის დასაწყისიდან 50-იან წლებამდე, მეორემომდევნო ოც წელიწადს; მესამე – 70-იანი წლების მეორე ნახევრის შემდგომი ეტაპია, რომელიც 90-იანი წლების საყოველთაო კრიზისის დროს მეოთხე პერიოდში გადაიზარდა. ეს უკანასკნელი სპეციფიკურია საქართველოსათვის და ხასიათდება მოსახლეობის ზრდის შესერებით.

როგორც მთლიანად რესპუბლიკის, ისე მისი ცალკეული რეგიონის მოსახლეობის ზრდის დინამიკა ძირითადად განპირობებულია მოსახლეობის კელავწარმოების პროცესის მიმდინარეობით.

დაბადებათა წლიური რაოდენობა 1961-1990 წწ. შემცირდა 11614 კაცით, ხოლო 1990-1992 წწ. – 20184 კაცით (ბუნებრივი მატება 21 ათასი კაცით). აღნიშნული კრიზისამდელი შემცირება, ნაწილობრივ, გამოწვეულია მდედრობითი სქესის მოსახლეობის სტრუქტურული ცვლილებებით. მაგრამ, რაც მთავარია, მოხდა შობადობის ინტენსივობის შემცირება და მკვრეშვილიან ოჯახს მასობრივი გადასვლა. მაგ., მოსახლეობის კელავწარმოების ერთ-ერთი განმსაზოგადებელი მაჩვენებელი - კელავწარმოების ბრუტო-კოეფიციენტი, რომელიც 1959-1976 წლებში შედარებით სტაბილური იყო, 1969-1970 წწ. 1,292 შეადგინა, 1989-90 წლებისათვის 1,072-მდე შემცირდა (ცხრილი 2).

ცხრილი 2

საქართველოს მოსახლეობის კელავწარმოების კოეფიციენტები[1].

წელი	კელავწარმოების ბრუტო-კოეფიციენტი			კელავწარმოების ნეტო-კოეფიციენტი		
	მთელი მოსახ-ლეობა	ქალაქის მოსახ-ლეობა	სოფლის მოსახ-ლეობა	მთელი მოსახ-ლეობა	ქალაქის მოსახ-ლეობა	სოფლის მოსახ-ლეობა
1969-1970	1,292	1,137	1,476	1,233	1,095	1,396
1975-1976	1,239	1,096	1,487	1,179	1,050	1,404
1978-1979	1,123	1,011	1,276	1,074	0,971	1,214
1984-1985	1,149	1,060	1,265	1,109	1,044	1,214
1989-1990	1,072	1,011	1,153	1,027	0,986	1,122

[1] Население СССР. 1988. Статистический ежегодник. М.: Финансы и статистика. 1989. с. 115. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები

მოსახლეობის გაფართოებული კვლავწარმოებისათვის აუცილებელია ნეტო-კოეფიციენტი 1-ზე მეტი იყოს[1]. ჩვენ შემთხვევაში, 80-იანი წლების დასაწყისიდან, იგი პრაქტიკულად 1-ის ფარგლებშია და მიგვითითებს მარტივ კვლავწარმოებაზე. ქალაქის მოსახლეობაში მარტივი ან შეკვეცილი კვლავწარმოება გვაქვს და ბუნებრივი მატება აქ განსახლებულია ასაკობრივი სტრუქტურით განპირობებული რეზერვებით. რაც შეეხება ნეტო-კოეფიციენტს სოფლად, აქ 1-ზე მეტია, მაგრამ შედარებით სწრაფი შემცირების ტენდენცია ახასიათებს.

მართალია, 1970-1990 წწ. მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტი საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ, სამაგიეროდ მოსახლეობის კვლავწარმოების ეკონომიურობის მაჩვენებელი (ბრუტო-კოეფიციენტის შეფარდება ნეტო-კოეფიციენტთან) გაუმჯობესდა; იგი 1,048-დან 1,027-მდე შეიცვალა. რაც უფრო ახლოსაა აღნიშნული მაჩვენებელი (მარტივი კვლავწარმოების „ფასი") 1-თან, მით უფრო ეკონომიურია კვლავწარმოების რეჟიმი. იმ ქვეყნებში, სადაც დამკვიდრდა მოსახლეობის კვლავწარმოების თანამედროვე ტიპი, მარტივი კვლავწარმოების ფასი ნაკლებია, 1,1-ზე. 1990 წლის მდგომარეობით საქართველოში იგი ნაკლებია 80-იანი წლების გფრს, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის მაჩვენებლებთან შედარებით[2].

საქართველოში შობადობის დონის შემცირებასთან ერთად თანდათან შეიცვალა შობადობის ასაკობრივი ინტენსივობა. შობადობა, პირველ რიგში, შემცირდა უფროს ასაკობრივ ჯგუფებში და უფრო ინტენსიური გახდა ახალგაზრდა ასაკებში, განსაკუთრებით 20 წლამდე და 20-24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში, აქ იგი 1970-1991 წწ. 1,08-ჯერ გაიზარდა (ცხრილი 3), 35-49 წლის ასაკში შემცირდა 1,66-ჯერ, ხოლო 40 წელს გადაცილებულ ქალთა კონტინგენტში – 2,5-ჯერ.

რაც შეეხება შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტებს, რომლებიც შობადობის უფრო ზუსტ მახასიათებლადაა მიჩნეული, იგი 1958-59 - 1969-70წწ. ვარირებდა 2,6-ის ფარგლებში, ხოლო შემდგომ დაიწყო მისი საგრძნობი შემცირება. 1988-1989 წწ. იგი 2,13-ია, 1990 წელს - 2,20, 1991 წელს - 2,15, ხოლო 1992 წლისათვის - 1,79. როგორც ცნობილია, შობადობის 2,15-ზე ნაკლები ჯამობრივი კოეფიციენტი ითვლება დაბალ კოეფიციენტად[3]. ლ. ჩიქავა თვლის, რომ 2,13-ზე მცირე კოეფიციენტი უკვე ეელარ უზრუნველყოფს გაფართოებულ კვლავწარმოებას.[4]

შობადობისა და, საერთოდ, ბუნებრივი მატების შემცირებაზე 90-იან

---

[1] Демографический-энциклопедический словарь. М.: Советская энциклопедия. 1985, с. 285

[2] იქვე გვ. 71.

[3] იქვე.

[4] ლ. ჩიქავა. მოსალოდნელი დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და მისი თავიდან აცილების გზები. ეკონომიკა, 1993, N 2-3 გვ.

ცხრილი 3

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები საქართველოს მოსახლეობაში[1]
(დაბადებულთა რიცხოვნობა მოცემული ასაკობრივი ჯგუფის 1000 ქალზე)

წლები	ასაკობრივი ჯგუფები							
		მათ შორის						
	15-49	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49
1958-1959	85,0	22,2	124,3	172,0	112,2	58,7	21,5	6,4
1970-1971	73,7	35,8	187,6	156,9	94,8	47,4	12,5	2,1
1979-1980	68,5	47,8	181,1	121,9	66,3	24,0	7,6	1,4
1987	70,0	49,2	176,4	119,6	60,0	24,6	7,6	0,6
1988	68,8	54,5	172,4	112,5	56,8	22,7	5,9	0,5
1989	67,6	58,6	171,4	109,7	57,2	22,6	5,7	0,4
1990	69,4	60,2	177,4	110,5	61,7	24,4	5,8	0,3
1991	67,1	61,1	180,3	103,1	57,0	23,6	5,6	0,2
1992	55,1	53,3	158,7	78,8	44,9	17,7	4,2	0,2

Демографический ежегодник СССР М.: Финансы и статистика. 1990, с. 311. Численность, состав и движение населения Грузинской ССР, Статистический сборник. Тб.: 1981, с. 87; 1986, с. 102. Народное хозяйство Грузинской ССР в 1987 году. Стат, ежегодник. ТБ.: Сабчота Сакартвело, 1988, с. 172, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1988 წ. სტატისტიკური წელიწდეული, - თბ., საქართველო, 1990, გვ. 20-21. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაცია

წლებში იმოქმედა ქორწინების კოეფიციენტის კატასტროფულმა შემცირებამ. 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იან წლებში ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდის 10 დაქორწინებული, 1992 წელს - მხოლოდ 5,5. სტრუქტურულ-დემოგრაფიული ფაქტორებიც რომ გამოვრიცხოთ, შემცირება დიდია. მარტო 1980-1992 წწ. რესპუბლიკაში დაქორწინებულთა აბსოლუტური რიცხოვნობა 44168-დან 26878-მდე შემცირდა, ადრე არსებულის მხოლოდ 61% შეადგინა. ხოლო 1994 წელს - 19362 კაცამდე შემცირდა[1]. საესებით აშკარაა ქორწინების გაუარესების გავლენა შობადობის დონეზე.

ჩვენს მიერ განხილული მასალის ზოგადი სტატისტიკური ანალიზიდანაც კარგად ჩანს, რომ საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარება, დემოგრაფიული გადასვლა ხდება ე.წ. ევროპული მოდელით. ამ აზრისაა ქართველ დემოგრაფთა უმრავლესობა. თუმცა, არის აზრთა სხვადასხვაობა საქართველოში დემოგრაფიული გადასვლის დამთავრების პერიოდის შესახებ. ეყრდნობა რა ამერიკელი დემოგრაფის, ლ. ბოუგის კოეფიციენტებს, გ. ფირცხალავა გადასვლას ფაქტობრივად დამთავრებულად მიიჩნევს[2]. მ. ხმალაძე არ იზიარებს ამ აზრს და თვლის, რომ ნაადრევია 1989 წლის სიტუაციით დემოგრაფიული გადასვლის დამთავრებაზე ლაპარაკი[3]. სხვა მკვლევარებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოს მოსახლეობა დემოგრაფიული გადასვლის ბოლო სტადიაში შევა 2000 წლისათვის და შემდგომ[4]. იმავდროულად მ. ხმალაძე უსაფუძვლოდ მიიჩნევს ნ. ადეიშვილის ყოყმანს, თითქოს საქართველოს დემოგრაფიული განვითარება არ თავსდება დემოგრაფიული გადასვლის კონცეფციაში[5].

ჩვენც გვაქვს შეხედულება ამ საინტერესო კამათის საგნის ირგვლივ.

საქართველოს მოსახლეობაში წარმოდგენილია საკმაოდ მსხვილი, კონფესიურად განსხვავებული დემოგრაფიული ჯგუფები. როგორც შობადობის ეთნიკური დიფერენციაციის შესახებ არსებული მრავალი გამოკვლევიდან ჩანს, ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფში ისტორიულად ჩამოყალიბებული ფსიქიკურ-ყოფითი თავისებურებების გამო, რომელსაც ხშირად, არსებითად კონფესიური კუთვნილებაც განსაზღვრავს, განპირობებულია ამ ჯგუფებში დემოგრაფიული ქცევის მკვეთრი თავისებურებანი. იგი შობადობის დიფერენციაციაში ელინდება.

---

[1] აქ აღრიცხული არაა ქორწინებანი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

[2] გ. ფირცხალავა. საქართველოში დემოგრაფიული გადასვლისა და მისი თავისებურებების შესახებ. ეკონომისტი, 1993 N 8-9.

[3] მ. ხმალაძე. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები, სადოქტორო დისერტაცია, - თბ.: 1994, გვ. 105.

[4] იხ. დაწერილებით: ნ. ადეიშვილის, ე. გუჯაბიძის, ა. სულაბერიძის, ლ. ჩიქავას სტატიები კრებულში: Актуальные проблемы развития демографических процессов в Грузии. Тб.: Мецниереба, 1990.

[5] მ. ხმალაძე დასახელებული ნაშრომი, გვ. 103.

დიფერენცირებულობა თვით იმ შემთხვევაშიცაა საგრძნობი, როცა ეკონომიკურად ერთ დონეზე მყოფ მოსახლეობასთან გვაქვს საქმე.

აღსანიშნავია, რომ დემოგრაფიულ ქცევაზე რელიგიის გავლენა მსოფლიო მოვლენაა და იგი ძლიერ ‘ხეგაელენას ახდენს დედამიწის უდიდესი ნაწილის მოსახლეობის ‘სრდაზე’[1].

იმ განსხვავებულ ტრადიციებს შორის, რომლითაც რელიგიური ნიშანი შობადობის მაღალ დონეს განსაზღვრავს, შეიძლება მივაკუთვნოთ ამ კონფესიის იდეოლოგიით განპირობებული ქალთა ემანსიპაციის დონე. უფრო სწორად, ქალთა კარიერული ბის ხარისხი, ოჯახსა და საზოგადოებაში მათი უფლებრივი მდგომარეობა. რასაკვირველია, ქალთა ემანსიპაციის პროცესი ყველა კონფესიაში მიმდინარეობს, მაგრამ სხვადასხვა სიჩქარით. ეს შობადობის ეთნიკურ-კონფესიურ დიფერენციაციაში აისახება.

ურბანიზაციამ და თანამედროვე ყოფის შეჭრამ აღმოსავლეთშიც, ისლამურ ინერტულობასეც იმოქმედა. იქაც დემოგრაფიულ განვითარებაში დაიწყო დასავლეთის მსგავსი პროცესები. მაგ., თურქეთში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის დროს რესპონდენტთა 42,4%-მა უპასუხა, რომ სურს, ჰყავდეს ორი შვილი[2]. მაგრამ ისტორიული ასინქრონულობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის დემოგრაფიულ განვითარებაში იმდენად დიდია, რომ იგი დასავლეთის სერიოზული შეშფოთების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ეს შეშფოთება გამოწვეულია მსოფლიო მოსახლეობაში ევროპელი მოსახლეობის წილის უკიდურესი შემცირების პერსპექტივით.

გარდა სოციალურისა, ‘ზოგიერთ გამოკვლევაში მიუთითებენ შობადობის ეთნიკური დიფერენციაციის ბიოლოგიურ ფაქტორებზეც. კერძოდ, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ეთნოსების სქესობრივი მიმწიფების პერიოდისა და შემდგომ სქესობრივი აქტიურობის შენელების განსხვავებულ ასაკობრივ ნიშნებზე’[3].

თვით ისლამურ ქვეყნებში შობადობაში დიდი დიფერენციაცია ნათლად ჩანს ერთსა და იმავე კონფესიაში დემოგრაფიული გადასვლის სხვადასხვა საფეხურზე დგომას. ამის მაგალითია აზერბაიჯანი, რომელსაც განსხვავება დემოგრაფიული განვითარების დონეში შუა ახიის რესპუბლიკებთან უფრო მეტი აქვს, ვიდრე მეზობელ ქრისტიანულ სახელმწიფო სომხეთთან. სავარაუდოა, რომ აზერბაიჯან’ში ნავთობის მოპოვებამ და სამრეწველო

---

[1] Штемпель Д. Население Мира в 2000 году. Пер. с нем. М.: Мысль, 1988, с. 33.

[2] Чигдем Кагитчибаши. Ценность детей: Некоторые социально-психологические детерминанты рождаемости в Турции. В кн.: Как изучают рождаемость. М.: Финансы и статистика. 1983, с. 31.

[3] Бондарская Е. А. Этническая дифференциация рождаемости в СССР и ее сущность. В кн.: Рождаемость. М.: Статистика, 1976, с111.

განვითარების უფრო ადრე დაწყებამ, ხოლო ირგვლივ ქრისტიანული კულტურის უძველეს სახელმწიფოთა ზეგავლენამ ნაწილობრივ დაარქარა შუა აზიის რეგიონთან შედარებით შობადობის შემცირების დაწყება.

ერთ ქვეყანაში დემოგრაფიული განვითარების დონეში დიდი კონფესიური განსხვავების მაგალითია ყოფილი იუგოსლავიაც. იქ მაღალი შობადობით აშკარად გამოირჩევიან მუსლიმანები: ბოსნიელები, ალბანელები, თურქები; შედარებით დაბალი შობადობით - მართლმადიდებლები: სერბები, მაკედონიელები, ჩერნიგორიელები, ხოლო უფრო დაბალით - კათოლიკები: ხორვატები სლოვენები, უნგრელები და იტალიელები. ეს განსხვავება 1953-1980 წწ. 22‰ - დან 17‰ -მდე შემცირდა, ხოლო თუ კოსოვოს არ ჩავთვლით, მაშინ განსხვავება მხოლოდ 6,5 პრომილია[1].

1953 წელს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში 4,8 იყო, მაშინ როცა კათოლიკურ ხორვატიაში მხოლოდ 2,7.[2]

შეიძლება ითქვას, რომ მინიმალურ დიდი აზრი არ ჰქონდა ყოფილ სსრკ მოსახლეობის დემოგრაფიული გადასვლის შესახებ მსჯელობას მისი ცალკეული დემორეგიონების გარეშე.

ის, რომ დემოგრაფიული გადასვლა ქართველებში ადრე დაიწყო, ვიდრე ამიერკავკასიის სხვა დიდ ერებში, ჩანს უამრავი სტატისტიკური ინფორმაციიდან. ჩვენი საუკუნის დასაწყისში ერთ ქალზე დაბადებათა საშუალო რიცხვით (5,00 დაბადება) ქართველობა ჩამორჩება აზერბაიჯანელებს (7,77) და სომხებს (7,16). ეს წინსწრება უფრო აშკარად მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდეც აღინიშნა. ქართველებში ერთ ქალზე დაბადებათა საშუალო რიცხვია 5,19, აზერბაიჯანელებში - 8,40, სომხებში - 8,47[3]. შობადობაში ეთნიკურ-კონფესიური განსხვავებანი დღესაც შენარჩუნებულია. მაგ. საქართველოში, ქართველებში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 1989 წელს არის 2,015; მაშინ, როცა აზერბაიჯანელებში - 2,986-ია, ხოლო რუსებში თითქმის ამის ნახევარი - 1,604[4].

როცა საქართველოს მოსახლეობაზე, მის დემოგრაფიული განვითარების დონეზე და დემოგრაფიული გადასვლის პერიოდიზაციაზე ვმსჯელობთ და ზემოთ მითითებულ კონფესიურ ჯგუფებს მთლიანობაში განვიხილავთ, სავსებით ბუნებრივია, რომ მათი გასაშუალოებული მაჩვენებლებით ძნელი იქნება დემოგრაფიული გადასვლის ცალკეული ეტაპების განსაზღვრა, მითუმეტეს, ზუსტი „დათარიღება" ვფიქრობთ, ქართველ დემოგრაფებს

---

[1] Демографический энциклопедический словарь. М.: Советская энциклопедия, 1985, с. 546. Демографический анализ рождаемости. М.: Статистика, 1974, с. 57.

[2] Факторы рождаемости. М.: Статистика, 1971, с. 55.

[3] Сифман Р. И. Динамика рождаемости в СССР. М.: Статистика, 1974. с. 80.

[4] შ. ხმალაძე. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებანი და ეკონომიკური შედეგები. სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1994, გვ. 50.

შორის აზრთა სხვადასხვაობა, ნაწილობრივ, აქედანაც მომდინარეობს.

შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, რომ, თუ ეთნიკურ-კონფესიური დიფერენციაციის ლოგიკას გავყვეთ, გადასელების განსაზღვრაში, მაშინ შეუძლებელი იქნება, საერთოდ, გადასელის რეალური პერიოდიზაცია თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყნის შიგნით ყოველთვის საქმე გვაქვს სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფებში შობადობის დონის დიფერენცირებულობასთან, მაგ. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შობადობის სხვაობასთან და ა. შ. ამ ლოგიკით საჭირო იქნებოდა მსჯელობა უკვე ცალკე ქალაქისა და ცალკე სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული გადასელის ფასების შესახებ.

რასაკვირველია, ცალკეულ სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის ყოველთვის იქნება წინსწრება-ჩამორჩენა დემოგრაფიულ განვითარებაში, მაგრამ არა იმდენი, როგორც, ვთქვათ, მუსულმან და ქრისტიან მოსახლეობას შორის. აქ უკვე საქმე გვაქვს მოსახლეობის თუნდაც კულტურულად არაერთგვაროვან სტრუქტურებთან, რაც საფუძველი ხდება, საერთოდ, მათ შეხედულებათა და დემოგრაფიულ ქცევათა გამიჯვნისაც.

ამდენად, როცა საქმე გვაქვს დემოგრაფიული ქცევით ერთმანეთისაგან განსხვავებული მსხვილი კონფესიური ჯგუფების ერთობლიობასთან, ყოველთვის არ გამოიკვეთება დემოგრაფიული გადასელის ეტაპები ისე. რომ იქ საჭოჭმანო არაფერი იყოს.

ისევე, როგორც მეორე მსოფლიო ომმა დააჩქარა დემოგრაფიული გადასვლის პროცესი, უეჭველია, მიმდინარე მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიც დააჩქარებს დემოგრაფიული გადასვლის პროცესს. ჩვენი აზრით, იგი სპეციალური შესწავლის საგანია და ჩვენი მეცნიერების წინაშე მდგომი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი მაჩვენებელი - სიკვდილიანობა შრომითი პოტენციალის ფორმირების რაოდენობრივი მხარის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისიდან 60-იანი წლების ბოლომდე სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა ორჯერ და მიაღწია 70 წელს. 1970-იანი წლების ბოლოს საქართველოს მოსახლეობის სიკვდილიანობის დინამიკაში გამოვლინდა ახალი უარყოფითი ტენდენციები. გაიზარდა სიკვდილიანობა შრომის ასაკში, შეჩერდა ჩვილთა სიკვდილიანობის კლება და იგი სტაბილიზდა შედარებით მაღალ დონეზე. თუმცა, უკანასკნელი დროის არახელსაყრელი მოვლენები, ბუნებრივია, ვერ გადაფარავს იმ დიდ პოზიტიურ ძვრებს, რომელიც ამ საუკუნეში სიკვდილიანობის შემცირებაში მოხდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპის ქვეყნებიც ვერ ასცდნენ ჩვენს მიერ მითითებულ სიკვდილიანობის ზრდით გამოწვეულ არახელსაყრელ ვითარებას.

მოსახლეობის სიკვდილიანობის ანალიზის თეორიულ საფუძვლად აქაც

დემოგრაფიული გადასვლის კონცეფცია უნდა მივიჩნიოთ. სიკვდილიანობის გადასვლის ძირითადი შინაარსი - ესაა სიკვდილიანობაზე ბუნებრივი და სოციალური გარემოს ეგზოგენური ფაქტორების გავლენის შემცირება. შედეგად ენდოგენური ფაქტორების როლი ადამიანის ორგანიზმის განვითარებაში ისრდება, სულ უფრო და უფრო სრულად რეალიზდება ადამიანის ორგანიზმში ჩაბუდებული ღღეგრძელობის პოტენციური შესაძლებლობანი.[1] ეს აისახა სიკვდილის მიზეზთა სტრუქტურის ევოლუციაში: იმ მიზეზების შესაცვლელად, რომელიც უმთავრესად ეგზოგენური ფაქტორებით იყო განპირობებული, ადგილს იკავებენ ენდოგენური ბუნების აევადმყოფობანი. მაგ., დემოგრაფიული გადასვლის დაწყებამდე ყველანაირი სიკვდილის ძირითადი ნაწილი მოდიოდა ინფექციურ და სხვა მწვავე დაავადებებზე, ძალმომრეობით ან შიმშილით სიკვდილზე. დემოგრაფიული გადასვლის პროცესში სულ უფრო და უფრო გაიზარდა გულსისხლძარღვთა (სისხლის მიმოქცევის) დაავადებების და სხვა ქრონიკულ დაავადებათა შედეგად გარდაცვლილთა წილი.

გადასვლის პროცესში იცვლება უშუალო ზემოქმედების გარემო ფაქტორების სტრუქტურაც. მაგ., გლობალური ეგზოგენური ფაქტორების აღმოფხვრის შემდგომაც, მთელ რიგ შემთხვევებში კიდევ დიდხანს შენარჩუნდება და არცთუ პატარა წონა აქვს ოდესღაც მეორეხარისხოვან გარემო ფაქტორებს, რომლებიც უკავშირდებიან ოჯახური ყოფის თავისებურებებსა და ინდივიდუალურ ქცევას. ამაევე დროს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად აღმოცენდნენ და საკმაო ხვედრითი წონა აქვთ ახალ, უშუალო ზემოქმედების ფაქტორებს, მაგალითად, ტრავმატიზმის წყაროებს.

ყოველი პერიოდის სიკვდილიანობაში აკუმულირებულია თაობათა მთელი ბიოგრაფია და მოსახლეობის კონკრეტული ცხოვრების პირობები. აქედან მომდინარეობს სიკვდილიანობის ტრაექტორიათა მრავალსახეობა, რომელიც ახასიათებს სიკვდილიანობის თანამედროვე ტიპის ფორმირებას, მის მიზეზებს და ასაკობრივ თავისებურებებს.

საქართველოში 80-იანი წლების სიკვდილის მიზეზთა სტრუქტურის შედარება 70-იანი წლების მეორე ნახევართან გვიჩვენებს, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირება მოხდა ენდოგენური ბუნების აევადმყოფობებით გამოწვეული სიკვდილიანობის ზრდის გამო, ანუ იმ აევადმყოფობებით, რომელიც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობისათვისაა დამახასიათებელი. ესენია: ავთვისებიანი სიმსივნეები,

---

[1]. იხ. დაწერილებით: Фролькис В. В. Старение и биологические возможности организма. М.: Наука, 1975, с. 51 Фролькис В. В. Долголетие: действительное и возможное. Киев: Наукова думка, 1989, с. 17.

გულსისხლძარღვთა დაავადებანი, აგრეთვე, უბედური შემთხვევები, ტრავმები, მოწამვლები. სიკვდილის მიზეზთა საერთო სტრუქტურაში ამ ავადმყოფობებს უკავიათ პირველი ადგილი, მათი გავრცობადობა მოსახლეობაში იზრდება. თუ 1975 წ. გულსისხლძარღვთა დაავადებით გარდაცვლილთა წილი სიკვდილის ყველა შემთხვევათა შორის 59,8%-ს შეადგენდა, 1991 წლისათვის იგი 66,9%-მდე გაიზარდა (ცხრილი 4). საერთოდ კი, ზემოთ აღნიშნული სამი ჯგუფის ავადმყოფობათა წილი 1975-1991 წწ. 77,5%-დან 84,9%-მდე გაიზარდა.

ცხრილი 4

გარდაცვალების ძირითად მიზეზთა სტრუქტურის ცვლილებები 1975-1991 წწ. პროცენტობით[1]

სიკვდილის მიზეზები	1975	1980	1985	1991
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებანი	59,8	63,0	64,9	66,9
სიმსივნეები	10,8	10,7	11,1	11,6
უბედური შემთხვევები, მოწამვლა და ტრავმები	6,9	6,8	5,5	6,4
სასუნთქი ორგანოების დაავადებანი	10,1	8,7	7,0	3,9
დანარჩენი ავადმყოფობანი	12,4	10,8	11,5	11,2
სულ	100	100	100	100

განხილულ პერიოდში სიკვდილიანობა ძირითადად მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების გამო გაიზარდა. მოიმატა მთელ მოსახლეობაში ხანდაზმულთა ხვედრითმა წონამ. ამიტომაც გაიზარდა ამ კონტიგენტისათვის დამახასიათებელ სიკვდილის მიზეზებში გულსისხლძარღვთა დაავადებანი.

სიკვდილის მიზეზთა სტრუქტურაში გულსისხლძარღვთა დაავადებების გამო სიკვდილიანობის ზრდა ამ პერიოდისათვის „დადებითი" მოვლენაა, რადგან იგი ნიშნავს ეგზოგენური მიზეზებით სიკვდილიანობის შემცირებას. ანუ იმ ავადმყოფობებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირებას, რომელთა ლიკვიდაცია შესაძლებელია პროფილაქტიკური ღონისძიებებით, ჯანდაცვის სისტემის სრულყოფით, მოსახლეობის კეთილდღეობისა და

[1] Численность, состав и движение населения Грузинской ССР. Статистический сборник. Тб.: 1981, с. 183-184, с. 102.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში არსებული მასალა.

კულტურის 'სრდით. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მსგავსად სასუნთქი ორგანოების დაავადებით სიკვდილის მიზეზებმა 80-იანი წლების დასაწყისში ადგილი დაუთმო ტრავმატიზმის ჯგუფის სიკვდილიანობას და მიზეზთა შორის მესამედან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. ტრავმატიზმით სიკვდილიანობა განსაკუთრებით მამაკაცთა კონტინგენტში მატულობს.

ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა, მისი არაერთგვაროვანი მიმდინარეობისა და დიდი ტერიტორიული დიფერენციაციის მიუხედავად, დემოგრაფიული გადასვლის პროცესში მნიშვნელოვნად შემცირდა: ყოველ ათას დაბადებულზე 1975 წ. არსებული 32,7 გარდაცვლილიდან, 1985 წელს 24 გარდაცვლილამდე, და თუ 1992 წლის სტატისტიკურ მაჩვენებელს ვენდობით - 12,4 გარდაცვლილამდე. სახეზეა 80-იანი წლების, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევრის დიდი პროგრესი, თუმცა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან შედარებით ეს მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია. მაგ., 1991 წელს ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულზე იაპონიაში უდრის 4-ს, შვეიცარიაში - 4,7, ავსტრიაში - 5,4, ბელგიაში - 5,5 და ა. შ.[1] აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ცალკეულ ადმინისტრაციულ რაიონში მიღწეულია ასეთივე დაბალი დონე, რაც, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი ნიშანია დემოგრაფიული გადასვლის დამთავრებისა. შესაძლოა, ჩვილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი შეამცირა არაქართველი მოსახლეობით გაჯერებულ რაიონებში, საერთოდ, ბავშვთა შობის უეცარმა შეკვეცამ. ეს ის რაიონებია, სადაც ტრადიციულად მაღალი იყო ჩვილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი. არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგიერთ რეგიონში ბოლო წლებში აღრიცხვის სანდოობაც შემცირდა და, შესაბამისად, ნაწილობრივ დამახინჯდა აღნიშნული მაჩვენებელიც.

ჩვენი გამოთვლებით, შრომის ასაკის მოსახლეობაში სიკვდილიანობის კოეფიციენტი 70-იანი წლების შემდგომ შეფარდებითი სიმყარით ხასიათდება (ცხრილი 5). 1980-85 წლებში თითქმის არ შეცვლილა და უდრის 3,3‰, მაგრამ ქალებში იგი შემცირდა 1,74‰-დან 1,47‰-მდე, ხოლო მამაკაცებში ოდნავ გაიზარდა - 4,9‰-დან 5,0‰-მდე.

რაც შეეხება შრომითი რესურსების ყველაზე ახალგაზრდა კონტინგენტებს, მათში სიკვდილიანობა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან იზრდება. 1985 წელს აღნიშნული ასაკის მოსახლეობაში სიკვდილიანობის კოეფიციენტი 0,91‰ იყო, 1991 წელს - 1,03‰. 1992 წელს - 1,35‰. ამ პერიოდში სიკვდილიანობა უმთავრესად მამაკაცი მოსახლეობის გარდაცვალებათა ხარჯზე გაიზარდა. 1985-1992 წწ. აღნიშნულ კონტინგენტში წლიურად გარდაცვლილთა ოდენობამ მამაკაცთა შორის 1,52-ჯერ მოიმატა. საერთოდაც,

---

[1] მოსახლეობა ციფრებში. მოკლე სტატისტიკური კრებული. თბ: სიახლე, 1995. გვ. 75-77.

90-იანი წლების პოლიტიკურ მოვლენათათვის და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისისათვის დამახასიათებელია მამაკაცთა სიკვდილიანობის გაზრდილი მაჩვენებელი.

ცხრილი 5

საქართველოს მოსახლეობის სიკვდილიანობის ასაკობრივი კოეფიციენტები (შესაბამისი ასაკის ყოველ 1000 კაცზე გარდაცვლილთა რიცხვი)[1]

ასაკობრივი ინტერვალი	1969-1970 წწ.	1978-1979 წწ.	1985 წ.	1990 წ.	1991 წ.
0-4	7,2	7,1	6,6	4,2	3,9
5-9	0,6	0,4	0,3	0,4	0,7
10-14	0,5	0,3	0,4	0,5	0,7
15-19	0,7	0,4	0,5	0,9	0,9
20-24	1,2	0,9	0,9	1,0	1,3
25-29	1,4	1,3	1,2	1,7	2,0
30-34	1,9	1,7	1,6	2,2	2,5
35-39	2,4	2,2	2,3	2,7	2,9
40-44	3,3	3,2	3,0	3,2	4,2
45-49	4,6	4,6	4,7	5,0	4,9
50-54	7,6	7,6	7,4	7,0	8,2
55-59	9,2	10,2	12,1	10,1	11,2
60-64	14,7	16,3	16,1	15,2	15,5
65-69	24,0	24,4	25,0	24,8	26,4
70-ზე მეტი	72,2	75,4	74,4	73,6	73,7
სულ	7,4	8,2	8,8	8,5	8,6

[1] Народное хозяйство Грузинской ССР в 1987 году. Тб.: Сабчота Сакартвело, 1988, с. 172. Численность, состав и движение населения Грузинской ССР. Статистический сборник. Тб.: 1986, с. 109.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპატრამენტის მასალები.

§ 3. მოსახლეობის ბუნებრივი მატების გავლენა შრომითი პოტენციალის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე

შობადობისა და სიკვდილიანობის ევოლუცია განსაზღვრავს მოსახლეობის ბუნებრივი მატების დინამიკას. საქართველოს შრომითი პოტენციალის ზრდის რაოდენობრივი მხარე ბუნებრივი მატებითაა უმთავრესად განპირობებული. ჩვენს მიერ განხილულ დემოგრაფიულ გადასვლათა კვალობაზე იზრდება ან კლებულობს მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ბუნებრივი მატების მაჩვენებლები. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა დიდი ცვლილებები განიცადა, რომელშიც შეჯამდა შობადობასა და სიკვდილიანობაში მომხდარი ცვლილებები (ცხრილი 6). 1980-იან წლებში 60-იან წლებთან შედარებით ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი თითქმის ორჯერ შემცირდა, ხოლო 1992 წლისათვის შობადობაში კრიზისული მოვლენების დაწყების გამო 5,3‰-მდე დაეცა. შემდგომ წლებში იგი კიდევ ორჯერ შემცირდა. 1994 წელს ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 10-ათასი კაცი, რაც საქართველოს ხუთნახევარ მილიონიანი მოსახლეობის მხოლოდ 0,18% და დაახლოებით 10-ჯერ ნაკლებია 1960-იანი წლების დონეზე.

ბუნებრივია, შექმნილი ვითარება აისახება მომავალში შრომითი რესურსების მატებაზე და, საერთოდ, შრომითი პოტენციალის დემოგრაფიული ბაზის განვითარებაზე.

არსებითი ნიშანი, რომელიც ახასიათებს რესპუბლიკის შრომითი პოტენციალის დემოგრაფიულ ზრდას, არის ის, რომ 80-იანი წლების შუახანებში და შემდგომ, 80-იანი წლების დასაწყისთან შედარებით თითქმის ორჯერ შემცირდა შრომის ასაკის კონტინგენტის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი (ცხრილი 6).

თუ 80-იანი წლების დასაწყისში ასაკობრივ სტრუქტურაში არსებული რეზერვების გამო მთელი მოსახლეობის ბუნებრივი მატების შენელების მიუხედავად შრომის ასაკის მოსახლეობის ზრდა დიდი იყო, შემდგომ წლებში მაღალი შობადობის წლებში დაბადებული დიდი კონტინგენტის შრომის ასაკიდან გამოსვლის გამო დაუახლოვდა ბუნებრივ მატებას. შრომის ასაკის კონტინგენტის ბუნებრივი მატების სტაბილიზაცია არსებითი ნიშანია შრომითი პოტენციალის დემოგრაფიული განვითარებისა. ის, რომ უკანასკნელ ხანს შრომის ასაკის კონტინგენტი მცირდება (ცხრილი 7), უკვე გარემოგრაციული ინტენსივობის ზრდის შედეგია. თანაფარდობა შრომის ასაკში შემავალ და გამომავალ კონტინგენტებს შორის 1980 წელს 2,05 იყო, 1993 წელს - 1,35. 1993 წელს 60-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი რიცხობრივად 1,86-ჯერ სჭარბობს 1981 წელს იგივე ჯგუფს.

ცხრილი 6

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები

წლები	დაბადებულთა რიცხოვნობა	გარდაცვლილთა რიცხოვნობა	ბუნებრივი მატება	მათ შორის		ყოველ 1000 მცხოვრებზე				
				ქალაქად	სოფლად	დაბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მატება	მათ შორის	
									ქალაქად	სოფლად
1940	100060	32164	67896	13514	54382	27,4	8,8	18,6	12,1	21,5
1950	82860	26792	56068	14657	41411	23,5	7,6	15,9	11,6	18,3
1960	102866	27015	75851	28050	47801	24,7	6,5	18,2	15,7	20,1
1970	90207	34283	55924	26688	29236	19,2	7,3	11,9	11,9	12,0
1980	89458	43346	46112	24860	21252	17,7	8,6	9,1	9,4	8,8
1985	97739	46153	51686	27472	24114	19,7	8,8	9,9	12,3	9,2
1990	92815	45946	46869	26689	20180	17,0	8,4	8,6	8,3	7,7
1991	89091	46473	42618	23946	18672	16,6	8,7	7,9	8,1	7,8
1992	72631	46762	25869	15088	10781	14,9	9,6	5,3	5,2	5,1

შრომის ასაკის მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლები 1980-1993 წწ.

წლები	შევიდა შრომის ასაკში, ათასი კაცი	გამოვიდა შრომის ასაკიდან, ათასი კაცი	შრომის ასაკის კონტინ-გენტის ბუნებრივი მატება, ათასი კაცი	შრომის ასაკის ყოველ 1000 კაცზე		
				შევიდა შრომის ასაკში	გამოვიდა შრომის ასაკიდან	შრ. ასაკის კონ-ტინგენ-ტის ბუ-ნებრივი მატება
1980	90400	44116	46374	31,0	15,1	15,9
1985	84360	63620	20740	28,6	21,6	7,0
1991	83260	59850	23410	27,5	19,8	7,7
1993	82992	61602	21390	27,7	20,6	7,1

შრომის ასაკის კონტინგენტის დინამიკაში აისახება როგორც 16 წლის წინანდელი დემოგრაფიული სიტუაცია, ისე 54-60 წლის წინანდელი დემოგრაფიული ვითარებაც. (ცხრილი 8) აღნიშნული კონტინგენტის მატება-კლებაში ზეგავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომმა, რაც უფრო მეტად მამაკაცთა რიცხოვნობის ცვლილებებში აისახა. ამჟამად მისი პირდაპირი ზეგავლენა აღარ არსებობს, რადგან ომის მონაწილეთა კონტინგენტი მთლიანად გამოვიდა შრომის ასაკიდან, ხოლო ომის დროს დაბადებულნი და მათი შვილებიც უკვე შრომის ასაკის კონტინგენტში არიან შესულნი. ომის დროს დაბადებულთა გამოსვლა შრომის ასაკიდან დაიწყება 1996-1997 წლებში (ქალები) და გაგრძელდება 2005 წლამდე (მამაკაცები), რაც, ბუნებრივია, შეანელებს შრომის ასაკის კონტინგენტის კლებას.

2008 წლიდან დაიწყება შრომის ასაკში შესვლის კოეფიციენტის მკვეთრი დაცემა, როცა შრომის ასაკში შევა 1992 წლის შემდგომ დაბადებულთა შემცირებული კონტინგენტი.

ამრიგად, შეიძლება განზოგადდეს, რომ 1980-იანი წლებიდან მიმდინარეობს შრომისუნარიანი ასაკის კონტინგენტის სტაციონარულ დემოგრაფიულ მდგომარეობასთან მიახლოების პროცესი. მასზე მეორე მსოფლიო ომის გაელენა მცირდება. პერსპექტივაში გაიზრდება 90-იანი წლების პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა.

ცხრილი 8

შრომის ასაკში მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება 1981-1993 წწ. ათასი კაცი

შრომის ასაკის მოსახლეობა	1981	1986	1987	1988	1989	1990	1991	1993
მამაკაცი	1461,0	1535,0	1542,4	1544,6	1550,4	1545,0	1542,2	1532,7
ქალი	1453,5	1465,7	1475,8	1479,2	1491,4	1490,7	1484,8	1462,2
სულ	2914,5	3000,7	3018,2	3023,8	3041,8	3035,7	3027,0	2994,9

§ 4. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგიონული თავისებურებანი

საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისა და შრომითი რესურსების რეგიონულ-სტრუქტურულ ანალიზს. ამის საჭიროება მატულობს ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეების, წარმოებისა და დასაქმების სტრუქტურის, მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის, პოპულაციის ტემპების მეტისმეტ თავისებურებათა გამო. რესპუბლიკაში მთლიანად შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის ზოგადი ანალიზით მიღებული დასკვნები საკმარისი არ არის იმ დემოპროცესების სარეგულირებლად, რომელიც შექმნილია ეთნო-დემოეკონომიკური სიჭრელით, მოსახლეობის დიფერენცირებული ტერიტორიული მობილობით.

ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში მოსახლეობისა და შრომითი რესურსების კვლევის რეგიონულ მხარეს მეცნიერთა ყურადღება არ მიექცეოს. ამის მაგალითია ვ. ჯაოშვილის, ე. გუჯაბიძის, ვ. ვეფხვაძის, მ. ტულუშის, ი. ხაჩიძის, ზ. გოცირიძის, ა. სულაბერიძის, ო. საღარეიშვილის, ე. კობახიძის, ზ. გალდავას, გ. ცვილესიანის, თ. გუგუშვილის და სხვათა გამოკვლევები, მაგრამ სტატისტიკური აღრიცხვის პროგრამების ზედმეტი ცენტრალისტისა და რეგიონულ ჭრილში ინფორმაციის დაუმუშავებლობის გამო ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი შეუსწავლელი ან ნაკლებშესწავლილია. რეგიონული კვლევა კიდევ უფრო გააძნელა სტატაღრიცხვის ჩავარდნებმა 90-იან წლებში.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საქართველოს მოსახლეობის ზრდის კანონზომიერებათა ასახსნელად აუცილებელია, ანალიზი წარმოებდეს დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით განსხვავებული ჯგუფების მიხედვით. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პარამეტრებზე სხვაგვარი მსჯელობა არასრულყოფილ სურათს იძლევა. მეორე მხრივ. შრომითი რესურსების დასაქმების მექანიზმი თავის თავში მოიცავს რეგიონულ ელემენტს. რეგიონული ნიშნის გარეშე შრომითი რესურსების დასაქმების პროგნოზული გამოთვლები ნაკლები მნიშვნელობისაა. რეგიონული დაბალანსების საკითხი შემდგომი მსჯელობის საგანია. აქ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ მხოლოდ შრომითი რესურსების რეგიონული ანალიზის საჭიროებას.

რასაკვირველია, მოსახლეობის ერთნიკურ-დემოგრაფიული რეგიონალიზაცია ჯერ-ჯერობით სრულყოფილი არ იქნება, თუნდაც სტატისტიკური ინფორმაციის მცირენაკლები სანდოობის გამო, მაგრამ მიგვაჩნია, რომ კვლევის ასეთი წარმართვა უფრო მეტ სინათლეს შეიტანს დემოგრაფიული განვითარების ანალიზში.

რაკილა ანალიზის შედეგები საჭიროა დემოგრაფიული განვითარების

კონცეფციის, დემოგრაფიული პოლიტიკის შესამუშავებლად, დემოგრაფიულ კვლევაში რეგიონური ასპექტი უნდა გაძლიერდეს.

რაც შეეხება ეთნიკურ ასპექტში დემოგრაფიულ კვლევას, იგი არცთუ დიდი ხნის წინ არასასურველ და არახელსაყრელ თემად იყო ოფიციალური ხელისუფლების მიერ მიჩნეული და ყოველთვის ვერც ხერხდებოდა მის ირგვლივ ობიექტური აზრის გამოქვეყნება. ამჟამინდელ პოლიტიკურ სიტუაციაში იგი უკვე აუცილებლობას წარმოადგენს. თუმცა არც იმას ვივიწყებთ, რომ ყოველგვარი სოციალურ-ეკონომიკური თუ სხვა მოვლენის ეთნიკური ასპექტით მეცნიერული დამუშავება განსაკუთრებულ ფაქიზ, ფრთხილ, ობიექტურ დამოკიდებულებას მოითხოვს მკვლევარისაგან.

90-იან წლებში ჩამოყალიბდა და ჩვენი სახოგადოების ყურადღება მიიპყრო საქართველოს სამხარეო მოწყობის კონცეფციამ. ამ მხრივ გადაიდგა პირველი ნაბიჯები. სამხარეო მმართველობა ფორმირებულია და ფუნქციონირებს. ცხადია, იგი უსაფუძვლოდ არ გაჩენილა. მას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომელიც ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგანი არაა. ჩვენ მას ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ალტერნატიულ ვარიანტად მივიჩნევთ და ზოგიერთ გაანგარიშებას, რომელიც ამ ნაშრომში მოვიტანეთ, მისი განხორციელების ან უარყოფის დასაბუთებისათვის საარგუმენტო მასალადაც ვთვლით. სამხარეო მოწყობის რეგიონული სქემით მოსახლეობისა და შრომითი პოტენციალის კვლევისათვის ყურადღება მიგვაქცევინა იმანაც, რომ იგი პრინციპულად ემთხვევა საქართველოს ეკონომიკური დარაიონების სქემას და ახლოს დგას რესპუბლიკის დემორეგიონურ დაყოფასთან. მაგ., ამ სქემაში ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა და ა. შ. მოსახლეობის კვლავწარმოებით გამოკვეთილი რეჟიმის მქონე რეგიონებია.

მეორე მხრივ, ეკონომიკური დარაიონების ერთ-ერთი ნიშანი არის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები. ისინი დიდ როლს თამაშობდნენ ისტორიულად საქართველოს ცალკეული პროვინციების, მხარეების, როგორც დამოუკიდებელი ერთეულების არამარტო ეკონომიკური მთლიანობის, არამედ, გარკვეული აზრით, მათ პოლიტიკურ ფორმირებაშიც. მაგ. ისტორიულად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხანგრძლივ პოლიტიკურ გათიშვაში გარკვეული როლი გეოგრაფიულმა ფაქტორმა, ბუნებრივმა საზღვარმა ლიხის ქედმაც ითამაშა. შიგაეკონომიკური რაიონების საზღვრები უმეტეს ნაწილში ემთხვევა ისტორიულ-პოლიტიკურ, ეთნიკური მხარეების საზღვრებს. ამიტომ, მოსახლეობისა და შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და განაწილების რეგიონული ასპექტით კვლევისას ეკონომიკური დარაიონების, სამხარეო თუ დემორეგიონალიზაციის სქემის გამოყენება მეთოდურად სწორ მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ.

ერთ-ერთი ნაკლი, რომელიც ჩვენს მიერ მოსახლეობის და შრომითი რესურსების მოძრაობის რეგიონულ გაანგარიშებებს აქვს, ისაა, რომ მასში

შესული არაა 1992 წლის შემდგომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის მაჩვენებლები. იქ წარმოებულმა საომარმა მოქმედებებმა და პოლიტიკურმა შედეგებმა გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენა როგორც ამ რეგიონების, ისე მთელი საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებას; რაც სპეციალური შესწავლის საგანია და, სამწუხაროა, რომ მისი ჯეროვანი კვლევა გვიანდება.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სერთო დემოგრაფიული განვითარების ფონზე დიდი განსხვავებებია ფიქსირებული ცალკეული რეგიონების დემოგრაფიულ განვითარებაში. იგი სხვა მიზეზებთან ერთად განპირობებულია მოსახლეობის ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურით, მიგრაციით გამოწვეული მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის დეფორმაციებით, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ურბანიზებულობის განსხვავებული დონეებით.

1980-იანი წლების შუახანებში საქართველოს ყველა ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში, გარდა სამხრეთისა; ბ. ურლანისისა და ვ. ბორისოვის სკალის მიხედვით, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი „საშუალოდ" კლასიფიცირდება და ახლოსაა „დაბალი" შობადობის საზღვართან (16‰)[1] (ცხრილი 9). სამხრეთის ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში იგი „საშუალოზე მაღალ" დონეზეა (26‰ 1985 წ.).

1990 წლისათვის აფხაზეთის მოსახლეობა უკვე „დაბალი" შობადობის კოეფიციენტით ხასიათდება, ხოლო დასავლეთის ბუნებრივ-ეკონომიკური ზონის მაჩვენებელი 16,0‰-ით მის საზღვარზეა. 1992 წლისათვის „დაბალი" შობადობის ჯგუფში გადავიდნენ აღმოსავლეთ-ცენტრალური, დასავლეთ-ცენტრალური, დასავლეთის ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების მოსახლეობა, რამაც პარქტიკულად განსაზღვრა მთელი საქართველოს მოსახლეობის შობადობის ზოგადი კოეფიციენტის კლასიფიცირება „დაბალით" 1994 წლისათვის უკვე საქართველოს ყველა ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი დაბალია.

1985 წლისათვის სხვაობა საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებს შორის შობადობის ზოგად კოეფიციენტში არის 10‰, რაც კრიზისის დროს 4,5‰-მდე შემცირდა (1994, 1995). აღსანიშნავია, რომ შობადობა უპირატესად შობადობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტების მქონე რეგიონებში შემცირდა. რასაკვირველია, იგი შემცირდა ყველა ზონაში, მაგრამ მეტი კლება აღმოსავლეთ საქართველოში აღინიშნა.

1980-იანი წლების შემდგომ მოსახლეობის სიკვდილიანობის მაჩვენებლებში საგრძნობი ცვლილებები არ შეიმჩნევა. სიკვდილიანობის ზოგად კოეფიციენტში დიფერენციაცია დიდია. დემოგრაფიულად დაბერებული ზონის (მაგ. დასავლეთის ზონა) სიკვდილიანობის კოეფიციენტი

[1] Демографический энциклопедический словарь. М.: Советская энциклопедия. 1985, с. 209.

ცხრილი 9

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებში, პრომილე[1]

ბუნებრივ-ეკონომიკური ზონები	დაიბადა								გარდაიცვალა					
	1980	1985	1990	1991	1992	1993	1994	1995	1980	1985	1990	1991	1992	1993
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
აღმოსავლეთის	17,5	19,1	17,6	16,9	16,4	13,8	11,0	10,8	9,8	10,5	10,6	10,7	11,9	10,0
აღმოსავლეთ ცენტრალური	18,1	19,3	18,0	17,1	14,3	13,1	11,3	10,6	7,9	8,1	7,8	7,9	8,9	8,8
სამხრეთის	22,9	26,4	19,3	20,9	18,2	17,9	15,4	15,1	7,4	7,7	6,6	6,9	8,6	8.6
დასავლეთ ცენტრალური	14,6	16,7	16,4	16,0	14, 7	12.7	12,6	12,9	9,1	10,2	9,7	10,4	10,2	9,8
დასავლეთის	16,8	16,9	16,0	15,3	13,3	12,3	12,1	13,9	9,7	10,1	9,7	9,4	10,0	9,1
აფხაზეთი	16,4	16,4	13,6	14, 1	-	-	-		7.9	8,3	7,8	7,7	-	-
აჭარა	21,2	22,4	20,2	19,5	18,4	17,2	13,0	11,7	7,6	7,6	6,7	7,8	8,6	9,4
აღმოსავლეთ საქართველო	18,3	19,7	18,0	17,3	14,8	13,5	11,5	10,8	8,2	8,4	8,1	8,2	9,3	9,0
დასავლეთ საქართველო	16,7	17,8	16,1	16,0	15,0	13,6	13,5	13,0	8,8	9,4	8,8	9,1	9,8	9.5
საქართველო სულ	17,7	18,7	17,0	16,6	14,3	13,8	12,2	11,9	8,6	8.8	8,5	8.8	9.8	9,4

[1] ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში არსებული პირველადი მასალის საფუძველზე.

ბუნებრივი-ეკონომიკური ზონები	გარდაიცვალა		ბუნებრივი მატება							
	1994	1995	1980	1985	1990	1991	1992	1993	1994	1995
16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
ალმოსავლეთის	9,9	9,3	7,7	8,6	7,0	6,2	4,5	3,8	1,1	0,7
ალმოსავლეთ										
ცენტრალური	7,8	7,5	10,2	11,2	10,2	9,2	5,4	4,3	3,9	3,1
სამხრეთის	7,4	7,4	15,5	18,7	12,7	14,0	9,6	9,3	8,0	7,7
დასავლეთ										
ცენტრალური	10,6	9,5	5,5	6,5	6,7	5,6	4,5	2,9	2,0	3,4
დასავლეთის	9,8	9,2	7,1	6,8	6,3	5,5	3,3	3,2	2,3	4,7
ფხაზეთი	-		8,5	8,1	5,8	6,4				
ჭარა	5,8	5,2	13,6	14,8	13,5	11,7	9,8	7,8	7,2	6,5
ალმოსავლეთ										
საქართველო	8,1	7,8	10,1	11,3	9,9	9,1	5,6	4,5	3,4	3,0
დასავლეთ										
საქართველო	9,3	8,4	7,9	8,4	7,3	6,9	5,2	4,1	3,2	4,6
საქართველო სულ	9,0	8,2	9,1	9,9	8,9	8,3	5,5	4,4	3,2	3,7

ორჯერ მაღალია დემოგრაფიულად ახალგაზრდა მოსახლეობის (აჭარა) რეგიონებთან შედარებით.

შობადობაში განსხვავებანი და ცვლილებები პირდაპირ აისახა ბუნებრივი მატების ცვლილებებშიც. განხილულ პერიოდში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი დიდი დიფერენცირებულობით ხასიათდება. 1980-85 წწ. ზონებს შორის განსხვავება 10-12,2 პრომილეა, 1995 წელს იგი 7 პრომილემდე შემცირდა. შემცირების უფრო მაღალი ტემპის გამო აღმოსავლეთ საქართველო მოსახლეობის ბუნებრივი მატებით ჩამორჩა დასავლეთ საქართველოს.

შობადობის დონის კიდევ უფრო მეტი დიფერენციაცია შეიმჩნევა საქართველოს მხარეებს შორის (მხარეები უფრო ახლოს აღმოჩნდნენ საქართველოს დემორეგიონალიზაციასთან). 1985 წელს ქვემო ქართლსა და რაჭა-ლაჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეებს შორის შობადობის ზოგად კოეფიციენტში განსხვავება 11,3 პრომილეა (ცხრილი 10) 1980-1995 წწ. ქვემო ქართლში (სადაც შედის ქ. რუსთაი) შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 2,7-ჯერ შემცირდა და რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოს, საქართველოს მხარეებს შორის ყველაზე დაბალი გახდა.

დემოგრაფიულ მეცნიერებაში მიღებული კლასიფიკაციით[1], საქართველოში სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი „დაბალია". მხოლოდ რაჭა-ლაჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში კლასიფიცირდება, როგორც „მაღალი" კოეფიციენტი, ხოლო თუ მხოლოდ რაჭა-ლაჩხუმს ავიღებთ, იქ აღნიშნული კოეფიციენტი „მაღალია", ხოლო ცალკე ამბროლაურის რაიონში „ძლიერ მაღალია" (1992 წ. - 29,6, 1994 წ. - 27,2) და სამჯერ აღემატება შობადობის ზოგად კოეფიციენტს. ეს ამ რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მეტისმეტი დეფორმაციითა და ძლიერი დემოგრაფიული დაბერებითაა გამოწვეული. ამიტომაცაა, რომ აღნიშნულ მხარეში ამჟამინდელი კრიზისის წლებში ბუნებრივი კლების ინტენსივობა რამდენჯერმე გაიზარდა.

ბუნებრივი მატების კოეფიციენტის ყველაზე დიდი კლება 1985 წლის შემდგომ ქვემო ქართლის რეგიონში აღინიშნა, სადაც იგი 3,7-ჯერ შემცირდა.

1985 წელს მარნეულის რაიონში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი იყო 24,8‰, 1990 წელს - 17,0‰, ხოლო 1995 წელს - 5,1‰.

ეკონომიკურმა კრიზისმა გაზარდა ოჯახში ყოველი ახალი წევრის შემატების ეკონომიკური ტვირთი, რამაც მრავალშვილიანი ტრადიციების მოსახლეობაში გაზარდა ოჯახის რეგულირების მნიშვნელობა. საკვირაუდოა, რომ ამ მხარეში შობადობაზე იმოქმედა კავკასიაში საერთო ეთნოკონფლიქტურმა დაძაბულობამ (ყარაბაღის კონფლიქტი, სომეხ-აზერბაიჯანელთა შორის მტრობის გამწვავება). ამიტომაც მოხდა, რომ ამ

[1] Статистика населения с основами демографии. М.: Финансы и статистика. 1990, с. 159.

ცხრილი 10

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები საქართველოს მხარეებში
(ყოველ 1000 მცხოვრებზე გადაანგარიშებით)[1]

მხარეები	დაიბადა									გარდაიცვალა			
	1980	1985	1990	1991	1992	1993	1994	1995	1980	1985	1990	1991	1992
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
კახეთი	17,5	19,1	17,6	16,9	16,4	13,8	11,0	10,8	9,8	10,5	10,6	10,7	11,9
თბილისი	15,8	16,0	16,3	14,7	12,1	12,5	10,7	10,7	8,1	8,2	8,1	8,3	9,6
ქვემო ქართლი	23,2	25,4	22,0	19,9	17,6	14,2	11,6	9,3	6,5	6,7	6,1	5,8	7,3
შიდა ქართლი	17,9	19,7	17,7	17,1	16,1	13,3	12,3	11,5	9,3	9,2	8,1	9,4	8,5
მცხეთა-მთიანეთი	15,8	18,0	17,4	18,4	15,4	12,9	12,2	12,1	8,7	9,0	9,3	9,6	9,3
სამცხე-ჯავახეთი	21,5	24,8	19,5	20,0	17,4	16,9	14,5	14,7	7,4	7,9	7,4	7,3	9,5
იმერეთი	14,7	16,9	16,7	16,2	15,0	13,0	12,7	13,0	8,6	9,7	9,2	10,0	9,6
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	13,1	14,1	12,9	11,7	10,6	9,6	11,1	10,5	15,3	16,2	16,5	16,6	19,5
სამეგრელო-ზ.სვან.	16,7	16,6	15,7	14,9	12,1	11,6	11,6	14,2	8,9	9,5	9,1	8,8	9,5
გურია	16,9	17,7	17,0	16,1	16,6	12,9	12,0	13,1	11,8	12,0	11,4	11,1	11,3
აფხაზეთი	16,4	16,4	13,6	14,1		-	-	-	7,9	8,3	7,8	7,7	
აჭარა	21,2	22,4	18,9	19,7	18,4	17,2	13,6	11,8	7,6	7,6	6,7	7,8	8,6

[1] შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში არსებული პირველადი მასალების საფუძველზე

მხარეები	გარდაიცვალა			ბუნებრივი მატება							
	1993	1994	1995	1980	1985	1990	1991	1992	1993	1994	1995
15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
კახეთი	10,0	9,9	9,3	7,7	8,6	7,0	6,2	4,5	3,8	1,1	0,7
თბილისი	10,3	9,4	8,8	7,7	7,8	8,2	6,4	2,5	2,2	1,3	1,9
ქვემო ქართლი	6,1	4,5	4,3	16,7	18,7	14,9	14,1	10,3	8,1	7,1	5,0
შიდა ქართლი	8,2	8,5	8,3	8,6	10,5	9,6	7,7	7,6	5,1	3,8	3,2
მცხეთა-მთიანეთი	8,2	6,2	7,3	7,0	9,0	8,1	8,8	6,1	4,7	6,0	5,0
სამცხე-ჯავახეთი	8,7	7,6	7,7	14,1	16,9	12,1	12,7	7,9	8,2	6,9	7,0
იმერეთი	9,3	10,0	9,0	6,1	7,2	7,5	6,2	5,4	3,7	2,7	4,0
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	16,7	19,3	16,8	-2,2	-2,1	-3,6	-4,9	-8,9	-7,1	-8,2	-6,3
სამეგრელო-ზ.სვან.	8,5	9,2	9,1	7,8	7,1	6,6	6,1	2,6	3,1	2,4	5,1
გურია	10,0	10,6	9,3	5,1	5,7	5,6	5,0	5,3	2,9	1,4	3,8
აფხაზეთი				8,5	8,1	5,8	6,4				
საქართველო	9,4	5,8	5,2	13,6	14,8	12,2	11,7	9,8	7,8	7,2	6,5

მხარის მოსახლეობის საერთო მატება შენელდა და სტაბილიზირდა (ნაწილობრივ, ცხადია, გარე მიგრაციის ინტენსიურობის სრდის შედეგად).

როგორც ვნახეთ, უკიდურესადაა გამწვავებული რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის პრობლემა. აქ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ლენტეხის რაიონში, სადაც ბუნებრივი მატება ჯერ კიდევ საგრძნობია და, ჩვენი აზრით, განპირობებულია ეთნიკური ფაქტორით (სვანი მოსახლეობა). ამ მხარის სხვა რაიონებში: ამბროლაურის, ცაგერის, ონის - იგი კატასტროფულად მცირდება, რაშიც ახალგაზრდობის ცალმხრივი მიგრაციის პირდაპირ სემოქმედებასთან ერთად, მისივე გავლენით მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციამაც ითამაშა როლი. განხილულ პერიოდში რაჭა-ლეჩხუმში ბუნებრივი კლების მაჩვენებლები - 5--11,2 პრომილეს ინტერვალში ვარირებს, ხოლო 1992 წელს ამბროლაურის რაიონში - 21,4 პრომილე ბუნებრივი კლება დაფიქსირდა.

იმისათვის, რომ არსებითად გამორიცხულიყო დემოგრაფიული სტრუქტურის ზეგავლენა მოსახლეობის შობადობის დონის შეფასებისას, გამოვითვალეთ შობადობის სპეციალური კოეფიციენტები როგორც ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების, ისე მხარეებისათვის. ამით უფრო ზუსტად აისახა შობადობაში რეგიონული დიფერენციაცია და უფრო ნათლად გამოჩნდა შობადობის დაცემის ტენდენცია, რომელიც 90-იანი წლების საყოველთაო კრიზისის შედეგად განვითარდა.

გარკვეული სიძნელე შექმნა ამ წლების მიხედვით ფერტილური ასაკის ქალების რიცხოვნობის გაანგარიშებამ, რომელიც გამოვითვალეთ ცნობილი ასაკგადანაცვლების მეთოდით, სიკვდილიანობის ცხრილების გამოყენებით, ოღონდ, პირობითად, მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის გარეშე. ამან, ბუნებრივია, მცირედ მაგრამ მაინც შეამცირა კოეფიციენტების გამოთვლის სიზუსტე, თუმცა არა იმდენად, რომ სურათი დამახინჯებულიყო.

როგორც შობადობის სპეციალური კოეფიციენტების შეფასების სკალითაა განსაზღვრული, ყოველ 1000 ფერტილური ასაკის ქალზე 64-ზე ნაკლები დაბადება ითვლება დაბალი დონის შობადობად, 64-100 - საშუალო დონედ, 101-120 საშუალოზე მაღალ დონედ, 121-160 „მაღალ", ხოლო 161 და მეტი - „ძლიერ მაღალ" დონედ[1].

შობადობის შემცირების ტენდენცია დაიწყო 90-იან წლებში. ამ დროს საქართველოს არცერთ ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში არაა შობადობის სპეციალური კოეფიციენტი საშუალოზე მაღალი (ცხრილი 10). მხოლოდ სამხრეთის ზონაშია ამჟამად „საშუალო დონეზე" შენარჩუნებული.

აღმოსავლეთ საქართველოში შობადობის შემცირება გაცილებით ძლიერადაა გამოხატული, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. შედარებით ნელი

[1] Статистика населения с основами демографии. М.: Финансы и статистика. 1990. с. 132.

კლებაა ფიქსირებული დასავლეთისა და დასავლეთ-ცენტრალურ ზონაში.

იმის მიუხედავად, რომ 1990-1995 წწ. რეპროდუქციული ასაკის ყოველ 1000 ქალზე სამხრეთის ბუნებრივ ეკონომიკურ ზონაში დაბადებულთა წლიური რიცხოვნობა 22 ბავშვით შემცირდა, მაინც აქ შობადობის ყველაზე მაღალი დონეა დაფიქსირებული.

საქართველოს მხარეთა შორის 1990 წლისათვის თბილისსა და აფხაზეთში შობადობის დაბალი სპეციალური კოეფიციენტი. 1994 წელს კი საქართველოს ყველა მხარეში დაბალი შობადობაა აღნიშნული (ცხრილი 11).

1990-1995 წწ. აღმოსავლეთ საქართველოში დასავლეთთან შედარებით უფრო სწრაფად შემცირდა შობადობის სპეციალური კოეფიციენტი. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ქვემო ქართლის რეგიონი, სადაც აღნიშნულ

ცხრილი 11

შობადობის სპეციალური კოეფიციენტები საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებში 1990-1995 წწ.[1]

ბუნებრივ-ეკონომიკური ზონები	ფერტილური ასაკის ყოველ 1000 ქალზე დაიბადა						1995 წ. 1990წ-თან შედარებით
	1990	1991	1992	1993	1994	1995	
აღმოსავლეთის	76,8	74,1	72,2	61,1	50,1	47,8	0,62
აღმოსავლეთ-ცენტრალური	67,5	67,0	55,6	50,7	43,8	41,2	0,61
სამხრეთის	88,3	92,0	80,1	78,9	67,5	66,3	0,75
დასავლეთ ცენტრალური	69,8	67,4	62,5	54,4	53,6	55,1	0,79
დასავლეთის	67,3	64,6	56,3	50,8	50,0	50,9	0,76
აფხაზეთი	61,1	62,7		-			
აჭარა	73,9	77,0	71,0	68,1	51,4	46,3	0,63
აღმოსავლეთ საქართველო	70,0	69,4	59,3	53,8	44,6	42,2	0,60
დასავლეთ საქართველო	68,0	67,4	62,8	56,3	52,1	54,3	0,80
საქართველო სულ	69,9	67,6	60,6	54,7	47,4	46,5	0,67

[1] გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში არსებული პირველადი მონაცემების საფუძველზე.

პერიოდში შობადობა 2,3-ჯერ შემცირდა (ცხრილი 12) ზემოთაც აღენიშნეთ, რომ აქ შობადობის მაჩვენებელი შეამცირა როგორც საერთო პოლიტიკურმა დაძაბულობამ ასერბაიჯანელებსა და სომხებს შორის, ისე ეკონომიკურმა კრიზისმა, ცხოვრების პირობების მკვეთრმა გაუარესებამ. ამოქმედდნენ შრომისუნარიანი მოსახლეობის ახალგაზრდა თაობით, ბავშვებით დიდ დატვირთვასთან დაკავშირებული ფაქტორები. აქვე აღსანიშნავია ასერბაიჯანელი ახალგაზრდობის გარე მიგრაციაში ფერტილური ასაკის ქალთა ხვედრითი წონის მომატება, რაც აქ მცხოვრებ ქალთა ნაზერბაიჯანში გათხოვების ინტენსიურობის ზრდით გამოიხატა. აღნიშნული ეთნიერების გამო 90-იან წლებში ქვემო ქართლის მოსახლეობის რიცხოვნობა შედარებით სტაბილური გახდა. მოსალოდნელი ეკონომიკური აღმავლობის დაწყებისას საკარაუდოა მოსახლეობის ე. წ. კომპენსაციური მატება, მაგრამ მაინც ვთვლით, რომ შექმნილმა ეთნიერებამ გამოიწვია დემოგრაფიული გადასვლის პროცესის დაჩქარება, რაც

ცხრილი 12

შობადობის სპეციალური კოეფიციენტები საქართველოს მხარეებში 1990-1995 წწ.[1]

მხარეები	ფერტილური ასაკის ყოველ 1000 ქალზე დაბადა						1995 წელს 1990წ-თან შედარებით %
	1990	1991	1992	1993	1994	1995	
კახეთი	76,8	74,1	72,2	61,1	50,1	47,8	0,62
თბილისი	59,7	54,3	44,5	45,9	39,2	39,1	0,65
ქვემო ქართლი	84,0	77,5	68,3	55,1	44,9	36,2	0,43
შიდა ქართლი	80,1	79,9	72,8	59,3	56,1	53,8	0,67
მცხეთა მთიანეთი	75,1	79,5	67,1	56,5	53,4	53,1	0,71
სამცხე-ჯავახეთი	87,1	88,5	76,6	74,4	63,8	64,8	0,74
იმერეთი	70,1	68,1	63,3	55,0	54,1	55,4	0,79
რაჭა-ლაჩხუმ-ქვემო სვანეთი	64,4	56,6	49,6	45,9	53,0	50,1	0,78
სამეგრელო-ზ.სვან.	65,0	61,8	50,4	50,3	50,2	47,1	0,72
გურია	74,0	72,7	75,7	56,5	53,8	57,5	0,78
აფხაზეთი	61,1	62,7		-	-		
აჭარა	73,9	77,0	71,0	68,1	51,4	46,3	0,63

[1] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოსსტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში არსებული პირველადი მასალების საფუძველზე.

შემდგომში ბუნებრივი მატების შემცირების განმაპირობებელია.

თუ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მხარეში ყველაზე დაბალია ასაკობრივი ფაქტორის ზეგავლენის გამო, სპეციალური კოეფიციენტებით გამოხატული შობადობის დონე, რომელიც უფრო რეალურად ასახავს ქალთა გენერაციული ფუნქციის რეალიზაციის ხარისხს, საშუალო რესპუბლიკურთან შედარებით ცოტა მაღალია.

ქვემო ქართლის შემდგომ შობადობის ყველაზე მეტი შემცირება მოხდა კახეთსა და აჭარაში. ამ უკანასკნელში მეტი ინერციულობა გამოვლინდა, რასაც 1994 და 1995 წლებში შობადობის მყისიერი დაცემა მოჰყვა.

ყველაზე მაღალი შობადობით გამოირჩევიან სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ქალები, სადაც, შემცირების მიუხედავად, შედარებით მაღალ დონეზე შენარჩუნდა შობადობა. ეს განაპირობა სოფლის მოსახლეობის მაღალმა ხვედრითმა წონამ, აქაური სოფლის მოსახლეობაში შობადობის ტრადიციული დონის სიმყარემ, აგრეთვე, ზემო აჭარიდან ჩასახლებული ახალგაზრდა კონტინგენტების საგრძნობმა რაოდენობამ. ეს მხარე პოტენციურად ყველაზე მეტად ინარჩუნებს მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ბუნებრივი მატების პერსპექტივას.

საქართველოს მთიანეთის დემოგრაფიული განვითარების ზოგადი შეფასებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კელეეის წარმართვას ძირითადი ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონების მიხედვით. გეოგრაფების მიერ ჩრდილოეთ და სამხრეთ მთიანეთის ცალ-ცალკე გამოყოფა, ჩვენი აზრით, სწორია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ რეგიონების დემოგრაფიული პოტენციალი შეისწავლება. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოყოფილი ზონები დიდი პირობითობის მატარებელია და სხვადასხვა ავტორებთან არც ემთხვევა ერთმანეთს. ვ. ჯაოშვილისა და თ. ზუბიაშვილისაგან განსხვავებით, ცხინვალისა და ზნაურის რაიონები არ შეგვიტანია მთიან ზონაში[1]. სამხრეთ მთიანეთში მ. შენგელაიასა და მ. უკლებას, ჩვენგან განსხვავებით, შეაქვთ ქედის რაიონი, ხოლო არ შეაქვთ ბორჯომისა და თეთრი წყაროს რაიონები[2]. ჩვენი დაყოფა ემთხვევა თ. გუგუშვილის კლასიფიკაციას[3] და მოიცავს ჩრდილოეთ მთიანეთში: მესტიის, ლენტეხის, ცაგერის, ონის, ამბროლაურის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ახალგორისა და ჯავის რაიონებს; ხოლო სამხრეთ მთიანეთში: ბორჯომის, დმანისის, თეთრი წყაროს, წალკის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ნინოწმინდის, ადიგენის, ხულოსა და შუახევის რაიონებს.

ჩრდილოეთ მთიანეთში, რომელიც ეკონომიკის განვითარებისათვის

---

[1] ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. - თბ.: მეცნიერება, 1984, გვ. 254-260. თ. ზუბიაშვილი. საქართველოს მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიული შედეგები. საკანდიდატო დისერტაცია. - თბ., 1993, გვ. 31-34.

[2] საქართველოს მოსახლეობა და მეურნეობა. - თბ.: მეცნიერება, 1986, გვ. 51, 54, 82.

[3] Социально-экономические проблемы воспроизводства населения и трудовых ресурсов Грузинской ССР. Тб.: НИИЭПУ, 1987, с. 76.

შეხლუდული ბუნებრივი პირობებით გამოირჩევა, უფრო ადრე დაიწყო მიგრაციის გაელენით დემოგრაფიული დაბერების პროცესი, რაჭა-ლეჩხუმში კი დაბერებამ საქართველოს რეგიონებს შორის უკიდურეს მაქსიმუმს მიაღწია.

ჩრდილოეთ მთიანეთში ცალკე უნდა აღინიშნოს მაღალი შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (ცხრილი 13), რომელიც 1980-1990 წწ. 6-6,8 პრომილეთი აღემატება საქართველოს ბარის მაჩვენებელს, ხოლო 1990 წ. ფერტილობის მაჩვენებლით (111 დაბადება 15-49 წლის ყოველ 1000 ქალზე) - 2-ჯერ და მეტად აღემატება ცაგერის, ყაზბეგისა და ახალგორის მაჩვენებელს. მიუხედავად დაბალი ბუნებრივი ზრდისა, ფერტილობის მაჩვენებელი ჩრდილოეთ მთიანეთში 1990 წელს მაღალია როგორც საქართველოს ბარის, ისე მთელი საქართველოს მაჩვენებელზე.

სამხრეთ მთიანეთში ეთნიკური ფაქტორის (სომხობა, ასერბაიჯანელები, მუსულმანი ქართველები) გაელენით შენარჩუნებულია შობადობის მაღალი დონე; ამასთან, შობადობის კლების ტემპი უფრო მაღალია. ბუნებრივი მატების მაჩვენებლით სამხრეთ მთიანეთი 1990 წელს თითქმის 5-ჯერ აღემატებოდა

ცხრილი 13

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები საქართველოს ძირითად ბუნებრივ-გეოგრაფიულ ზონებში 1980-1990 წწ.[1]

ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონები	1980			1990			
	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი	სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი	ბუნებრივი მატების კოეფიციენტი	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი	სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი	ბუნებრივი მატების კოეფიციენტი	შობადობის სპეციალური კოეფიციენტი
ჩრდილოეთ მთიანეთი	15,3	11,6	3,7	14,8	12,5	2,3	71,5
სამხრეთ მთიანეთი	22,6	7,9	14,7	19,7	7,2	12,5	82,8
მთათაშორისი ბარი	17,4	8,5	8,9	16,8	8,4	8,4	67,5
საქართველო სულ	17,7	8,6	9,1	17,1	8,5	8,6	69,9

[1] გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში არსებული პირველადი მასალების საფუძველზე.

ჩრდილოეთ მთიანეთს და 1,5-ჯერ მთათაშორისო ბარს. შობადობის სპეციალური კოეფიციენტი აქ აშკარად მაღალია სხვა ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონების მაჩვენებლებზე.

შობადობის დიფერენციის ანალიზისას და მისი რეგიონული თავისებურებების კვლევისას ძლიერ მნიშვნელოვანია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის, სხვადასხვა სიდიდის საქალაქო დასახლებათა მიხედვით შობადობის მაჩვენებელთა განხილვა.

მოსახლეობის, წარმოებისა და მომსახურების კონცენტრაციის ხარისხი ჯერჯერობით დიდ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალური განვითარების დონეზე და აყალიბებს განსხვავებულ სოციალურ-დემოგრაფიულ სტრუქტურებს, რომელთაც განსხვავებული დემოგრაფიული ქცევა აქვთ. ფერტილური ასაკის მოსახლეობის „დაბერების" მიუხედავად სოფლის მოსახლეობის ქალთა ნაყოფიერების დონე მაღალია.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, რაც პატარაა საქალაქო დასახლება, როგორც წესი, მით უფრო მაღალია ქალთა ფერტილობის მაჩვენებელი (ცხრილი 14). განსაკუთრებით მაღალია იგი ყველაზე პატარა ქალაქებსა და დაბებში. ამასთანავე, 80-იანი წლების შუა ხანებიდან იგი აღემატება თვით სოფლის მოსახლეობის მაჩვენებელს. ამის ძირითადი მიზეზი ფერტილური ასაკის ქალთა შიგა-ასაკობრივი სტრუქტურაა. აღნიშნული ფაქტი მარტო საქართველოში არაა შემჩნეული. მაგ., 1975 წლის შემდგომ გდრ-ში შობადობის მაჩვენებლები ქალაქად უფრო მაღალი იყო, ვიდრე სოფლად[1].

ცხრილი 14

ქალთა ფერტილობის მაჩვენებლის ცვლილება
1970-1990 წწ.[2]

ქალაქის კატეგორია[3]	1970	1990
თბილისი (უმსხვილესი ქალაქი)	62,6	59,7
დიდი ქალაქები	62,0	61,1
საშუალო ქალაქები	64,5	63,4
პატარა ქალაქები და დაბები	84,9	77,9

[1] Лунгвитц К. Территориальные особенности развития населения и вопросы демографической политики в ГДР. В сб.: Демографические процессы в социалистическом обществе. М.: Финансы и статистика. 1981, с. 51.

[2] გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში არსებული პირველადი მასალების საფუძველზე.

[3] იხილეთ: მ. ტუხაშვილი. შრომითი რესურსების ფორმირება და გამოყენება საქართველოს საშუალო და პატარა ქალაქებში. თბ.: თსუ, 1990, გვ. 30-43.

§ 5. მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება

მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ასაკობრივი შემადგენლობის ევოლუციაში ჩანს ასაკობრივი ჯგუფების ურთიერთშენაცვლებით გამოწვეული დიდი დემოგრაფიული ცვლილებები და მისი ეკონომიკური შედეგები. ეს უკანასკნელი წარმოებისა და მოხმარების პროცესში ამა თუ იმ ასაკობრივი ჯგუფის მონაწილეობის ხარისხით განისაზღვრება.

იმ გლობალური ტენდენციებიდან, რომელიც ახასიათებს თანამედროვე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მოსახლეობასა და შრომით რესურსებს, მნიშვნელოვანია დემოგრაფიული დაბერების პროცესის განვითარება. მისი ანალიზის გარეშე დღევანდელი შრომითი პოტენციალის ფორმირების ცვლილებების ახსნა და პროგნოზირება შეუძლებელია.

როგორც აღვნიშნეთ, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება არის ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციის არსებითი ნიშანი. თავის დროზე ა. სოვი წერდა, რომ დაბერების პროცესი ყველაზე ნაკლებად სადავოა, ყველაზე მორგებულია პროგნოზირებას, დემოგრაფიული განვითარების ყველა მხარეს შორის უმძიმესია თავისი შედეგებით, ამავე დროს, ყველაზე ნაკლებად შესწავლილია[1].

უნდა ითქვას, რომ დღეისათვის დემოგრაფიულმა მეცნიერებამ საკმაო დონეზე შეისწავლა მოსახლეობის დაბერების პროცესი (ა. სოვი, უ. ბურუუა-პიშა, ე. ფილრონეი, ე. როსეტი, ა. ბოიარსკი, ბ. ურლანისი, ა. კვაშა, ი. კალინიუკი, ს. პიროჟკოვი, ვ. მილოვიდოვი). საქართველოში იგი მონოგრაფიული შესწავლის საგანი ჯერ არ გამხდარა, თუმცა ქართველ მეცნიერთა დიდი ჯგუფი თავის გამოკვლევებში მეტ-ნაკლებად ეხება ამ პროცესს და ბევრი სპეციალური სტატიაც დაიწერა მის ირგვლივ.

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება დემოგრაფიული გადასვლის სიმწიფის მაჩვენებელია. მისი გამომწვევი მიზეზებია: ა) შობადობის დონის შემცირება, ბ) მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა სიკვდილიანობის შემცირებით, გ) ღია მოსახლეობის შემთხვევაში - მოსახლეობის მიგრაცია. უნდა შევნიშნოთ ა. სოვი ბურუუა-პიშაზე დაყრდნობით ცდილობს, დაამტკიცოს, რომ სიკვდილიანობის შემცირება აქ არაფერ შუაშია, რომ თუ, ვთქვათ, სიკვდილიანობა ბავშვებში და ახალგაზრდებში მოხდა, ეს მოსახლეობის გამაახალგაზრდავებელი ფაქტია და არა დამაბერებელი[2]. 60-იანი წლების ემპირიული დემოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე დაახლოებით ასე მსჯელობს ი. კალინიუკი[3]. ჩვენც ვეთანხმებით, რომ დროის

---

[1] Сови А. Общая теория населения. М.: Прогресс, 1977, т. 2, с. 70.

[2] Сови А. Общая теория населения. Т. 2. М.: Прогресс. 1977, с. 77.

[3] Калинюк И. Продолжительность жизни и возрастная структура населения СССР. В сб.: Продолжительность жизни. М.: Статистика, 1974, с. 61.

იმ მონაკვეთში, რომელსაც იგი განიხილავს, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებამ, მართლაც, ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფების ხვედრითი წონის სრდასე უნდა იმოქმედოს, მაგრამ დაბერების პროცესის მოკლე მონაკვეთში განხილვა ყოველთვის არ იძლევა დასაბუთებული დასკვნის გაკეთების საშუალებას. იგი უნდა განიხილებოდეს გლობალურად, დემოგრაფიული გადასვლის მთელი პერიოდის განმავლობაში, „დემოგრაფიული აფეთქების" წინა სტაბილური მოსახლეობიდან თანამედროვე სტაციონარულ მოსახლეობამდე. ასეთ შემთხვევაში დაბერების პროცესის დაჩქარებაში სიცოცხლის ხანგრძლივობის სრდის გამორიცხვა შეუძლებელია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავის დროზე სიკვდილიანობის შემცირებამ, რომელსაც ეგზოგენური ფაქტორები იწვევდნენ, განაპირობა მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პირველი ეტაპი. შემდგომ კი, რადგანაც სიცოცხლის ხანგრძლივობის ბიოლოგიური შესაძლებლობა ზღვარდებულია, მისი სეგავლენა დაბერების პროცესზე შემცირდა.

რაც შეეხება მიგრაციას, ჩაკეტილ მოსახლეობაში იგი პრაქტიკულად არ მოქმედებს დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებლებზე. მაგრამ ღია მოსახლეობაში, რომელსაც წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის ცალკეული რეგიონის მოსახლეობა, მიგრაციის გავლენა ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებებზე და დემოგრაფიულ დაბერებაზე დიდია.

მეცნიერები მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში გამოყოფენ სამ ძირითად ჯგუფს. ბავშვებს, დიდებსა და დაბერებულ მოსახლეობას, თუმცა არსებობს ადამიანის სიცოცხლის მრავალგვარი პერიოდიზაცია, რომელთაგან ცნობილია პითაგორას, ფლურანსის, რუბენსის, აშოფის, როსლავსკის და სხვათა სქემები[1].

ზემოხსენებული სამი ჯგუფის გამოყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციის შედეგობრივი ანალიზისას. კერძოდ, შრომისუნარიანი და კმაყოფაზე მყოფი კონტინგენტების თანაფარდობისა და მისი ეკონომიკური შედეგების განსაზღვრის დროს. აღნიშნული მსხვილი გრადაციის გარდა შრომითი რესურსების ანალიზისას შეძლება გამოიყოს 16-29 წლის ახალგაზრდობა, 30-45 წლის სრულასაკოვანი მოსახლეობა და წინასაპენსიო ასაკის მოსახლეობა: 50-54 წლის ქალები და 50-59 წლის მამაკაცები.

ხშირად კამათს იწვევს მთელ მოსახლეობაში ხსენებული სამი ძირითადი ჯგუფის ასაკობრივი საზღვრების გამოყოფა. ა. სოვის იგი პრინციპული გამიჯვნის საგნად არ მიაჩნია. ქვედა საზღვარს იგი სდებს 15-20 წელს შუა, ზედას - 60-65 წელს შორის[2]. საზღვრებს საფუძვლად ედება ფიზიოლოგიური და სოციალური ფაქტორები. ამიტომ ძნელია, დაეთანხმო ე. როსეტის, როცა

[1] Урланис Б. Ц. Народонаселение: исследования, публицистика. М.: Статистика 1975, с. 106-110

[2] Сови А. Общая теория населения. М.. Прогресс, т. 2. 1977, с. 71.

იგი წერს: ტერმინი „ბებერი ხალხი" პირობითი ხასიათისაა, 60,65 ან 70 წლის შერჩევა სიბერის საზღვრად სხვა არაფრითაა განპირობებული, თუ არა დემოგრაფთა შეთანხმებით.[1]

ჩვენი აზრით, პირობითობა ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების საზღვრების დადგენისას, მართლაც, აუცილებელია. მისი საფუძველი უნდა იყოს პირველ რიგში, კანონმდებლობით განსაზღვრული შრომის ასაკი. გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული სტატისტიკური ცხოვრების მიერ ასაკობრივი გრადაციის პრაქტიკა.

როგორც ცნობილია, ჩვენში კანონმდებლობით 1996 წლამდე შრომის ასაკის მოსახლეობას მიეკუთვნებოდა 16-54 წლის ქალები და 16-59 წლის მამაკაცები. ხოგჯერ, ოფიციალური სტატისტიკური მორგების მიხნით, ანალიზის დროს შეიძლება 16-ის ნაცვლად სახღვრად 15 წელი ჩავთვალოთ, დაბერების მაჩვენებელთა განსაზღვრისას - ქალებისათვის არსებული 54 წლის ნაცვლად 60 წელი. ეს დაშვებები რეალურ შრომით ასაკთან ახლოსაა და არ დაამახინჯებს ცაობათა რეალური ცანაფარდობის სოციალურ სურათს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაეროს მიერ მიღებული სიბერის ასაკი იწყება 65 წლიდან. რაც ემთხვევა ან ახლოსაა განვითარებული ქვეყნების ნაწილში საპენსიო ასაკს. მაგრამ სიბერის ასაკობრივი გრადაცია ამა თუ იმ ქვეყნის სოციალური განვითარების დონის გამომხატველი უნდა იყოს და, პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის ბიოლოგიურ დაბერებულობას. ის, რომ ნორვეგიაში პენსიაზე გასვლის ასაკი 70 წელია, გამოხატავს ამ ქვეყანაში ადამიანის მუშაობისუნარიანობის ხანგრძლივობას და ორგანიზმის ბიოლოგიურ ცვლილებებს.

განვითარებულ ქვეყნებში: გერმანიაში, ფინეთში, ნიდერლანდებში პენსიაზე გასვლის ასაკი ფაქტობრივად 6 წლით ნაკლებია კანონით გათვალისწინებულზე[2].

ჩვენში კი სულ ახლახანს საპენსიო ასაკი გაიზარდა 5 წლით. იგი მეცნიერთა შორის მსჯელობის საგანი იყო ყოფილ სსრკ-ში. ამ მხრივ, ინტერესმოკლებული არაა იმ ექსპერტთა (16 მეცნიერებათა დოქტორი და 28 კანდიდატი) გამოკითხვის შედეგები, რომლებიც უშუალოდ ამ პრობლემაზე მუშაობდნენ. ექსპერტთა 87%-მა ჩათვალა (1984 წ.), რომ შრომის ასაკის არსებული ზემო საზღვარი ოპტიმალურია. მხოლოდ მათ 13%-ს მიაჩნდა, რომ 2000 წლისათვის (ცხადია, სოციალურ-ეკონომიკური აღმასვლის გათვალისწინებით) შესაძლებელი გახდებოდა შრომის ასაკის ზემო საზღვრის გაზრდა 5 წლით[3].

---

[1] Россет Э. Старение населения - демографическая проблема XX в. В сб.: Проблемы народонаселения. М.: Прогресс, 1977, с. 102.

[2] Новая политика для пожилых трудящихся. //Трудовой мир, изд. МОТ, № 2, 1995, с. 9.

[3] Белокон О. Ф. Экспертная оценка проблем и перспектива старения населения в СССР. В сб.: Народонаселение и совершенствование планирования социальной инфраструктуры. Баку, 1984, с. 97.

მოსახლეობის დაბერების შეფასებისათვის გამოიყენება მოსახლეობის დაბერების კოეფიციენტი, დაბერებული მოსახლეობის შეფარდება მთელ მოსახლეობასთან. როგორც აღვნიშნეთ, არსებობს ბებერი მოსახლეობის განსაზღვრის სხვადასხვა სკალები. გაეროს სკალით ბებერ მოსახლეობად ითვლება 65 წლის და უფროსი ასაკის კონტინგენტი. თუ ეს კონტინგენტი მთელ მოსახლეობაში 4%-ზე ნაკლებია, ეს მოსახლეობა ახალგაზრდაა, 4 და 7 პროცენტამდე - სიბერის საზღვარზე მყოფი მოსახლეობაა, ხოლო 7%-ზე მეტი მიეკუთვნება ბებერ მოსახლეობას[1].

ე. როსეტის გრადაციით, ბებერს მიეკუთვნება ისეთი მოსახლეობა, როცა 60 წლის და უფროსი მოსახლეობის ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში 12 პროცენტს გადააჭარბებს (ცხრილი 15).

შობადობის შემცირება და სიკვდილიანობის სტაბილიზაცია აისახა საქართველოს მოსახლეობაშიც. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, 1958-1959 წ. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი - 2,6 1988-1989 წლისათვის 2,15-მდე შემცირდა. 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის - ბავშვების წილი შემცირდა 6,6%-ით. მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა გაიზარდა 15%-ით, 60 წელს გადაცილებულთა რიცხოვნობა კი 40%-ით.

ცხრილი 15

დემოგრაფიული სიბერის სკალა[2]

ეტაპი	60 წლის და უფროსი ასაკის პირთა ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში, პროცენტი	მოსახლეობის დაბერებისა და სიბერის ეტაპები
I	8-ზე ნაკლები	დემოგრაფიული ახალგაზრდობა
II	8-10	სიბერის პირველი კარიბჭე
III	10-12	სიბერის უშუალო კარიბჭე
IV	12 და მეტი	დემოგრაფიული სიბერე:
	12-14	საწყისი დონე
	14-16	საშუალო დონე
	16-18	განვითარებული დონე
	18-ზე მეტი	ძლიერ განვითარებული დონე

[1] Демографический энциклопедический словарь. М.: Сов. энциклопедия. 1985, с. 117.

[2] Россет Э. Старение населения - демографическая проблема XX в. В сб.: Проблемы народонаселения. М.: Прогресс, 1977, с. 103. Россет Э. Процесс старения населения. М.: Статистика, 1968, с. 69.

ორი ბოლო აღწერის მიხედვით თუ შეეფასებთ, არ იქნება შეცდომა, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს მოსახლეობა წარმოადგენს კლასიკურ ტიპს, რომელიც, არსებითად, მალე დაასრულებს დემოგრაფიული განვითარების პროცესში მთელი თავისი დემოგრაფიული სისტემის გარდაქმნას.

ასაკობრივი პირამიდებიც აფიქსირებენ შობადობის სისტემატურ შემცირებას. ამავე დროს პირამიდებზე აშკარად ჩანს, რომ ნორმალური დემოგრაფიული განვითარება დარღვეულია მეორე მსოფლიო ომის კატასტროფული შედეგებით (ნახ. 1). პრაქტიკულად, ერთი თაობის უდიდესი დემოგრაფიული დანაკარგი - 300 ათასი კაცია[1]. ამ ე. წ. გარე ზემოქმედებით მამაკაცი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის პირდაპირი დარღვევის გარდა, დემოგრაფიული ტალღები წარმოიქმნა და შემდგომ თაობებსაც აშკარად დაატყო თავისი კვალი ჯერ ომის დროს დაბადებათა შემცირებით, შემდგომ, „კომპენსაციის" პერიოდში აღმავლობით.

დემოგრაფიული პირამიდების უსწორობასა და სიმრუდეზე, „ჩავარდნებზე" მოქმედებენ არა მარტო ომები, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზიგზაგებიც. მაგ., დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ასაკობრივ პირამიდებზე ასახულია 1929-33 წლების კრიზისული მოვლენები. ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას აშკარად ატყვია 30-იანი წლების დიდი კრიზისის ნაკვალევი. საქართველოშიც ამჟამინდელი კრიზისი შექმნის მნიშვნელოვან დემოგრაფიულ ტალღას.

თუ პირდაპირ დემოგრაფიულ დანაკარგებსაც არ მივიღებთ მხედველობაში, ომების ზეგავლენით შობადობის შემცირებით მიღებული დემოგრაფიული „ზარალი" საკმაოდ დიდია. მაგ., მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს გერმანიაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ომამდე არსებული 20 პრომილედან 14 პრომილემდე შემცირდა[2].

90-იანი წლების ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შედეგად საქართველოს მოსახლეობას რამდენიმე ათეული ათასი კაცი პირდაპირი დანაკარგი აქვს, ხოლო შობადობის შემცირებით, რომელიც კელავაც გრძელდება, დემოგრაფიული დანაკარგი არანაკლებ - ასი ათასი მცხოვრები იქნება. იგი თავს იჩენს 2010 წლის შემდგომაც, რადგან აქტიურ ფერტილურ ასაკში შეეა საქართველოში საყოველთაო კრიზისის დროს დაბადებულ ქალთა მცირე კონტინგენტი.

ე. როსეტის კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან მიეკუთვნება დაბერებულ მოსახლეობას,

---

[1] Тухашвили М. Социально-демографические проблемы населения третьего возраста в Грузинской ССР. В кн.: Население третьего возраста. М.: Мысль, 1986, с. 124-132.

[2] Демографический энциклопедический словарь. М.: Советская энциклопедия. 1985, с. 62.



ნახ. 1. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი პირამიდები 1959-1989 წწ.

რადგან ამ დროიდან 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში 12 პროცენტზე მეტია (ცხრილი 16), ხოლო 1989 წლის მოსახლეობის აღწერით ეს კოეფიციენტი 14,4 %-ია. ბუნებრივია, 90-იან წლებში შობადობის შემცირებამ, მიგრაციულმა პროცესებმა დააჩქარეს დაბერების პროცესი.

ცხრილი 16

საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუცია 1959-1989 წწ. პროცენტობით[1]

ასაკობრივი ჯგუფი	1959	1970	1979	1989
0-14	29,0	30,5	26,2	24,7
15-59	60,0	57,7	61,3	60,9
60 და მეტი	11,0	11,8	12,5	14,4
სულ	100	100	100	100

მოსახლეობის კვლაევწარმოების განსხვავებული რეჟიმებისა და მიგრაციული პროცესების არაერთგვაროვნების გამო საქართველოს რეგიონულ დემოგრაფიულ განვითარებაში დემოგრაფიული დაბერების პროცესი დიფერენცირებულად განვითარდა. აღნიშნული ფაქტორების გამო 1970-1989 წწ. დემოგრაფიული დაბერება დაჩქარდა ჩრდილოეთ მთიანეთში, სადაც როსეტის მიხედვით, 1989 წლის აღწერის მონაცემებით, მოსახლეობის დაბერება უკვე „ძლიერ განვითარებულია" (ცხრილი 17).

როგორც მრავალი მკვლევარი მიუთითებს,ცნობილი მეცნიერის, ზუნდ-ბერგის კლასიფიკაციით[2], 20 წლამდე მოსახლეობაზე 50 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის სიჭარბე ითვლება რეგრესული ტიპის ასაკობრივ სტრუქტურად. ასეთი ტიპი მყარადაა ჩამოყალიბებული ჩრდილოეთ მთიანეთში, აქ 50 წელზე უხნესი მოსახლეობა 1,25-ჯერ აღემატება 20 წლამდე ახალგაზრ-დობას. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში 1989 წელს 20 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში 25% იყო, მაშინ როცა 50 წელს გადაცილებული მოსახლეობისა -43%-ს აღემატებოდა. ამბროლაურის რაიონში 50 წელზე უხნესი მოსახლეობა 2,5-ჯერ მეტია 20 წლამდე ახალგაზრდობაზე, ონის რაიონში - 1,9-ჯერ, ცაგერის რაიონში-1,7-ჯერ.

---

[1] შედგენილია მოსახლეობის აღწერების მასალების მიხედვით.

[2] Стеценко С. Г., Викторова Л. Л. Задачник по статистике населения М.: Статистика, 1980, с. 204. Статистика населения с основами демографии. М.: Финансы и статистика, 1990, с. 73-74. Россет Э. Процесс старения населения. М.: Статистика, 1968, с. 60-61 и др.

ცხრილი 17

საქართველოს ძირითადი ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონების მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა 1970-1989 წწ. (პროცენტობით ჯამის მიმართ)[1]

ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონა	წელი	ასაკობრივი ინტერვალი							
		0-9	10-19	20-29	30-39	40-49	50-59	60 და მეტი	სულ
ირდილოეთ	1970	20,3	18,6	10,0	14,3	12,0	8,6	16,2	100
მთიანეთი	1979	15,8	18,3	11,4	9,8	13,9	12,2	18,6	100
	1989	14,0	15,2	13,3	11,3	9,9	14,2	22,1	100
სამხრეთ	1970	26,0	22,0	10,4	14,9	10,6	5,9	9,9	100
მთიანეთი	1979	19,7	22,7	14,8	9,5	13,5	9,2	10,6	100
	1989	20,2	17,0	16,9	12,7	8,5	11,9	12,8	100
მთათაშორისი	1970	19,6	18,6	12,6	16,3	12,8	8,3	11,8	100
ბარი	1979	16,7	18,5	15,8	11,8	14,0	10,7	12,5	100
	1989	16,6	15,7	16,4	14,7	10,5	12,0	14,1	100
მთელი	1970	20,2	18,9	12,5	15,9	12,6	8,1	11,8	100
საქართველო	1979	16,9	18,8	15,6	11,6	14,0	10,6	12,5	100
	1989	16,8	15,8	16,3	14,4	10,3	12,0	14,4	100

[1] შედგენილია მოსახლეობის აღწერების მასალათა საფუძველზე.

1989 წლისათვის დასახელებულ რაიონებს გარდა, რეგრესული ტიპის ასაკობრივი სტრუქტურა ჩამოყალიბდა საქართველოს კიდევ 22 რაიონში: სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ხონის, წყალტუბოს, ტყიბულის, ზესტაფონის, ხარაგაულის, თერჯოლის, მარტვილის, აბაშის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ყორნისის, ჯვარის, ცხინვალის (სოფლის), ახალგორის, თიანეთის, ყაზბეგის, გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს რაიონებში.

აშკარად განსხვავებული მდგომარეობაა სამხრეთ მთიანეთში, სადაც დაბერების პროცესის მიუხედავად, მთელ მოსახლეობაში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ახალგაზრდა ასაკების მაღალი ხვედრითი წონა. ეს შრომითი პოტენციალის დემოგრაფიული ბაზის დადებითი მახასიათებელია. თუმცა სტრუქტურული ცვლილებები აქაც სწრაფად მიმდინარეობს.

1989 წლის მდგომარეობით, საერთოდ, სხვა ასაკობრივი ჯგუფებისაგან განსხვავებით, გაზრდილია 20-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წონა. ესაა მაღალი შობადობის პერიოდში, 60-იან წლებში დაბადებული კონტინგენტი. 1970-1989 წწ. გაიზარდა 50-59 წლის კონტინგენტის ხვედრითი წონაც. ესაა ომის წინ დაბადებული თაობა.

მოსახლეობის დაბერებაში დიდი დიფერენციაცია გამოვლინდა საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებს შორის, სადაც დაბერების კოეფიციენტი 1970 წელს 9,5-13,9% ფარგლებში ვარირებს, ხოლო 1989 წელს - 11,2-17,7%-ის, გაზრდილი ვარიაციული სხვაობის ფარგლებშია. (ცხრილი 18) 1989 წლისათვის დაბერების განვითარებული დონე ახასიათებს აღმოსავლეთის (დაბერების კოეფიციენტი 17,7%), დასავლეთ-ცენტრალურსა (16,9%) და დასავლეთის (16,2%) ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებს. დემოგრაფიულ სიბერეს უახლოვდებიან აჭარის (11,2%) და სამხრეთი ბუნებრივ-ეკონომიკური ზონები (11,8%), უეჭველია, რომ მიმდინარე დემოგრაფიული კრიზისის შედეგად ისინიც მალე გადალახავენ დემოგრაფიული დაბერების სახლვარს.

რაც შეეხება ახალგაზრდა ასაკებს, აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1970-1989 წწ. 0-19 წლის მოსახლეობის ხვედრითი წონა 6,5%-ით შემცირდა, 20-39 წლის მოსახლეობისა კი 2,4%-ით გაიზარდა, ასევე მოიმატა უფრო მაღალი ასაკობრივი ჯგუფების ხვედრითმა წონებმაც.

თავისი კელავწარმოების რეჟიმის შესაბამისად, ბავშვებისა და ახალგაზრდობის მაღალ ხვედრით წონებს ინარჩუნებს აჭარისა (38,2%) და სამხრეთის (36,5%) ბუნებრივ-ეკონომიკური ზონები.

ნიშანდობლივია, რომ 1970 წელს 0-19 და 20-39 ასაკობრივ ჯგუფების ხვედრით წონებს შორის განსხვავება საქართველოს მოსახლეობაში 10,8% იყო, რაც 1989 წლისათვის 1,9%-მდეა შემცირებული.

დაბერების პროცესის რეგიონული დიფერენციაცია უფრო თვალნათლივ საქართველოს მხარეების მოსახლეობაში ჩანს (ცხრილი 19). როგორც უკვე

ცხრილი 18

საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების მოსახლეობის ასაკობრივი
განაწილება 1970-1989 წწ. (პროცენტობით ჯამის მიმართ)

ბუნებრივ-ეკონომიკური ზონა	0-19 წ.			20-39 წ.			40-59წ.			60 წ. და მეტი			სულ
	1970	1979	1989	1970	1979	1989	1970	1979	1989	1970	1979	1989	
აღმოსავლეთის	37,5	34,2	31,5	26,6	24,3	27,8	22,0	26,5	23,0	13,9	15,0	17,7	100
აღმოსავლეთი													
ცენტრალური	38.9	36,0	33,0	29,4	28,5	31,9	20,5	23,9	22,1	11,2	11,6	13,0	100
სამხრეთი	47,8	41,2	36,5	26,7	25,4	30,7	16,5	24,2	21,0	9,0	9,2	11,8	100
აღმოსავლეთ													
საქართველო	39,3	36,0	33,1	20,6	27,6	31,3	20,4	24,4	22,0	11,5	12,0	13,6	100
დასავლეთი													
ცენტრალიური	37,5	33,5	29,9	27,3	25,5	29,5	21,8	26,5	23,7	13,4	14,5	16,9	100
დასავლეთის	38,8	34,5	31,0	27,4	26,4	29,6	20,9	24,9	23,2	12,9	14,2	16,2	100
აფხაზეთი	38,7	34,6	31,3	28,4	27,1	30,9	21,8	25,5	22,9	11,1	12,7	14,9	100
აჭარა	43,4	41,8	38,2	28,6	27,2	30,6	18,5	20,9	20,0	9,5	10,1	11,2	100
დასავლეთ													
საქართველო	38,8	35,3	31,9	27,8	26,5	30,0	21,2	24,9	22,8	12,2	13,3	15,3	100
ქვეყანა													
საქართველო	39,1	35,8	32,6	28,3	27,2	30,7	20,8	24,6	22,3	11,8	12,5	14,4	100

აღენიშნეთ, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში მოსახლეობის დაბერებამ მაქსიმუმს მიაღწია, ასაკობრივი სტრუქტურაც რეგრესულად განვითარდა (ნახ. 2). დაბერებისათვის არ მიუღწევიათ აჭარასა და ქვემო ქართლს. სავარაუდოა, რომ 90-იან წლებში 0-5 წლის კონტინგენტის მკვეთრი შემცირების გამო ამ მხარეებში დაბერების პროცესი ნახტომისებურად დაჩქარდა.

ქვემო ქართლში 1970-1989 წწ. მოხდა ახალგაზრდა 0-19 წლის კონტინგენტის ხვედრითი წონის 10,6%-ით შემცირება. 10,5%-ით შემცირდა ამ ასაკის კონტინგენტის ხვედრითი წონა სამცხე-ჯავახეთის მხარეში.

რაჭა-ლაჩხუმთან ერთად შეუძლებელია, ყურადღება არ მიიქციოს ეკონომიკურად განვითარებული მხარეების - კახეთისა და გურიის მოსახლეობის დაბერების აჩქარებამ, რაშიც შობადობის შემცირებამ და ცალმხრივმა მიგრაციამ თანაბარი როლი ითამაშეს. 1970-1989 წწ. მთელ მოსახლეობაში 40 წელზე უხნესი მოსახლეობის ხვედრითი წონა კახეთში 35,9%-დან 40,7%-მდე გაიზარდა, ხოლო გურიაში - 37,6%-დან 41,5%-მდე. ხოლო 60 წელს გადაცილებულთა ხვედრითი წონა შესაბამისად 13,9%-დან 17,7%-მდე და 15,0%-დან 18,1%-მდეა მომატებული.

ცხრილიდან აშკარადა ჩანს ყველა მხარის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე მეორე მსოფლიო ომის ზეგავლენა, რაც გამოიხატება სხვადასხვა პერიოდში ერთი და იმავე ასაკობრივ ინტერვალში შესული კონტინგენტების რიცხოვნობისა და წილის დიდი ასაკობრივი რყევადობით. მაგ., 40-49 წლის კონტინგენტმა 1979 წელს მიაღწია მაქსიმუმს. ეს ომის წინ მაღალი ბუნებრივი მატების პერიოდში დაბადებული მოსახლეობაა, 20-29 წლის კონტინგენტმა მაქსიმუმს 1989 წელს მიაღწია, ხოლო განხილულ პერიოდში 20 წლამდე ასაკისა და 60 წელს გადაცილებული კონტინგენტები დროის მიხედვით მცირდებიან და იზრდებიან.

მაშასადამე, ყველა რეგიონის (ბუნებრივ-ეკონომიკური ზონა, მხარე, ადმინისტრაციული რაიონი) მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში აშკარადაა გამოხატული ბავშვთა კონტინგენტების განუხრელი შემცირებისა და ხანდასმული კონტინგენტების მატების ტენდენცია. ეს ტენდენცია კიდევ უფრო მეტადაა გამოვლენილი დაბალი შობადობის მქონე რეგიონებში, განსაკუთრებით კი იქ, სადაც ახალგაზდობის მიგრაციული კლება ხანგრძლივი და ინტენსიური იყო.

ჩვენი აზრით, მეტად თვალნათლივ გამოხატა დაბერების პროცესი ა. სოვიმ დაბერების ინდექსების მეშვეობით. მას ბევრი დემოგრაფი იყენებს[1]. ესაა 60 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის შეფარდება 20 წლამდე მოსახლეობის რიცხოვნობასთან. საქართველოში მოსახლეობის დაბერების

---

[1] Кваша А. Проблемы экономико-демографического развития СССР. М.: Статистика, 1974, с. 80.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა საქართველოს მხარეებში 1970-1989 წწ.
(პროცენტობით ჯამის მიმართ)

მხარე	0-19 წ.			20-39წ.			40-59წ.			60წ. და მეტი			სულ
	1970	1979	1989	1970	1979	1989	1970	1979	1989	1970	1979	1989	
კახეთი	37,5	34,2	31,5	26,6	24,3	27,8	22,0	26,5	23,0	13,9	15,0	17,7	100
თბილისი	32,7	32,3	31,1	32,1	30,7	32,6	22,9	24,7	23,0	12,0	12,2	13,3	100
ქვემო ქართლი	48,2	42,7	37,6	26,8	27,5	33,4	16,2	21,2	18,9	8,3	8,6	10,1	100
შიდა ქართლი	40,7	36,8	32,8	27,5	25,0	29,1	19,6	25,1	23,1	12,2	13,1	15,0	100
მცხეთა-მთიანეთი	40,2	36,2	31,9	26,1	24,9	29,1	19,7	24,9	22,7	14,0	13,9	16,2	100
სამცხე-ჯავახეთი	46,1	40,1	35,6	26,8	25,3	30,3	17,6	24,6	21,5	9,5	10,0	12,6	100
იმერეთი	37,8	33,9	30,3	27,6	26,2	30,1	21,8	26,3	23,6	12,8	13,6	16,0	100
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	35,9	30,9	25,0	23,0	17,9	22,1	22,4	27,8	25,0	18,7	23,4	27,9	100
სამეგრელო-ზ.სვანეთი	39,5	35,0	31,3	27,6	26,9	30,3	20,5	24,6	22,9	12,2	13,5	15,5	100
გურია	35,9	32,7	30,3	26,5	24,7	28,2	22,6	26,4	23,4	15,0	16,2	18,1	100
აფხაზეთი	38,8	34,6	31,3	28,5	27,2	30,9	21,6	25,5	22,9	11,1	12,7	14,9	100
აჭარა	43,4	41,8	38,2	28,6	27,2	30,6	18,5	20,9	20,0	9,5	10,1	11,2	100



რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ასაკობრივი პირამიდა 1989 წ.



საქართველოს სამხრეთი ბუნებრივ-ეკონომიკური ზონის მოსახლეობის ასაკობრივი პირამიდა 1989 წ.

ინდექსები ცალკეული მხარეების მიხედვით შემდეგია (ცხრილი 20).

ამ ინდექსების მიხედვით კიდევ უფრო გამოიკვეთა დაბერების ხარისხში სხვაობა საქართველოს ცალკეულ რეგიონებს შორის. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში დაბერების ინდექსი თითქმის ორჯერ და მეტჯერ აღემატება საქართველოს სხვა მხარეების მაჩვენებლებს. მოსახლეობა ყველაზე ნაკლებადაა დაბერებული ქვემო ქართლში, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში. ზემოთაც აღვნიშნეთ, და ამ ინდექსების მიხედვითაც, კახეთისა და გურიის მოსახლეობის დაბერების პროცესი საკმაოდ გაღრმავებულია.

ინდექსების ცვლილებებში აისახა მოსახლეობის დაბერების ტემპი. განხილულ პერიოდში ყველაზე მეტი ცვლილება განიცადა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარის დაბერების ინდექსმა. აქ იგი 1989 წელს 1970 წელთან შედარებით 2,14-ჯერ გაისარდა. დაბერების პროცესი აჩქარდა სამცხე-ჯავახეთში, აფხაზეთსა და სამეგრელოში.

მთლიანობაში, შეიძლება დაეასკვნათ, რომ საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუცია პირდაპირი ანარეკლია

ცხრილი 20

სოვის დაბერების ინდექსის ცვლილება საქართველოს მხარეებში 1970-1989 წწ[1].

მხარეები	1970	1979	1989	1989 შეფარდება 1970-თან
კახეთი	37,1	43,9	56,2	1,51
თბილისი	36,7	37,8	42,8	1,16
ქვემო ქართლი	17,2	20,1	26,9	1,56
შიდა ქართლი	30,0	30,7	45,7	1,52
მცხეთა-მთიანეთი	34,8	38,4	50,8	1,46
სამცხე-ჯავახეთი	20,6	24,9	35,4	1,72
იმერეთი	33,9	40,1	52,8	1,56
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	52,1	75,7	111,6	2,14
სამეგრელო-მესტია	30,9	38,6	49,5	1,60
გურია	41,8	49,5	59,7	1,43
აფხაზეთი	28,6	36,7	47,6	1,66
აჭარა	21,9	24,2	29,3	1,34

[1] შედგენილია მოსახლეობის საკავშირო აღწერების მასალების მიხედვით.

სოციალურ-ეკონომიკური და ეთნო-დემოგრაფიული მოვლენების განვითარების თავისებურებებისა, რომლებიც დემოგრაფიული გადასვლის პროცესში განსხვავებულად მოქმედებენ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურების განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, შრომითი რესურსების ფორმირება, როგორც მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების შედეგი და შრომითი პოტენციალის რაოდენობრივ-ხარისხობრივი ზრდის გამოხატულება, განისაზღვრება იმ სპეციფიკით, რომელიც რეგიონულ-დემოგრაფიული სტრუქტურების ცვლილებებს ახასიათებს.

შრომითი პოტენციალის შეფასებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვების, შრომის ასაკისა და საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობათა თანაფარდობების ცვლილებებს, ე. წ. დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვების გაანალიზებას. როგორც მთელი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზის დროს, აქაც ძირითადი ტენდენციაა მთელ მოსახლეობაში შრომის ასაკს მიღწეველი კონტინგენტის ხვედრითი წონის კლება და საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონის მომატება (ცხადია, შრომის ასაკის უცვლელობის პირობებში). ამასთან, დემოგრაფიული ტალღიანობა, რომელიც დამახასიათებელია ასაკობრივი პირამიდებისათვის, გავლენას ახდენს შრომის ასაკის კონტინგენტის შიგა ასაკობრივ სტრუქტურულ ცვლილებებზე.

სტატისტიკური ინფორმაცია საშუალებას იძლევა, მოვახდინოთ შრომის ასაკის, შრომის ასაკამდელი და საპენსიო ასაკის ჯგუფების ურთიერთთანაფარდობის ანალიზი (ცხრილი 21). როგორც ვხედავთ, პერიოდების მიხედვით შრომის ასაკის მოსახლეობის წილი 50,3 - 56,8 პროცენტის ფარგლებში ეარირებს. მთლიანობაში ბავშვების წილი მცირდება, ხოლო საპენსიო ასაკის მოსახლეობისა იზრდება. მდედრობითი სქესის მოსახლეობაში ბავშვებისა და საპენსიო ასაკის ხვედრითი წონები თითქმის გათანაბრდა, მაშინ, როცა განხილული პერიოდის დასაწყისში (1939 წ.) ბავშვები სამჯერ აღემატებოდნენ 54 წელს გადაცილებულ ქალთა თაობას.

1939-1993 წწ. ბავშვების რიცხოვნობა არ გაზრდილა, მაშინ როცა შრომის ასაკს გადაცილებული მოსახლეობის რიცხოვნობამ 2,7-ჯერ მოიმატა, მილიონს გადააჭარბა; შრომისუნარიანი ასაკის კონტინგენტის ხვედრითი წონის სტაბილურობის პირობებში ასეთი განაწილება გასათვალისწინებელია მათი ასაკობრივი მოხმარებისა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის თვალსაზრისით. როგორც შემდგომში დავინახავთ, ასეთი მიდგომა გვხვდება ბევრ უცხოურ გამოკვლევაში, თუმცაღა ჩვენი ერის ტრადიციებიდან გამომდინარე, მათი გაანგარიშებები ჩვენთვის ყოველთვის ვერ გამოდგება.

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დატვირთვა მოძრავია. იგი გამოიხატება ერთ შრომისუნარიანზე მოსული ბავშვებითა და საპენსიო ასაკის

ცხრილი 21

საქართველოს მოსახლეობის შრომითი სტრუქტურის ევოლუცია 1939-1993 წწ.[1]

მოსახლეობის კონტინგენტი	მოსახლეობის რიცხოვნობა, ათასი კაცი						ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების ხვედრითი წონები (პროცენტობით ჯამის მიმართ)					
	1939	1959	1970	1979	1989	1993[2]	1939	1959	1970	1979	1989	1993[2]
ორივე სქესი - სულ	3540	4044	4674	4993	5401	5405	100	100	100	100	100	100
მათ შორის: 0-15 წ.	1378	1221	1521	1398	1423	1386	38,9	30,2	32,5	28,0	26,3	25,6
შრომის ასაკში	1781	2269	2454	2837	3039	2993	50,3	56,1	52,5	56,8	56,3	55,4
საპენსიო ასაკში	380	553	695	753	939	1025	10,8	13,7	15,0	15,2	17,4	19,0
მამაკაცები - სულ	1765	1865	2195	2339	2562	2575	100	100	100	100	100	100
მათ შორის: 0-15 წლის	703	624	775	706	725	709	39,8	33,4	35,3	30,2	28,3	27,5
შრომის ასაკში	913	1055	1200	1407	1549	1532	51,7	56,6	54,8	60,2	60,4	59,5
საპენსიო ასაკში	149	186	218	224	288	334	8,5	10,0	9,9	9,6	11,3	13,0
ქალები - სულ	1775	2179	2479	2654	2839	2830	100	100	100	100	100	100
მათ შორის: 0-15 წლის	675	597	746	692	698	677	38,0	27,4	30,1	26,2	24,6	24,0
შრომის ასაკში	868	1214	1254	1430	1491	1461	48,9	55,7	50,6	53,9	52,5	51,6
საპენსიო ასაკში	231	367	477	529	650	691	13,1	16,9	19,3	19,9	22,9	24,4

[1] შედგენილია მოსახლეობის აღწერების მასალების საფუძველზე.
[2] გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პირველადი მასალის მიხედვით.

მოსახლეობის რიცხვით. 1939-1993 წწ. მისი ცვლილება ასეთ სურათს იძლევა (ცხრილი 22).

ე. როსეტის კლასიფიკაციით, ყოველ 100 შრომისუნარიანზე თუ მოდის 60-ზე ნაკლები არაშრომისუნარიანი - ეკონომიკური დატვირთვა „ძლიერ დაბალია", 60-80-მდე - ითვლება „დაბალ" დატვირთვად, 80-120-ის ფარგლებში - „საშუალო" დატვირთვად, 120-160 - „დიდ" დატვირთვად, ხოლო 160-ზე მეტი - „ძლიერ" დატვირთვად.

ამ სკალით საქართველოს მოსახლეობა უკანასკნელ ხანს „საშუალო" დატვირთვის ქვედა საზღვარზეა[1]. შრომის ასაკის მოსახლეობის ბავშვებით დატვირთვის კოეფიციენტი 1,7-ჯერ შემცირდა. პერიოდების მიხედვით თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ 1959 წლისათვის აღნიშნული კოეფიციენტი შემცირებულია მეორე მსოფლიო ომის ზეგავლენით, ხოლო 1970 წლისათვის

ცხრილი 22

შრომის ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები 1939-1993 წწ.[2]

დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები	1939	1959	1970	1979	1989	1993[3]
ყოველ 100 შრომის ასაკის პირზე მოდის არაშრომისუნარიანი ასაკის პირი:						
სულ:	98,4	78,2	90,3	75,8	77,7	80,5
მათ შორის: 16 წლამდე ბავშვები	77,0	53,8	62,0	49,3	46,8	46,3
საპენსიო ასაკის მოსახლეობა	21,3	24,4	28,3	26,5	30,9	34,2
დატვირთვის სტრუქტურა: სულ	100	100	100	100	100	100
ბავშვები 16 წლამდე	78,3	68,8	68,6	65,0	60,2	57,5
საპენსიო ასაკის მოსახლეობა	21,7	31,2	31,4	35,0	39,8	42,5

[1] Нетрудоспособное население: социально-демографические аспекты. М.: Наука, 1985, с.25.

[2] შედგენილია მოსახლეობის საკავშირო აღწერების მასალების საფუძველზე.

[3] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში არსებული პირველადი მასალის მიხედვით.

ბავშვებით დატვირთვა კელავ ამაღლდა, შემდგომ კი უკვე განუხრელად მცირდება.

რაც შეეხება საპენსიო ასაკის მოსახლეობის დატვირთვას, იგი დემოგრაფიული დაბერების კვალობაზე განუხრელად მატულობს. 90-იან წლებში დაიწყო ბავშვების რიცხოვნობის აბსოლუტური შემცირება და მაღალი შობადობის წლებში დაბადებულთა პენსიაზე გასვლა. ამან შეამცირა შრომის ასაკის კონტინგენტი. მაგ., 1989-1993 წწ. ეს კონტინგენტი 46 ათასი კაცით (1,5%-ით) შემცირდა, ხოლო საპენსიო ასაკის მოსახლეობა 86 ათასი კაცით (9,2%-ით) გაიზარდა.

დიდი ცვლილებები მოხდა დატვირთვის შიგა სტრუქტურაში. თუ 1939 წელს ბავშვები 3,6-ჯერ აღემატებოდნენ რიცხობრივად საპენსიო ასაკის მოსახლეობას, დემოგრაფიული დაბერების გამო 1989 წლისათვის მხოლოდ 1,5-ჯერ ჭარბობენ, ხოლო უკვე 1993 წლისათვის - 1,35-ჯერ. საპენსიო ასაკის მოსახლეობით შრომის ასაკის მოსახლეობის დატვირთვის ზრდა მსოფლიო მოვლენაა. მაგ., როგორც ზოგი ვარაუდობს, შესაძლოა, პენსიონერთა რიცხვმა გერმანიაში 2025 წლისათვის მომუშავეთა რაოდენობას გადააჭარბოს[1].

ზოგიერთი მეცნიერის გამოთვლებით საპენსიო ასაკის თაობის ერთი პირის შესანახი ხარჯი სჭარბობს ერთი ბავშვის შესანახ ხარჯს. ასეთი გამოთვლები ე. ვალკოვიჩმა უნგრეთში, ხოლო ე. როსეტიმ პოლონეთში ჩაატარა დიდძალი ემპირიული გაანალიზების საფუძველზე[2]. ა. სოვი მიუთითებს ა. კოულისა და ჯ. დემენის სტაბილური მოსახლეობის ცხრილებს, სადაც ერთი მოხუცის შესანახი ხარჯი საშუალოდ 20-25%-ით მეტია ერთი ბავშვის შესანახ ხარჯზე[3]. ა. კვაშას გამოთვლილი აქვს ბავშვების შენახვაზე ლანახარჯები[4]. უნდა ითქვას, რომ ამგვარი გამოთვლები ჩვენს სინამდვილეში, საქართველოსათვის შესაძლოა, მხოლოდ საორიენტაციოდ გამოდგეს. შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ჩვენში საპენსიო ასაკის თაობისათვის განკუთვნილი სახსრების გადანაწილებას უმცროს თაობებზე (პენსია, სხვა შემოსავლები), რაც ჩვენი ოჯახურ ტრადიციებითა და, საერთოდ, ერის ფსიქოლოგიის თავისებურებითაა განსაზღვრული[5]. ჰიპოთეზის დონეზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ

---

[1] Трудовой мир. Изд. МОТ. 1995, N 2, с. 9.

[2] Валькович Э. О. О некоторых методологических аспектах определения целей политики народонаселения. В сб.: Проблемы народонаселения. М.: Прогресс, 1977, с. 70. Россет Э. Процесс старения населения. М.: Статистика, 1968, с. 339-340.

[3] Сови А. Экономические трудности и преимущества роста населения. В сб.: Проблемы народонаселения. М.: Прогресс, 1977, с. 196-197.

[4] Кваша А. О демографической политике и расходах семьи на детей. В сб.: Городская и сельская семья. М.: Мысль, 1987, с. 197-212.

[5] Тухашвили М. Социально-демографические проблемы населения третьего возраста в Груз. ССР. В кн.: Население третьего возраста М.: Мысль, 1986, с. 224-232.

20-59 წლის მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება საქართველოს მხარეებში, პროცენტობით

საქართველოს მხარეები	ასაკობრივი ინტერვალი, წელი								
	1970				1 989				სულ
	20-29	30-39	40-49	50-59	20-29	30-39	40-49	50-59	
კახეთი	22,3	32,2	27,6	17,9	28,5	26,3	19,5	25,7	100
თბილისი	27,5	30,9	24,5	17,1	30,9	27,8	20,6	20,7	100
ქვემო ქართლი	26,8	35,6	24,4	13,2	35,7	28,1	16,6	19,6	100
შიდა ქართლი	24,5	33,8	25,8	15,9	30,5	25,3	19,5	24,7	100
მცხეთა-მთიანეთი	23,8	33,1	26,2	16,9	30,7	25,5	19,3	24,5	100
სამცხე-ჯავახეთი	23,5	36,9	26,7	12,9	32,3	26,4	16,5	24,8	100
იმერეთი	23,2	32,8	27,2	16,8	29,3	26,7	19,5	24,5	100
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	20,5	30,2	28,4	20,9	24,2	22,8	20,2	32,8	100
სამეგრელო-ზ.სვანეთი	26,0	31,6	25,2	17,2	28,9	27,9	20,5	22,7	100
გურია	21,7	32,2	27,3	18,8	28,2	26,7	19,7	25,4	100
აფხაზეთი	24,6	32,0	26,3	17,1	29,0	28,4	19,6	23,0	100
აჭარა	29,4	31,3	23,3	16,0	33,5	26,9	19,9	19,7	100
საქ. სოფლის მოსახ.	24,4	33,2	25,7	16,7	31,6	25,2	18,4	24,8	100
საქ. ქალაქის მოსახ.	25,9	31,9	25,8.	16,4	30,1	28,7	20,2	21,0	100
სულ საქართველო	25,2	32,5	25,8	16,5	30,7	27,2	19,4	22,7	100

საქართველოში ერთი შრომის ასაკამდე მიუღწეველი ბავშვის მოხმარება სჭარბობს ერთი მოხუცის მოხმარების სიდიდეს, ხანდახმული თაობა ჩვენში უფრო რენტაბელურია, ვიდრე, ვთქვათ, ევროპის ქვეყნებში. ამას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომელიც ცალკე მსჯელობის საგანია. საერთოდ კი, ასაკობრივი მწარმოებლურობისა და მოხმარების მეცნიერულ შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროცესის კვლევაში. იგი მომავლის საქმეა. ამჟამად, ეკონომიკური კრიზისის დროს მისი შესწავლა შეუძლებელია.

შრომითი პოტენციალის ფორმირებაში მნიშვნელოვანია შრომისუნარიან კონტინგენტში შიგაასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციის დახასიათება და მისი რეგიონული თავისებურებების დაფიქსირება. ასაკობრივი განვითარების უთანაბრობის გამო მას მკაცრად გამოხატული ტენდენციის სახე არა აქვს. 1970 და 1989 წლებში საქართველოს მოსახლეობის 20-59 წლის კონტინგენტის შიგაასაკობრივი სტრუქტურების შედარება გვიჩვენებს, რომ მასში 40-60 წლის კონტინგენტის ხვედრითი წონა არ გაზრდილა (ცხრილი 23). რაც შეეხება მხარეებს, აქ შეიმჩნევა მეტ-ნაკლები ცვლილებები. რეგრესული განვითარება აქვს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მოსახლეობის 20-59 წლის კონტინგენტს, აგრეთვე, შიდა ქართლს; პროგრესული - ქვემო ქართლს.

აღნიშნულ პერიოდში უკლებლივ ყველა მხარეში გაზრდილია 20-29 წლის მოსახლეობის ხვედრითი წონა, ასევე უკლებლივ ყველა მხარეში შემცირებულია 30-39 წლის მოსახლეობის ხვედრითი წონა.

ყველა მხარეში საგრძნობლად შემცირდა 40-49 წლის მოსახლეობის ხვედრითი წონა, ასევე საგრძნობლად გაიზარდა 50-59 წლის კონტინგენტის წილი.

საერთო შეფასებითაც, განხილულ პერიოდში და შემდგომაც შრომითი რესურსების შიგა ასაკობრივ სტრუქტურას მნიშვნელოვანი რეგრესული დეფორმაცია არ განუცდია. ამჟამად, პენსიაზე გადის მაღალი შობადობის დროს დაბადებული თაობა, რაც ჯერჯერობით არ გააუარესებს ასაკობრივ შემადგენლობას.

შრომითი კონტინგენტის ასაკობრივი სტრუქტურის საგრძნობი გაუარესება მოსალოდნელია მომავალში, რასაც შრომითი პოტენციალის რაოდენობრივი მახასიათებლების პროგნოზული გაანგარიშებისას აღენიშნავთ.

§ 6. საქართველოს მოსახლეობის პროგნოზული გაანგარიშებანი

დემოგრაფიული პროგნოზის შესახებ ბევრი დაწერილა, პროგნოზის მნიშვნელობა განუზომელია. მოსახლეობის პროგნოზი ყოველგვარი სოციალურ- ეკონომიკური პროგნოზის საფუძველი ან შემადგენელი ნაწილია.

არსებობს საკმაოდ დახვეწილი მეთოდები მოსახლეობისა და მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების, მათ შორის, შრომითი რესურსების პერსპექტიული რიცხოვნობისა და სტრუქტურის გასაანგარიშებლად.

ყველაზე მეტი სიძნელე დემოგრაფიულ პროგნოზს მაშინ ახლავს, როცა პროგნოზისათვის საწყისი ინფორმაცია არაზუსტია. პროგნოზირება ძნელდება მაშინაც, როცა ირღვევა სტაბილური დემოგრაფიული განვითარება მისი შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორების გამო.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საყოველთაო კრიზისმა მეტისმეტად გაართულა ყოველგვარი სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირება. ეს მარტო საქართველოში არ მომხდარა. იგი მთელი პოსტკომუნისტური სივრცისათვისაა ამჟამად დამახასიათებელი. მაგ., რუსეთში დემოგრაფიის საკითხებზე მიძღვნილი კონფერენციის მომხსენებელთა დიდი ნაწილი თითქმის შეუძლებლად თვლიდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გაურკვევლობის პირობებში დემოგრაფიულ პროგნოზირებას[1].

საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ძნელია, განჭვრიტო და გაიანგარიშო ათეული წლების შემდგომი ვითარება, მაგრამ ასეთ სიტუაციაში თვით უხეში მიახლოებითობა და ზოგადი ტენდენციის დანახვაც კი ფასს იძენს. ჩვენთვისაც ძნელია, დემოგრაფიული განვითარების რეტროსპექტული ანალიზის შემდგომ გვერდი ავუაროთ და არ ვცადოთ ზოგიერთი პროგნოზული გაანგარიშება, თუნდაც დაბალი ალბათური მიახლოებით.

როგორც აღვნიშნეთ, დემოგრაფიული პროგნოზირების მეთოდები საკმაოდ კარგადაა შემუშავებული. პერსპექტიული გაანგარიშებისათვის ხელსაყრელად მიგვაჩნია მოსახლეობის პროგნოზირება ცნობილი ასაკგადანაცვლების მეთოდის გამოყენებით. იგი საშუალებას იძლევა, გამოთვლები ვაწარმოოთ რეალური მოსახლეობისათვის თვით ცვალებადი კელავწარმოებითი რეჟიმის პირობებში.

რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, მოგვიწევს, გაანგარიშებანი ვაწარმოოთ უფრო მეტი დაშვებებით, ვიდრე სტაბილური დემოგრაფიული განვითარების დროს. მართლაც, შეუძლებელი თუ არა, უკიდურესად ძნელია

---

[1] Галецкий В. Демографическая ситуация в России. Экономист, ,1993, N 5, с. 94-96.

პერსპექტიული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით; თანაც არა მარტო ჩვენ'ში, არამედ მესობელ ქვეყნებშიც. სულ რაღაც 7-8 წლის წინათ ამჟამინდელი დემოგრაფიული სიტუაციის პროგნოსირება ჩვეულებრივ გამოკვლევებში თითქმის გამორიცხული იყო. და თუ ჩვენ მიერ დღეანდელი პროგნოსული დაშვებები ნაწილობრივ მაინც გამართლდა, ესეც წარმატებად მიგვაჩნია.

ძირითადი სიძნელეები შემდეგია: ა) შობადობის და, საერთოდ, მოსახლეობის კელაეწარმოების რეჟიმის ცვლილებათა განსასღვერა; ბ) მიგრაციის მიმართულებათა, ინტენსიურობისა და მიგრანტთა ნაკადების სტრუქტურის ცვლილებების განსაზღვერა; გ) მოსახლეობის სიკვდილიანობის ცვლილებათა განსასღვერა. თუ დღემდე არსებულ პროგნოზებში უფრო რთული იყო შობადობის დონის პროგნოსირება, აჟამად ყველა პარამეტრი მეტისმეტად ცვალებადია, და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამო ნაკლებად ექვემდებარება მკაცრად ჩამოყალიბებულ ტენდენციად გამოხატვას.

ამჟამინდელი სტატინფორმაციისა და სამუშაოთა დიდი მოცულობის გამოც პროგნოზული გაანგარიშებანი 5 წლიანი ასაკობრივი ინტერვალებით ვაწარმოეთ. პროგნოზმა მოიცვა 1990-2010 წწ. უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წლამდე დემოგრაფიული პროგნოზი საქართველოს მოსახლეობისათვის არსებობდა, თუმცა იგი საყოველთაო კრიზისამდე გაკეთდა, და, ბუნებრივია, გამოთვლებში ვერ გაითვალისწინებდნენ შემდგომი პოლიტიკური კატაკლიზმებით გამოწვეული დემოგრაფიული კრიზისის შედეგებს. მიუხედავად ამისა, ხსენებულ პროგნოზის ზოგიერთ მაჩვენებელს ახლაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

რაკი პროგნოზული გაანგარიშების ჰიპოთეზური მხარე გაფართოვდა, კონკრეტულად შევეხებით იმ პრინციპულ დაშვებებს, რომელიც საფუძვლად ედება ჩვენს გაანგარიშებებს:

ა) შობადობა, რომელიც შემცირებულია 1991-1995 წლებში, 1996 წლებიდან დაიწყებს ზრდას და საკომპენსაციო ფაქტორის გათვალისწინებით 2000 წლისათვის მიაღწევს სტაბილურ მდგომარეობას. იგი ამ პერიოდისათვის მაინც დაბალი იქნება 1990-1991 წლის დონესთან შედარებით. შობადობის რეალურ დონეში რეგიონულ-ეთნიკური გამოთანაბრების ამჟამინდელი სურათი უფრო დიფერენცირებული სახით წარმოგვიდგება, თუმცა დიფერენციაციის ხარისხი ვერ მიაღწევს საპროგნოზო პერიოდის საწყის დონეს. ეს ჰიპოთეზა ეყრდნობა როგორც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის ანალიზს, ისე სხვა ქვეყნების მოსახლეობის კრიზისული და შემდგომი პერიოდის დემოგრაფიული ქცევის გამოცდილებას. კრიზისის გავლენით დემოგრაფიული გადასვლის პროცესის დამთავრება დაჩქარდება. ხოლო მოსახლეობის რიცხოვნობა სტაბილიზდება უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე იგი უკრიზისო განვითარებით იქნებოდა.

ბ) მოსახლეობის მიგრაციის უარყოფითი სალდოს ინტენსიობა, რომელიც 1991-1995 წწ. მატულობდა, შენელდება, 1996-2000 წწ. საქართველოდან სხვა ქვეყნებში საცხოვრებლად წავა უფრო ნაკლები მოსახლეობა, ვიდრე წინა ხუთ წელიწადში. ამის მიზეზი იქნება პოტენციური მიგრანტთა მასის შემცირება უკვე განხორციელებული მიგრაციული კლების გამო და საქართველოში ეკონომიკური ზრდისა და, შესაბამისად, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების დაწყება.

პროგნოზისათვის გასათვალისწინებელი ცვლილება იქნება მიგრანტთა ნაკადში ახალგაზრდობის წილის ზრდა. 2000 წლამდე პერიოდში გამოსარიცხია რომელიმე ქვეყანასთან მიგრაციულ მიმოცვლაში დადებითი სალდოს გაჩენა. სავარაუდოა, შემდგომ პერიოდშიც ამუამინდელთან შედარებით უფრო ნაკლები ინტენსიობის უარყოფითი მიგრაციული სალდოს შენარჩუნება;

გ) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების მიუხედავად, იძულებული ვართ, დავეყრდნოთ ასაკობრივი სიკვდილიანობის საფუძველზე გაანგარიშებულ სიკვდილიანობის ცხრილებს. ისინი, თავის მხრივ, გაანგარიშებულია რეალური მოსახლეობის საფუძველზე და, ჩვეულებრივ, იყენებენ ჰიპოთეზური გაანგარიშების დროსაც იმ შემთხვევაში, როცა არა აქვთ სიკვდილიანობის ჰიპოთეზური ცხრილები.

პროგნოზულ გაანგარიშებაში ნაგულისხმევია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მშვიდობიანი გზით და გამორიცხულია ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ესკალაციით მოსახლეობის პირდაპირი დანაკარგები. ნაგულისხმევია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ლტოლვილთა სრული დაბრუნება და კონფლიქტამდელი დემოგრაფიული სურათის მაქსიმალური აღდგენა.

აღნიშნული დაშვებებით, რომელიც კონკრეტიზებულია პროგნოზულ გაანგარიშებათა შედეგებში, ასაკგადანაცვლების მეთოდის გამოყენებით მივიღეთ მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობა 2010 წლამდე პერიოდისათვის და მისი სქესობრივ-ასაკობრივი განაწილება (ცხრილი 24).

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება 2010 წლამდე პერიოდში გამოიხატება 20 წლამდე კონტინგენტის ყველა ასაკობრივ ინტერვალში შემცირებით და 70 წელს გადაცილებული კონტინგენტის ასევე ყველა ასაკობრივ ინტერვალში აშკარა მატებით.

მოსახლეობის პროგნოზულ განაწილებაში აისახა ის ძვრები, რომლებიც დემოგრაფიულმა სტრუქტურებმა განიცადეს 90-იანი წლების დემოგრაფიული კრიზისისა და მოსალოდნელი დემოგრაფიული განვითარების დროს (ნახ. 3).

საქართველოს მუდმივი მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა 2000 წლამდე პერიოდში კიდევ უფრო შემცირდება, 1995 წლის რიცხოვნობაზე 15,7 ათასით ნაკლები იქნება. 2000 წლის შემდგომი პერიოდი აღინიშნება მოსახლეობის

მატებით, რასაც გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოს ინტენსიეობის თანდათანობითი შემცირება და შობადობის დონის სტაბილიზაცია განაპირობებს.

2000 წლის შემდგომ შობადობის დონეში ეთნიკურ-კონფესიური განსხვავებები თანდათან შემცირდება: მოხდება შობადობის დონეთა დაახლოება. საქართველოს მოსახლეობა კიდევ უფრო დაუახლოვდება სტაციონარულ მდგომარეობას. საეარაუდოა, რომ ამ დროისათვის მაღალი შობადობის მქონე არააბორიგენთა საერთო რიცხოვნობა სტაბილიზდება. არც მათი რიცხოვნობის შემცირების პროცესის დაწყება უნდა გამოირიცხოს, რაც გამოიხატება:

ცხრილი 24

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა 1995-2010 წწ. (მოცემული წლის 1 იანვრისათვის, კაცი)[1]

ასაკობრივი ინტერვალი	1990	1995	2000	2005	2010
0-4	449708	373680	325391	389016	356360
5-9	453674	445542	370669	323196	386927
10-14	426960	449264	442451	368645	321758
15-19	405620	421022	445021	439492	366538
20-24	399664	393072	412253	438904	434915
25-29	449750	385424	383026	404959	433098
30-34	436338	429834	371728	372664	397220
35-39	377634	414867	414550	360350	364000
40-44	314962	357671	399571	402093	350865
45-49	226177	299285	344607	387573	391606
50-54	366231	213153	286116	332045	374361
55-59	291793	345677	200873	272433	316888
60-64	306722	263429	315493	184167	250749
65-69	197061	268169	231189	279358	163007
70-74	116911	165358	226360	195961	237512
75-79	103333	90794	129564	177774	154004
80-84	58895	71033	62746	89380	122284
86 და ზევით	40219	46107	56047	49979	70561
სულ	5421652	5433381	5417655	5467989	5492653

[1] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ ასაკგადანაცვლების მეთოდის გამოყენებით.



ნახ. 3. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი პირამიდები 1990-2010 წწ.

ა) მკვიდრ მოსახლეობასთან შედარებით მათი უფრო ინტენსიური ემიგრაციით საზღვარგარეთ;

ბ) ბუნებრივი მატების მაჩვენებლის შემცირებით;

გ) გაქართველების ბუნებრივი პროცესით.

საეჭვოდ ითვლება, რომ ახალშობილებში საქართველოს აბორიგენი მოსახლეობის ხვედრითი წონა არანაკლებ 78-80%-ს ფარგლებში სტაბილიზდება. ხოლო შემდგომ, თანდათან ქართველი მოსახლეობა გადასცილდება 80%-იან ზღვარს, რაც სტაბილურს გახდის ეთნოპოლიტიკურ სიტუაციასაც. ეს მყარ დასაყრდენს შეუქმნის ტოლერანტული ტრადიციების ქართველ ერს, რათა უფრო გაბედულად იფიქროს ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიკურ, კულტურულ ზრდაზე და თვით მათი პოლიტიკური თანისთანადობის კიდევ უფრო სრულყოფაზე.

უნდა ვიფიქროთ, რომ აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების მეოხებით ქართველთა რიცხოვნობა 2010 წლის შემდგომ შეინარჩუნებს ნელი ზრდის ტენდენციას. ჩვენი ვარაუდით, უფრო შორეულ პერსპექტივაშიც, რამდენიმე ათწლეულის შემდგომაც საქართველოს მოსახლეობა არ გადააჭარბებს 6 მილიონს, მათ შორის 5 მილიონ ქართველს.

რაც შეეხება ძირითად ასაკობრივ ჯგუფებს, პროგნოზული გაანგარიშებით, თანდათან მოიკლებს 0-14 წლის ბავშვების როგორც აბსოლუტური რიცხოვნობა, ისე მისი წილი მთელს მოსახლეობაში. 2010 წლისათვის აღნიშნული კონტინგენტი 265,3 ათასით, ანუ 19,9%-ით ნაკლები იქნება 1990 წლის რიცხოვნობაზე (ცხრილი 25) 60 წლის და უხნესი კონტინგენტი ჯერ

ცხრილი 25

მოსახლეობის ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების ცელილება 1990-2010 წწ.

ასაკობრივი ჯგუფი, წელი	1990	1995	2000	2005	2010
0-14	1330342	1268486	1138511	1080857	1065045
15-59	3268169	3260005	3257745	3410513	3429491
60 და მეტი	823141	904890	1021399	976619	998117
სულ	5421652	5433381	5417655	5467989	5492653
		პ რ ო ც ე ნ ტ უ ლ ა დ			
0-14	24,5	23,3	21,0	19,8	19,4
15-59	60,3	60,0	60,1	62,3	62,4
60 და მეტი	15,2	16,7	18,9	17,9	18,2
სულ	100	100	100	100	100

მოიმატებს, 2000 წლისთვის ძიალწევს მაქსიმუმს; ხოლო შემდგომი ათწლეულის პირველ ნახევარში ჯერ მოიკლებს, მეორე ნახევარში კი თანდათან ისევ მატებას დაიწყებს. აღნიშნულ დინამიკაში აისახება დემოგრაფიული ვითარების ყველა ძირითადი მომენტი, რომელიც კი მეორე მსოფლიო ომის ზეგავლენით დააჩნდა მოსახლეობის დემოგრაფიულ განვითარებას.

2010 წლისათვის ბავშვების და 60 წელზე უხნეს კონტინგენტებს შორის სხვაობა მინიმუმამდე (67 ათასი კაცი) შემცირდება. იმავდროულად 15-59 წლის მოსახლეობა მიაღწევს მაქსიმუმს როგორც აბსოლუტურად (3,43 მლნ), ისე მთელ მოსახლეობაში ხვედრითი წონით (62,4%).

თუ ა. სოვის დაბერების ინდექსების გამოყენებას შევაფასებთ, ამჟამად საკმაოდ სწრაფად ხდება საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება (ცხრილი 26).

დაბერების პროცესი ვითარდება როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში. 2010 წლისათვის ქალთა უპირატესი დაბერება თითქმის მთლიანად მათი სიცოცხლის მეტი საშუალო ხანგრძლივობით იქნება განპირობებული. მეორე მსოფლიო ომის გაელენა, რომელიც აქამდე ზემოქმედებდა, თანდათან გაქრება. თუ 2000-2005 წწ. დაბერების ტემპი სტრუქტურული ფაქტორების გაელენით დაეცემა, შემდგომ იგი აშკარად მატულობს, ა. სოვის მიხედვით, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა პროგრესული ტიპისა რჩება, თუმცა 1990-2010 წწ. დაბერების ინდექსი 1,5-ჯერ იზრდება.

საინტერესო ცვლილებები მოხდება მოსახლეობის შრომით სტრუქტურაში. ეს ცვლილებები გამოწვეული იქნება როგორც დემოგრაფიული ვითარების

ცხრილი 26

სოვის დაბერების ინდექსების ცვლილება 1990-2010 წწ. (60 წლის და უხნესი მოსახლეობის შეფარდება 20 წ-მდე მოსახლეობის რიცხოვნობასთან, პროცენტობით).

მოსახლეობის კონტინგენტი	1990	1995	2000	2005	2010	2010 წ. შეფარ-დება 1990 წელთან
მამაკაცები	35,1	41,0	50,2	49,8	54,1	1,54
ქალები	60,3	66,7	79,6	79,6	86,2	1,43
სულ	47,4	53,6	64,2	64,2	69,7	1,47

ცვალებადობით, ისე შრომის საკანონმდებლო აქტებით. კერძოდ, საპენსიო ასაკის 5 წლით გასრდით. ამით მყისიერად შეიცვალა შრომისა და საპენსიო ასაკის მოსახლეობის თანაფარდობა (ცხრილი 27).

ცხრილი 27

საქართველოს მოსახლეობის შრომითი სტრუქტურის პროგნოზული, გაანგარიშება, პროცენტობით ჯამთან.

მოსახლეობის კონტინგენტი	1990	2000	2010
ორივე სქესი - სულ	100	100	100
მათ შორის: 0-15 წლის	26,0	22,7	20,7
შრომის ასაკში	55,9	61,0	65,7
საპენსიო ასაკში	18,1	16,3	13,6
მამაკაცები - სულ	100	100	100
მათ შორის: 0-15 წლის	28,0	24,4	22,2
შრომის ასაკში	59,9	65,2	66,9
საპენსიო ასაკში	12,1	10,4	10,9
ქალები - სულ	100	100	100
მათ შორის: 0-15 წლის	24,3	21,1	19,4
შრომის ასაკში	52,3	57,2	64,5
საპენსიო ასაკში	23,4	21,7	16,1

15-59 წლის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება 1990-2010 წწ. მხოლოდ 161 ათასი კაცია. შრომის ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდითა და ნორმატიული აქტებით მატება 576 ათასია. რომ არ ყოფილიყო შრომის ასაკში ყოფნის პერიოდის გაზრდა, იგი მაინც მოიმატებდა 294 ათასი კაცით.

შრომითი კონტინგენტების ზრდის პარალელურად შემცირდება შრომის ასაკამდელი და საპენსიო ასაკის კონტინგენტების როგორც აბსოლუტური რიცხოვნობა, ისე ხვედრითი წონებიც. აქ მეტად საგულისხმოა 2000 წლის შემდგომი ცვლილებები. საპენსიო ასაკში მყოფი მამაკაცების აბსოლუტური რიცხოვნობა იზრდება 199 ათასი კაცით, ქალებისა კი, პირიქით, კლებულობს 155,1 ათასით. მიმდინარეობს ასაკობრივ სტრუქტურაზე მეორე მსოფლიო ომის პირდაპირი ზეგავლენის ლიკვიდაცია, რაც ადრე ყოველთვის სქესობრივი დისპროპორციულობით გამოიხატებოდა.

შრომის ასაკის ზედა საზღვრის 5 წლით მომატება საგრძნობ ცვლილებებს შეიტანს შრომის ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლებში (ცხრილი 28).

შრომის ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები 1990-2010 წწ.

დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები	1990	2000	2010
ყოველ 100 შრომის ასაკის პირზე მოდის არაშრომისუნარიანი ასაკის პირი - სულ	79	64	53
მათ შორის: 16 წლამდე ბავშვები	47	37	32
საპენსიო ასაკის მოსახლეობა	32	27	21
დატვირთვის სტრუქტურა - სულ	100	100	100
ბავშვები 16 წლამდე	59,1	58,2	60,4
საპენსიო ასაკის მოსახლეობა	40,9	41,8	39,6

საპროგნოზო პერიოდში 1990 წელთან შედარებით შრომის ასაკის ყოველ 100 პირზე არაშრომისუნარიანებით დატვირთვა 26 კაცით შემცირდება. შემცირებას განიცდის როგორც ბავშვებით, ისე პენსიონერებით დატვირთვები. ამ უკანასკნელის შემცირებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებითი ზეგავლენა შრომის ასაკის საკანონმდებლო ცვლილებებმაც განსაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ დატვირთვის სტრუქტურა არსებით ცვლილებებს არ განიცდის, ფაქტობრივად იგივე დარჩება. 16 წლამდე ბავშვების წილი არაშრომისუნარიან მოსახლეობაში 60%-ის ფარგლებში ვარირებს (მცირედ იზრდება), ხოლო პენსიონერებისა - 40%-ის ფარგლებშია ოდნავი შემცირებით. სტრუქტურის სტაბილურობას შრომის ასაკის მომატება განაპირობებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დატვირთვაში სტრუქტურული სტაბილურობა აადვილებს სხვადასხვა სოციალური პროგრამების განხორციელებას.

§ 7. მოსახლეობის შრომითი პოტენციალის დემოგრაფიული შეფასება

შრომითი პოტენციალის ფორმირების დემოგრაფიული ფაქტორები მთლიანობაში ჯგუფდებიან გარკვეული სისტემატიზაციით, რომელიც საშუალებას იძლევა, მოიძებნოს საკმაოდ დიდი მომცველობის სინთეზური მაჩვენებლები. მასში აისახება შრომითი პოტენციალის დემოგრაფიული სისტემა მთლიანობაში.

მოსახლეობის ისეთი დემოგრაფიული მახასიათებლები, როგორიცაა შობადობა, ასაკობრივი სიკვდილიანობა და რიცხოვნობა, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ცალკეული სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების ეკონომიკური აქტიურობა, შრომისუნარიანი კონტინგენტების ურთიერთთანაფარდობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა აყალიბებენ შრომითი პოტენციალის სიდიდესა და სტრუქტურას. იგი შეიძლება გამოვსახოთ კაც-წლებში, რაშიც გაერთმნიშვნელიანდება თაობათა დემოგრაფიული სტრუქტურის განვითარების არსებითი მომენტები.

პოტენციალური დემოგრაფიის მეთოდების გამოყენება საშუალებას იძლევა, გამოითვალოს ე. წ. სიცოცხლის პოტენციალი, ანუ სიცოცხლის ბიუჯეტი, შრომითი მოღვაწეობის საშუალო ხანგრძლივობა და დროის პოტენციალური კალენდარული ფონდი. ასევე შრომის ასაკში კაც-წლებში გამოხატული შრომითი პოტენციალი.

ამჟამად შრომითი პოტენციალის გამოთვლის მეთოდები საკმაოდ დამუშავებულია და გადმოცემულია როგორც სახელმძღვანელო ლიტერატურაში, ისე კერძო გამოკვლევებში[1]. ამ მეთოდის ძირითადი იდეები, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს, თავმოყრილია ლ. ჰერშის ნაშრომებში (40-იანი წლები), ხოლო გადამუშავებული და განვითარებულია ე. ფილროზეს მიერ. შემდგომ იგი დაიხვეწა სხვა მეცნიერთა შრომებში.

ჩვენ შრომითი პოტენციალის გამოსათვლელად გამოვიყენეთ ა. მილოვიდოვის მიერ ინტერპრირებული აღნიშნული მეთოდი[2]. სიკვდილიანობის ცხრილებზე დაყრდნობით, აგრეთვე, შრომითი აქტიურობის

---

[1] Фильрозе Э. Очерк потенциальной демографии. Пер. с польск. М.: Статистика, 1975. Роубичек В. Демографические прогнозы и потенциальная демография. В кн.: Демографические прогнозы. М.: Статистика, 1973, с. 31-73. Статистика населения с основами демографии. М.: Финансы и статистика. 1990, с. 185-190. Человек в активном возрасте. М.: Финансы и статистика, 1984, с. 15-25. Развитие населения и его трудового потенциала. Киев.: Наукова думка, 1985, с. 191-211. Трудовая активность женщин. Киев.: Наукова думка, 1984, с. 53-54. Методы исследования. М.: Мысль, 1986, с. 111-118 и др.

[2] Миловидов А. С. Годы жизни и годы труда. М.: Финансы и статистика, 1983.

ასაკობრივი კოეფიციენტების გამოყენებით გაეიანგარიშეთ ჯერ შრომითი მოღვაწეობის საშუალო ხანგრძლივობანი ცალკეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, ხოლო შემდგომ, რეალურ მოსახლეობაზე და მის პროგნოზულ ასაკობრივ ჯგუფებზე გარკვეული წესით გადამრავლებით მივიღეთ კაც-წლებში გამოხატული შრომის ასაკის მოსახლეობის, აგრეთვე, საპენსიო კონტინგენტის შრომითი პოტენციალები.

მთავარი სიძნელე ის იყო, რომ განგვესაზღვრა შრომითი აქტიურობის პროგნოზული ცვალებადობა. ორ უკანასკნელ აღწერათაშორის პერიოდში ფაქტიური დასაქმების მაჩვენებელი შემცირდა. ამის მიზეზი იყო განათლების მიღებაზე დახარჯული დროის, განათლების პოტენციალის ზრდა. აგრეთვე, ქალის გენერაციული ფუნქციის განსახორციელებელი დეკრეტული დროის რეალური მატება.

პერსპექტიულ გამოთვლებში განათლების მიღებაზე დროის დანახარჯები კიდევ უფრო იზრდება. უწყვეტი განათლების თანდათანობითი დამკვიდრება მოითხოვს დროის ხარჯვას არამარტო ახალგაზრდა კონტინგენტების მიერ, არამედ უფროს ასაკობრივ ჯგუფებშიც, რაც ბუნებრივია, ამცირებს შრომისათვის განკუთვნილ რეალურ პერიოდს.

საპროგნოზო მაჩვენებელთა გაანგარიშებისას ქალების ოჯახში დასაქმებულობის დრო არ შეგვიმცირებია. როგორც აღვნიშნეთ, 1979-1989 წწ. აღწერათაშორის პერიოდში საოჯახო მეურნეობაში დასაქმება რეალურად არ შემცირებულა, ეს ამჟამინდელ დემოგრაფიულ სიტუაციაში უარყოფითი მოვლენა არაა.

რაც შეეხება პერსპექტიულ გაანგარიშებებში შრომითი აქტიურობის ვარაუდს, გასათვალისწინებელია, რომ გაანგარიშების მეთოდიკის მიხედვით უმუშევრობა შრომით პოტენციალს პირდაპირ ამცირებს. ამიტომ ვივარაუდეთ, რომ 2000 წლისათვის უმუშევრობის დონე ნორმალურზე რამდენადმე მეტი იქნება, ხოლო შემდგომ ეტაპზე - 2010 წლამდე ჩადგება ნორმის (5%) ფარგლებში. ამიტომ შრომითი მოღვაწეობის საშუალო ხანგრძლივობაში ეს მოსალოდნელი ტენდენციაც აისახა.

პროგნოზულ გაანგარიშებებში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გამოვიყენეთ 1990 წლისათვის გაანგარიშებული სიკვდილიანობის ცხრილები, რომელიც ამ პერიოდის სიკვდილიანობის დონეს ასახავს. სამწუხაროდ, არ გვქონდა სიკვდილიანობის ჰიპოთეზური ცხრილები. ცხადია, რეალური სიკვდილიანობის სურათი განსხვავებული იქნება ჩვენს პროგნოზში ჩადებული ვითარებისაგან, მაგრამ ამგვარადვე ანგარიშობდნენ სხვებიც, მათთანაც არ შეგვხვედრია ჰიპოთეზური ცხრილების გამოყენება.

ერთ-ერთი უმთავრესი ცვლილება, რომელიც შრომითმა პოტენციალმა განიცადა, ესაა მისი მატება შრომის ასაკის ზედა საზღვრის გაზრდის გამო, რომელმაც 5 წლით გადაიწია.

ჩვენი აზრით, ეს იყო ხელისუფლების მხრიდან გაუმართლებელი, მაგრამ

იძულებითი ღონისძიება, პენსიების გაცემის უუნარობა და არამც და არამც მშრომელთა სოციალური დაცვისაკენ მიმართული ან რაღაც თვალსაზრისით სოციალურად გამართლებული ნაბიჯი.

საპენსიო ასაკის გაზრდა მოხდა იმ დროს, როცა: ა) შემცირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ბ) გაიზარდა სიკვდილიანობა, განსაკუთრებით უფროს ასაკებში, გ) მკვეთრად გაუარესდა ჯანდაცვის მდგომარეობა, დ) კრიტიკულად შემცირდა ხელფასისა და პენსიის ოდენობა, ე) დაჩქარდა ბიოლოგიური დაბერების პროცესი, ვ) გაიზარდა უფროს ასაკებში უმუშევრობის დონე.

ცხადია, ასეთ სიტუაციაში საჭირო იყო, შესწავლილიყო ბიოლოგიური და დემოგრაფიული დაბერების პროცესების მიმდინარეობა, სხვადასხვა ბიოლოგიური ტესტების საშუალებით გამოვლენილიყო დაბერებულობის ხარისხი (მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური ტესტები), მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დასმულიყო საკითხი საპენსიო ასაკის გაზრდაზე. ალბათ, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის დაბერების მდგომარეობა და საპენსიო ასაკი შეესაბამება ერთმანეთს. ჩვენში კი ეს არც შესწავლილა. ამიტომ დაუსაბუთებლად მიგვაჩნია ხელისუფლების მხრივ ამ ნაბიჯის გადადგმა.

ზემოთ აღვნიშნეთ და ახლაც ვიმეორებთ, რომ ყოფილ სსრკ-ში, მაშინაც კი, როცა ბიოლოგიური დაბერების მაჩვენებელი ამჟამინდელზე ხელსაყრელი იყო, მეცნიერული აზრი ეწინააღმდეგებოდა შრომის ასაკის ზედა საზღვრის გადაწევას. ამას ჰკარნახობდა ფაქტობრივი მდგომარეობაც. მაგ. პენსიაზე გადიოდა და სამუშაოს თავს ანებებდა 55 წელს მიღწეულ ქალთა 80 პროცენტი[1].

პენსიაზე გასვლის ასაკის გაზრდისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, პერსპექტიული გამოთვლები შრომის ასაკის ახალი საზღვრების მიხედვით ვაწარმოეთ. ამან ხელოვნურად შეაჩერა შრომითი პოტენციალის კლების ტენდენცია, რომელიც, თავის მხრივ, განპირობებული იყო: ა) დემოგრაფიული დეპრესიით და დაბერების პროცესით, ბ) მოსახლეობის მიგრაციით.

გაანგარიშებათა პირველ ეტაპზე, სიკვდილიანობის ცხრილების მიხედვით, დასაქმების კოეფიციენტების გაანგარიშებათა შემდგომ გამოვითვალეთ ყოველი სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფისათვის ე. წ. შრომითი პერიოდის ხანგრძლივობა (ცხრილი 29).

1979-1990 წწ. შრომითი პერიოდის ხანგრძლივობის ცვლილებების ძირითადი ნიშნებია:

ქალებისათვის:

---

1. Перед выходом на пенсию. М.: Финансы и статистика, 1982, с. 49.

ცხრილი 29

შრომითი მოღვაწეობის საშუალო ხანგრძლივობა 1979-2010 წწ.

ასაკობრივი ინტერვალი	ქალები		ასაკობრივი ინტერვალი	მამაკაცები		ასაკობრივი ინტერვალი	ქალები		ასაკობრივი ინტერვალი	მამაკაცები	
	1979	1990		1979	1990		2000	2010		2000	2010
16 წ-მდე	35,1	32,7	16-მდე	38,0	39,1	16-მდე	32,8	33,1	16-მდე	39.3	39,5
16-19	36,2	33,3	16-19	39,5	40,0	16-19	33,4	33,8	16-19	40,2	40,4
20-24	34,4	32,0	20-24	38,0	38,8	20-24	32,3	32,9	20-24	39,2	39,7
25-29	30,8	29,2	25-29	34,2	35,3	25-29	29,6	30,4	25-29	35,9	36.6
30-34	26,5	25,8	30,34	29,8	31,1	30-34	26,2	27,0	30-34	32,0	32,7
35-39	22,2	22,1	35-39	25,4	26,6	35-39	22,6	23,1	35-39	27,5	28,2
40-44	17,8	18,1	40,44	20,9	22,3	40-44	18,7	19,2	40-44	23,1	23,8
45-49	13,4	14,2	45-49	16,5	18,0	45-49	14,8	15,1	45-49	18,9	19.5
50-54	9,1	10,3	50-54	12,2	14,1	50-54	11,0	11,2	50-54	15,0	15,4
55 და											
მეტი	5,2	6,7	55-59	8,2	10,2	55-59	7,4	7,5	55-59	11,2	11.5
16-54	31,4	27,0	60-ზე მეტი	4,6	6,6	60-ზე მეტი	4,1	4,1	60-65	7,4	7,7
			16-59	34,9	35,9	16-59	30,3	30,0	65-ზე მეტი	4,3	4,3
									16-65	37,5	37,7

ა) 16 წლამდე ასაკის მოსახლეობის შრომითი პერიოდის შემცირება დასაქმების კოეფიციენტის კლების, სწავლის პერიოდის მატების, ქალთა გენერაციული როლის გაზრდის გამო;
ბ) 40 წლამდე ქალებში შრომითი პერიოდის შეკვეცა იგივე მიზეზების გამო;
გ) 40 წელზე უხნესი ქალებისათვის შრომითი საქმიანობის პერიოდის გაზრდა საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმების მატების, შობადობის ახალგაზრდა ასაკებში აკუმულაციისა და ამის გავლენით ოჯახიდან გამოთავისუფლების გამო;
დ) საზოგადოდ, დასაქმების კოეფიციენტის შემცირებით შრომის ასაკის ქალების შრომითი პერიოდის შემცირება.

კაცებისათვის:

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მატების, შრომის ასაკში სიკვდილიანობის შედეგად შრომითი მოღვაწეობის პერიოდის ერთი წლის მომატება.

2000-2010 წწ. შრომითი მოღვაწეობის ხანგრძლივობაში მოსალოდნელი ცვლილებების ძირითადი მომენტებია:

ა) ქალების შრომითი მოღვაწეობის ხანგრძლივობა შრომის ასაკის 5 წლით მატების მიუხედავად ნაკლებია 1979 წლის მაჩვენებელზე;
ბ) 2000 წელს 1990 წელთან შედარებით გაიზრდება მამაკაცების შრომითი მოღვაწეობის ხანგრძლივობა. ამასთან, მატება მცირეა, ორ წელსაც ვერ აღწევს. ამის მიზეზია უმუშევრობა და დასაქმების კოეფიციენტის ჰიპოთეზური შემცირება;
გ) 2000-2010 წწ. მამაკაცების შრომითი პერიოდის მცირეოდენ ზრდას მთლიანად უმუშევრობის შემცირება და, საერთოდ, დასაქმების კოეფიციენტის ზრდა განაპირობებს.

რომ არ ყოფილიყო პენსიაზე გასვლის ასაკის 5 წლიანი დეკრეტული მომატება, მაშინ შრომითი მოღვაწეობის ხანგრძლივობა გაცილებით მეტად შემცირდებოდა.

პროგნოზულ გაანგარიშებათა მეორე ეტაპზე მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების რიცხოვნობათა და შრომითი მოღვაწეობის პროგნოზულ ხანგრძლივობათა საფუძველზე გავიანგარიშეთ საქართველოს მოსახლეობის შრომითი პოტენციალი. გაანგარიშება მოვახდინეთ ძირითადი ასაკობრივი ჯგუფებისათვის.

როგორც გაანგარიშებებმა გვიჩვენეს, შრომის ასაკში მყოფი მოსახლეობის შრომითი პოტენციალი 1979-2010 წწ. განუხრელად მატულობს (ცხრილი30).

შრომითი პოტენციალის მატებაში გარკვეული როლი ითამაშა შიგა-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებებმა და, ცხადია, პენსიაზე გასვლის ასაკის მომატებამ. 1979-1990 წწ. ზრდამ შეადგინა 8,8%, ხოლო შემდგომი მთელი ოცი წლის განმავლობაში არ გადააჭარბებს 7,7%-ს. მათ შორის კაცების შრომითი პოტენციალი გაიზრდება 11,8%-ით, ხოლო ქალებისა - მხოლოდ 5%-

ცხრილი 30

შრომის ასაკის მოსახლეობის შრომითი პოტენციალი
ათასი კაც-წელი

კონტინგენტი	1979	1990	2000	2010
ქალები	34605	35912	36677	37709
კაცები	37635	42705	45576	47760
სულ	72240	78617	82253	85469

ით. ამის გამო, თუ 1979 წელს მამაკაცების შრომითი პოტენციალი მხოლოდ 8,8%-ით სჭარბობდა ქალების შრომით პოტენციალს, 2010 წლისათვის ეს სიჭარბე 26,7%-ს მიაღწევს. ეს იქნება სქესობრივ თანაფარდობებში იმ ცვლილებების ასახვა, რომელიც ამ პერიოდში მოხდება.

1979-1990 წწ. სისტემატურად იზრდებოდა საპენსიო ასაკის მოსახლეობის შრომითი პოტენციალი (ცხრილი 31), რაც განპირობებული იყო დემოგრაფიული დაბერებით და ამ კონტინგენტის რიცხოვნობის ზრდით.

ცხრილი 31

საპენსიო ასაკის მოსახლეობის შრომითი პოტენციალი,
ათასი კაც-წელი

კონტინგენტი	1979	1990	2000	2010
ქალები	2754	4459	2516	2457
კაცები	1029	2062	1157	1242
სულ	3783	6521	3673	3699

საპროგნოზო პერიოდში შრომის ასაკის ზედა საზღვრის 5 წლით გადაადგილებამ თითქმის 1,8-ჯერ შეამცირა საპენსიო ასაკის კონტინგენტის შრომითი პოტენციალი და დაუახლოვა 1979 წლის დონეს.

რაც შეეხება 16 წლამდე მოსახლეობის მოსალოდნელ შრომით პოტენციალს, 1979-1990 წწ. დემოგრაფიული ზრდის გამო მოიმატა (ცხრილი 32), შემდგომ წლებში ამ კონტინგენტის დემოგრაფიული შემცირების გამო იგი კვლავაც დაიკლებს, მიუხედავად იმისა, რომ, საერთოდ, შრომის ასაკში ყოფნის ხანგრძლივობა 5 წლით გაიზარდა.

საეჭვოა, რომ, რეალურად, აღნიშნული კონტინგენტის შრომითმა პოტენციალმა კიდევ მოიკლოს, რადგან უწყვეტი სწავლების დანერგვით

16 წლამდე მოსახლეობის შრომითი პოტენციალის გაანგარიშება, ათასი კაც-წელი.

კონტინგენტი	1979	1990	2000	2010
ქალები	24288	22559	29559	18227
მამაკაცები	26815	28214	24932	23154
სულ	51103	50773	44491	41431

გამოწვეულ დროით დანახარჯებს, შესაძლოა, სათანადოდ ვერ ვითვალისწინებდეთ გრძელვადიან პროგნოზულ გაანგარიშებებში.

პირობითად, შეიძლება ვიანგარიშოთ სრული შრომითი პოტენციალიც, რომელიც აქვს მოცემული თარიღისათვის შრომისუნარიან კონტინგენტსა (შრომის ასაკის მოსახლეობა + დასაქმებული პენსიონერები) და პოტენციურ შრომისუნარიანებს (16 წლამდე მოსახლეობა). მთლიანობაში მან 1979-1990 წწ. მოიმატა 127,1 მლნ. კაც-წლიდან 135,9 კაც-წლამდე, ხოლო შემდგომ, საპროგნოზო პერიოდში 5-5,5 მლნ. კაც-წლით მოიკლებს (100,4 მლნ - 2000 წ., 130,6 მლნ. - 2010 წ.).

ამრიგად, შრომითი პოტენციალის დემოგრაფიული სისტემა მოსახლეობის მნიშვნელოვანი სტრუქტურული-რაოდენობრივი ცვლილებების გამო საგრძნობლად შეიცვლება. მასში აისახება მეორე მსოფლიო ომისა და მისი შემდგომი პერიოდის დემოგრაფიული კანონზომიერებანი და შედეგები. შრომითი პოტენციალის დინამიკაზე იმოქმედა შრომის ასაკში საკანონმდებლო ცვლილებებმაც. შრომითი პოტენციალის რაოდენობრივ მახასიათებლებზე დიდად მოქმედებს უმუშევრობის დონე და, საერთოდ, შრომითი რესურსების დასაქმების ხარისხი. აგრეთვე, შრომის ასაკში სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე დახარჯული დროის განუხრელი ზრდა.

§8.დემოგრაფიული ოპტიმუმის კრიტერიუმთა სპეციფიკურობა

დემოგრაფიული ოპტიმუმის საკითხი უხსოვარი დროიდან აინტერესებს კაცობრიობას. როგორც სპეციალისტები წერენ, მას ეხედებით კონფუცის, პლატონისა და არისტოტელეს შრომებში. მას იკვლევდნენ იტალიელი ჯ. ბოთერო, ინგლისელი რ.კანტილიონი და თ.მალთუსი, ფრანგი ფ.კენე, შოტლანდიელი ა.სმითი, შვედი ე.ვიკსელი (ამ უკანასკნელმა პირველად იხმარა ტერმინი „დემოგრაფიული ოპტიმუმი"), უნგრელი ე. ვალკოვიჩი, ბულგარელი მ. მინკოვი, ყოფილი სსრკ-ს მეცნიერები: ა. ბოიარსკი, ა. კვაშა, ა. ვიშნევსკი და სხვ. მაინც, ფუნდამენტური შრომებით ამ დარგში აღიარებულია ფრანგი ა. სოვი.

მიუხედავად იმისა, რომ ა.სოვი მრავალჯერ იყო გაკრიტიკებული და ზოგჯერ იყო საფუძვლიანი შენიშვნებიც[1], მაინც ვთელით, რომ მისი ოპტიმუმის სქემა აჯამებს მანამდე არსებულ შეხედულებებს დემოგრაფიული და ეკონომიკური. ზრდის თანაფარდობის შესახებ და წარმოადგენს დემოგრაფიული ოპტიმუმის დასაბუთებულ კონცეფციას.

ა. სოვი განიხილავს მოსახლეობის რიცხოვნობის მაქსიმუმისა და მინიმუმის პრობლემას და ლოგიკურად ავითარებს ოპტიმალური მოსახლეობის საკითხს. მისი აზრით, „ოპტიმალური მოსახლეობა - ეს არის მოსახლეობა, რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს განსაზღვრული მიზნის მიღწევას" როგორც ა. სოვის მიაჩნია, ამის გარეშე „ოპტიმალური მოსახლეობა" სტატიკური ცნებაა"[2].

აღნიშნული მიზნები, რომელსაც ა.სოვი ასახელებს, შემდეგია: ინდივიდუალური კეთილდღეობა; გამდიდრებისა და კეთილდღეობის სიჩქარე; დასაქმება; სიძლიერე (მათ შორის სამხედრო სიძლიერე); დღეგრძელობა, ჯანმრთელობა; კულტურა, ცოდნა, მთელი საზოგადოების კეთილდღეობა; სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა; მოსახლეობის რიცხოვნობა[3].

როგორც ა. სოვი შენიშნავს, აღნიშნულის გარდა შეიძლება სხვა მიზნებიც დავასახელოთ: სოციალური ჰარმონია, ოჯახური ცხოვრების ჰარმონია, ...პლატონმა შექმნა პოლიტიკური ოპტიმუმის კონცეფცია, დიურერმა -

---

[1] Боярский А. Н. К проблеме демографического оптимума. В кн.: Изучение воспроизводства населения. М.: Наука, 1968, с. 61. Судоплатов А. П. Демографические концепции. М.: МГУ, 1974, с. 105-119. Кваша А. Я. Проблемы экономико-демографического развития СССР. М.: Статистика, 1974, с. 113. Нариманова О. Проблематика роста народонаселения в оценке А Сови. В сб.: Международные проблемы народонаселения. М.: Статистика, 1981.

[2] Сови А. Общая теория населения. Т. I, М.: Прогресс, 1977, с. 98.

[3] Сови А. Общая теория населения. Т. I. М.: Прогресс, 1977, с. 101.

ესთეტიკური ოპტიმუმის კონცეფცია[1].

დემოგრაფიული ოპტიმუმის, ოპტიმალობის კრიტერიუმის ან კრიტერიუმთა სისტემის განსაზღვრა თავისთავად გულისხმობს დემოგრაფიული პოლიტიკის განსაზღვრასაც. მრავალი ავტორი ოპტიმალობის კრიტერიუმად ეკონომიკური ზრდის მაქსიმალურ ვარიანტს მიიჩნევს დემოგრაფიული დეპოპულაციის გარეშე. საქართველოში ისტორიულ-დემოგრაფიული განვითარების კვალობაზე კრიტერიუმი ცვალებადია. ამჟამინდელი სიტუაციიდან გამომდინარე, დემოგრაფიული ოპტიმუმი არ შეიძლება იყოს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო შესაძლებლობების შესაბამისი დემოგრაფიული ზრდის პარამეტრების ამსახველი.

დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ თავისთავად დიდი სინათლე შეიტანა მანამდე ბუნდოვან, ხშირად აბსურდულ ეროვნულ პოლიტიკაში. მრავალი მანამდე გაურკვეველი საკითხი თავისთავად გადაიჭრა, მაგრამ დემოპოლიტიკაში ეროვნული სტრუქტურის ოპტიმიზაციის პრობლემა კვლავაც პრობლემად დარჩა. მართლაც, არცთუ ადვილი შესაძლებელია, გასაცნობიერებელია, ერთი მხრივ, ერის სწრაფვა ზოგადსაკაცობრიო ტოლერანტული იდეალების განხორციელებისა და პიროვნების თავისუფლებისაკენ, მეორე მხრივ, სხვადასხვა ეთნოსთა კელავწარმოების რეჟიმების გამათანაბრებელი პოლიტიკის, ან რომელიმე ერისათვის მასტიმულირებელი დემოპოლიტიკის გატარება. მაგრამ თუ სხვა კუთხით შეეხედავთ, არანაკლებ შემაშფოთებელია, რომ დემოგრაფიული განვითარების უთანაბრობის გამო არის საშიშროება აბორიგენი ერების შემცირებისა და გაქრობისაც საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე. ამიტომ ის დემოპოლიტიკა, რომელიც ემყარება ადამიანის უფლებების შეულახველობასა და ეროვნულ უმცირესობათა შეუზღუდველობას, ასტიმულირებს ქვეყნის ძირითადი ერის დემოგრაფიულ სტაბილურობას, უნდა მიჩნეული იქნეს სამართლიან, სწორ პოლიტიკად. მცდარი იქნება მისი მონათელა ანტიხალხურ, ნაციონალისტურ პოლიტიკად. მეტიც, ძირითად ეთნოსთან ეროვნულ უმცირესობათა დაახლოების (თუნდაც ნებაყოფილებითი ასიმილაციის არათვითმიზნური პროცესით) პოლიტიკას, სადაც ამ უკანასკნელთა უფლებების დაცვის ყოველი ფორმა არსებობს, მიმართავენ ევროპის ცივილიზებული, ადამიანის უფლებათა დაცვით სახელგანთქმული სახელმწიფოები (მაგ. საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი და ა. შ.).

მიგვაჩნია, რომ დემოგრაფიული ოპტიმუმი დღევანდელ საქართველოში უნდა უზრუნველყოფდეს პოლიტიკურ-ეროვნულ სტაბილურობას, დემოგ-რაფიული სტრუქტურის სრულყოფას, რომელშიც გადამწყვეტი ადგილი უჭირავს ეთნიკური სპექტრის ოპტიმიზაციას, ავტოქთონური მოსახლეობის

[1] Сови А. Общая теория населения. Т. I. М.: Прогресс, 1977, с. 101.

ხელმრეფილი წონის ზრდასა და მისი წილის მაღალ დონეზე (ჩვენი აზრით 80%) სტაბილიზაციას. ასეთ შემთხვევაში დასაშვებად შეიძლება მივიღოთ მოსახლეობის როგორც დაბალი, ისე მაღალი ტემპით ზრდაც. ამასთან, ზემოთ ნათქვამი დებულების მტკიცებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიო პოლიტიკური მოწყობის ამჟამინდელ ეტაპზე ყველა სახელმწიფო დაინტერესებულია, რათა შიგადემოგრაფიული სტრუქტურების განვითარება ნაკლებად პრობლემატური იყოს. სხვაგვარად შეუძლებლად მიაჩნიათ პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევა. როგორც ამერიკელი სოციოლოგი და დემოგრაფი ბერნარდ ბერელსონი ჯერ კიდევ ამ 25 წლის წინათ აღნიშნავდა, „ისრაელი, სამხრეთ აფრიკა და როდეზია შეშფოთებულნი არიან ცალკეული ეთნიკური ჯგუფების შობადობის დონითა და დიფერენცირებული ნაყოფიერების პრობლემით"[1]. ჩ. ვესტოფი აღნიშნავს, რომ „როგორც ზოგიერთი დემოგრაფი ამტკიცებს, თუ შენარჩუნდება თანამედროვე ტენდენცია (იგულისხმება 70-იანი წლები - მ. ტ.) სამი თაობის შემდგომ ისრაელში ებრაელი მოსახლეობა უმცირესობა გახდება"[2]. კარგად ესმის რა ქვეყანაში ეთნოდემოგრაფიული პოლიტიკის მნიშვნელობა, ბ. ბერელსონი დემოგრაფიული პოლიტიკის პოლიტიკურ ფაქტორებს გამოჰყოფს, რომელთაგანაც მნიშვნელოვნად მიაჩნია „ეთნიკური დისპროპორციები, რომელიც იწვევს პოლიტიკურ დაძაბულობას". იგი თვლის, რომ დემოპოლიტიკაში გასათვალისწინებელია „საერთაშორისო ურთიერთობები და ეროვნული უშიშროება"[3].

ის, რომ სსრკ-მ და, მისი სახით, რუსეთმა ვერ შეძლო მისთვის ხელსაყრელი დიფერენცირებული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, იგი შეიძლება მივიჩნიოთ სსრკ პოლიტიკური კრიზისისა და „რუსული სივრცის" შეხღუდვის ერთ-ერთ მიზეზად, რამაც გამოიწვია ამჟამინდელი ეთნოკონფლიქტები და პოსტკომუნისტური სივრცის უკიდურესი პოლიტიკური დესტაბილიზაცია.

ეთნოდემოგრაფიული კრიზისის პოლიტიკურ კრიზისში გადაზრდაზე მიუთითებს მრავალი მეცნიერი. მაგ. ჯ. ბეზემერესი წინასწარ ჭვრეტდა, რომ სსრკ-ში და იუგოსლავიაში დემოგრაფიული პრობლემების გამწვავება „ემუქრება ორივე სახელმწიფოს მთლიანობას, მათ პოლიტიკურ სისტემას და, არაპირდაპირი სახით, მშვიდობასა და სტაბილურობას (არსებულ სტატუს

---

[1] Берельсон Б. Некоторые заметки о регулировании процессов народонаселения. М.: Прогресс, 1977, с. 21.

[2] Вестофф Ч. Население развитых стран. В кн.: Проблемы народонаселения. М.: Прогресс, 1977, с. 47.

[3] Берельсон Б. Некоторые заметки о регулировании процессов народонаселения. В кн.: Проблемы народонаселения. М.: Прогресс, 1977, с. 94.

ქეოს) მათ რეგიონებსა და მსოფლიოში"[1]. მისი წინასწარმეტყველება დღეს უკვე რეალობაა. ამიტომ, დემოგრაფიული ოპტიმუმის წამყვან კრიტერიუმად და სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად (ამოცანად) უნდა მივიჩნიოთ საქართველოს აბორიგენთა დემოგრაფიული ქვოტის შენარჩუნება ან გაზრდა. ეს სრულებით არ ნიშნავს არაქართული (ან თუნდაც არააფხაზური) ეთნიკური ელემენტის შემზღუდველი პოლიტიკის გატარებას. თანამედროვე მსოფლიოში მრავალი ძვირადღირებული ღონისძიება ხორციელდება დემოგრაფიულ აფეთქებათა „ჩაქრობის" დაჩქარების მიზნით, ე. წ. „მესამე სამყაროს" მოსახლეობის რეგულირებისათვის. ეს გამომდინარეობს მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების საერთო ინტერესებიდან, ასევე, ამ ქვეყნების და ხალხების საკუთარი ინტერესებიდანაც.

ამდენად, საქართველოს ცალკეულ ეთნოსთა დემოგრაფიული ზრდის ტემპის გამთანაბრებელი პოლიტიკა, ამ ზრდის ოპტიმიზაცია ნორმალური ეკონომიკური ზრდის წინაპირობაცაა.

როცა ლაპარაკია დემოგრაფიულ ოპტიმუმზე, აქ ეგულისხმობთ არამარტო მოსახლეობის საერთო რიცხოვნობას, სტრუქტურასა და მოსახლეობის მატების რეჟიმს, არამედ შიგარეგიონული განაწილების ოპტიმუმსაც, ოპტიმალური რეჟიმის შექმნას მის ცალკეულ რეგიონში. ამ რეგიონების დემოგრაფიული განვითარების ამოცანები განსხვავებულია, ჩვენ შემთხვევაში საერთო ამოცანაა ცალკეული დემორეგიონების მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმების დაახლოება და ყველას ერთად მიახლოება საერთო ოპტიმალურ რეჟიმთან. ამდენად, დემოგრაფიული ოპტიმუმი მთლიანობაში გულისხმობს არა გასაშუალოებულ ოპტიმუმს, არამედ ოპტიმუმს სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების, მხარეების, ვერტიკალური ზონების, მთავარი ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონების, სხვადასხვა რანგის დასახლებული პუნქტების მოსახლეობის განაწილებასა და კვლავწარმოების რეჟიმში, რაც, საბოლოოდ, გამოიხატება ოპტიმალური განსახლების სისტემის ფორმირებითაც.

როგორც ზემოთ ვნახეთ, 60-იანი წლებიდან იწყება საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის ისეთი ცვლილება, როცა აბორიგენებს, ძირითადად, მიგრაციული მოვლენების გავლენით, აგრეთვე, შიგაეთნო-დემოგრაფიული პროცესების მეოხებით (გაქართველება, შერეული ქორწინება და ა. შ.) ძლიერ ნელა, მაგრამ მაინც ეზრდებათ ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში. აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქართველოში ახალშობილთა შორის ქართველთა ხვედრითი წონა ნაკლები იყო, ვიდრე მთელ მოსახლეობაში. მოსახლეობის აღწერის მიხედვითაც

---

[1] Журавлева Н. И. Антисоветизм буржуазной демографии. М.: Мысль, 1987, с. 86-87.

მცირეწლოვანთა ეროვნული სტრუქტურა გაცილებით უარესია, ვიდრე მთელი მოსახლეობისა. მაგ. 1980 წელს ქართველ დედათაგან იშვა საქართველოში დაბადებულთა მხოლო 65,6%, 1985 წელს - 68,5% (იხ. ცხრილი 33). ეს ნაკლებია, ვიდრე ქართველთა ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში.

1990 წლიდან ქართველთა ხვედრითი წონა ახალშობილებში აშკარად მატულობს, რისი მიხეზიც ეროვნულ უმცირესობებში შობადობის კლებაა. მაგ. თუ ქართველებში 1985-1992 წწ. დაბადებულთა აბსოლუტური რიცხოვნობა მხოლოდ 1,12-ჯერ შემცირდა, რუსებში შემცირდა - 2,8-ჯერ, უკრაინელებში - 3,3-ჯერ, სომხებში - 2-ჯერ, აზერბაიჯანელებში - 1,4-ჯერ, ებრაელებში - 5,7-ჯერ, თათრებში- 5-ჯერ და ა. შ.

მართალია, აქ ეროვნული სტრუქტურა დედის ეროვნების მიხედვითაა მოცემული, მაგრამ თუ შერეული ქორწინების მაჩვენებლებს გავითვალისწინებთ, ძლიერ ცოტაა ქართველი დედის ნაშობი სხვა ეროვნების ბავშვი. მაშინ, როცა იგი საკმაოდ დიდი წილითაა წარმოდგენილი რუსებში, სომხებში და ა. შ. ამიტომ საეჭვოა, რომ შრომაში მოტანილი ცხრილის მაჩვენებლების ეროვნების მიხედვით გაანგარიშებისას ქართველ ბავშვთა ხვედრითი წონა კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

ცხრილი 33

დაბადებულთა განაწილება დედის ეროვნების მიხედვით 1980-1992 წწ. (პროცენტობით ჯამის მიმართ)[1]

ეროვნება	1980	1985	1990	1991	1992	მთელი მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა 1989 წ. პროცენტობით
ქართველი	65,6	68,5	71,2	74,1	77,6	70,1
აზერბაიჯანელი	8,0	10,1	8,6	8,5	9,1	5,7
სომეხი	9,5	10,2	7,7	7,9	6,6	8,1
რუსი	6,1	5,1	3,7	3,3	2,3	6,3
უკრაინელი	0,8	0,8	0,5	0,5	0,3	1,0
დანარჩენი	10,0	5,3	9,3	5,7	4,1	8,8
სულ	100	100	100	100	100	100

[1] ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პირველადი მასალების მიხედვით.

უეჭველია, რომ ქართველთა მაღალი ხვედრითი წონა ახალშობილებში შემდგომ წლებშიც შენარჩუნდებოდა, მაგრამ 1992 წლის შემდგომ ციფრობრივი მასალა აღნიშნულის შესახებ ვერ დავასუსტეთ.

ამგვარად, საქართველოში დემოგრაფიული ოპტიმუმის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმის - აბორიგენთა ხვედრითი წონის აღდგენის მოთხოვნა გლობალური დემოგრაფიული კრიზისის პერიოდში, არააბორიგენ მოსახლეობაში შობადობის უპირატესი შემცირების გამო, დაცულია. დღესდღეობით ძნელია შემდგომი ვითარების ზუსტი განჭვრეტა, მაგრამ უნდა ვიეარაუდოთ, რომ კრიზისის შემდგომ დემოგრაფიული ზრდის ტემპებში უფრო ნაკლები სხვაობა იქნება, ვიდრე უკრიზისო განვითარებისას გვექნებოდა. კრიზისის შემდგომ საკომპენსაციო დემოგრაფიული ზრდა მოსალოდნელია უპირატესად იმ ეთნოდემოგრაფიულ ჯგუფებში, რომლებმაც კრიზისის დროს შობადობის მაჩვენებლების მეტი ეარდნა განიცადეს.

1990 -იანი წლების საყოველთაო კრიზისი საქართველოში, როგორც ცნობილია, მწვავე დემოგრაფიული დეპრესიითაც გამოიხატა. მართალია, კრიზისის პერიოდში აბორიგენთა ხვედრითი წონა არ შემცირებულა, მაგრამ მოხდა დაბადებულთა რიცხოვნობის დიდი შემცირება, ქართველი მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმის კრიტიკული გაუარესება. ამჟამად არა გვაქვს საშუალება, შევაფასოთ დემოგრაფიული დეპრესიით გამოწვეული უდიდესი დემოგრაფიული დანაკარგები. განხილული საკითხებიდან გამომდინარე, შეეხებით მის ერთ პოლიტიკურ მხარეს.

განიხილავდა რა ა. სოვი ომებისა და კონფლიქტების წარმოშობაზე დემოგრაფიული დეპრესიის გავლენას, მიიჩნევდა, რომ იგი რომაელთა დაპყრობითი ომების ერთ-ერთი მიზეზი იყო. იგი რომში ბარბაროსების შემოსევასაც დემოგრაფიული დეპრესიის შედეგად თვლის, რაც გამოიხატებოდა ნახევარკუნძულის მოსახლეობის ნაკლები სიმჭიდროვით[1].

მას მიაჩნია, რომ საფრანგეთი პოლიტიკურად ძლიერ დაზარალდა დემოგრაფიული დეპრესიისაგან. ამ მდგომარეობით თავის იდეოლოგიაში კარგად ისარგებლა იტალიურმა ფაშიზმმა და საფრანგეთისადმი აგრესიულობის მორალური თავისმართლების საბუთად გამოიყენა. „ამ გადაშენებადმა ხალხმა, რომელიც ვერ სარგებლობს მთელი თავისი ტერიტორიით, უნდა დაგვითმოს მისი რომელიმე ნაწილი"[2].

ავსტრალიაში დროულად იგრძნეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან დემოგრაფიული დაწოლის საშიშროება და უკიდურესად შეზღუდეს მიგრაცია.

თუ საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას გავაანალიზებთ და მას

---

[1] Сови А. Общая теория населения. Т. 2. М.: Прогресс, 1977. с. 487.

[2] იქვე. გვ. 488.

დემოგრაფიული კუთხითაც შეეხედავთ, შეუძლებელია, ანგარიში არ გაეუწიოთ ა. სოვის დაკვირვებულ მტკიცებას დემოგრაფიული დეპრესიის შედეგთა შესახებ. საქართველო მოქცეულია სწრაფი დემოგრაფიული ზრდის სახელმწიფოების და მათი რეგიონების რკალში. თურქეთის, აზერბაიჯანის, ირანის, სომხეთის, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობა საქართველოსთან შედარებით გაცილებით სწრაფად მატულობს. ამის შესახებ საინტერესო მასალა გამოაქვეყნა ლ. ჩიქავამ[1].

ნუ გამოვრიცხავთ, რომ დემოგრაფიული დეპრესიის დიდი ხნით გაგრძელება საქართველოს ან მისი რომელიმე რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკური, თუ დემოგრაფიული დაპყრობის საბაბადაც გამოიყენოს დემოგრაფიულად სწრაფად მზარდმა რომელიმე მეზობელმა. ამ თვალსაზრისით, დემოგრაფიული დეპრესიის გაგრძელება ქვეყნის უშიშროების შესუსტების ფაქტორია. ეს გვაიძულებს, ვიფიქროთ ისეთ შესაძლებელ დემოგრაფიულ ზრდაზე, რომელსაც გეოპოლიტიკური მდებარეობა გვიკარნახებს.

---

[1] ლ. ჩიქავა. დემოგრაფიული ვითარება კავკასიაში (ეკონომისტი, 1993 N 8-9.

თავი III. მოსახლეობის მიგრაციის გავლენა შრომითი პოტენციალის ფორმირებასა და ტერიტორიულ განაწილებაზე

§ 1. მოსახლეობის მიგრაცია; მისი ინფორმაციული ბაზა და შესწავლის ამოცანები

შრომითი პოტენციალის ფორმირებაში მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება – მიგრაცია არსებით როლს ასრულებს. მიგრაციულ ნაკადებში უდიდესი უმრავლესობა შრომის ასაკში მყოფი მოსახლეობაა, ამიტომაც, რეალურად, მოსახლეობის მიგრაცია მიგრანტთა სტრუქტურით, მიგრაციის მიზეზებითა და შედეგებით, არსებითად იგივეა, რაც შრომითი რესურსების მიგრაცია. ამიტომაცაა, რომ მეცნიერულ გამოკვლევებში განსაკუთრებული გამიჯვნა მოსახლეობის მიგრაციასა და შრომითი რესურსების მიგრაციას შორის თითქმის არ გვხვდება. მოსახლეობის მიგრაცია, პრაქტიკულად, შრომითი პოტენციალის რეგიონული გადანაწილების პროცესია. იგი დიდად განსაზღვრავს შრომითი პოტენციალის ტერიტორიული პროპორციების ცვლილებებს და განსახლების სისტემის ტრანსფორმაციას. მიგრაციული პოლიტიკის შემუშავება და გატარება სუვერენული სახელმწიფოს გლობალური სოციალურ-ეკონომიკური, რეგიონული და დემოგრაფიული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც სწორ მეცნიერულ გააზრებას საჭიროებს.

ვფიქრობთ, იშვიათია საზოგადოებრივი პრობლემისადმი ისეთი ცხოველი ინტერესი, როგორიც ქართველ საზოგადოებაში ხალხთმოსახლეობის პრობლემებს, კერძოდ კი, მოსახლეობის მიგრაციას აქვს აღძრული. მაგრამ ამ საინტერესო პრობლემისადმი მიძღვნილი მეცნიერული ნაშრომები ცოტაა. ზოგიერთ მათგანში კი ჭარბობს მდიდარი ემპირიული მასალა, რომელიც ბოლომდე მეცნიერულად განზოგადებული და გააზრებული არაა.

სამაგიეროდ, მრავალრიცხოვანია პუბლიცისტური პროდუქცია. მაგრამ მათი მთავარი ნაკლია მიგრაციული პროცესების შეფასებაში ცალმხრივი, ზოგჯერ კი, მხოლოდ ემოციური მიდგომა. ავტორები მიგრაციაში ხედავენ მხოლოდ უარყოფით მხარეებს. არ ითვალისწინებენ მიგრაციის როლს საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. ასეთ მიდგომას, რომელიც ხანდახან მხოლოდ ვიზუალურ ანალიზს ეყრდნობა, კეთილი

სურვილების მიუხედავად, ზიანის მოტანაც შეუძლია, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას მეცნიერების ან საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვა სფეროში მოპოვებული მაღალი ავტორიტეტის მქონე პირები აკეთებენ საკითხის შეუსწავლელად, მხოლოდ ალღოზე დაყრდნობით, ზოგჯერ კი - პოპულისტური მიზნებითაც. მოსახლეობის მიგრაცია კი რთული ფენომენია და სისტემური, კომპლექსური კვლევის გარეშე რეცეპტების ძებნა უშედეგოა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა, რომელიც მოსახლეობის მიგრაციის ანალიზს ართულებს, ესაა საინფორმაციო ბაზის არასრულყოფილება.

მიგრაციული პროცესების მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა არ მოიცავს მიგრანტთა შესახებ რამდენადმე სრულყოფილ, სოციალურ-დემოგრაფიული შეფასებისათვის აუცილებელ მონაცემებს. არც დოკუმენტაციის წარმოებაა სათანადო დონეზე. ხშირია შემთხვევა, როცა რესპუბლიკის გარეთ საცხოვრებლად გადასვლა ან დედაქალაქიდან სხვაგან მიგრირება არ ფორმდება.

სამწუხაროდ, ცენტრალური სტატისტიკური ორგანოების მიერ თვით იქ შესული ინფორმაციის სრულყოფილი დამუშავებაც არ ხდება, დამუშავებული მასალა ნაკლებად სანდოა მიგრაციის მოტივების განსაზღვრისათვის, რადგან, ჯერ ერთი, „მოსახვევი ტალონების" შერჩევითი დამუშავება თავისთავად ამცირებს ინფორმაციის ხარისხს, მეორეც, ეს შერჩევა პრაქტიკაში არ ხდება სათანადო წესის დაცვით. თუ ამას დავუმატებთ, რომ „მოსახვევი ტალონები" თავისთავად ღარიბ ინფორმაციას შეიცავენ, ცხადი უნდა გახდეს ის სირთულე, რომელიც ახლავს მოსახლეობის მიგრაციის ანალიზს, ძირითადი ტენდენციების გამოვლენას და მეცნიერულ შეფასებას.

მიმდინარე აღრიცხვის ნაკლს, ნაწილობრივ, მოსახლეობის საყოველთაო აღწერები ავსებს, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ბოლო ორი საკავშირო აღწერის პროგრამაში წინა 1970 წლის აღწერასთან შედარებით შემცირდა მიგრაციის ირგვლივ არსებული კითხვების რაოდენობა და, ცხადია, ინფორმაციაც. მოსახლეობის 1999 წლის აღწერის პროგრამის შედგენისას გასათვალისწინებელია ისეთი კითხვების შეტანაც, რომელიც უფრო სრულად ასახავს დამოუკიდებელი სახელმწიფოს საჭიროებას. ეს, ჩვენი აზრით, საქართველოს შიგარეგიონური მოძრაობის ამსახველ ინფორმაციას ეხება.

ფორმალურად, მიგრაციის ყოველი ინდივიდუალური აქტი მკაცრი დოკუმენტაციის შედგენას ემყარება. რაც საფუძველს იძლევა პრაქტიკულად სრულად აღირიცხოს მიგრაციის ყოველი შემთხვევა, მითუმეტეს, გარე მიგრაცია, მაგრამ სათანადო ორგანოების უპასუხისმგებლობას, მიგრაციის ზერელე აღრიცხვასა და კონტროლს მიეყავართ იქამდე, რომ იქმნება დიდი სხვაობა, ეთქვათ, საქართველოდან უკრაინაში წასული მოსახლეობის რიცხოვნობასა(რაც საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირდება) და უკრაინაში

საქართველოდან ჩასულ (რაც უკრაინაში ფიქსირდება) მოსახლეობის რიცხოვნობას შორის. ეს კი, საბოლოოდ, აისახება სხვადასხვა უწყებათა მიერ გაანგარიშებულ მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებლებში.

აღრიცხვის სიმარტივისა და არცთუ დიდი შრომატევადობის გამო ადმინისტრაციული რაიონების სტატისტიკური ორგანოებისათვის ძნელი არაა მკაცრ აღრიცხვას დაუქვემდებარონ მიგრაციის ყოველი აქტი. მითუმეტეს, როცა საქმე გარე მიგრაციას ეხება, რაც ერთ ადმინისტრაციულ რაიონზე (ერთ საპასპორტო მაგიდაზე) წლიურად არ აღემატება 500-1000 შემთხვევის სრულ რეგისტრაციას.

ვფიქრობთ, მიგრაციის აღრიცხვისადმი კონტროლის გაძლიერებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხი რესპუბლიკის ხელისუფლების სპეციალური განხილვის საგანი უნდა გახდეს, და, საბოლოოდ, მიღწეულ იქნეს თუ მთლიანად არა, გარე მიგრაციის ზუსტი აღრიცხვა მაინც.

მცირე ტერიტორიის მიუხედავად, რეგიონული განვითარების თვალსაზრისით საქართველო ურთულესი ქვეყანაა, რაც, თავის მხრივ, ბუნებრივ-გეოგრაფიული სირთულით, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობით, მეურნეობის სპეციფიკური დარგობრივი სტრუქტურითაა განპირობებული. ეს მეტად აძნელებს მიგრაციული პროცესების კანონზომიერებების გამოვლენას, განსაკუთრებით, მიგრაციის რეგიონულ ანალიზს, რომლის დროს შეიძლება გამოიყოს კვლევისა და მართვის რამდენიმე ძირითადი მიმართულება. იგი ფაქტიურად მოიცავს რესპუბლიკის მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის თავისებურებასაც და მართვის კონკრეტულ ამოცანებსაც:

1. სოფლის მოსახლეობის ქალაქად მიგრაციის ინტენსივობის მაჩვენებელთა ანალიზი, მიგრაციულ პოლიტიკაში ინტენსიობის შეცვლის ამოცანათა დასახვა;

2. მიგრაციის ანალიზი ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, მთიანი რეგიონების მოსახლეობის მიგრაციული კლების შენელების მიღწევა;

3. მიგრაციულ ნაკადთა განაწილების ანალიზი სხვადასხვა რანგის დასახლებული პუნქტების მიხედვით. კერძოდ, კი მიგრაციის გავლენის შესწავლა სხვადასხვა რანგის ქალაქთა ჯგუფებში მოსახლეობის განაწილებაზე, ამ განაწილებაში ოპტიმალური პროპორციულობის მიღწევა;

4. მოსახლეობის გადანაწილების შესწავლა მსხვილ ახალმშენებლობებზე და ასათვისებელ რაიონებში. მიგრანტთა შეგუებადობის მართვა;

5. მოსახლეობის გარერესპუბლიკური მიგრაციის შესწავლა, შეფასება და რეგულირების ღონისძიებათა დასახვა.

§ 2. ბარე მიგრაცია

მიგრაციის მრავალ საკითხთა შორის, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დიდ ინტერესს გარე მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები იწვევენ. მისი ზემოქმედებით იცვლება რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობა და დემოგრაფიული სტრუქტურა, შრომითი პოტენციალი. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს გარე მიგრაციის შედეგად ეთნიკური სტრუქტურის ცვლილებები.

გარე მიგრაციის გავლენით XIX -XX საუკუნის სხვადასხვა პერიოდებში ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა საქართველოში 61-80%-ის ფარგლებში ვარირებს. შეიძლება გამოიყოს ორი პერიოდი: როცა იმიგრაციის გავლენით მცირდებოდა ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა თავის სამშობლოში: ესაა მეორე მსოფლიო ომამდელი ხანა და მეორე პერიოდი: ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა არაქართველთა ემიგრაციის გამო მატულობდა. ეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ხანაა (ცხრილი 34).

რასაკვირველია, საქართველოს მოსახლეობაში ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონის ცვლილებებზე სხვა დემოგრაფიულმა ფაქტორებმაც იმოქმედეს, რადგან მიგრაციის ზეგავლენა ორმხრივია, პირდაპირ და სხვა დემოგრაფიული ფაქტორების მეშვეობით.

საქართველოში არააბორიგენთა ჩამოსახლების პროცესი, საქართველოს ცალკეული მხარეების კოლონიზაცია XIX საუკუნეში ინტენსიურად მიმდინარეობდა, მაგრამ ტემპი განსაკუთრებით გაძლიერდა XX საუკუნის 30-იან წლებში, ინდუსტრიალიზაციისა და დიდი სოციალური გარდაქმნების ეპოქაში. ამ დროს ნახტომისებურად გაიზარდა მოსახლეობის ტერიტორიული მობილობა როგორც საერთოდ, ისე სსრკ ერთი რესპუბლიკიდან მეორეში. განაპირა მხარეების ეკონომიკური აღმავლობა თავისებური სტიმულატორი გახდა დემოგრაფიული ექსპანსიისა, რაც ბოლო საუკუნეებში რუსეთის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა. მაგ., 1931 წელს ამიერკავკასიის ქალაქებში საცხოვრებლად ჩამოსულთა 46%-ზე მეტი სხვა რესპუბლიკის მოქალაქე იყო, უზბეკეთში - 72%, თურქმენეთში - 71%[1]. ამ პროცესების შედეგია, რომ 1959 წელს ყაზახები ალმა-ატაში მთელი მოსახლეობის მხოლოდ 8,1%-ია, რუსები - 73,2%, ყირგიზები ფრუნზეში 9,5%-ია, რუსები - 71,8%[2]. რაც შეეხება რესპუბლიკებს მთლიანად, აღვნიშნავთ ერთს: ყაზახები 1897 წლის აღწერით თავიანთ ეთნიკურ ტერიტორიაზე სამ მეოთხედზე მეტნი არიან, 1926 წელს - 57,1%, 1939 წელს - 38,0%, 1959 წელს -29,8%[3]. ქალაქების

---

[1] Шпилюк В. А. Межреспубликанская миграция и сближение наций в СССР. Львов: Каменяр, 1975, с. 4.

[2] Козлов В. И. Национальности СССР. М.: Статистика, 1975, с. 81.

[3] Статистика миграции населения. М.: Статистика, 1973, с. 221-222.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის ცვლილება XIX-XX საუკუნეებში, პროცენტობით[1]

ეროვნება	1800	1897	1926	1939	1959	1970	1979	1990
ქართველი	79,4	69,4	66,8	61,4	64,3	66,8	68,8	70,1
სომეხი	6,0	10,3	11,5	11,7	11,0	9,7	9,0	8,1
რუსი		5,3	3,6	8,7	10,1	8,5	7,4	6,3
აზერბაიჯანელი[2]	3,8	4,2	5,4	5,3	3,8	4,6	5,1	5,7
ბერძენი	0,1	2,0	2,0	2,4	1,8	1,9	1,9	1,9
ებრაელი	0,4	0,9	1,1	1,2	1,3	1,2	0,6	0,5
ოსი	3,7	4,2	4,2	4,2	3,5	3,2	3,2	3,0
აფხაზი	6,6	2,2	2,1	1,6	1,6	1,7	1,7	1,8
დანარჩენი	0,0	1,5	3,3	3,5	2,6	2,4	2,3	2,6
სულ	100	100	100	100	100	100	100	100

მექანიკური ზრდა უპირატესად სხვა რესპუბლიკებიდან შემდეგაც გრძელდებოდა. მაგ., 1974 წელს სხვა რესპუბლიკებიდან ჩასული მოსახლეობა სჭარბობდა თურქმენეთის ქალაქების მექანიკურ ზრდაში, სადაც იგი მიგრაციული მატების 50,8% იყო. ესტონეთში ეს კონტინგენტი - 50,2%-ია, უზბეკეთში - 49,4%, მოლდავეთში - 37,7%, ლატვიაში - 39,8%, სომხეთში - 54,7%[3]. სომხეთს გარდა ყველგან ისინი არააბორიგენები იყვნენ.

თვით 1989 წელს, მაშინაც კი, როცა საერთო მიგრაციულ სიტუაციაში არსებითი ცვლილებები უკვე დაწყებული იყო, ლატვიის, ესტონეთის, ბელორუსიის, მოლდავეთისა და თურქმენეთის ქალაქებში უფრო მეტი რუსი ჩავიდა, ვიდრე იქიდან წამოვიდა[4].

1926-1939 წწ. აღწერათაშორის პერიოდში საქართველოში რუსების რიცხოვნობამ 3,2-ჯერ მოიმატა, რაც ძირითადად მიგრაციული პროცესების შედეგია. ამას დაემატა მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოში ევაკუირებულთა ნაწილის დარჩენაც. 1959 წლის აღწერის მონაცემებით,

[1] ცხრილი შედგენილია: საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. სტატისტიკური კრებული (მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით). - თბილისი, 1991. გვ. 4-5. ე. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XIX-XX საუკუნეებში, - თბ.: მეცნიერება, 1984. გვ. 79, 112, 139.

[2] 1800-1926 წწ. აზერბაიჯანელები „თათარ-თურქებად" აღირიცხებოდნენ და მათთან ერთად არიან ამ სტრიქონში შეჯამებულნი.

[3] На новом месте. М.: Финансы и статистика, 1984, с. 74.

[4] Демографический ежегодник СССР. М.: Финансы и статистика, 1990, с. 585-591.

რუსების რიცხოვნობამ საქართველოში 400 ათასს გადააჭარბა. თუ პირობითად გამოვრიცხავთ აბორიგენთა ხვედრითი წონის შემცირების უარყოფით სოციალურ-დემოგრაფიულ შედეგებს, მათ მიგრაციას საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდაზე საგრძნობი ზეგავლენა ჰქონდა, რასაც ამ კონტინგენტის მაღალი შრომითი პოტენციალი და მრეწველობაში მუშაობის გამოცდილება განაპირობებდა.

ცენტრალური რუსეთიდან სსრკ განაპირა მხარეებში მოსახლეობისა და შრომითი რესურსების მიგრაციის პროცესს იმანაც შეუწყო ხელი, რომ მაშინ რუსეთის დემოგრაფიული ზრდა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ომის შემდგომ წლებში კი, იგი მკვეთრად ჩამორჩა განაპირა მხარეებს, განსაკუთრებით შუა აზიისა და კავკასიის მოსახლეობას. გაჩნდა სხვაობა დემოგრაფიულ პოტენციალებს შორის, რამაც ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად დიდად იმოქმედა მიგრაციულ პროცესებზე, ზოგიერთ ქვეყანაში კი შეცვალა მიგრაციის სალდოს მიმართულებაც. 50-იანი წლების ბოლოს საქართველოს გარე მიგრაციაში უკვე უარყოფითი სალდო აქვს, რომლის ინტენსიეობამ ბოლო წლებში მოიმატა (ცხრილი 35).

1959 წლის დასაწყისიდან 1978 წლის ბოლომდე, ოცი წლის განმავლობაში საქართველოს გარე მიგრაციით დაკლდა 110,6 ათასი კაცი, მათგან ქალაქის მოსახლეობის წილი 59,6%-ია. აღნიშნულ პერიოდში, პირველ ათწლეულში გასულთა რიცხოვნობა 10,3%-ით ჭარბობს მეორე ათწლეულს, ხოლო 1979-1988 წწ. განხილულ წინა ათწლეულთან შედარებით სალდოს ინტენსიეობა 35,4%-ით გაიზარდა.

1989 წლიდან უარყოფითი სალდოს ინტენსიეობის მაჩვენებელი თანდათან მატულობს, განსაკუთრებით, არააბორიგენთა შორის. როგორც ცნობილია, ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო პოლიტიკური მოწყობის არსებითი ნიშანია. გარე მიგრაციაში არააბორიგენთა სწრაფვა და საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიებზე გასვლის ინტენსიეობის მატება მსოფლიო ისტორიული განვითარების ნაკადშია და, თუ მას არ ახლავს რაიმე იძულებითი ელემენტი, დადებით და ბუნებრივ მოვლენადაა აღიარებული.

სსრკ დაშლისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების ფორმირების პროცესში მკვეთრად გამოიკვეთა აბორიგენთა ეროვნული ინტერესები, მეორეს მხრივ, გაიზარდა არააბორიგენთა მოთხოვნილება საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიებზე დაბრუნებისა და ეთნიკური კონსოლიდაციისა. ამან თავისი ასახვა პოვა ბოლო წლების საქართველოს მოსახლეობის გარემიგრაციულ კავშირებში (ცხრილი 36).

როგორც სტატისტიკური აღრიცხვითა და კერძო გამოკვლევებით ჩანს, მიგრანტთა ასაკი, მათ შორის, გარე მიგრანტებისა, გაცილებით ახალგაზრდაა, ვიდრე რესპუბლიკის მოსახლეობისა. ამიტომ მიგრაციის უარყოფითი სალდო

საქართველოს მოსახლეობის გარემიგრაციული ნაკადების რიცხოვნობა და ინტენსივობა
1959-1993 წწ. (ათასი კაცი, პრომილე)

წლები	მთელი საქართველო				ქალაქებში				სოფლებში			
	ჩამოვიდა	წავიდა	მიგრაციული სალდო	სალდოს ინტენსივობა	ჩამოვიდა	წავიდა	მიგრაციული სალდო	სალდოს ინტენსივობა	ჩამოვიდა	წავიდა	მიგრაციული სალდო	სალდოს ინტენსივობა
1959-1968	226,6	284,6	-58,0	-1,3	165,9	206,5	-40,6	-2,1	60,7	78,1	-17,4	-0,7
1969-1978	183,7	236,3	-52,6	-1,1	146,2	171,5	-25,3	-1,1	37,5	64,8	-27,3	-1,1
1959-1978	410,3	520,9	-110,6	-1,2	312,1	378,0	-65,9	-1,5	98,2	142,9	-44,7	-0,9
1979-1988	271,4	342,6	-71,2	-1,4	212,5	235,2	-22,7	-0,8	58,7	107,1	-48,3	-2,0
1989	32,3	46,7	-14,4	-2,6	24,4	30,9	-6,5	-2,1	7,8	15,8	-8,0	-3,3
1990	27,2	42,9	-15,7	-2,9	20,9	30,4	-9,5	-3,1	6,4	12,5	-6,1	-2,5
1991	20,9	49,5	-28,6	-5,2	15,9	38,9	-22,9	-7,5	5,0	10,6	-5,6	-2,3
1992	9,1	35,1	-26,0	-4,8	7,0	28,3	-21,3	-6,9	2,1	6,8	-4,7	-2,0
1993	12,6	42,9	-30,3	-5,6	-	-		-	-	-	-	-
1989-1993	102,1	217,1	-217,1	-115,0	-4,2	-		-	-	-	-	-

აჩქარებს ადგილობრივი მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესს.

დიდი ინტენსიურობის უარყოფითი სალდოს მქონე არააბორიგენ მოსახლეობაში დემოგრაფიული დაბერების პროცესის აჩქარება აშკარად ჩანს. რაც გამოიხატა არამარტო ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციაში, არამედ სტრუქტურული ფაქტორების გაელენით შობადობისა და ბუნებრივი მატების შემცირებაში. ამის გამოცაა, რომ, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ახალშობილთა ეროვნული სტრუქტურა მკვეთრად განსხვავებულია საქართველოს მთელი მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურისაგან.

ცხადია, მთელი ეს განსხვავება მარტო მიგრაციის „დამსახურება" არაა. ცალკეულ ეროვნებათა შობადობის სპეციალური კოეფიციენტებიც განსხვავებულია, მაგრამ ასაკობრივი დეფორმაციის გაელენაც უდაოა.

ამრიგად, ბოლო წლებში, ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა ახალშობილებში 70-იანი წლებისაგან განსხვავებით იზრდება და უკვე აშკარად აჭარბებს ქართველთა წილს მთელ მოსახლეობაში, არააბორიგენებისა კი -

ცხრილი 36

საქართველოს მოსახლეობის გარემიგრაციული სალდოს ინტენსიობა სსრკ ყოფილ რესპუბლიკებთან[1]

ეროვნება	მოცემული ეთნოსის ყოველ 1000 მცხოვრებზე მიგრაციის სალდო			
	1989	1990	1991	1992
რუსი	-11,9	-21,2	-44,6	-41,5
უკრაინელი	-13,4	-22,3	-51,5	-52,6
ბელორუსი	-11,8	-11,3	-51,5	-46,4
ქართველი	0,1	1,4	1,2	0,4
აზერბაიჯანელი	-17,8	-27,3	-18,1	-12,0
სომეხი	-5,8	-5,2	-7,8	-3,8
ებრაელი	1,2	0,6	-4,8	-4,3
აფხაზი		0,8	0,8	0,4
ოსი	-3,6	-6,3	-32,9	2,1
ბერძენი		-7,5	-15,4	-5,6
სულ	-2,6	-2,9	-5,5	-4,5

[1] შედგენილია საქართველოს სტატისტიკის საელმწიფო დეპარტამენტში არსებული მასალის საფუძველზე.

ძირითადად, მცირდება. გამონაკლისს წარმოადგენს აზერბაიჯანელი მოსახლეობა, სადაც სხეაობა ბუნებრივ მატებასა და მიგრაციის სალდოს შორის 1989 წელს 2532 კაცი იყო, 1990 წელს აღინიშნა კლება 555 კაცით, 1991 წელს აზერბაიჯანელ მოსახლეობას მოემატა 1947 კაცი, 1992 წელს - 2904. ბოლო ხანს მიგრაციის გაელენით აზერბაიჯანელთა რიცხოვნობა შედარებით ნელა მატულობს და, მთლიანობაში, ემჩნევა სტაბილიზაციის ნიშნები. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აზერბაიჯანისაკენ მიმართულ ნაკადში 63,0% ქალია, თანაც უმეტესობა იმყოფება აქტიურ ფერტილურ ასაკში. ამის გამო შემცირებას განიცდის საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებში მოსახლეობის მაღალი დემოგრაფიული პოტენციალი. ამჟამად აზერბაიჯანელთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი 7-8%-ის ფარგლებში მერყეობს და დემოგრაფიული დაბერების გამო ზრდის ტენდენციითაც ხასიათდება. ამიტომ საეარაუდოა, რომ, საერთოდ, დღევანდელი მიგრაციული მობილობის გაგრძელების შემთხვევაში აზერბაიჯანელთა რიცხოვნობა რესპუბლიკაში უფრო სტაბილური გახდება.

რესპუბლიკის დემოგრაფიული და 'მრომითი პოტენციალის სიდიდესე იმდენად გარე მიგრაციის საერთო ინტენსივობა არ მოქმედებს, რამდენადაც მიგრაციულ ნაკადთა, იმიგრანტთა და ემიგრანტთა თანაფარდობა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ეს თანაფარდობა საკმაო სიმყარით ხასიათდებოდა (ცხრილი 37), მხოლოდ 1988 წლის შემდგომ მოხდა თანაფარდობის მყისიერი ცვლილება; მიგრაცია ცალმხრივი, გარეთ მიმართული ხასიათისა გახდა. თუ რესპუბლიკაში ჩამოსულთა და წასულთა თანაფარდობა 1959-1988 წწ. უდრიდა 1:1,3, 1992 წლისათვის 1:3,9 გახდა. ბოლო ხანს კიდევ უფრო გაიზარდა მიგრაციის ცალმხრივობის ხარისხი. აღნიშნული ტენდენცია დამახასიათებელია როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობისათვის. თუმცა ცალმხრივობის ხარისხი სოფლის მოსახლეობის გარე მიგრაციაში შედარებით ნაკლებია.

ამრიგად, ბოლო ხანს პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პერიოდში საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციამ მიიღო გამოკვეთილი ცალმხრივი მიმართულება, რაც მიგრაციის შედეგიანობის ზრდის ფაქტორი გახდა.

როგორც აღვნიშნეთ, მოსახლეობის მიგრაციის მიმდინარე აღრიცხვის ინფორმაციულობის დონე არაა საკმარისი, რომ დღევანდელი ამოცანების გადასაჭრელად რეალურად შეეაფასოთ იგი. ამას ისიც ემატება, რომ გარე მიგრაციის შესახებ ინფორმაცია არ მუშავდება საჭირო პროგრამით: მაგ., გარე მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურა. დამოუკიდებელი სახელმწიფოს დემოგრაფიული და შრომითი პოტენციალების შეფასებისათვის კი იგი აუცილებელია.

ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა საქართველოს

საქართველოდან წასულ და ჩამოსულ მიგრანტთა თანაფარდობა 1959-1992 წწ.[1]

წლები	სულ		ქალაქად		სოფლად	
	ყოველ 100 წასულზე ჩამოვიდა, კაცი	თანაფარდობა წასულებსა და ჩამოსულებს შორის	ყოველ 100 წასულზე ჩამოვიდა, კაცი	თანაფარდობა წასულებსა და ჩამოსულებს შორის	ყოველ 100 წასულზე ჩამოვიდა, კაცი	თანაფარდობა წასულებსა და ჩამოსულებს შორის
1959-1968	80	1,3	80	1,2	78	1,3
1969-1978	78	1,3	85	1,2	58	1,7
1959-1978	80	1,3	83	1,2	69	1,5
1979-1988	80	1,3	90	1,1	55	1,8
1989	69	1,4	79	1,3	49	2,1
1990	63	1,6	69	1,5	51	2,0
1991	42	2,4	41	2,4	47	2,1
1992	26	3,9	25	4,0	31	3,2
1993	29	3,4	-			
1989-1992	47	2,1	-			

მეცნერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტმა, როცა იქ სპეციალური პროგრამით, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით დამუშავდა 1993 წლის გარე მიგრაციის 10 ათასი ჩაწერისა და ამოწერის ფურცლის მოსახვეი ტალონი[2].

უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა გარემიგრაციული სიტუაცია, მიგრაციული ნაკადების სიდიდე, მისი სტრუქტურა, გავლენა რესპუბლიკის შრომით პოტენციალზე. იმის მიუხედავად, რომ გარე მიგრაცია, პრაქტიკულად, პირველადაა შესწავლილი და ბევრი საყურადღებო მასალაცაა მოპოვებული, გამოკვლევის შედეგებს ადრეულ წლებზე ვერ გავაერცელებთ. იგი გარდამავალი პერიოდის ამსახველია.

როგორც აღნიშნულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, ემიგრანტები 8,5-ჯერ ჭარბობენ იმიგრანტებს; უარყოფით სალდოში 54,9% ქალია, 97,7% -მუდმივად

[1] შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფოს დეპარტამენტის პირველადი მასალების საფუძველზე.

[2] როგორც მოსახლეობის მიგრაციისა და განსახლების განყოფილების მეცნიერ-კონსულტანტმა, ამ გამოკვლევაში ჩვენც მიეიღეთ მონაწილეობა.

მიგრირებული; უმეტესი ნაწილი ყოფილ სსრკ ფარგლებში გადასახლდა (ცხრილი 38).

მიგრანტთა სტრუქტურას და ინტენსიურობას, ძირითადად, სახელმწიფოთა მდებარეობა და საქართველოს მთელ მოსახლეობაში ამ ქვეყნების ძირითადი ეროვნებების რიცხობრივი წარმომადგენლობა განსაზღვრავს. საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული მიმოცვლა აქვს სსრკ ოთხ ყოფილ რესპუბლიკასთან: რუსეთთან, უკრაინასთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან, აგრეთვე, საბერძნეთსა და ისრაელთან. სხვა მიმართულებით მოძრაობა ჯერჯერობით მცირეა და რაიმე გამოკვეთილ ნაკადებს არ იძლევა.

როგორც ვხედავთ, მიგრაცია იმ ქვეყნებთანაა შედარებით ინტენსიური, რომელთა ძირითადი ეროვნებანი საქართველოში სახლობენ. ამდენად, საინტერესოა სპექტრი, რომელსაც მიგრაციულ ნაკადებში საქართველოში მცხოვრები შედარებით მოზრდილი ეთნიკური ჯგუფები ქმნიან (ცხრილი 39)

რადგან 1993 წელს ემიგრანტები საშუალოდ 8,5-ჯერ ჭარბობდნენ იმიგრანტებს, ამიტომაა, ერთი შეხედვით, წასვლისა და ჩამოსვლის ნაკადებში სტრუქტურული ასიმეტრიულობა. უკლებლივ, ყველა ეროვნებას მიგრაციული მიმოცვლის სალდო უარყოფითი აქვს. ქართველების წილი სალდოში მცირეა. საქართველოდან მათი მუდმივ საცხოვრებლად წასვლა 1993 წელს მნიშვნელოვანი არაა. მიგრაციის სალდოში დომინირებს არააბორიგენი მოსახლეობა.

საქართველოდან გამავალი ნაკადი ეროვნებისა და ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (ცხრილი 40).

ქართველ ემიგრანტთა ძირითადი მასა რუსეთ-უკრაინისკენაა მიმართული; უმნიშვნელოა ქართველთა საცხოვრებლად წასვლა გეოგრაფიულად უახლოეს რესპუბლიკებში - სომხეთსა და აზერბაიჯანში. ეს ქართული ემიგრაციისათვის არამარტო ამ წლისათვის, არამედ ადრეული წლებისათვისაც იყო დამახასიათებელი. იყო მხოლოდ აზერბაიჯანიდან ჩამოსულ, შემდგომში სწაელადასრულებულ ინგილოთა თავის ეთნიკურ ტერიტორიაზე მიბრუნების პროცესი.

რაც შეეხება სომეხ ემიგრანტებს, ისინი ძირითადად მიემართებიან არა სომხეთისაკენ, არამედ რუსეთისა და სხვა ქვეყნებისაკენ. ადრეულ წლებთან შედარებით ეს ამჟამად მეტადაა გამოკვეთილი. ის გარემოება, რომ საქართველოდან ემიგრირებულ სომეხთა 70% რუსეთ-უკრაინაში მიდის საცხოვრებლად, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მათი ემიგრაციის მიზეზი ამ შემთხვევაში უკვე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა და, ნაკლებად, ეთნიკურ-კულტურული გარემოთი დაუკმაყოფილებლობა ან, უბრალოდ, მათი შეეიწროება.

ასევეა უკრაინელთა მიგრაციაც. ძირითადი მასა (68,8%) მიემართება რუსეთისაკენ, შედარებით ნაკლები - თავისი სამშობლოსაკენ (35,9%). აქაც

ცხრილი 38

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის ძირითადი მიმართულებანი 1993 წ. პროცენტობით ჯამთან

ქვეყანა	წავიდა	ჩამოვიდა	სალდო	ქვეყანა	წავიდა	ჩამოვიდა	სალდო
რუსეთი	62.4	67,4	61,9	ყაზახეთი	0.4	1,2	0,3
უკრაინა	9,0	12,1	8,6	ბალტ. ქვეყ.	0,1	0,6	0,1
აზერბაიჯანი	12,2	7,3	12,7	საბერძნეთი	5,0		5,4
სომხეთი	3.0	7,9	2,5	ისრაელი	4.6		4,4
ბელორუსია	1,3	0,3	1,4	სხვა	1,0	1,7	1,5
შუა აზიის ქვეყნები	0,4	1,5	0,3	სულ	100	100	100

ცხრილი 39

გარემიგრაციული ნაკადების ეროვნული სტრუქტურა (%)

ეროვნება	წავიდა	ჩამოვიდა	უარყოფითი სალდო	ეროვნება	წავიდა	ჩამოვიდა	უარყოფითი სალდო
ქართველი	13,2	49,0	8,4	აფხაზი	0,01	-	0,0
რუსი	36,1	9,0	39,7	ებრაელი	4,7	0,2	5,3
სომეხი	11,1	19,1	10,1	უკრაინელი	5,6	2,0	6,1
აზერბაიჯანელი	14,4	12,5	14,7	სხვა	4,2	2,5	4,3
ოსი	4,5	0,7	5,0	სულ	100	100	100
ბერძენი	6,2	5,0	6,3				

გადამწყვეტი ეკონომიკური მიზეზებია. რუსეთთან შედარებით, უკრაინაში ცხოვრების პირობები მეტად გაუარესდა. ამასთან, რუსულ სკოლებში აღზრდის გამო აქაური უკრაინელი, შეიძლება ითქვას, კულტურულად გარუსებულია.

გასაგებია ებრაელებისა და ბერძნების ლტოლვა საკუთარი, უძველესი კულტურისა და ამჟამად ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისაკენ. ადრეულ წლებში მათი რეპატრიაციის ბევრი შემზღუდავი ფაქტორი

ცხრილი 40

საქართველოდან წასულ სხვადასხვა ეროვნების მიგრანტთა განაწილება ქვეყნების მიხედვით
(პროცენტობით ჯამთან)

ეროვნება	რუსეთი	უკრაინა	ბელორუსია	აზერბაიჯანი	სომხეთი	შუა აზიის რესპუბლიკები	ყაზახეთი	ბალტიისპირეთის ქვეყნები	საბერძნეთი	ისრაელი	სხვა ქვეყნები	სულ
ქართველი	74,7	12,9	0,7	2,4	1,1	1,5	0,9	0,5	1,9	2,5	0,9	100
რუსი	85,6	9,7	1,2	0,2	0,4	0,5	0,3	0,1	0,5	0.5	1,0	100
სომეხი	62,6	7,1	0,6	0,7	24,6	0,1	0,4	0,1	0,6	2,0	1,2	100
აზერბაიჯანელი	16,0	2,7	0,4	78,9	0,2		0,9		0,4	0,4	0,1	100
ოსი	91,9	4,3		1,8	0,3				1,7			100
ბერძენი	34,2	2,9	0,4	1,4	0,2	0,2			59,8		0,9	100
აფხაზი	-	100										100
ებრაელი	8,8	0,5	0,5	0,5		0,2	0,2		1,1	73,7	14,5	100
უკრაინელი	58,2	35,9	2,3		0,2	0,4	0,4	0,4	0,5	0,3	0,3	100
სხვა	68,9	10,0	8,9	1,0	3,1	1,6	1,6	0,5			3,8	100

მოქმედებდა. ამჟამად ორგანიზაციულად გაადვილებულია მათი ინტეგრირებული სამშობლოში დაბრუნება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბერძნებმა, ნაწილობრივ, გადაინაცვლეს (34,2%) რუსეთის იმ რეგიონებისაკენ, სადაც ჯერ კიდევ შემორჩა ბერძნული კოლონიები. ეს საქართველოში შექმნილი ღრმა ეკონომიკური კრიზისის შედეგია.

თუ ბოლო დრომდე მიგრაციის მაღალი ინტენსიობის მიუხედავად გარე მიგრაციის საალდო შედარებით მცირე იყო და მისი ზეგავლენა საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობასა და შრომით პოტენციალზე არსებითი არ იყო, 90-იან წლებში სალდოს ინტენსიობა თანდათან იზრდება და მისი ზეგავლენა შრომით პოტენციალზე ძლიერდება. 1993 წლის სალდო 4-5-ჯერ აღემატება 70-იანი და 80-იანი წლების სალდოს. დემოგრაფიულ და შრომითი პოტენციალებზე მისი მოქმედება, პირველ ყოვლისა, გამოიხატება შრომითი რესურსების ასაკობრივ სტრუქტურაზე ზეგავლენით. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსოგადებისათვის 1993 წლის მონაცემებზე დაყრდნობა სრულ სურათს ვერ მოგვცემს. საქმე ის არის, რომ 1993 წელს საქართველოდან რუსეთში მასობრივად გადავიდა საცხოვრებლად საპენსიო ასაკის მოსახლეობაც. ამის მიზეზი საქართველოსა და რუსეთში მკვეთრად განსხვავებული საპენსიო უზრუნველყოფა იყო. საქართველოში ეკონომიკური კრიზისის მეტი სიღრმით განვითარებისა და ცხოვრების დონის გაცილებით მეტად დაცემის გამო ახალგაზრდობასთან ერთად, რომლებიც ადრეულ წლებში დომინირებდნენ მოსახლეობის მიგრაციაში, ხანშიშესულმა მოსახლეობამაც დაიწყო რესპუბლიკიდან ადრე წასულ ოჯახის ახალგაზრდა წევრებთან საცხოვრებლად გადასვლა. ამის გამოა, რომ 1993 წელს პენსიონერთა ხვედრითი წონა მიგრაციის სალდოში 3,8%-ით აღემატება მათ წილს რესპუბლიკის მთელ მოსახლეობაში; ეს მიგრაციულ მობილობაში უნიკალური შემთხვევაა. რაც შეეხება შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრით წონებს, აქ ახალგაზრდათა ხვედრითი წონა ჭარბობს.

განათლების პოტენციალის კლების თვალსაზრისით ვითარება ასეთია: ბოლო წლების მიგრაციული ნაკადები სტრუქტურულად არსებითად არ განსხვავდებიან მოსახლეობის განათლების საერთო პოტენციალისაგან. მიგრანტთა სალდოს განათლების პოტენციალი, სწავლების წელთა რაოდენობა ერთ მიგრანტზე 11,1 წელია, საქართველოს დასაქმებულ მოსახლეობაში - 11,6 წელი. 1989 წლის შემდგომ საქართველოს განათლების პოტენციალს მიგრაციით დააკლდა 1276,5 ათასი კაც-წელი. ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, მიგრაციული მიმოცვლით 90-იან წლებში საქართველოს მოსახლეობის განათლების პოტენციალი იზრდებოდა.

რაც შეეხება ქართველ მოსახლეობას, აქ მიგრაციის ზეგავლენით განათლების პოტენციალი უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე სხვა ერებში. მაგ. მიგრაციის სალდოში ქართველებში უმაღლესი და დაუმთავრებელი

უმაღლესი განათლების მიგრანტები ყოველ 1000 მიგრანტზე 250 კაცია, რუსებში იგი 152-ია, სომხებში - 137, აზერბაიჯანელებში -64 და ა. შ.

§ 3. გარე შრომითი მიგრაცია

თუ ბოლო წლებამდე რესპუბლიკის გარეთ შრომითი მიგრაცია სტაბილური იყო და მასში უმთავრესად მონაწილეობდა სამხრეთ საქართველოს არაქართველი მოსახლეობა, 90-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის დროს იგი ძლიერ გაიზარდა და მთელი საქართველო მოიცვა. გაფართოვდა მიგრანტთა ეთნიკური სპექტრი. რესპუბლიკის შრომით პოტენციალზე მისი გავლენა არსებითად გაიზარდა.

ახლო მომავალში ასეთი სახის მიგრაციის ინტენსიეობის შენელება მოსალოდნელი არაა, ამიტომ მისი ზემოქმედება რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე საგრძნობი იქნება. საჭირო გახდება მისი სახელმწიფოებრივი რეგულირება.

სახელმწიფოთაშორისი შრომითი მიგრაცია მსოფლიო მოვლენაა. იგი მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის მნიშვნელოვანი სახეა და დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს განვითარებაზე, ისე მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებზე. ბოლო მონაცემებით, ეკონომიკური მიზეზებითა და პოლიტიკური თავშესაფრის ძებნის მოტივით თავიანთ სამშობლოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს 100 მლნ-ზე მეტი ადამიანი[1]. ზოგიერთი შეფასებით კი, ჯერ კიდევ 80-იანი წლების შუახანებში მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში ითვლებოდა 21,7 მლნ შრომითი მიგრანტი[2]. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იმიგრაციამ დიდ მასშტაბებს 70-იან წლებსა და 80-იანი წლების დასაწყისში მიაღწია. ამჟამად, ამ ქვეყნებში იგი ოდნავ შემცირდა, მაგრამ მსოფლიო მასშტაბით იგი მეტად ინტენსიური იქნება მომავალშიც.

რიდ თაბარაჰი, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა გაეროს მოსახლეობის პოლიტიკის სექციას, კრიტიკულად მიმოიხილავს ცნობილი მეცნიერების: რ. ზოლბერგის, კ. დეევისის, ჯ. კონდის, ჯ. ლეევისის პროგნოზებს და მიდის დასკვნამდე, რომ მსოფლიოში საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბები კვლავაც დიდი იქნება ახლო პერსპექტივაში. იგი იმოწმებს კ. დეევისს, რომლის აზრით, „კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს ყოფილა ქვეყნებს შორის მოსახლეობის მოძრაობის ასეთი პოტენცია, როგორც ამჟამად. თუ კი მიგრაცია განისაზღვრებოდა თავისუფალი საბაზრო პირობებით,

[1] Ж. Трудовой мир. Изд. МОТ. 1995, N 1, с. 2.

[2] Денисенко М. Б., Ионцев В. А., Хорев Б. С. Миграциология. М.: МГУ, 1989, с. 73.

ვიხილავდით ხალხის მასიურ გადინებას ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან მეტად განვითარებულ ქვეყნებში"[1].

შრომით მიგრაციას, როგორც იმიგრაციის, ისე ემიგრაციის ქვეყნებისათვის ბევრი ძისთვის დამახასიათებელ უარყოფით მხარეებთან ერთად, უფრო მეტი დადებითი შედეგი აქვს. მაგ. დასავლეთ ევროპიდან თურქეთში შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილები 80-იან წლებში ყოველწლიურად 2 მლრდ დოლარს აღწევდა[2]. სამხრეთ კორეა საზღვარგარეთ თავისი მომუშაველებისაგან ყოველწლიურად იღებდა 2 მლრდ დოლარ პირდაპირ შემოსავალს[3]. შრომითმა მიგრაციებმა უდიდესი როლი შეასრულეს იტალიის, იუგოსლავიის, ესპანეთის, საბერძნეთის და სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეების ცხოვრების დონის ამაღლებაში, მათ საერთო ინტელექტუალურ წინსელაში. ჩვენი აზრით, სხვა სახელმწიფოში გასული მუშახელი უფრო განვითარებულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ადაპტირდებოდა, ხოლო შემდგომ მათი დიდი ნაწილის სამშობლოში დაბრუნება საგრძნობ ზეგავლენას ახდენდა თავის ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ პროცესებზე. საფიქრებელია, რომ თურქეთში ევროპიზაციის პროცესის დაწყებასე თავისებური ზეგავლენა გარემიგრაციულმა შრომითმა კავშირებმა მოახდინა. ამავე დროს, დასავლეთ ევროპიდან თურქი მუშების რეემიგრაციულმა პროცესებმა აშკარად გასარდეს ამ ქვეყნის შრომითი პოტენციალი, ადგილობრივი სამუშაო ძალის ხარისხობრივი შემადგენლობა. ეს მაშინ, როცა მათი უმეტესობა დასავლეთ ევროპაში არაკვალიფიციური შრომით იყო დასაქმებული.მაგ. გფრ-ში თურქი მუშები ასრულებდნენ დაბალკვალიფიციურ სამუშაოებს სამთო მრეწველობაში (შრომით მიგრანტთა 9%), მეტალურგიაში (43,2%), დამუშავებით მრეწველობაში (18,7%), მშენებლობაში (20,2%). თვით თურქი მუშა ქალების 80%-ზე მეტი მეტალურგიასა და დამუშავებით მრეწველობაში იყო დასაქმებული[4]. მიუხედავად ამისა, მაღალგანვითარებულ ქვეყანაში ეკონომიკური და შრომითი დისციპლინის ჩვეულების მიღებასა და თურქეთში გადმოტანას ამ ქვეყნის ეკონომიკურ წინსელაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ცნობილი თურქი პოლიტიკური მოღვაწე, ამჟამად თურქეთის პრეზიდენტი, სულეიმან დემირელი ჯერ კიდევ 60-იან წლებში ბელგიაში თურქი შრომითი ემიგრანტებისადმი თავის მიმართვაში დიდ მნიშვნელობას აძლევდა მათ

---

[1] International Migration Today. UNESCO, 1988, Volume 2, p. 252.

[2] Ксендзык Н. Н. Турецкая трудовая иммиграция в странах Западной Европы (70-80-ые годы). Киев: Наукова думка, 1991, с. 95.

[3] Уникалов И. Г., Иванов С. И. Эмиграция: взгляд с Востока и Запада. М.: Знание, 1991, с. 5.

[4] Ксендзык Н. Н. Турецкая трудовая иммиграция в странах Западной Европы (70-80-ые годы). Киев: Наукова думка, 1991, с. 95.

რეემიგრაციას თურქეთში: „თქვენ ისწავლით და რაღაც დროის შემდეგ დაბრუნდებით სამშობლოში კვალიფიციურ მუშებად. ჩვენი ქვეყანა ბევრს მოელის თქვენგან"[1].

ჩვენი აზრით, ანგარიშგასაწევია ‘ხოგიერთი ქვეყნის მეცნიერთა უარყოფითი დამოკიდებულებაც შრომითი ემიგრაციისადმი. მათი აზრით, ეს პროცესი წარმოადგენს ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მუხრუჭს; ქვეყნები კარგავენ კვალიფიციურ სამუშაო ძალას, იზრდება ინფლაცია, სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნები სულ უფრო მეტად ხდებიან იმპორტიორებზე დამოკიდებულნი და ა. შ.[2]

უნდა შეენიშნოთ აგრეთვე, რომ, თუ, ერთი მხრივ, იმიგრანტები დასავლეთის ქვეყნებში აბალანსებენ შრომის ბაზრის მოთხოვნილებას, წარმოადგენენ იაფ სამუშაო ძალას, იმავდროულად, ამ ქვეყნებს უქმნიან მრავალ სოციალურ, დემოგრაფიულ და პოლიტიკურ პრობლემას. მაგ. 1987 წლის მონაცემებით, ლუქსემბურგში მუშათა 34 პროცენტი უცხოელია, შვეიცარიაში - 19, ბელგიაში - 10, გერმანიაში - 8, საფრანგეთში - 7, შვეიცარიაში - 5 პროცენტი[3]. ახლო აღმოსავლეთის ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში: კატარსა და კუვეიტში მუშათა 85% უცხოელია, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში - 90%[4]. ამის გამო კატარში მოსახლეობის 73% იმიგრანტია, კუვეიტში - 59%, არაბთა გაერთიანებულ ემირატებში - 76%[5].

ასეთი დიდი დემოგრაფიული დაწოლის გამო გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, ინგლისის, ნიდერლანდების, შვეიცარიისა და ლუქსემბურგის მოსახლეობას დაახლოებით 15 მლნ უცხოელი შეერწყა[6]. ამის გამო დასავლეთის სახელმწიფოებმა გაზარდეს იმიგრანტთა მიმართ შეზღუდვები. დაიწყეს ნებაყოფლობითი რეპატრიაციის სტიმულირება. მაგ. 1984 წელს დასავლეთ გერმანიიდან 300 ათასი უცხოელი დათანხმდა რეპატრიაციას,მაგრამ ამ პროცესის განხორციელება 600 მლნ დოლარი დაჯდა. საფრანგეთში კი 4,5 მლნ უცხოელმა მუშამ მაინც მოახერხა ამ ქვეყანაში კანონიერი ჩასახლება[7].

როცა საქართველოს მოსახლეობის შრომითი მიგრაციის პრობლემებზე ემსჯელობთ, პირველი რიგის ამოცანად ამ კონტინგენტის აღრიცხვა უნდა

---

[1] Трудовые ресурсы Востока. Демографо-экономические проблемы. М.: Наука, 1987, с. 200-207.

[2] Западная Европа: Проблемы рабочих-иммигрантов. М.: ИНИОН, 1990, с. 44.

[3] იქვე.

[4] International Migration Today. UNESCO, 1988. Volume 2, p. 256.

[5] Денисенко М. Е., Ионцев В. А., Хорев Б. С. Миграционология. М.: МГУ, 1989, с. 76.

[6] Западная Европа: Проблемы рабочих-иммигрантов. М.: ИНИОН, 1990, с. 5-6.

[7] Беженцы: динамика перемещения. Пер. с англ. М.: Международные отношения. 1989, с. 118.

დაესახოთ. მათი რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია ამჟამად არ არსებობს. ამიტომაც გაჩნდა ჩვენს პრესაში სამუშაოდ წასულთა რიცხოვნობაზე მრავალი ერთმანეთისაგან დაცილებული ვარაუდი, ზოგჯერ დაუჯერებელი ციფრებიცა და გადაჭარბებული ხმაურიც.

შრომითი ემიგრანტთა კონტინგენტის ‘ხუსტად დადგენა ამჟამინდელი სტატისტიკური ანგარიშგებიანობის პირობებში მეტად გაძნელებულია. ჩვენი აზრით, მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება ყველაზე რეალურია ე. წ. ანამნესტიკური მეთოდით, წასულთა ახლობლების გამოკითხვით. გამოკითხვა უნდა მოხდეს რეპრეზენტატული შერჩევის პირობებში და განხორციელდეს ადმინისტრაციული ოგანოების მეშვეობით. მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მრავალი ასპექტით, თუნდაც რესპუბლიკაში სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის დადგენის თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, აუცილებელია, რომ შრომითი ემიგრაცია მოექცეს მოსახლეობის აღწერის პროგრამებში როგორც საქართველოში, ისე ემიგრაციის ქვეყნებში.

შრომითი ემიგრაციის პრობლემების მოგვარებაში სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთად დიდი როლის შესრულება შეუძლიათ სათეისტომოებს იმიგრაციის ქვეყნებში, მაგალითად, თურქ მუშებს დასავლეთის ქვეყნებში საკმაოდ გავლენიანი გაერთიანებები აქვთ. გერმანიაში არსებობს მათი ოცამდე სხვადასხვა კავშირი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ თურქეთის შრომითი იმიგრაციის მართვაში, მათი სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეების დაძლევაში, უფლებების დაცვაში, და თვით გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც კი[1].

ვფიქრობთ, საჭიროა ქართული შრომითი ემიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მეცნიერული შესწავლა კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევების გზით. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მრავალი ასეთი გამოკვლევა ჩატარდა[2]. მომავალში, სადაც კი საქართველოდან შრომითი მიგრანტები საგრძნობ მასას მიაღწევენ, აღნიშნული კონტინგენტის საქმიანობისა და ყოფის ორგანიზაცია-მართვაში მეცნიერებამაც თავისი წვლილი უნდა შეიტანოს.

როგორც მცირე მასშტაბის არასრული და, ბუნებრივია, შედარებით ნაკლები სანდოობის ინტერვიუ-გამოკითხვები გვიჩვენებს, სამუშაოდ წასულთა შორის დიდია არაქართველი მოსახლეობის წილი. საზოგადოდ, მათი გარემიგრაციული პოტენციალი მაღალია, საქართველოდან მათი სტაციონარული მიგრაციის პერსპექტივა შედარებით მეტია. მით უმეტეს, რომ

---

1. Ксендзык Н. Н. Турецкая трудовая иммиграция в странах Западной Европы (70-80-ые годы). Киев: Наукова думка, 1991, с. 97.

2. International Migration Today. UNESCO, 1988, Volume 2, p. 252.

ამას უბიძგებს მშობლიურ ეთნიკურ გარემოში დაბრუნების მოთხოვნილება, რომელიც საზოგადოების განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე საერთო კულტურული დონის ზრდასთან ერთად ძლიერდება. თავიანთ ეთნიკურ ტერიტორიაზე დროებით სამუშაოდ ჩასვლა შემდგომში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლის მძლავრი სტიმულატორია.

საქართველოდან რუსეთსა და სხვა ქვეყნებში შრომითი ემიგრაციის მთავარი ფაქტორია დიდი განსხვავება ერთი და იმავე სამუშაოს ანაზღაურებაში, სამუშაო ძალის ფასში, ცხოვრების პირობებში. მართალია, სხვა ქვეყნებში ვალუტის მსყიდველობითი ძალა ნაკლებია, მაგრამ არა იმდენად, რომ გადაფაროს შრომის ანაზღაურებაში დიდი განსხვავება. მომავალში რუსეთსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში საქართველოდან მოსახლეობის მიგრაცია დამოკიდებული იქნება ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა სხვაობაზე. საეარაუდოა, რომ რუსეთის ეკონომიკის აღმავლობის დიდი შესაძლებლობების გამო, რასაც, თავის მხრივ, უზარმაზარი ბუნებრივ-საწარმოო პოტენციალი განაპირობებს, სამუშაო ძალის მიზიდვა დსთ ქვეყნებიდან არ შეწყდება. ამ პროცესს გააძლიერებს რუსეთში ხანგრძლივად შექმნილი დემოგრაფიული კრიზისი, შრომითი რესურსების მოსალოდნელი დეფიციტი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ წლებში დასავლეთ ევროპაში მიიღეს მთელი რიგი მკაცრი შესლუდვები უცხოელ მუშათა იმიგრაციაზე, ამიტომ საქართველოდან ამ ქვეყნებში საგრძნობი შრომითი ემიგრაცია მოსალოდნელი არაა.

საქართველოდან სხვაგან მოსახლეობის საშოვარზე წასვლა ორი სახისაა: დროებით, წინასწარ განსაზღვრული ვადით და განუსაზღვრელად. არსებობს სპეციალური შეთანხმება დსთ ქვეყნებს შორის, რომელიც ორგანიზაციულად მოსახერხებელს ხდის შრომით მიგრაციებს სერიოზული შეზღუდვების არარსებობის გამო.

შრომით ემიგრანტთა ნაკადი, პირობითად, შეიძლება ორად გავყოთ: პირველი - ესაა სარფიან ბიზნესში ჩაბმულნი, ხოლო მეორე ნაწილი კი ფიზიკურ სამუშაოებზე დროებით მიზიდული მოსახლეობაა.

საეარაუდოა, რომ ბიზნესმენთა უმეტესობა შედარებით დიდხანს დარჩება რუსეთსა და დსთ სხვა ქვეყნებში, ხოლო მეორე ნაწილი საქართველოში დაბრუნდება ეკონომიკური აღმავლობის დაწყებისთანავე, განსაკუთრებით, ქართველი მოსახლეობა.

მოსალოდნელია, რომ საქართველოში ეკონომიკური აღმავლობისას გაჩნდება სერიოზული კონკურენცია ბიზნესის სფეროში. ამ კონკურენციაში აქტიურად ჩაებმებიან იმ ერების წარმომადგენლებიც, რომლებსაც ისტორიულად საბაზრო ურთიერთობებში მონაწილეობის ჩვენზე მეტი გამოცდილება აქვთ (მაგ. სომხური და ებრაული დიასპორა). თუ აბორიგენი ბიზნესმენები სუსტნი აღმოჩნდებიან, დაკარგავენ თავიანთ ქვეყანაში ეკონომიკის მთავარ

ბერკეტებს. არაა გამორიცხული, რომ, რიგორც ილია ჭავჭავაძე თავის დროზე წერდა, „კოდინთა და ხერხით მოსულმა" თან გაგვიტანოს[1]. ამ თვალსაზრისით, ეფექტიანობა, საზღვარგარეთ ქართველ ბიზნესმენთა გაძლიერება და შემდგომ საბაზრო ეკონომიკაში მონაწილეობა დიდი სახელმწიფოებრივი და ეროვნული საქმე იქნება. საქართველოდან მათი ყოველმხრივი ხელშეწყობა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანაა. ამდენად, ქართველთა გასელას საზღვარგარეთ, განსაკუთრებით რუსეთში, უარყოფით დემოგრაფიულ თუ ეკონომიკურ მომენტებთან ერთად დადებითიც ბევრი აქვს, რაც ცივი გონებით უნდა ვიანგარიშოთ.

ახლო მომავალში საქართველოში სხვა ქვეყნებიდან შრომითი მიგრაციის ინტენსიურობის მატება მოსალოდნელი არაა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროგნოზირებისას გასათვალისწინებელია პრობლემები, რომელიც შეიძლება საქართველოში შრომითმა იმიგრაციამ წარმოქმნას. აქამდე უცხო მუშახელი ჩვენში შემოდიოდა სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, მეცხვარეობაში, უმთავრესად აზერბაიჯანიდან. კახეთის რეგიონის მეცხვარეობაში მწყემსთა დიდი ნაწილი აზერბაიჯანის მცხოვრები იყო. ეს გარემოება გასათვალისწინებელია საქართველოში მეცხვარეობის აღორძინების გზების დასახვისას.

იყო, აგრეთვე, ზღვისპირა კურორტებზე სხვა რესპუბლიკის მოსახლეობის დასაქმება მცირე მასშტაბით. მომავალში გამორიცხული არაა საკურორტო მეურნეობის აღორძინებისას ასეთი კონტინგენტების კვლავაც გამოჩენა. იგი, ჯერ ერთი, სათანადოდ უნდა იყოს რეგისტრირებულ-აღრიცხული; მეორეც, შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული და ორგანიზაციულადაც მოწესრიგებული.

ამჟამად და შემდგომაც საქართველოს ეკონომიკაში არამარტო სამუშაო ადგილების ვაკანსიათა სიმცირე არის და იქნება გარემიგრაციის ინტენსიურობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი, არამედ სამუშაო ადგილებისა და მუშახელის სტრუქტურულ-რეგიონული დაუბალანსებლობაც. თუ კადრების მომზადების პოლიტიკა არ შეიცვალა და კვლავაც გაგრძელდა უმაღლესი განათლების სპეციალისტთა ზეჭარბწარმოება, ხოლო კვალიფიციურ მუშათა მომზადება არ გამოცოცხლდა, მოსალოდნელია არამარტო ემიგრაციული პროცესების, არამედ იმიგრაციული პროცესების გაძლიერებაც. ეკონომიკური აღმავლობისას იგი დემოგრაფიულად სწრაფად მზარდი მეზობელი ქვეყნებიდანაა მოსალოდნელი, რაზეც იმოქმედებს ისიც, რომ ევროპის სახელმწიფოები სახავენ სერიოზულ ღონისძიებებს თურქი მუშების შრომითი იმიგრაციის შესამცირებლად.

---

[1] ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ.4. - თბ.: საბჭოთა საქართველო, 1987, გვ. 176.

საეჭვოა, რომ საქართველო თავისი ეკონომიკური და შრომითი პოტენციალის გამო არათუ გამოვა ეკონომიკური კრიზისიდან, არამედ მალე გაასწრებს იმ მეზობლებს, რომელთაც დიდი დემოგრაფიული ზრდა ნაკლებ პერსპექტივას უსახავს ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის გასადიდებლად. ამიტომ ამ ქვეყნებიდან დღეს ნაკლებად წარმოსადგენი შრომითი იმიგრაციული პროცესები რეალობად იქცევა, რაც, აგრეთვე, წინასწარ გასათვალისწინებელია.

აუცილებელია, აგრეთვე, ე. წ. „თავისუფალი ‘ზონების’ პროექტების შემუშავებისას გავითვალისწინოთ უცხო მუშახელის იმიგრაციის მართვის პრობლემებიც.

§ 4. URBANIZACIA DA SOFLIDAN QALAQAD MOSAXLEOBIS IMIGRACIIS PROBLEMA

ურბანიზაცია წარმოებისა და შრომის ეფექტიანობის კანონზომიერებათა საფუძველზე ადამიანთა საქმიანობის ტერიტორიული კონცენტრაციის ობიექტური პროცესია. იგი ეტაპობრივად ვითარდება როგორც ცენტრისტული დასახლებული პუნქტების გამსხვილებით, ისე ე. წ. ურბანისებული არეალების წარმოქმნითა და გაფართოებით.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, შეიძლება გამოიყოს ურბანიზაციის რამდენიმე ეტაპი[1]. პირველი ეტაპია ცალკეულ ქვეყნებში ქალაქების წარმოშობიდან მსხვილი ქალაქების შექმნამდე. ესაა მეტად ხანგრძლივი ეტაპი. მეორე ეტაპის მთავარი ნიშანია მთელ მსოფლიოში მრეწველობის განვითარება, კონცენტრაცია. მესამე ეტაპი დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან. ამ დროს მრეწველობის კონცენტრაციასთან ერთად ხდება საქმიანობის სხვა სფეროების, მათ შორის, მომსახურების კონცენტრაცია, რასაც თან სდევს უმსხვილეს ქალაქებსა და აგლომერაციებში მოსახლეობის თავმოყრის პროცესი.

ჩვენი აზრით, მეოთხე ეტაპის საწყისად უნდა ჩაითვალოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის დეკონცენტრაციის დაწყება, ე. წ. „სუბურბანიზაცია“, როცა ცენტრალური ქალაქიდან მოსახლეობა საგარეუბნო ზონაში იწყებს გადაადგილებას, ან საცხოვრებლად საშუალო და პატარა ქალაქებში გადადის.

რასაკვირველია, ამ პროცესს აქვს თავისი ეკონომიკური საფუძველი. ინდუსტრიული საზოგადოება იცვლება ე. წ. პოსტინდუსტრიულით. ინდუს-

[1] Мировая урбанизация: географические проблемы. М.: МФГО, 1989. Крупнейшие города капиталистических и развивающихся стран. М.: МГУ, 1987 Город в современном Африо-Азиатском мире. М.: ИНИОН, 1990. Города и сельские районы в капиталистических странах: проблемы социально-демографического развития и взаимодействия. М.: ИНИОН, 1989 и др.

ტრიული დასაქმება ადგილს უთმობს მომსახურებით დასაქმებას. მაგ. ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებში ყველა სამუშაო ადგილის 60-70% მომსახურების სფეროშია მოქცეული. მეტიც, აშშ შრომის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, იმ 26,4 მლნ სამუშაო ადგილიდან, რომლის შექმნაცაა გათვალისწინებული 1992-2000 წწ., 25 მლნ-ზე მეტი მომსახურების სფეროს წილად მოდის, მხოლოდ 1 მლნ-ია მრეწველობაში[1].

თანდათან მკვეთრდება ე. წ. ინფორმაციული გაჯერების, დისტანციური მართვის ეპოქა. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ „სამუშაო ადგილები საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან გადაადგილდება უშუალოდ საცხოვრებელ შენობებში"[2]. შინმუშაობა ხდება არამარტო რალაც ეიწრო კატეგორიის მუშაკთა, არამედ სპეციალისტების, მეცნიერთა, კანტორის მუშაკთა და თვით მმართველ მუშაკთა დასაქმების ფორმა. ისინი მუშაობენ არასრული სამუშაო რეჟიმით (საწარმოში გადიან კვირაში ერთ-ორ დღეს ერთობლივი შეკრებებისათვის). აშშ-ში ასეთი კატეგორიის პირნი არასრული სამუშაო დროის რეჟიმით მომუშავე 25 მლნ მასაში ნახევარზე მეტს წარმოადგენენ. 2000 წლისათვის ვარაუდობენ, რომ 40 მლნ-ს მიაღწევს აღნიშნული კატეგორიის მუშაკთა რიცხოვნობა[3].

ეს პროცესები ედება საფუძვლად დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ე. წ. „სოფლის რენესანსის" ეპოქას. აშშ-ში 70-იან წლებში სოფლის მოსახლეობის კლების ტენდენცია 80-იან წლებში მატებით შეიცვალა[4]. საფიქრებელია, რომ გეოგრაფიულ სივრცეში რაც შეიძლება თანაბარი განსახლების პრობლემა თანამედროვე დასავლეთში განსახლების სრულყოფის არსებითი მიმართულება იქნება XXI საუკუნეში.

ყოველივე ზემოთქმულის მოტანა დაგვჭირდა იმიტომ, რომ სწორად გავიაზროთ ურბანიზაციის პროცესის ობიექტური ხასიათი, მისი ეტაპობრივი თანმიმდევრობა. შეფასდეს, რომელ ეტაპზე იმყოფება საქართველოს ურბანიზაცია ამჟამად. ეს საჭიროა იმიტომაც, რომ, სამწუხაროდ, პოპულისტებისა და დილეტანტების დაწოლით ხელისუფლებას ბევრჯერ მიუღია გადაწყვეტილებანი განსახლების სისტემის მოწესრიგების მიზნით, რომელთაც განვითარების ობიექტურ პროცესთან საერთო არაფერი აქვთ.

რასაკვირველია, როგორც საზოგადოების განვითარების ყველა მხარეს, ურბანიზაციის პროცესსაც აქვს მრავალი მკვეთრად გამოხატული თავისებურება საქართველოში[1]. ურბანიზაციის განვითარების ეტაპობრივი ხასიათი სულაც არ ნიშნავს, რომ არ შევეცადოთ იმ მრავალი უარყოფითი მოვლენის

---

[1] Трудовой мир. Издание МОТ, 1995, N 1 (11) с. 7.

[2] Урбанизация в капиталистических странах. М.: ИНИОН, 1991, с. 52.

[3] იქვე, გვ.54.

[4] Кайзер Б. Сельский ренессанс в США. В кн.: Города и сельские районы в капиталистических странах. М.: ИНИОН, 1989, с. 43.

თაეიდან აცილებას, რომელიც მწვავეედ გამოვლინდა დასავლეთში. მაგრამ ეოლუნტარისმი ურბანიზაციის მართვის გზების ძიებისას უნდა გამოვრიცხოთ.

საქართველოში თანამედროვე ურბანიზაციის პროცესი ინდუსტრიალიზაციის, სოფლიდან ქალაქად მიგრაციის პროცესთანაა დაკავშირებული.ამას საფუძვლად უძევს და განსაზღვრავს წარმოების განლაგებისა და კონცენტრაციის ეფექტიანობის კანონზომიერებანი. მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად გადანაწილება მოსახლეობის დასაქმებაში დარგობრივი გადანაწილების შედეგია; კერძოდ, სოფლის მეურნეობიდან არასასოფლოსამეურნეო დარგებში და მთელ ეკონომიკაში მათი ხვედრითი წონის სისტემატური ამაღლების შედეგი. დარგობრივ გადანაწილებას ტერიტორიული გადანაწილება თან სდევს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობა მცირდება, ამ დარგიდან გამოთავისუფლდება, რაც სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რესურსების შეზღუდულობის გამო ხდება. იცვლება ტერიტორიული პროპორციები სამუშაო ადგილების განაწილებაში ქალაქწარმომქმნელი დარგების სასარგებლოდ.

აღნიშნული ორივე პროცესი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მათი ტემპები ერთმანეთს ემთხვევა. მაგ. 1960-1990 წწ. საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა მთლიან დასაქმებაში 22 პროცენტით შემცირდა, ხოლო ქალაქის მოსახლეობისა მხოლოდ 14 პროცენტით ამაღლდა (ცხრილი 41).

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდში ქალაქის მოსახლეობა, ნაწილობრივ, სოფლების ქალაქებად გარდაქმნამაც გაზარდა.

სოფლიდან ქალაქად მიგრაციის ინტენსივობის შეფასებისას უნდა

ცხრილი 41

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა და ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონის ცვლილება 1960-1990 წწ. (%)

	1960	1970	1980	1985	1990
სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვ. წონა	48	38	31	28	26
ქალაქის მოსახლეობის ხვ. წონა მთელ მოსახლეობაში	42	48	52	54	56

[1] იხ.მაგ., Джаошвили В. Ш. Урбанизация Грузии. Тб.: Мецниереба. 1978.

აღინიშნოს „სოფელი-ქალაქი" და „ქალაქი-სოფელი" ნაკადების რიცხობრივი სხვაობის - სალდოს ინტენსივობა და ამ ნაკადთა ურთიერთთანაფარდობა, რომელშიც მიგრაციის ეფექტიანობაც ვლინდება (ცხრილი 42).

თუ განვიხილავთ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს, აშკარაა ზემოაღნიშნული ნაკადების შეფარდების სიდიდის დამოკიდებულება მრეწველობასა და სხვა ქალაქწარმომქმნელ დარგებში ახალ სამუშაო ადგილთა

ცხრილი 42

საქართველოს მოსახლეობის შიგა მიგრაცია სოფლიდან ქალაქად[1]

წელი	სამოვიდა სოფლიდან ქალაქად, კაცი	წავიდა ქალაქიდან სოფლად, კაცი	მიგრაციის სალდო, კაცი	შემხვედრ ნაკადთა თანაფარდობა (2:3)	მიგრაციის სალდოს ინტენსივობა (სოფლის მოსახლეობისადმი), პრომილე	მიგრაციის სალდოს ინტენსივობა (ქალაქის მოსახლეობისადმი), პრომილე	სალდოს ინტენსივობის შეფარდება მიგრაციის ბრუნვასთან, 4:(2+3)%
1	2	3	4	5	6	7	8
1979	15606	6733	8873	2,3	3,7	3,4	39,7
1980	15447	5788	9659	2,7	4,0	3,7	45,[illegible]
1981.	14970	5880	9090	2,5	3,8	3,4	43.6
1982	14939	5345	9594	2,8	4,0	3,5	47,8
1983	14025	5227	8798	2,7	3,6	3,2	45.7
1984	15961	5471	10490	2,9	4,3	3,8	48,9
1985	16147	6004	10143	2,7	4,2	3,6	45,8
1986	18577	6428	12149	2,9	5,0	4,2	48.6
1987	18394	5933	12461	3,1	5,1	4,3	51,2
1988	17853	6559	11294	2,7	4,7	3,8	46,3
1989	16023	6173	9850	2,6	4,1	3,2	44,4
1990	14847	5780	9067	2,6	3,8	3,0	44,0
1991	10824	4890	5934	2,2	2,5	1,9	37,8
1992	4854	3847	1007	1,3	0,4	0,3	11,5

[1] ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პირველადი მასალების საფუძველზე.

მატებაზე და სოფლის მეურნეობაში შრომის საყოფიერების სრდის ტემპზე. 1959-1988 წწ. ეს თანაფარდობა საშუალოდ უდრიდა 1:3,3; 1969-1978 წწ. - 1:3,3 (იგივე დარჩა), ხოლო შემდგომ, 1978-1988 წწ. იგი შემცირდა 1:2,4-მდე. 1988 წლის შემდგომ კი აღნიშნული თანაფარდობის გაწონასწორების ტენდენციაა აღსანიშნავი. იგი საქართველოში ღრმა ეკონომიკური კრიზისის შედეგია და არა ურბანიზაციის პროცესის რაიმე ახალი კანონზომიერებისა.

როგორც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატისტიკური მასალის ანალიზით მტკიცდება, „სოფელი-ქალაქი" მიმართულების მიგრაციაში ურთიერთშემხვედრ ნაკადთა შეფარდებაში სსრკ ყოფილ რესპუბლიკებთან შედარებით საქართველოსა და სომხეთში უფრო მეტი ცალმხრიეობა შეინიშნება. მაგ., ჩვენს მიერ ზემოგანხილული პერიოდის შუახანებში, 1974 წ. სოფლიდან ქალაქად წასულნი უკუნაკადს 3,6-ჯერ აღემატებოდნენ, მაშინ როცა სსრკ-ში საშუალოდ - მხოლოდ 2,1-ჯერ[1]. ამიტომაც, საერთო დაბალი მიგრაციული მობილობის პირობებში, ქალაქად მოსახლეობის გადანაწილების ტემპი საკმაოდ მაღალი იყო.

ძლიერ საინტერესო ინფორმაციაა მოცემული 1970 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებში, სადაც რესპუბლიკის ძირითადი ეროვნების, ქართველობის სოფლიდან ქალაქად და პირუკუ ნაკადების რიცხოვნობაა მოცემული. სოფლიდან ქალაქად წასულთა შეფარდება უკუნაკადთან არის 6,7:1, მაშინ როცა ესტონელებში ანალოგიური შეფარდებაა 1,4:1, ლატვიელებში - 1,3:1. სსრკ საშუალო მაჩვენებელი კი - 2,5:1[2].

მაშასადამე, საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე როგორც მთელი საქართველოს, ისე ქართველი მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქად ხასიათდება უკიდურესი ცალმხრიეობით, შედარებით მაღალი შედეგიანობით. მიგრანტთა ნაკადის სპეციფიკური დემოგრაფიული სტრუქტურის გამო ცალმხრიეობის გავლენა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე ძლიერია, სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის დეფორმაცია მაღალი ინტენსიეობის რეგიონებში მკვეთრადაა გამოხატული.

მიგრაციის ასაკობრივი ინტენსიეობის მაჩვენებლებს შორის ყველაზე სანდოდ მიგრაციის შეფარდებითი ინტენსიეობის ინდექსები მიგვაჩნია. იგი მიგრაციის ნაკადის ასაკობრივი სტრუქტურისა და მიგრაციის რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის თანაფარდობით გაიანგარიშება[3]. 1979 და 1988 წლების მიგრაციის ინტენსიეობის ასაკობრივი დიფერენციაცია

---

[1] Вестник статистики, 1975, N 9.

[2] Итоги Всесоюзной переписи населения 1970 года. Т. VII. М.: Статистика, 1974, с. 184.

[3] Курс демографии. М.: Финансы и статистика, 1985, с. 165.

გვიჩვენებს, რომ საქართველოს ქალაქებში სოფლებიდან ჩასულ მიგრანტთა ნაკადსა და უკუნაკადში განსაკუთრებით მაღალი ინტენსივობა აღინიშნება 16-29 წლის ახალგაზრდობაში. იგი მაქსიმუმს აღწევს 20-24 წლის ასაკში (ცხრილი 43). 1979 წელს ამ ასაკობრივ ინტერვალში მიგრაციის სალდოს ინტენსივობა 235-ჯერ აღემატება 50-54 წლის კონტინგენტის ინტენსივობას, ხოლო 1989 წელს - 114-ჯერ.

1979-1992 წწ. სოფლიდან ქალაქად მიგრანტთა ნაკადში შრომის ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 80-89,9%-ის ფარგლებში ვარირებს, საშუალოდ კი 83,8%-ია. ხოლო რაც შეეხება 16-29 წლის კონტინგენტს,

ცხრილი 43

მიგრაციის შეფარდებითი ინტენსივობის ინდექსები „სოფელი-ქალაქი" და „ქალაქი-სოფელი" მიმართულების მიგრანტთა ნაკადებში 1979 და 1989 წლებში[1]

ასაკობრივი ჯგუფი წელი	1979			1989		
	ჩამოსვლის ინდექსი	წასვლის ინდექსი	მიგრაციის სალდოს ინდექსი	ჩამოსვლის ინდექსი	წასვლის ინდექსი	მიგრაციის სალდოს ინდექსი
0-15	0,321	0,336	0,312	0,660	0,504	0,783
16-19	2,477	1,560	3,093	1,616	1,219	1,734
20-24	3,462	3,450	3,518	3,197	2,658	3,658
25-29	2,332	2,219	2,382	2,133	2,202	2,079
30-34	1,380	1,300	1,445	1,439	1,220	1,622
35-39	0,613	0,493	0,673	0,840	0,867	0,813
40-44	0,428	0,616	0,302	0,556	0,648	0,663
45-49	0,200	0,523	-0,031	0,333	0,526	0,193
50-54	0,135	0,496	0,015	0,317	0,651	0,032
55-59	0,225	0,675	0,075	0,250	0,673	0,096
60-ზე მეტი	0,288	0,465	0,197	0,295	0,682	0,023
სულ	1,000	1,000	1,000	1,000	1,000	1,000

[1] ცხრილი გაანგარიშებულია მოსახლეობის 1979 და 1989 წლის აღწერების და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პირველადი მასალების საუძველზე.

ახალგაზრდობას, 1979-1992 წწ. მიხედვით მიგრაციის სალდოში 55,9-86,2%-ის ფარგლებში ვარირებს, საშუალოდ კი უდრის 67,8%-ს.

ადრეული ეპოქებისაგან განსხვავებით, სოფლიდან ქალაქად მიგრაციაში ქალები ჭარბობენ მამაკაცებს. თუ 1980-1988 წწ. შედარებით სტაბილური მიგრაციის პერიოდში მათი წილი მიგრანტებში (სალდოში) 52,0-55,7%-ის ფარგლებში მერყეობდა, შემდგომ იგი შეიცვალა და უკვე 1992 წელს 68% შეადგინა[1]. ეს, ჩვენი აზრით, საერთოდ, მიგრაციის ინტენსიობის შემცირებისას ოჯახური გარემოებებით (გათხოვება) ადგილგამოცვლის ხვედრითი წონის ზრდის შედეგი უნდა იყოს.

90-იანი წლების საყოველთაო კრიზისის დროს მილიანად დაირღვა ეკონომიკის სტრუქტურა, მათ შორის დარგობრივი სტრუქტურა და შრომითი რესურსების დარგობრივი განაწილებაც. ქალაქწარმომქმნელ დარგებში კრიზისი უფრო მეტად გაღრმავდა, ვიდრე სოფლის მეურნეობაში. ამან შეამცირა ქალაქწარმომქმნელ დარგებში სამუშაო ადგილთა რაოდენობა, რამაც, თავისთავად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა აამაღლა. მაგრამ მოსახლეობის განაწილება ქალაქსა და სოფელს შორის არსებითად იგივე დარჩა. ამჟამად თუ სამუშაო ადგილების ტერიტორიული განაწილების გათვალისწინებით ვიმსჯელებთ, ქალაქსა და სოფელს შორის მოსახლეობის ამჟამინდელი განაწილება არათუ არარაციონალურია, არამედ პარადოქსულიცაა. ჭარბი მოსახლეობა, რომელიც საქართველოს სოფელში ადრეც იყო, შეუდარებლად მცირეა ქალაქის მოსახლეობის უმუშევრობის პარამეტრებთან შედარებით.

აღნიშნული პროცესების განვითარების გამო არამარტო შეჩერდა სოფლიდან დიდი ქალაქებისაკენ მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია, არამედ, პირიქით, დაიწყო ქალაქის მოსახლეობის მიგრაციული კლება არამარტო სხვა ქვეყნებში ემიგრაციით, არამედ სოფლებისაკენ მოსახლეობის გადაადგილებითაც. ეს უკანასკნელი გააძლიერა მიწის რეფორმის დაწყებამ. მიწის მსხვილი ფართობების დანაწევრებამ წვრილ, რთულკონტურიან ნაკვეთებად შესაბამისი ტექნიკის უქონლობის გამო შეამცირა შრომის ნაყოფიერება, გაზარდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შრომატევადობა. იმის მიუხედავად, რომ მიწის პრივატიზაცია არნახულად ზრდის შრომის სტიმულებს, ტექნიკის ფაქტორი ამ შემთხვევაში მაინც გადამწყვეტი აღმოჩნდა და გაზარდა შრომით რესურსებზე მოთხოვნილება. ამიტომაც, ამჟამად და უახლოეს წლებშიც სოფლად დიდი მასშტაბის ჭარბმოსახლეობის წარმოქმნას არ უნდა ველოდეთ.

რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, როცა საქართველოში თანდათან დაინერგება ადგილობრივი წარმოებისა და საზღვარგარეთიდან შემოტანილი ისეთი

---

[1] თ. ზუბიაშვილი. საქართველოს მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიული შედეგები. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1993.

ტექნიკა, რომელიც მორგებული იქნება მიწის ნაკვეთების წერილკონტურიანობას, დახრილობას, თანდათან გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და, შესაბამისად, სულ უფრო მცირე რაოდენობის ცოცხალი შრომა იქნება საჭირო არსებული სასოფლო-სამეურნეო ფართობების დასამუშავებლად. ეს ცხადია, კვლავაც გამოიწვევს სოფლის მეურნეობიდან არასასოფლოსამეურნეო დარგებში მოსახლეობის გადანაწილებას, რასაც ტერიტორიული გადანაწილებაც მოჰყვება. ეკონომიკური აღმავლობისას გაგრძელდება სოფლიდან ქალაქად მოსახლეობისა და შრომითი რესურსების მიგრაციის პროცესი. მისი ინტენსივობა იმახეც იქნება დამოკიდებული, თუ როგორ აღორძინდება და შემდგომ განვითარდება ჩვენში ქანქარისებური მიგრაცია.

ამასთან, თუ ეკონომიკური კრიზისი გახანგრძლივდა, განსახლების ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც ამჟამად სტატიკურ მდგომარეობაშია, განვითარდება რეგრესული მიმართულებით , ღრმა კრიზისში გადავა და ძლიერი, ხანგრძლივი მოქმედების დარტყმა იქნება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

§ 5. მიგრაციული პროცესების თავისებურებანი სხვადასხვა რანგის ქალაქებში

მოსახლეობისა და შრომითი რესურსების განაწილების ტერიტორიული პროპორციების სრულყოფა საქართველოს ეკონომიკური და შრომითი პოტენციალების გამოყენების ეფექტურობის ზრდის მნიშვნელოვანი გზაა. ამ პრობლემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საქართველოს დედაქალაქის - თბილისის ზრდის შეზღუდვა და საშუალო და პატარა ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური აქტივიზაცია, რომელიც 70-იანი წლებიდან მეტ-ნაკლები ეფექტიანობით ტარდებოდა რესპუბლიკაში.

აღსანიშნავია, რომ პრობლემა აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც დიდსა და მსხვილ ქალაქებში დამუშავებითი მრეწველობის ექსტენსიური განვითარების გამო მოსახლეობის კონცენტრაციის არსებული ტემპების შენარჩუნება ეკონომიკურად და სოციალურად არახელსაყრელი გახდა. განსაკუთრებით პრობლემატურია ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, მსხვილი ქალაქები ობიექტურ საფუძველზე აღმოცენდნენ. მათ ზრდაში, რაც ხანგრძლივად მიმდინარეობდა, მხოლოდ ნეგატიური მხარეების დანახვა მოვლენისადმი ცალმხრივი მიდგომაა. შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ მსხვილი ქალაქების მრავალი უპირატესობა, როგორიცაა ურბანიზაციის განვითარების მოცემულ ეტაპზე კონცენტრაციის გამო წარმოების ეფექტიანობის მაღალი დონე, შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის, პროფესიისა და სამუშაოს არჩევის მეტი შესაძლებლობა,

პირველხარისხოვანი სამეცნიერო-კულტურული დაწესებულებანი და ა. შ. მაგრამ საჭიროა, შენელდეს ზრდის ის ტემპი, რომელმაც ჰიპერტროფიული ხასიათი მისცა ქალაქების განვითარებას, რიგ შემთხვევაში „გააძვირა" იგი, გააძწვავა ბევრი სოციალური პრობლემა და, იმავდროულად, შეაფერხა იმ საშუალო და პატარა ქალაქების განვითარება, რომელთაც ხელსაყრელი პირობები აქვთ ეკონომიკური და კულტურული დაწინაურებისათვის.

ასლო მომავლის ამოცანად უნდა დავისახოთ, რათა აღარ გაგრძელდეს დასახლებული პუნქტების სოციალურ-კულტურული განვითარების დონეებში პოლარიზაციის პროცესი, ხოლო შემდგომ ეტაპზე მიღწეულ იქნეს აღნიშნული დონეების დაახლოება. ეს ამოცანა ასაყვანია ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის დონემდე. ამისათვის უფრო ორგანულად უნდა დაუკავშირდეს საქართველოს საწარმოო ძალთა განლაგებისა და განსახლების სტრატეგიული სქემები, რომლებიც, თავის მხრივ, საბაზრო მეურნეობაზე გადასვლისას სერიოზულ გადამუშავებას მოითხოვს.

როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის, ისე საქართველოსათვისაც დამახასიათებელია დიდი და მსხვილი ქალაქების შედარებით სწრაფი ზრდა და მათში მოსახლეობის კონცენტრაციის პროცესის გაძლიერება (ცხრილი 44). 1959 წელს აღნიშნული კატეგორიის ქალაქების მოსახლეობის ხვედრითი წონა ქალაქის მოსახლეობაში 48,1%-ია, 1979 წელს - 62,2%. მართალია, 1979-1989 წწ. აღწერათაშორისო პერიოდში თბილისისა და დიდი ქალაქების (რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი) მოსახლეობის რიცხოვნობამ 264,1 ათასით მოიმატა, მაგრამ ქალაქების მთლიან მოსახლეობაში მათი ხვედრითი წონა სტაბილიზებულია, ოდნავ შემცირდა კიდეც.

რაც შეეხება საშუალო და პატარა ქალაქებს, აქ ჯგუფები ცვალებადია, მოსახლეობის ზრდის გამო ქალაქები გადადიან სხვა ჯგუფებში, ადგილი აქვს ადმინისტრაციულ გარდაქმნებსაც, სასოფლო დასახლებული პუნქტების ქალაქად გარდაქმნას, მაგრამ ფაქტია ბოლო თხუთმეტ წელიწადში მათი ხვედრითი წონის სტაბილიზაცია, რაც, ჩვენი აზრით, ნაწილობრივ, განსახლების ოპტიმიზაციის პოლიტიკის შედეგიცაა, კერძოდ, ახალი სამუშაო ადგილების უპირატესად, საშუალო და პატარა ქალაქებში განლაგების შედეგი. რაგინდ კრიტიკულადაც არ უნდა მივუდგეთ ამ პოლიტიკის განხორციელებას, რომელსაც მრავალი ნაკლი ჰქონდა, ჩვენ მის სრულ უშედეგობას ვერ დავეთანხმებით. მითუმეტეს, რომ, როგორც ცნობილი ამერიკელი მეცნიერი მ. ლიპსონი შენიშნავს, რიგ ქვეყნებში მიაღწიეს ქალაქების მოსახლეობის ზრდაზე კონტროლს. მას მიაჩნია, რომ ამ მიღწევათა უმთავრესი მიზეზია - ამ ქვეყნების ავტორიტარული მთავრობების გაძლიერება[1]. სოციალისტური ფენომენობის გამო, მისი მრავალი ნაკლის მიუსედავად, ქალაქების ზრდაზე ნემოქ-

[1] Урбанизация в капиталистических странах. М.: ИНИОН, 1991.

(ცხრილი) 44

საქართველოს ქალაქის მოსახლეობის განაწილება სიდიდით (მოსახლეობის რიცხოვნობით) განსხვავებული კატეგორიის საქალაქო დასახლებათა ჯგუფებში

ქალაქის კატეგორია	1926 წ.			1959 წ.			1970 წ.			1979 წ.			1989 წ.		
	ქალაქების რაოდენობა	მოსახლეობის რიცხოვნობა, (ათასი კაცი)	ხვედრითი წონა ქალაქის მოსახლეობაში, %	ქალაქების რაოდენობა	მოსახლეობის რიცხოვნობა, (ათასი კაცი)	ხვედრითი წონა ქალაქის მოსახლეობაში, %	ქალაქების რაოდენობა	მოსახლეობის რიცხოვნობა, (ათასი კაცი)	ხვედრითი წონა ქალაქის მოსახლეობაში, %	ქალაქების რაოდენობა	მოსახლეობის რიცხოვნობა, (ათასი კაცი)	ხვედრითი წონა ქალაქის მოსახლეობაში, %	ქალაქების რაოდენობა	მოსახლეობის რიცხოვნობა, (ათასი კაცი)	ხვედრითი წონა ქალაქის მოსახლეობაში, %
ქალაქის მოსახლეობა სულ	42	594,2	100	71	1712,9	100	108	2239,7	100	111	2600,4	100	114	2991,4	100
მათ შორის ცხოვრობს ქალაქებში:															
3 ათ-მდე მცხოვრებით	14	23,4	3,9	6	12,1	0,7	37	69,4	3,1	35	61,7	2,4	32	51,3	1,7
3-დან 5 ათ-მდე	8	31,7	5,3	13	50,2	2,9	17	67,7	3,0	19	73.4	2,8	15	56,2	1,9
5-10	12	77,2	13,0	23	162,2	9,5	21	154,1	6,9	21	149,5	5,7	29	208,1	7.0
10-20	4	49,7	8,4	17	253,5	14,8	14	199,7	8,9	17	251,5	9,7	15	213,6	7.1
20-50	3	118,2	19,9	7	202,5	11,8	14	398,2	17,8	13	381,7	14.7	16	453,1	15.1
50-100	-	-	-	3	209,5	12,2	1	98.2	4,4	1	56,0	2.2	2	118,4	4.0
100-500	1	294,0	49,5	1	128,2	7,5	3	363,3	16,2	4	560,6	21,6	4	647,6	20,6
500-ზე მეტი	-	-	-	1	694,7	40,6	1	889,0	39,7	1	1066.0	41.0	1	1243,	41.6

მედება შესაძლებელი იყო. იგი ჩვენში ხორციელდებოდა მრეწველობასა და სხვა ქალაქწარმომქმნელ დარგებში სამუშაო ადგილების უპირატესი მატებით საშუალო და პატარა ქალაქებში. მაგ., მრეწველობაში 1970-1985 წწ. სამუშაო ადგილების ხვედრითი წონა საერთოდ ქალაქად არსებულ სამუშაო ადგილებს შორის გაიზარდა 35,5%-დან 43,1%-მდე, მაშინ როცა თბილისისა შემცირდა 38,8%-დან 35,2%-მდე, დიდი ქალაქებისა 26,9%-დან 21,7%-მდე. გარკვეული როლი ითამაშა თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში მოქმედი მსხვილი სამრეწველო საწარმოების ფილიალიზაციის პროცესმა. ფილიალები განლაგდნენ უმთავრესად საშუალო და პატარა ქალაქებში.

მიუხედავად აღნიშნულისა, საშუალო და პატარა ქალაქებში მიგრაციის სალდო უარყოფითია, თუმცა მისი ინტენსიობა მაინც დაეცა (ცხრილი 45). საქმე ისაა, რომ, მართალია, ზემოაღნიშნულ პერიოდში საშუალო და პატარა ქალაქებში გაიზარდა სამუშაო ადგილების რაოდენობა და ისინი გახდნენ სამუშაო ძალის მიზიდვის ცენტრები, მაგრამ მოცემულ ეტაპზე ეს მოხდა არა იმდენად სტაციონარული, რამდენადაც შრომითი ქანქარისებური მიგრაციის განვითარებით. მთელ რიგ ახლად ამოქმედებულ სამრეწველო საწარმოებსა და ფილიალებში სამუშაო ადგილები დაკომპლექტდა როგორც ადგილობრივი დაუსაქმებელი მოსახლეობით, ისე სოფლად მცხოვრებთა ნაწილით, რომელთაც არ შეუცვლიათ საცხოვრებელი ადგილი, სტაციონარული მიგრირების გარეშე შრომითი ქანქარისებური მიგრაციის ფორმით გაზარდეს ქალაქის შრომითი რესურსები. ამიტომაცაა, რომ 1990 წლამდე სხვადასხვა რანგის ქალაქებს შორის მიგრაციულ მიზიდულობაში დიდი განსხვავების შერბილების მიუხედავად, სხვაობა მაინც შენარჩუნდა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 1990-იან წლებში, როგორც საქართველოს ქალაქის მოსახლეობაში, ისე ყველა რანგის ქალაქთა ჯგუფებში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის გავლენით მიგრაციული სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. გარემიგრაციული ნაკადების ინტენსიობის ზრდამ, პირველყოფილისა, ქალაქის მოსახლეობაზე იმოქმედა მისი შემცირების მიმართულებით. სოფელთან შედარებით ქალაქებში წარმოების უფრო სწრაფმა დაცემამ შეაჩერა სოფლიდან ქალაქად მიგრაცია და უფრო ინტენსიური გახადა უკუნაკადები. ამას ხელი შეუწყო მიწის რეფორმამ და ქალაქის მოსახლეობის რაღაც ნაწილის მიწის ნაკვეთების მიღებით დაინტერესებამ, რაც სოფლად გადმოსვლას მოითხოვდა. ყოველივე ამითაა გამოწვეული, რომ თბილისისა და დიდი ქალაქების მოსახლეობა 1991-1994 წლებში მიგრაციული კლებით აღინიშნა. აღნიშნულ პერიოდში მიგრაციის უარყოფითი სალდოს სიდიდემ გაასწრო ბუნებრივ ნამატს, რამაც თბილისსა და რუსთაველში მოსახლეობის აბსოლუტური კლება გამოიწვია. ამ ქალაქებში მკვეთრად შემცირებულმა ბუნებრივმა ნატეხამ უკვე ვეღარ გადააჭარბა მიგრაციის უარყოფითი სალდოს სიდიდეს.

მოსახლეობის მიგრაციის საშუალო წლიური ინტენსიობა სიდიდის მიხედვით განსხვავებული კატეგორიის ქალაქებში (პრომილებში)

წლები	მიგრაციის 'ზოგადი კოეფიციენტები	ქალაქის კატეგორია (მცხოვრებთა რიცხვი, ათასი)			
		სბილისი	დიდი (100-ზე მეტი)	საშუალო (20-100)	პატარა (20-მდე)
1959-1965	მოსელის	23,1	44,5	39,4	27,8
	წასელის	12,1	28,8	37,6	23,9
	მიგრ. მატების	11,0	15,7	1,8	3,9
1966-1970	მოსელის	23,7	36,2	27,1	17,0
	წასელის	11,6	23,7	26,1	20,6
	მიგრ. მატების	12,1	12,5	1,0	-3,6
1971-1975	მოსელის	23,5	39,0	24,8	20,3
	წასელის	11,6	24,8	24,5	25,4
	მიგრ. მატების	11,9	15,1	0,3	-5,1
1976-1980	მოსელის	15,6	29,8	16,1	18,4
	წასელის	10,0	18,3	19,3	23,4
	მიგრ. მატების	5,6	11,5	-3,2	-5,0
1981-1985	მოსელის	12,5	23,1	18,2	17,0
	წასელის	7,7	17,3	19,7	19,6
	მიგრ. მატების	4,8	5,8	-1,5	-2,6
1986-1990	მოსელის	6,6	18,9	16,4	15,3
	წასელის	3,3	15,1	17,1	16,9
	მიგრ. მატების	3,3	3,8	-0,7	-1,6

1. ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პირველადი მასალების (1984 წლამდე) და ყოფილი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ტერიტორიული დაგეგმვისა და საწარმოო ძალთა განლაგების განყოფილების მიერ რეგიონების პასპორტიზაციისას შეკრებილი ინფორმაციის (1984-1990) საფუძველზე.

2. ლიდ ქალაქებს მიეკუთვნებთ დასახლებულ პუნქტებს მცხოვრებთა რიცხვით 100 ათასი და მეტი; საშუალოებს - 20-100 ათასი მცხოვრებით. პატარებია ის ქალაქები, რომლებშიც მოსახლეობა არ აღემატება 20 ათასს. უფრო დაწვრილებით: მ. ტუხაშვილი. შრომითი რესურსების ფორმირება და გამოყენება საქართველოს საშუალო და პატარა ქალაქებში. - თბ.: თსუ 1990.

თბილისისა და დიდი ქალაქების მიგრაციული კლების პროცესი დროებითი მოვლენაა და კრიზისი დამთავრებისთანავე შეწყდება. ბოლო წლების მოვლენები მიგრაციაში სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თბილისის ზრდის შესუდვისა და საშუალო და პატარა ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური აქტივისაციის პოლიტიკის გატარების საჭიროება დღის წესრიგიდან მოიხსნა. პირიქით, საბაზრო მეურნეობის პირობებში, რაც უფრო თავისუფალი იქნება საბაზრო მეურნეობა, გადასახლებათა შესუდვების ლიბერალიზაციას გამოიწვევს. განსახლების საქალაქო სისტემის რეგულირებაში უკვე არა დირექტიული, არამედ უფრო ეკონომიკური მეთოდების გამოყენება გახდება საჭირო. საწარმოო ძალთა განლაგებისა და მოსახლეობის შედარებით თანაბარი ტერიტორიული განაწილების სტიმულირება სახელმწიფო პოლიტიკის რანგის ამოცანაა. ამ ამოცანის გადაჭრის ეფექტი საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტია ტერიტორიის განსაკუთრებული ბუნებრივ-გეოგრაფიული სირთულის გამო. ამიტომაც რეგიონული ხასიათის კვლევების გაინტენსიურება ჩვენში მეცნიერების პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ. სხვაგვარად ვერ ავცდებით საქართველოს რეგიონურ განვითარებაში ჰიპერტროფიული მოვლენების აღმოცენებას, რასაც, თავისებურად, საბაზრო მეურნეობაც შეუწყობს ხელს.

§ 6. მიგრაცია მთიანი რეგიონებიდან

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის შიგამიგრაციული ნაკადების რაოდენობრივ-ხარისხობრივ პარამეტრებს, რომელიც ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან, განაპირობებს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეთა სხვაობა, რომელიც, თავის მხრივ, უმთავრესად, შრომითი დანახარჯების რეგიონული ეფექტიანობის დიდი დიფერენციაციითაა განსახლვრული. ეს განსხვავება აშკარადაა გამოხატული რთული რელიეფის მქონე რეგიონებში, სადაც ტექნიკური პროგრესი ჯერ კიდევ დიდადაა დამოკიდებული გეოგრაფიულ ფაქტორებზე, რელიეფზე, კლიმატზე. ამიტომ საქართველოში, ამ მრავალრეგიონიან ტერიტორიულ სისტემაში ერთი და იგივე შრომითი დანახარჯებით მიიღება მეტად განსხვავებული ეკონომიკური შედეგები, იგი პირდაპირ აისახება შრომის ანაზღაურებისა და სოციალური განვითარების დონეში, საერთოდ, სხვადასხვა ლანდშაფტურ-გეოგრაფიულ ზონებს შორის ცხოვრების დონეთა სხვაობაში. ცხოვრების დონეთა სხვაობა კი მიგრაციის მძლავრი ფაქტორია.

მეორეს მხრივ, ერთი და იგივე დონის სოციალური ინფრასტრუქტურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების შესაქმნელი დანახარჯები მოსახლეობის ტრადიციული კონცენტრაციის რეგიონებში, ბარად, დიდ ქალაქებში

გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რთული რელიეფის, კლიმატურად შედარებით მკაცრ მთიან რეგიონებში, რაც კიდევ მეტად აძირიმორებს ცხოვრების დონის რეგიონულ სხვაობებს.

ამგვარად, ერთი მხრივ, გეოგრაფიული ფაქტორით განპირობებული სუსტი ეკონომიკა, ხოლო, მეორე მხრივ, მომსახურების სფეროს ჩამორჩენილობა, ობიექტური მისწრებით გამოწვეული მომსახურების სიძვირე, არსებითად, განსაზღვრავენ რთული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების რეგიონებში ცხოვრების დონის ჩამორჩენილობას და ამით გამოწვეულ ცალმხრივი ხასიათის ინტენსიურ მიგრაციას, რასაც, სამწუხაროდ, ქართული საზოგადოებრივი აზრი და, არცთუ იშვიათად, მეცნიერული პუბლიკაციები ადრე „ზემდგომი ორგანოების", ამჟამად კი „ხელისუფლების უნიათობას" მიაწერენ. უამრავ პუბლიკაციაში, რომელიც მთიდან ბარად მიგრაციას ეხება, იგნორირებულია პროცესის განვითარების ობიექტური მხარე, წარმოების განლგებისა და განსახლების კანონზომიერებანი[1]. თუმცა, რასაკვირველია, არც სუბიექტური ფაქტორის გამორიცხვა შეიძლება.

მთის მოსახლეობის მიგრაციის ზოგადი შეფასებისათვის საჭიროა საქართველოს განსახლების ერთიან სისტემაში მთიანეთის ადგილის განსაზღვრა.

ჩრდილოეთ მთიანეთი და სამხრეთ მთიანეთი არამარტო გეოგრაფიულად, დემოგრაფიულადაც სხვადასხვა რეგიონებს წარმოადგენს, რაც ძირითადად ეთნიკური ფაქტორის მოქმედების შედეგია. სამხრეთ მთიანეთში როგორც აბორიგენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (აჭარის მუსლიმანური კონფესია), ისე არააბორიგენი მოსახლეობა (აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები) გაცილებით დიდი ბუნებრივი მატებით ხასიათდებიან, ვიდრე ჩრდილოეთ მთიანეთის მოსახლეობა. აძიტომაცაა, რომ სამხრეთ ზონაში მოსახლეობის რიცხოვნობა 1939-1989 წწ. არ შემცირებულა, ცოტათი გაიზარდა კიდეც (ცხრილი 46), ხოლო ჩრდილოეთ მთიან ზონაში 25,3%-ით შემცირდა. იგივე ეთნიკური ფაქტორით აიხსნება, რომ სამხრეთში გარეესპუბლიკური მიგრაცია უფრო მეტი ინტენსიურობით მიმდინარეობდა.

სამხრეთ მთიანეთის მოსახლეობის სტაბილურ შენარჩუნებაში ჩრდილოეთთან შედარებით ნაკლებად მკაცრმა ბუნებრივმა პირობებმაც იმოქმედა. რეგიონის ნაწილში (ჯავახეთის ზეგანი, ახალციხის ქვაბური) რელიეფის ნაკლები სირთულის გამო მეურნეობის განვითარების პირობები უკეთესია. მიწითაც, თუ არ ჩავთვლით მთიან აჭარას, მოსახლეობა აქ ბევრად უზრუნველყოფილია.

სამხრეთ მთიანეთში, ჩვენი აზრით, მოსახლეობის ზრდაზე და მიგრაციაზე

---

[1] იხ. მაგ., რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხები" მოხსენებათა თეზისები. ობ., 1991.

საქართველოს მოსახლეობის განაწილება ძირითად ბუნებრივ ზონებს შორის[1]

ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონა	1939	1959	1970	1979	1989
მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი)					
მთათაშორისი ბარი	2907,6	3459,2	4077,8	4421,0	4749,6
ჩრდილოეთ მთიანი ზონა	209,1	204,1	188,3	176,2	156,1
სამხრეთ მთიანი ზონა	423,3	380,7	420,3	417,6	433,3
საქართველო	3540,0	4044,0	4686,4	5014,8	5339,0
პროცენტულად:					
მთათაშორისი ბარი	82,1	85,6	87,0	88,2	89,0
ჩრდილოეთ მთიანი ზონა	5,9	5,0	4,0	3,5	2,9
სამხრეთ მთიანი ზონა	12,0	9,4	9,0	8,3	8,1
საქართველო	100	100	100	100	100

განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა მისი უდიდესი ნაწილის სასაზღვრო-საკარანტინო ზონაში ხანგრძლივმა იზოლაციამ. ამან არამარტო შეაფერხა სამხრეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, არამედ გაართულა აბორიგენი მოსახლეობით შევსების პროცესიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამხრეთ მთიანეთის მიგრაციულ პროცესებში პოლიტიკურმა მიგრაციამაც ითამაშა გარკვეული როლი. მეორე მსოფლიო ომის დროს ათეულ ათასობით ოჯახი გადაასახლეს შუა აზიაში, ხოლო მათ ადგილზე საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, მათ შორის ჩრდილოეთ მთინეთიდან გადაანაწილეს მოსახლეობა.

სისტემატურად ხდებოდა სამხრეთ მთიან ზონაში მოსახლეობის შიგა ორგანიზებული მიგრაციაც (მთიანი აჭარიდან მოსახლეობის გადანაწილება). ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობდა სამხრეთ მთიანეთის მოსახლეობის სტაბილიზაციას.

სულ სხვაგვარად წარიმართა მოვლენები ჩრდილოეთ მთიანეთში. აქ კლიმატის სიმკაცრისა და ლანდშაფტურ-გეოგრაფიული სირთულის გამო

[1] გაანგარიშებულია: საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა (მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით), სტატისტიკური კრებული. თბ. 1991. გვ. 14-60.

მოსახლეობის მიგრაციული კლება მთელი XX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობს. აქედან ინტენსიური ჩასახლებები ხდებოდა ბარად, რასაც ამ რეგიონისათვის მთელ რიგ არასასურველ დემოგრაფიულ მხარესთან ერთად მთელი საქართველოსათვის განუსიმელი დადებითი შედეგები ჰქონდა. 70-იანი წლებიდან თანდათან მოიმატა ცალმხრივი მიგრაციის ინტენსიურობამ, რომელიც მთიანეთის სოფლის მოსახლეობაში 3,5-ჯერ ინტენსიური იყო, ვიდრე ბარის სოფლებში. ამის გამო მკვეთრად დეფორმირდა მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა, მოხდა მისი აჩქარებული დემოგრაფიული დაბერება, დაირღვა კვლავწარმოების ნორმალური რეჟიმი, დაიწყო დეპოპულაციის პროცესი. მაგ. რაჭა-ლეჩხუმში 60 წელს გადაცილებულთა მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში რაიონების მიხედვით ასეთია (1989 წ.): ამბროლაურის რაიონში - 35%, ონის რაიონში - 30%, ცაგერის რაიონში. 27%.

80-იან წლებში ინტენსიური მიგრაცია მთიანი რეგიონებიდან გრძელდებოდა (ცხრილი 47). დასაწყისში სამხრეთში შიგა ორგანიზებული გადასახლებებით აღინიშნა, ხოლო 80-იანი წლების ბოლოს სტიქიურ უბედურებათა გამო მთიანი აჭარის და სვანეთის მოსახლეობის ორგანიზებული ჩასახლებებით განხორციელდა.

როგორც ამ პარაგრაფის დასაწყისში აღვნიშნეთ, მთიდან მოსახლეობის მიგრაცია გამოწვეულია შრომითი დანახარჯების რეგიონული ეფექტიანობის დიდი დიფერენცირებულობით. ეფექტიანობაში სხვაობები მეტ-ნაკლებად გამოიხატება ამა თუ იმ რეგიონში შექმნილ ერთ მცხოვრებზე მოსული ეროვნული შემოსავლისა და ერთობლივი სახოგადოებრივი პროდუქტის დიფერენციაციით. 80-იანი წლების დასაწყისისათვის სამხრეთ მთიანეთში ეროვნული შემოსავალი ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით 844,4 მანეთს უდრიდა, ჩრდილოეთში - 960 მანეთს[1], რაც რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებლის 58,9% და 67,0%-ია. ეს ჩამორჩენა მეტნაკლებად აისახება ცხოვრების დონეთა სხვაობაშიც, რაც მთისა და ბარის რეგიონებში მიგრაციის განსხვავებულ პოტენციალებს ქმნის. ცხადია, აქ გასათვალისწინებელია სხვადასხვა დემოგრაფიული სტრუქტურები, შრომისუნარიანთა განსხვავებული დემოგრაფიული დატვირთვები, მაგრამ ეკონომიკის განვითარების დონეში (აქედან გამომდინარე, ცხოვრების დონეში) ხშირად იმხელა განსხვავება იყო, როგორც განვითარებულსა და ჩამორჩენილ სახელმწიფოებს შორის.

განსახლების უთანაბრობის შედეგიცაა, რომ, ვთქვათ, ამბროლაურის

---

[1] გაანგარიშებულია: საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის რეგიონალური სტრუქტურა 1980 წელს -თბ.: სმედმსი, 1984, გვ. 40-44 მიხედვით.

მიგრანტია რიცხოვნობა და საშუალო წლიური ინტენსიობა
საქართველოს მთიანეთში 1980-1989 წწ [1]

სამხრეთ მთიანეთის რაიონები	მიგრაციის სალდო 1980-89 წწ.	მიგრაციის სალდოს საშუალო-წლიური ინტენსიობა, პრომილე	ჩრდილოეთ მთიანეთის რაიონები	მიგრაციის სალდო 1980-89 წწ.	მიგრაციის სალდოს საშუალო-წლიური ინტენსი-ობა, პრომილე
ბორჯომი	-448	-1,2	დუშეთი	-1191	-3,2
დმანისი	-5188	-10,8	თიანეთი	-1470	-3,2
თეთრიწყარო	-1665	-4,6	ყაზბეგი	-99	-1,5
წალკა	-4698	-10,0	ახალგორი	-889	-6,9
ასპინძა	-335	-2,6	ჯავა	-1110	-10,0
ახალქალაქი	-8057	-11,6	ამბროლაური	-1390	-6,8
ახალციხე	-3089	-5,6	ლენტეხი	-1067	-8,8
ნინოწმინდა	-5352	-14,4	ონი	-1076	-7,4
ადიგენი	-1028	-5,0	ცაგერი	1292	-6,7
ხულო	-5854	-14,9	მესტია	-6283	-38,9
შუახევი	-3752	-15,3	სულ	-15857	-9,5
სულ	-39466	-9,3			

რაიონში დედოფლისწყაროს რაიონთან შედარებით ერთ მცხოვრებზე 1988 წლის მონაცემებით 16-ჯერ ნაკლები სახნავი, 7-ჯერ ნაკლები მრავალწლიან კულტურათა ფართობი, 2,1-ჯერ ნაკლები საძოვარი, 4-ჯერ ნაკლები ღორი, იგივე რაოდენობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მრავალ ათეულჯერ ნაკლები ცხვარი და ა. შ. მოდიოდა. ამიტომაც, საზოგადოებრივ მეურნეობებში შრომის ანაზღაურებაც 3,5-ჯერ ნაკლები იყო.

კიდევ უფრო მეტი განსხვავებაა ხულოსა და დედოფლისწყაროს რაიონებს შორის. ხულოს რაიონი მოსახლეობის რიცხოვნობით ცოტა მეტიცაა დედოფლისწყაროს რაიონზე, მაშინ როცა ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით სახნავი ფართობით 21-ჯერ ჩამორჩება, მრავალწლიანი ნარგავების ფართობით ასევე 21-ჯერ, საძოვრებით 6-ჯერ, ცხვრითა და თხით 12,3-ჯერ, სულ არ ჰყავთ

[1] შედგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ რეგიონების პასპორტიზაციის [illegible] შეკრებილი [illegible] ნასალი [illegible]

ლორი. ძარცალია. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ხულოს რაიონში 2-ჯერ მეტი ჰყავთ. მაგრამ 1,4-ჯერ ნაკლები ნაკლავი წონისა. ბუნებრივ-საწარმოო შესაძლებლობა შრომის ნაყოფიერების დონეშიც აისახა. 1988 წელს 8,4-ჯერ ნაკლები იყო საზოგადოებრივ მეურნეობებში შრომის ნაყოფიერება, მეტისმეტად დაბალი- შრომის ანაზღაურება და რომ არც ყოფილიყო 80-იანი წლების ბუნებრივ-კლიმატური კატასტროფები, ხულოს რაიონის მზარდი მოსახლეობის გადანაწილება დემოგრაფიულად უფრო ტევად ან ქართველობით შეფახელებულ რეგიონებში მაინც აუცილებელი იყო.

რაც შეეხება მომსახურების სფეროს განვითარებას, გეოგრაფიული ფაქტორი აქაც საგრძნობლად მოქმედებს. რთული რელიეფის რეგიონებში გაცილებით ძვირია მაგ., 1 კმ საავტომობილო გზის გაყვანა და ექსპლუატაცია. ძნელია კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ეფექტიანი განვითარება დასახლებათა პატარა სიდიდისა და გაფანტულობის გამოც და ა. შ.

ამიტომ, განსხვავება მთიანი და ბარის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების დონეებს შორის ობიექტურად იმდენია, რომ აქტიურად მოქმედებენ მიგრაციის ფაქტორები, რაც რეალიზდება მთიდან ბარად მოსახლეობის მიგრაციაში.

90-იანი წლების კრიზისის შედეგად, რომელიც უფრო მეტად ბარის რეგიონებს შეეხო, ვიდრე მთისას, შემცირდა განსხვავება აღნიშნულ რეგიონებს შორის წარმოების ეფექტიანობის დონეში. ბიწის რეფორმამ კიდევ უფრო გაამყარა მთის მოსახლეობის ადგილობრივი დასაქმების პერსპექტივა. ბარად ცხოვრების პირობების უფრო მეტად გაუარესებამ შეანელა მიგრაციის მაღალი ინტენსივობა მთიდან ბარად, ზოგან გაჩნდა უკუნაკადებიც კი. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს სიტუაცია დროებითია და კრიზისის დაძლევისთანავე მეტ-ნაკლებად შეიცვლება. პერსპექტივაში მარტო სოფლის მეურნეობა, მთიანი რეგიონების მონოდარგოვანი სტრუქტურა ადგილობრივი მოსახლეობის რაციონალურ დასაქმებას მაინც ვერ უზრუნველყოფს. სახელმწიფოს მხრივაც აუცილებელი გახდება მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ამავე დროს, საჭირო გახდება მთიანი რეგიონებისათვის ისეთი ფუნქციების მოძებნა, რომელშიც ბარი მას ძლიერ კონკურენციას ვერ გაუწევს. მთიანმა რეგიონებმა თვითონ უნდა შეძლონ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლისას ისეთი „მარჩენალი" ეკონომიკური წყაროს განვითარება, რომელიც გადაფარავს სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო და, იმავდროულად, ბართან შედარებით აშკარად დიდ ხარჯებს.

მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ გზად მთის უნიკალური რესურსების - რეკრეაციული რესურსების ათვისება უნდა მივიჩნიოთ. ამჟამად, კრიზისის პერიოდში, არც ისე ადვილი წარმოსადგენია რეკრეაციული ფუნქციის რადიკალური გაძლიერების კონკრეტული

ვ'ხების დასახვა. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ როგორც მთელ მსოფლიოში, ისე მეზობელ დსთ ქვეყნებში კოლოსალურად გაიზრდება მოსახლეობის რეკრეაციული მოთხოვნილებანი. ჩვეულებრივ, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მეტს ხარჯავს მისი მოსახლეობა რეკრეაციული მიზნებით. მაგ., ჯერ კიდევ 1979 წელს აშშ ერთობლივი რეკრეაციული გასაცლების მოცულობამ 180 მლრდ დოლარი შეადგინა[1]. როგორც ტურიზმის შესახებ ჰაგის დეკლარაციის დანართშია აღნიშნული, შიგა და საერთაშორისო ტურიზმზე დანახარჯები მსოფლიო მთლიანი ეროვნული პროდუქტის 12%-ია. რეგისტრირებულია 1,5 მლრდ ტურისტული მოგზაურობა. 1995 წლისათვის 800 მლნ სახლვარგარეთ მოგზაურობაზე უნდა დახარჯულიყო 400 მლრდ ამერიკული დოლარი. ტურიზმის, როგორც საექსპორტო დარგის ყოველწლიური ზრდა 2000 წლამდე პერიოდში 4% იქნება[2].

თუკი მომავალში გადაწყდება რეკრეაციული რეგიონების სასურსათო მომარაგების, ინდუსტრიული ბაზის, სეზონურობის და ა. შ. საკითხები, რეკრეაციული მეურნეობა მთიანი რეგიონების საერთაშორისო სპეციალიზაციის ერთ-ერთი მძლავრი დარგი გახდება. იმ რეკრეაციულ კომპლექსებში, რომელიც ათვისებული იქნება და კომფორტულობით მიუახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს, მიგრაციული კლება კი არა, მატებაცაა მოსალოდნელი (ბაკურიანი, გუდაური, ბახმარო და ა. შ.).

სამოგადოდ, საქართველოს რეკრეაციული მეურნეობის, როგორც საერთაშორისო სპეციალიზაციის მნიშვნელოვანი დარგის საკითხი დროულადაა შესასწავლი.

რადგანაც საქართველოს საზღვრები მეზობელ ქვეყნებთან უმთავრესად მთიან რეგიონებზე გადის, ეკონომიკურ გამოცოცხლებაში თავისებური მნიშვნელობა ექნება აქ საბაჟო-გამშვები პუნქტების ფუნქციონირებას. მეზობელ ქვეყნებთან ინტენსიური მიმოსვლის მაგისტრალების სიახლოვეს მოსახლეობის სტაბილიზაციაა მოსალოდნელი.

---

[1] Терехова О. В. Индустрия досуга в США. М.: Наука, 1983, с. 33.

[2] Уваров В. Д., Борисов К. Г. Международные туристские организации. Справочник. М.: Международные отношения. 1990. с. 12, 230-231

§ 7. ორგანიზებული მიგრაცია

მოსახლეობის ტერიტორიული გადანაწილების ფორმებს შორის ორგანიზებულ გადასახლებებს დიდი ისტორია აქვს. საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სისტემატურად ხდებოდა ჩასახლებები როგორც სხვა ქვეყნებიდან (დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალეს, ერეკლე მეორეს, XIX საუკუნის ცნობილი ღონისძიებანი), ისე სხვადასხვა ეთნიკური კუთხეებიდან, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკური და ეკონომიკური პირობებით. გარე ექსპანსიონისტური ძალების შედეგად საქართველოს ცალკეული მხარე ცარიელდებოდა და, შემდგომად, ზოგჯერ ორგანიზებულად, ზოგჯერ არაორგანიზებულად ხდებოდა მისი დასახლება.

XX საუკუნის განმავლობაში, სხვადასხვა პერიოდში, ორგანიზებული ჩასახლებანი სხვადასხვა ინტენსიურობით მიმდინარეობდა, რასაც განსაზღვრავდა ამ პერიოდის კონკრეტული ეკონომიკური პირობები და, რიგ შემთხვევაში, პოლიტიკური სიტუაციაც (მეორე მსოფლიო ომის პერიოდისა და ომის შემდგომი პეროდის მნიშვნელოვანი ღონისძიებანი). ამ ჩასახლებებმა მეტად მიზანმიმართული ხასიათი მიიღო და ცალკეული ნაკლოვანებების მიუხედავად, უდიდესი ეკონომიკური, სოციალური და ეროვნული მნიშვნელობის შედეგი მოგვცა. ჩვენი აზრით, სამეცნიერო ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზრს იგი ჯეროვნად მაინც არ შეუფასებია.

ეთნიკური განსხვავებებით ჩამოყალიბებული მოსახლეობის მატების სხვადასხვა ტემპი და სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების რეგიონური განსხვავებანი ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა მიგრაციის მართვის ამოცანებს, კერძოდ, მოსახლეობის ორგანიზებული გადანაწილების საკითხს, რაც ტოტალიტარული სახელმწიფო მართვის პირობებში შედარებით ადვილი იყო. ისინი პასუხობდა კონკრეტულ მიზნებსაც და განსახლების სრულყოფის საერთო სტრატეგიასაც.

80-იანი წლების ორგანიზებული ჩასახლებების კონკრეტული მიზნები იყო:

ა) იმ ლიკვიდაციამდე მისული დასახლებული პუნქტების აღორძინება, რომელთაც თანამედროვე ტექნიკური პროგრესის პირობებში შეეძლოთ ადრინდელი ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების აღდგენა. ამით მიგრაციული პოლიტიკის წარსულ შეცდომათა და ნაკლოვანებათა გამოსწორება (სოფლები: ჭერემი, გოსტიბე, გუდანი, შატილი, ასპინძის, ადიგენისა და ახალქალაქის რაიონების სოფლები);

ბ) დიდი სასოფლო-სამეურნეო რესურსების მქონე პერსპექტიული, რაიონების ინტენსიური ათვისების დაჩქარება, მომავალში მოსახლეობის ვისიდვისათვის თავისებური სტრატეგიული პუნქტების შექმნა (უდაბნო, სამთაწყარო, ერისიმედი და ა. შ.).

გ) ქართველი მოსახლეობით შეთხელებული რეგიონების ეთნიკური ათვისება (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი);

დ) სტიქიური უბედურების ზონებიდან მოსახლეობის ორგანიზებული გამოყვანა (აჭარიდან, სვანეთიდან).

რასაკვირველია, ჩვენ არ ემიჯნაეთ ორგანიზებული ტერიტორიული გადანაწლების ნებისმიერ აქტს, როგორც ერთი კონკრეტული მიზნის მიღწევის გზას. კონკრეტული ამოცანები ამ ღონისძიებათა განხორციელების დროს სხვადასხვა დონითაა მოცემული, მაგრამ მთლიანობაში ემსახურება ერთიან სტრატეგიულ მიზანს - საქართველოში რაციონალური განსახლების სისტემის ფორმირებას.

ჩვენს მიერ 1983 წელს, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მიერ 1991 წელს ექსპედიციური მეთოდით გამოკვლეულ იქნა ორგანიზებულ გადასახლებათა ეკონომიკური და სოციალური ეფექტურობა, შესწავლილ იქნა ახალ გარემოში მიგრანტთა ადაპტაციის პროცესი.

პირველი გამოკვლევისას დაკვირვების ობიექტად ავიღეთ უმთავრესად სასოფლო ახალშენები: სამთაწყარო (წითელწყაროს რაიონი), ჭერემი (გურჯაანის რაიონი), უდაბნო (საგარეჯოს რაიონი), ოთა, რუსთავი, ივერია, გულსუნდა (ასპინძის რაიონი), ჭეჭლა, ზედუბანი (ადიგენის რაიონი). გამოიკითხა 800 ახალჩამოსახლებული, უმთავრესად ოჯახის უფროსი, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოჯახის მიგრაციის გადაწყვეტილების მიღებაში. ამიტომ გამოკითხულთა შორის 70,8% მამაკაცია, 29,2% - ქალი.

ორგანიზებულ მიგრაციაში, იმის მიუხედავად, რომ იგი მთელი ოჯახის გადასახლებასთანაა დაკავშირებული, მაინც ახალგაზრდობა ჭარბობს. ჩვენს გამოკვლევაში რესპონდენტთა 54,7% 30 წლამდე ასაკის პირები არიან.

ჩასახლებულთა განათლების დონე განსაზღვრულია წამოსვლის რაიონების მოსახლეობის განათლების მაჩვენებლებით. გამოკვლეული სოფლებიდან გამოირჩევა სოფელი უდაბნო, სადაც განათლების მაღალ დონეს განაპირობებს მიგრირებულთა თავმოყრა მთელი საქართველოდან, მათ შორის განათლების მაღალი პოტენციალის მქონე რეგიონებიდან.

რამდენადაც მოსახლეობის გადანაწილება მაღალი დემოგრაფიული პოტენციალის მქონე რეგიონებიდან მოხდა, ეს ჩასახლების რეგიონების დემოგრაფიული ზრდის აქტიური სტიმულატორია. რესპონდენტთა 36,5%-ს სამი და მეტი შვილი ჰყავს.

მიგრანტთა ადაპტაციაში ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ოჯახის შემოსავლების ზრდა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. ორგანიზებული ჩასახლებანი სახელმწიფოს მხრივ სტიმულირდება მნიშვნელოვანი სახელმწიფო სახსრების გაღებით, ჩასახლების რეგიონებში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ძირითადად სახელმწიფო

სახსრებით წარმოებით. გამოყენებული იყო თანამედროვე პროექტები, რომელიც ითვალისწინებდა ოჯახის არამარტო ჩასახლებისდროინდელ სიდიდეს, არამედ დემოგრაფიულ პერსპექტივასაც. ჩასახლებისას მკვეთრად გადიდდა არამარტო ერთი მცხოვრების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა (1,5-1,8-ჯერ), არამედ საცხოვრებელი ბინების კეთილმოწყობის დონე, რაც მიუთითა რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ.

გარდა საბინაო პირობების გაუმჯობესებისა, ადაპტაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია ოჯახის ფინანსური ბიუჯეტის ზრდა ან ზრდის მეტი პერსპექტივა წამოსელის რაიონებთან შედარებით. ფულადი შემოსაელები ერთ მცხოვრებზე ადიგენის, ასპინძის, წითელწყაროს, გურჯაანის და საგარეჯოს რაიონებში აღემატებოდა ხულოს რაიონს შესაბამისად: 2 - 3,3-ჯერ. ხოლო ფულადი გასაელები - 1,5 - 3,4-ჯერ. აჭარიდან გადმოსახლებული რესპონდენტები ოჯახის ბიუჯეტის აშკარა გაზრდას განსაკუთრებით უსვამენ ხაზს.

აჭარიდან გადმოსახლებული რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიუთითებს სატრანსპორტო მიმოსელის აშკარა გაუმჯობესებას. განსაკუთრებით გამოჰყოფენ სკოლამდელი ასაკის საბავშვო დაწესებულებების ქსელის რადიკალურად შეცვლას. ასპინძის რაიონში ბავშვთა 60% ბაგა-ბაღებით სარგებლობდა, მაშინ, როცა ხულოს რაიონში მხოლოდ 4% იყო ანალოგიური მაჩვენებელი.

მიგრანტთა ადაპტაციაში დიდი როლი ენიჭება კლიმატური პირობების განსხვავებას წასვლისა და ჩასახლების რაიონებში (ტემპერატურა, ატმოსფერული წნევა, ჰაერის ტენიანობა, ზამთარ-ზაფხულის ხანგრძლივობა, ლანდშაფტური კონტრასტები და ა. შ.). ამ ფაქტორის უარყოფითი გავლენა მით უფრო მეტია, რაც უფრო განსხვავებულია კლიმატურად მიგრაციის საწყისი და ბოლო პუნქტები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მკვეთრი ვერტიკალური ზონალობის გამო მანძილის თვალსაზრისით მცირე გადაადგილებაც კი აშკარა კლიმატური კონტრასტის მაჩვენებელია. ამიტომაა, რომ რესპუბლიკაში განხორციელებულ მიგრაციულ აქტთა უმრავლესობას ბარიერად კლიმატური ადაპტაციის პრობლემა ხვდება. კლიმატით უკმაყოფილება რესპონდენტთა შორის იმის მიხედვით იზრდება, რაც უფრო დიდია კლიმატური სხვაობა გადასახლების საწყის და ბოლო პუნქტს შორის: თუ ასპინძის რაიონში ნორმალურ კლიმატურ ადაპტაციას ხაზი გაუსვა რესპონდენტთა 85,5%, ადიგენის ახალშენებში და სოფ. ჭერემში - ყველა მიგრანტმა; კლიმატი არ მოსწონს სოფელ უდაბნოში ჩასახლებულ რესპონდენტთა 19,2%, ხოლო 10,3% თვლის, რომ ვერასოდეს შეეგუება აქაურ კლიმატს (მათი აბსოლუტური უმრავლესობა სვანეთიდან ჩამოსასლებული მოსახლეობაა).

თუ მთლიანობაში შევაფასებთ, ახალ ბუნებრივ-სოციალურ გარემოში

ადაპტაციის პროცესი საკმაოდ მაღალი ტემპით მიმდინარეობს, რაც ორგანიზებული მიგრაციის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ის, რომ ახალ გარემოს 3 თვის განმავლობაში შეეგუა რესპონდენტთა 56,2%, ხოლო ნახევარი წელიწადი დასჭირდა გამოკითხულთა კიდევ 10%-ს, უკვე ნიშნავს სწრაფ ადაპტაციას. მხოლოდ 7,2% ვერ ხედავს ადაპტაციის რეალურ პერსპექტივას ჩამოსახლებიდან მეორე წელს, ხოლო უკან დაბრუნებას აპირებს რესპონდენტთა 5,9%. როგორც შემდგომ წლებში გაირკვა, მათი ნაწილი, უპირატესად ხანდაზმული მოსახლეობა, დაბრუნდა თავის ძველ საცხოვრებელში.

როგორც ზემოთაც აღენიშნეთ, ქართველისათვის მიგრაციაში მშობლიური გარემოს ფაქტორის როლი განსაკუთრებულია. კითხვაზე: ყველაზე მეტად რაზე გწყდებათ გული გადმოსახლების დროს? 38,0%-მა მიუთითა, რომ გაუძნელდა მშობლიური კუთხის დატოვება, ხოლო 37,2% ხაზი გაუსვა ნათესავებთან და ნაცნობ-მეგობრებთან მოწყვეტას, 10,3%-ს გაუძნელდა ლამაზი ბუნების მიტოვება, ხოლო 14,5%-მა აღნიშნა საკუთარი კარმიდამოს მიტოვების გამო წუხილი.

ორგანიზებული მიგრაციის ეფექტიანობა, დამკვიდრების მაჩვენებელი მაღალია, თუ მიგრირებულ მასას სწორად აქვს გააზრებული და შეგნებული გადასახლებათა დიდი სახელმწფოებრივი, ეროვნული მნიშვნელობა, განსახლების სისტემის სტრატეგიული ამოცანები. რესპონდენტთა 77,7% ჩათვალა, რომ მათი გადმოსახლებით პატრიოტული საქმე გაკეთდა. განსაკუთრებით მაღალია ეს მაჩვენებელი ასპინძის რაიონის ახალშენებში (100%). როგორც გაირკვა, ამ უკანასკნელში მაღალი პატრიოტული თვითშეგნების გაღვივებაში დიდი გავლენა მოახდინა ამ თემაზე შექმნილმა კინოფილმმა „მშობლიურო ჩემო მიწავ"

ორგანიზებული მიგრაციის დროს ადაპტაციის პრობლემა უკავშირდება ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობისა და გადმოსახლებულთა ურთიერთმეზობლობის განეითარებისა და მხარდაჭერის საკითხს, ცალკეულ შემთხვევაში კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებასა და პროფილაქტიკას. მიუხედავად იმისა, რომ აჭარიდან მიგრირებულთა ყოფითი ტრადიციები, რომელიც თავის დროზე ჩამოყალიბდა კონფესიონალური ფაქტორის ზეგავლენითაც, ნაწილობრივ, განსხვავდება ადგილობრივი მოსახლეობის ყოფითი ტრადიციებისაგან, მაღალი პატრიოტული თვითშეგნების წყალობით, ამის ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტები ძლიერ ცოტაა. რესპონდენტთა 76,2% გრძნობს ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერასა და დახმარებას.

ჩამოსახლებულთა 73,6%-ს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ახალშენში საბოლოოდ დამკვიდრება, 16,5%-მა არ იცის, მომავალში როგორ მოიქცევა, 1,0% ფიქრობდა რაიცენტრში, ხოლო 1,5% – თბილისში გადასვლას. 1,5% აპირებდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მიგრირებას. ხოლო ადრინდელ

საცხოვრებელში დაბრუნებას, როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, მხოლოდ 5,9% აპირებს. შემდგომ წლებში დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ უკან დაბრუნების შემთხვევები აღნიშნული გადმოსახლების კონტინგენტიდან მეტად მცირე იყო, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს იმ პერიოდის ორგანიზებული მიგრაციის მაღალ ეფექტიანობას.

§ 8. შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია

შრომითი ქანქარისებრი მიგრაციის განვითარება თანამედროვე ურბანიზაციის მნიშვნელოვანი მხარეა. იგი შრომითი რესურსების სივრცობრივი მობილობის სპეციფიკური ფორმაა და გამოიხატება ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის მცხოვრებთა ყოველდღიური გადაადგილებით სხვა დასახლებულ პუნქტებში სამუშაოდ. მისი მნიშვნელობა წარმოების მატერიალური და პიროვნული ფაქტორების, შრომითი რესურსების და სამუშაო ადგილების დაბალანსებისათვის, უმუშევრობის შემცირებისათვის განუზომელია.

ტრანსპორტის განვითარებამ გადალახა ტრადიციულად ჩამოყალიბებული დასახლებების ადმინისტრაციული საზღვრები და ყოველდღიური სატრანსპორტო მისაწვდომობის არეალის გაფართოებამ შეცვალა ტერიტორიული შრომითი კავშირების მთელი სისტემა. სატრანსპორტო მისაწვდომობის არეალის გაფართოება მოხდა გაცილებით სწრაფად, ვიდრე განსახლების სისტემის გარდაქმნა, რაც, თავის მხრივ, შრომითი ქანქარისებრი მიგრაციის ფაქტორი გახდა. ეკონომიკური აღმავლობისას ქანქარისებრი მიგრაცია საშუალებას იძლევა, დაკმაყოფილდეს ქალაქების მზარდი მოთხოვნილება სამუშაო ძალაზე ისე, რომ არ გაძლიერდეს მათი მოსახლეობის შემდგომი კონცენტრაციის არასასურველი პროცესი. ქანქარისებრი მიგრაცია არეგულირებს შრომითი პოტენციალის დარგობრივ გადანაწილებას სტაციონარული ტერიტორიული გადანაწილების გარეშე, რაც საზოგადოებისათვის დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია ხელს უწყობს ქალაქსა და სოფელს შორის სოციალურ-ეკონომიკური განსხვავების შემცირებას, სოფლის ურბანიზაციას და სოფელზე ქალაქური კულტურის ზეგავლენის გაძლიერებას[1].

ქანქარისებრი მიგრაციის უარყოფით მხარეთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია მგზავრობაზე დროის დანახარჯების ზრდა და ამით თავისუფალი

---

[1] Миграционная подвижность населения в СССР. М.: Статистика, 1974, с. 108. Трушков В. В. Население города и пригорода. М.: Финансы и статистика, 1983. Хорев Б. С., Лиходед В. Н. Житель села - работник города. М.: Финансы и статистика. 1982, с. 5.

დროის ბიუჯეტის შემცირება, ე. წ. „სატრანსპორტო დაღლილობის" გაძლიერება, რაც უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობასა და მუშაობისუნარიანობაზე, აგრეთვე, ტრანსპორტის ხარჯების მატება და ოჯახის ფინანსურ გასაჭირში მგზავრობაზე დახარჯული სახსრების ხვედრითი წონის ამაღლება.

საქართველოს ბუნებრივ-რეგიონური პირობები, სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, განსახლების თავისებურებანი, ურბანიზებულობის დონე და ურბანიზაციის ტემპი განაპირობებენ დასახლებათაშორისო შრომითი კავშირების სპეციფიკას, ინტენსიეობასა და მიმართულებებს.

საქართველოში შრომითი ქანქარისებრი მაგრაციის ყველა მიმართულებიდან ჭარბობს სოფლიდან ქალაქად მიმართული ნაკადი. ის ძირითადი მიზეზები, რომელიც თავიანთი პროფესიული მოღვაწეობით ქალაქთან დაკავშირებულ სოფლელებს სტაციონარულ მიგრირებას ქანქარისებრით აცვლევინებს, შემდეგია:

1. ქალაქებში სამუშაო ადგილთა უფრო სწრაფი მატება საბინაო მშენებლობის ტემპთან შედარებით;

2. სოფლად საკარმიდამო მიწის ნაკვეთიდან შემოსავალი;

3. აგრარული ცხოვრების წესის პრიორიტეტული ადგილი ქართველის ფასეულობათა იერარქიაში;

4. ოჯახის წევრთა პროფესიული შემადგენლობის შეუსაბამობა სოფლად კადრებზე მოთხოვნილებასთან;

5. რეკრეაციული მოთხოვნილებების სწრაფი ზრდის ეპოქაში ამ დანახარჯების შედარებითი სიმცირე სოფლად ცხოვრების შენარჩუნების დროს.

ქანქარისებრი მიგრაციის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა არ არსებობს. მიუხედავად დიდი შრომატევადობისა, 1972-1988 წწ. პერიოდში ჩვენი უშუალო მონაწილეობით და შრომის სახელმწიფო კომიტეტის, საგეგმო კომიტეტის ტერიტორიული დაგეგმვის კრებსითი განყოფილების დახმარებით შეკრიბეთ ინფორმაცია ქალაქების ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში სხვა დასახლებული პუნქტებიდან ყოველდღიურად მომუშავე ქანქარისებრ მიგრანტთა რიცხოვნობისა და სტრუქტურის შესახებ. ამასთან, 80-იანი წლების დასაწყისში შეეისწავლეთ ქანქარისებრი მიგრაცია კონკრეტული სოციოლოგიური გამოკითხვის გზით ჭიათურაში, ზუგდიდში, ხაშურში, წითელწყაროში, კასპში, აბაშაში, კაზრეთში, საგარეჯოში.

საქართველოს ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ ქანქარისებრ მიგრანტთა ხვედრით წონა 1972-1989 წწ. მზარდი ტენდენციით ხასიათდება (ცხრილ 48). 1972-1988 წლებში საქართველოს საშუალო და პატარა ქალაქებში ქანქარისებრ მიგრანტთა რიცხოვნობა „სოფელი-ქალაქი" და „ქალაქი-ქალაქი" მიმართულებაში გაიზარდა 129,9 ათასიდან 191,5 ათასამდე. მისი მატების ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება აღნიშნული კატეგორიის

ქანქარისებრ მიგრანტთა ხვედრითი წონა ქალაქების ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ მოსახლეობაში, პროცენტი[1]

წელი	ქალაქის კატეგორია					
	თბილისი	დიდი ქალაქები	საშუალო ქალაქები	პატარა ქალაქები (10-20 ათასი)	პატარა ქალაქები (10-ათასამდე)	სულ საქალაქო დასახლებანი
1972			24,5	30,6	36,9	14,3
1977	5		29,7	36,8	40,9	16,9
1983	5		30,9	34,5	41,7	18,6
1988	5	7,6	31,1	36,0	41,8	18,9

ქალაქებში შრომითი რესურსების და დასაქმებულთა ზრდის ტემპს.

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, რაც უფრო პატარაა ქალაქი, შრომით პოტენციალზე ქანქარისებრი მიგრაციის გავლენა მით უფრო მეტია. ქანქარისებრ მიგრანტთა რიცხოვნობა, როგორც წესი, ქალაქის სიდიდის პროპორციულია, ხოლო მათი ხვედრითი წონა მთელ დასაქმებულებში ქალაქის სიდიდესთან უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია.

ცალკეულ საქალაქო დასახლებებში (ჭიათურა, მარნეული, წნორი, საჩხერე და სხვა) ქანქარისებრი მიგრანტები დასაქმებულთა უმეტესობაა.

საშუალო და პატარა ქალაქებში ჩამოსულ ქანქარისებრ მიგრანტთა ძირითადი ნაწილი სოფლის მოსახლეობაა. საშუალო ქალაქებში ისინი მთელი ნაკადის 80,0%-ია, პატარა ქალაქებში - 88,9% (1983 წ.).

ქანქარისებრ მიგრანტთა ნაკადში მამაკაცები მნიშვნელოვნად ჭარბობენ ქალებს. ქალთა ხვედრითი წილი მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო დიდია ქალაქი. შეიმჩნევა სქესობრივი გამოთანაბრების ტენდენცია. ქალთა ხვედრითი წონა ყველაზე პატარა ქალაქებში ჩასულ ქანქარისებრ მიგრანტებში 1972-1988 წწ. 34,9%-დან 38,7%-მდე ამაღლდა, საშუალო ქალაქებში - 22,5%-დან 33,9%-მდე, ხოლო დიდებში – 25,6%-დან 27,0%-მდე. ქალთა ხვედრით წონას განსაზღვრავს როგორც მგზავრობის სიშორე (რაც მეტია დიდ ქალაქებში), ისე ქალაქების მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურაც. მაგ., საკურორტო ქალაქებში: განთიადი, ახალი ათონი, ჯავა, აბასთუმანი ეკონომიკის სპეციფიკის

[1] დაწვრილებით: Тухашвили М. Трудовая маятниковая миграция в средних и малых городах Грузии. Труды ТГУ, т. 211. Тб.: ТГУ, 1980, с. 131-138.

გამო ქალები ჭარბობენ მამაკაცებს. ასევე მაღალია ქალთა ხვედრითი წონა გაგრაში, ქობულეთში, წყალტუბოში.

ქანქარისებრ მიგრანტთა უმეტესობა დასაქმებულია მატერიალური წარმოების დარგებში (80%-ზე მეტი). მათი დარგობრივი განაწილება, უმთავრესად, განსახლერულია ამა თუ იმ ქალაქის ეკონომიკაში შრომითი დასაქმების საერთო სტრუქტურით. შედარებით დიდი კონტინგენტებია ჩაბმული მრეწველობასა და სატრანსპორტო მომსახურებაში.

საქართველოს საშუალო და პატარა ქალაქთა უმეტესობაში ქანქარისებრი მიგრაციის რადიუსი 20 კმ-მდე ფარგლებშია და, ძირითადად, არ სცილდება იმავე ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებს. ეს ქალაქები, უმთავრესად, წარმოადგენენ რამდენადმე იზოლირებულ, დიდი ქალაქების გავლენისაგან თავისუფალ პუნქტებს და თვითონ არიან ქანქარისებრ მიგრანტთა მიზიდვის ცენტრები. რაც შეეხება თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებს, მათი გავლენა გაცილებით დიდია, თუმცა, ქანქარისებრი მიგრაციის ინტენსივობით ისინი აშკარად ჩამორჩებიან ყოფილ სსრკ რესპუბლიკების „მილიონერ" ქალაქებსა და სხვა დიდ ქალაქებს.

ქანქარისებრი მიგრაციის ანკეტური გამოკითხვით შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქანქარისებრ მიგრაციაში მონაწილეობს ძირითადად მობილური, ახალგაზრდა კონტინგენტები, მათი განათლების პოტენციალი საკმაოდ მაღალია და არათუ ჩამოუვარდება საშუალო და პატარა ქალაქების დასაქმებული მოსახლეობის განათლების დონეს, არამედ გამოკელეულ ქალაქებში აღემატება კიდეც მას. ეს კი ამ ქალაქების ეკონომიკური ზრდის თავისებური გარანტიაა.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ სხვა დასახლებულ პუნქტებში სამუშაოდ სიარულის მხრივაც რესპონდენტთა უმეტესობამ მიუთითა საცხოვრებელ ადგილებზე დასაქმების სფეროს სივიწროვეზე (55,0%) და გამოხატა, საერთოდ, სოფლის მეურნეობაში მუშაობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება (11,0%). რესპონდენტთა მხოლოდ 14,5% ფიქრობს საბოლოოდ მუშაობის ადგილზე საცხოვრებლად გადასვლას, რაც ქანქარისებრი მიგრაციის მაღალი სიმყარის მაჩვენებელია.

90-იანი წლების პოლიტიკურმა მოვლენებმა და ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა რადიკალურად შეასუსტა დასახლებათაშორისო შრომითი კავშირების სისტემა. ბევრგან შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია მინიმუმამდე შემცირდა და პრაქტიკულად შეწყდა. ქანქარისებრი მიგრაციის რადიუსი დამოკლდა და ძირითადად უტრანსპორტო მისაწვდომ არეალში მოექცა. ამის კონკრეტული მიზეზებია:

ა) ქალაქად დასაქმების სფეროს რადიკალური შევიწროება;

ბ) სატრანსპორტო ხარჯების არნახული ზრდა, რასაც ვერ ფარავს სამუშაოდან შემოსავალი.

ქანქარისებრ მიგრანტთა დიდი ნაწილი სამუშაოდ გადაეიდა თავისიანი საცხოვრებელ პუნქტებში, დასაქმდა სოფლის მეურნეობაში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე, რომელიც მიწის რეფორმის შედეგად გაიზარდა. მაგრამ, ბუნებრივია, ამან მათი სრული დასაქმება ვერ მოახდინა, სოფლად ჭარბმოსახლეობის მასშტაბი კი გაზარდა.

ქალაქად წარმოების გამოცოცხლების შემთხვევაში, თუნდაც აქ სამუშაო ადგილთა რაოდენობა ძველი მასშტაბებით აღდგეს, ტრანსპორტის ფაქტორი, პირველ ხანებში მაინც, ქანქარისებრი მიგრაციის ადრინდელი ინტენსივობით აღდგენის ბარიერად გადაიქცევა. ეს გაგრძელდება იქამდე, სანამ მგზავრობაზე დანახარჯები ოჯახის ბიუჯეტში ამ უკანასკნელის ზრდის მეოხებით საგრძნობლად დაიკლებს. სავარაუდოა ეკონომიკური აღმავლობისას და შემდგომი სტაბილიზაციისას ქანქარისებრი მიგრანტების რიცხოვნობის არათუ აღდგენა, არამედ საგრძნობი გაზრდაც. ამის საფუძველი იქნება სოფლად შრომის ნაყოფიერების ზრდის გამო აგრარული ჭარბმოსახლეობის მატება, იქ კარგი საბინაო ფონდის არსებობა, საკარმიდამო ნაკვეთზე არასრული დასაქმების ფართოდ შენარჩუნება. საფიქრებელია, რომ საქართველოში აგრარული ცხოვრების არცთუ დაბალი პრესტიჟულობის გამო ხანგრძლივად შენარჩუნდეს მიწის წვრილი ნკვეთებიც, მაშინაც კი, როცა ტექნიკა განვითარდება. ამის ერთ-ერთი მაგალითია იაპონია, სადაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა 71,9% (1989 წ.) სხვა დარგებშიცაა ჩაბმული და ძირითადად იქიდან იღებს შემოსავალს. ამ კატეგორიის მუშაკთა მიწის ნაკვეთი საშუალოდ 0,86 ჰექტარია და ძირთადი ფუნქცია სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ოჯახის უზრუნველყოფაა[1].

[1] Маркарьян С. Б. Аграрный сектор японской экономики. Основные проблемы 80-х годов. М.: Наука, 1990, с. 156.

თავი IV განათლების პოტენციალი, როგორც შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი კომპონენტი

§ 1. განათლების პოტენციალი და მისი გაზომვის ზოგიერთი მეთოდი

განათლების პოტენციალი არის განათლების პროცესში დაგროვილი ცოდნის მარაგი, რომელიც გამოხატავს მთელი მოსახლეობის ან მსხვილი დემოგრაფიული ჯგუფის გონებრივი განვითარების საერთო დონეს. იგი ქვეყნის რესურსული პოტენციალის მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მახასიათებელია, ფაქტობრივად, ამოუწურავი, განახლებადი რესურსია, უმთავრესი სიმდიდრეა. ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა მისი ოპტიმალური ზრდისა და გამოყენების მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევა. საქართველოსათვის, როგორც ბუნებრივ-საწარმოო რესურსებით არცთუ მდიდარი ქვეყნისათვის, განათლების პოტენციალის ფორმირების მართვას და რაციონალურ გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

განვითარებულ ქვეყნებში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ განათლების ეკონომიკურ ფუნქციას. დიდი აღიარება პოვა ე. წ. „ადამიანური კაპიტალის" თეორიამ. ჯ. კენდრიკის გაანგარიშებით, არამატერიალური კაპიტალი, რომელიც შედგება ადამიანის განათლებასა და ჯანდაცვაზე გაწეული მთლიანი დანახარჯებისაგან, უდრის აშშ ეროვნული სიმდიდრის ნახევარზე მეტს (53%)[1]. როგორც ხშირად მიუთითებენ, განათლება გახდა ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, არანაკლები, ვიდრე ე. წ. „ტექნოლოგიური განვითარება".

დასავლეთის ქვეყნებში, პირველ რიგში კი აშშ-ში, ეკონომიკურ ზრდაზე განათლების გავლენის სისტემატური კვლევა 50-იანი წლების ბოლოს დაიწყო, რომელიც უფრო დიდი ინტენსივობით 60-იანი წლების დასაწყისში გაგრძელდა. სხვებთან ერთად, ამის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ედუარდ კენედი მიიჩნევდა, სსრკ-ს მიერ დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვებით გამოწვეული შეშფოთებაც იყო[2]. ამერიკელებისათვის ნათელი გახდა, რომ ეკონომიკურად აშკარად დაწინაუ-

[1] Кендрик Дж. Совокупный капитал США и его формирование. М.: Прогресс. 1978, с. 87.

[2] Георгиева Т. С. Высшая школа США на современном этапе. М.: Высшая школа, 1989, с. 21.

რებულ აშშ-თან შედარებით სსრკ ეროვნულ შემოსავალში განათლებაზე გაწეულმა დიდმა ხელფრთმა დანახარჯებმა თავისი შედეგი გამოიღო.

სამწუხაროდ, 50-ანი წლების შემდგომ, სსრკ სახელმწიფო ბიუჯეტში განათლებაზე დანახარჯები არ გაზრდილა და მერყეობდა 6%-ის ფარგლებში, მაშინ, როცა დასავლეთის ქვეყნებში იგი გაიზარდა 3-ჯერ და შეადგინა აშშ და გფრ სახელმწიფო ბიუჯეტების 12%-ზე მეტი. მოსახლეობის ერთ სულზე გადაანგარიშებით, ეს ხარჯები ყოფილ სსრკ-თან შედარებით აშშ-ში 6-ჯერ, იაპონიაში - 4-ჯერ და საფრანგეთში - 2,7-ჯერ მეტი იყო[1]. ჩვენი აზრით, ამითაც იყო გამოწვეული, რომ მაშინდელმა საბჭოთა კავშირმა თანდათან დათმო პოზიციები მეცნიერებისა და განათლების სფეროში.

დასავლეთის ქვეყნებში ბევრი გამოკვლევა მიეძღვნა განათლების ეკონომიკის პრობლემებს. ამ ნაშრომებში წინა პლანზე იყო წამოწეული განათლების დარგის ინვესტირება და მისი უკუგების, ეფექტიანობის პრობლემები. ამერიკელი მეცნიერის, ე. დენისონის გაანგარიშებით, განათლებაში კაპიტალდაბანდებებმა 40%-ით განაპირობა ეკონომიკური ზრდის ფაქტობრივად მიღებული ტემპი[2]. მისი აზრით, 1950-1962 წწ. აშშ ეროვნული შემოსავლის მატების 38% ცოდნის პროგრესმა და სამუშაო ძალის განათლების დონის ზრდამ გამოიწვია[3]. 80-ან წლებში, სსრკ-ში ეროვნული შემოსავლის ზრდის 30% განათლების ამაღლებაზე მოდიოდა[4].

როცა ვეხებით განათლების ეკონომიკურ საკითხებს, შეუძლებელია, გვერდი აუაროთ ს. გ. სტრუმილინის გამოკვლევებს ამ სფეროში. მან ჯერ კიდევ 20-იან წლებში სცადა განათლების სამეურნეო მნიშვნელობის სერიოზული მეცნიერული შეფასება[5]. მაგრამ განათლების ეკონომიკის სისტემური კვლევა ამ დროს მაინც არ დაწყებულა.

განათლების სფეროში არსებული უმწვავესი პრობლემების მიუხედავად, როგორც, გადეიშვილი აღნიშნავს, განათლების ეკონომიკის საკითხები საქართველოში პრაქტიკულად კვლევა-ანალიზის გარეშეა მიტოვებული[6]. მაშინ, როცა უმრავლეს ქვეყნებში, კულტურულ-ეკონომიკურად საქართველოზე ბევრად ჩამორჩენილებშიც კი, აღნიშნული საკითხების შესწავლას აშკარად მეტ ყურადღებას აქცევენ, შექმნილია სპეციალური სამეცნიერო

---

[1] Кривенко Л. П. Качество труда: факторы роста. Харьков: Основа, 1990, с. 106.

[2] Проблемы высшей школы за рубежом. М.: МГЗПИ, 1983, с. 18; Иванов Н. П. Научно-техническая революция и вопросы подготовки кадров в развитых странах капитализма. М.: Наука, 1971, с. 165.

[3] Денисон Э. Исследование различий в темпах экономического роста. Пер. с англ. М.: Прогресс, 1971, с. 252

[4] Экономика. Демография. Статистика. М.: Наука, 1990, с. 113.

[5] Струмилин С. Г. Проблемы экономики труда. М.: Наука, 1982.

[6] გ. ადეიშვილი, წარმოების ინტენსიფიკაცია და სპეციალისტთა კადრების მომზადების საკითხები. -თბ.: საბჭოთა საქართველო, 1988, გვ. 53.

დაწესებულებანი, სისტემატურად ქვეყნდება კვლევის შედეგები[1]. აქვე უნდა აღინიშნოს განათლების პოტენციალის შესახებ ბოლო წლებში შესრულებული რ. ანმეტელის[2], ნ. რუხაძის[3] და ზ. გალდავას[4] საყურადღებო ნაშრომები.

განათლების პოტენციალის ზრდის ეკონომიკური ეფექტიანობა მაქსიმუმს მაშინ აღწევს, როცა იგი შეესაბამება ეკონომიკური პოტენციალის ზრდას. ეს არ ნიშნავს, რომ მათი ზრდის ტემპები ყოველთვის ერთმანეთს უნდა დაემთხვეს. განათლების პოტენციალს აქვს ერთგვარი წინმსწრები ტემპი, მაგრამ ამ უკანასკნელის აჩქარებას შეიძლება ისეთივე უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, როგორიც მის ჩამორჩენას. განათლებაზე გაწეული საზოგადოებრივი დანახარჯები მით უფრო ეფექტიანი იქნება, რაც უფრო მეტ შესაბამისობაშია კადრების კვალიფიკაცია ეკონომიკური განვითარების დონესთან. ეს შესაბამისობა არამარტო საერთო, არამედ სტრუქტურულ დაბალანსებაშიც უნდა გამოიხატოს, რასაც სამუშაო ძალის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდება შესაბამისობაში მოჰყავს.

თუ გავითვალისწინებთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას, ხშირად უმუშევრობის მიზეზი არამარტო თავისუფალი ვაკანსიების უქონლობა ხდება, არამედ თავისუფალი ვაკანსიების შეუსაბამობა საჭირო კვალიფიციურ მუშახელთან როგორც საერთოდ, ისე მისი ცალკეული რეგიონული ერთეულების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ განათლების დონის, მისი პოტენციალის აღრიცხვა-შეფასების სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. მართალია, თანამედროვე დასავლეთში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები განათლების სფეროსაც შეეხო, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ძნელია მისი დონის მაჩვენებელთა ზუსტად შედარება. მაგ., აშშ სტატისტიკაში უმაღლესი სკოლის სტუდენტობაში რომ შეჰყავთ ორწლიანი კოლეჯების მოსწავლეებიც, გასათვალისწინებელია სხვა ქვეყნის განათლების პოტენციალთან შედარებისას.

საქართველოში განათლების პოტენციალის შეფასება-ანალიზისათვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაცია გარკვეული ნაკლის მქონეა, ამას ობიექტური და, ნაწილობრივ, სუბიექტური მიზეზებიც განაპირობებს, რაც, საზოგადოდ, სტატისტიკური ანგარიშგებისადმი უპასუხისმგებლობაში, მისი მნიშვნელობის შეუფასებლობაში ვლინდება. ამის მიუხედავად, მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია, გაანალიზდეს განათლების პოტენციალის ზრდის

---

[1] იხ. დაწერილებით: International Directory of Research Institution on Higher Education. Paris, UNESCO, 1986.

[2] Ахметели Р. О. Экономические вопросы формирования и использования образовательного потенциала трудящихся. Тб.: Мецниереба, 1989.

[3] Рухадзе Н. Б. Непрерывное образование - концепция, устремленная в будущее. Тб.: ТГУ, 1989.

[4] Галдава З. В. Совершенствование планирования управления трудовыми ресурсами. Тб.: Мецниереба, 1989.

ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი.

ამჟამად არ არსებობს უნივერსალური მაჩვენებელი, რომელიც ზუსტად ასახავს განათლების პოტენციალს რაოდენობრივ გამოხატულებაში.

ძალიან გავრცელებულია განათლების პოტენციალის შეფასება განათლების ცალკეული სახეების (ამავე დროს დონეების) მიხედვით. ჩვენში მიღებულია უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი, საშუალო სპეციალური, ზოგადი საშუალო, არასრული საშუალო და დაწყებითი განათლების მქონე პირთა ხვედრითი წილის მიხედვით განათლების საერთო დონის შეფასება. მაგრამ, ეფექტობი, აღნიშნული მაჩვენებლები განათლების პოტენციალის სტრუქტურული დახასიათებისათვის უფრო გამოდგება, ვიდრე მისი საერთო დონის გასაზომისათვის. საჭიროა საერთო, სინთეზური მაჩვენებლის გამოძებნა. იგი განათლების მიღებაზე გაწეული დანახარჯებით გამოიხატება. განათლების მიღებაზე დანახარჯები ძირითადად ორი სახისაა: განათლების მიღებაზე მატერიალურ-ფინანსური დანახარჯები (ე. წ. განათლების ფონდი) და სწავლის პროცესზე დროის დანახარჯები. ასე თუ ისე, ნაკლი ორივეს აქვს, მაგრამ განათლების პოტენციალის შეფასებაში შედარებით უნივერსალურობით ხასიათდებიან.

უკეთესი იქნებოდა, საქართველოს განათლების პოტენციალის შეფასებისას ორივე აღნიშნულ მაჩვენებელს თუ გამოვიყენებდით; მაგრამ დღევანდელი სტატაღრიცხვის პირობებში იძულებული ვართ, ძირითადად მეორე მაჩვენებელს დავეყრდნოთ - სახელდობრ, განათლების მიღებაზე დროის დანახარჯებს, გამოხატულს კაც-წლებში. იგი შეიძლება გამოიახოს მთელი პოტენციალის მისაღწევად საჭირო ერთობლივი დროის ფონდით ან ერთი პირის განათლების მიღებაზე საშუალოდ დახარჯული დროით. დროის დანახარჯების მეთოდით განათლების პოტენციალის გაანგარიშებისათვის ეისარგებლოთ გავრცელებული მეთოდიკით[1]. მისი მთავარი ნაკლი, ჩვენი აზრით, ისაა, რომ ერთ მნიშვნელობას აძლევს დაბალინტენსიური და მაღალინტენსიური სწავლების წლებს - ზარმაცი მეორეკლასელისა და ბეჯითი მეთხუთმეტეკლასელის ერთი წლის შედეგს. ეს ნაკლი განსაკუთრებით მაშინ გამოჩნდება, თუ ბოლო წლების კრიზისული ეპოქის განათლების პოტენციალის დინამიკას გავაანალიზებთ.

განათლების პოტენციალის გაზომვის ღირებულებითი მაჩვენებელი შეიძლება გავიანგარიშოთ და გამოვიყენოთ ეკონომიკის სტაბილური განვითარების პერიოდებისათვის; ჩვენ შემთხვევაში, 80-იანი წლების ბოლომდე.

---

[1] Евдокимова Л. Н., Кириченко И. В. Экономическая роль образовательной подготовки трудовых ресурсов. М.: Экономика, 1983, с. 77-90; Развитие народонаселения. М.: Статистика, 1980, с. 165; Самойлова Е. С. Население и образование. М.: Статистика, 1978, с. 33-38; Томин В. П. Уровень образования населения СССР. М.: Финансы и статистика, 1981, с. 53-70; Клочков В. В. Экономика образования: иллюзии и факты. М.: Мысль, 1985, с. 57-74.

-იმ შემთხვევაში, თუკი ცნობილია ერთი პირის მიერ დაწყებთი, არასრული საშუალო, საშუალო ზოგადი, საშუალო სპეციალური, დაუმთავრებელი უმაღლესი და უმაღლესი განათლების მიღებაზე საჭირო წლების რაოდენობა და განათლების აღნიშნული დონეების მისაღებად საჭირო წლიური ფინანსური დანახარჯები, ძნელი არაა, განისაზღვროს ერთი პირისათვის დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო ზოგადი, საშუალო სპეციალური, დაუმთავრებელი უმაღლესი და უმაღლესი განათლების მისაღები სრული დანახარჯები. ჩვენი გაანალიზებით, 80-იანი წლების მეორე ნახევარში იგი უდრის: დაწყებითი განათლების მიღებაზე 1440 მანეთს, არასრული საშუალო განათლების მიღებაზე - 2064 მანეთს, საშუალო ზოგადი განათლების მიღებაზე - 2616 მანეთს, საშუალო სპეციალურ განათლებაზე - 4500 მანეთს, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე პირისათვის - 6336 მანეთს და უმაღლესი განათლების მღებაზე - 7776 მანეთს.

რასაკვირველია, ასეთი გაანგარიშება დიდი პირობითობის მატარებელია, რადგან სისტემატურად იცვლებოდა განათლების ამა თუ იმ საფეხურზე წლიური დანახარჯები. ამასთან, სახელმწიფოსთან ერთად განათლებაზე მშობლებიც ხარჯავდნენ თანხას (სახელმძღვანელოები, რეპეტიტორთა ანაზღაურება, სხვადასხვა ფასიანი წრეები და ა. შ.). მაგრამ მაინც აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მეტად გამოხატავს განათლების სხვადასხვა დონეთა დიფერენცირებულობის ხარისხს, ვიდრე კაც-წლებით გაზომვისას. მაგ., კაც-წლებით უმაღლესი განათლება საშუალო ზოგად განათლებას 1,4-ჯერ აღემატება, მაშინ როცა ღირებულებითი მაჩვენებლების მიხედვით უმაღლესი განათლების მიღება საშუალო ზოგადთან შედარებით 3-ჯერ მეტია.

ამდენად, საქართველოს განათლების პოტენციალის შეფასებისას, იმ შემთხვევებში, როცა უფრო მეტად გვჭირდება დიფერენცირებულობის გამოხატვა, ღირებულებითი მაჩვენებლებითაც ეისარგებლებთ.

§ 2. საქართველოს მოსახლეობის განათლების პოტენციალის ზრდა და სტრუქტურული დახასიათება

საქართველოს მოსახლეობის განათლების პოტენციალის განუხრელი ზრდის მიუხედავად, მთელი XX საუკუნის განმავლობაში მას არ ჰქონდა ზრდის თანაბარი ტემპი. 20-იანი წლების მეორე ნახევრისა და 30-იანი წლების სწრაფმა ეკონომიკურმა ზრდამ, განათლების მიღების ხელსაყრელი პირობების შექმნამ განათლების პოტენციალის დიდი აღმავლობა გამოიწვია. მაშინდელ სსრკ რესპუბლიკებს შორის საქართველო ამ მხრივ აშკარად დაწინაურდა, რომლის მიზეზს სწორად ხსნის მ. მახანკოვა: „ტერიტორიითა და მოსახლეობის რიცხოვნობით პატარა, უძველესი კულტურის რესპუბ-

ლიკებში - საქართველოსა და სომხეთში - ადვილი იყო განათლების დონის სწრაფი ზრდის მიღწევა"[1].

1928-1929 სასწავლო წელს ყველა სახის უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა რიცხვით საქართველო ყოველ ათას მცხოვრებზე გადაანგარიშებით აშკარად უსწრებს ყველა მაშინდელ მოკავშირე რესპუბლიკას[2]. მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდისათვის საქართველოში ყოველ 10 ათას მცხოვრებზე 77 სტუდენტი მოდის, სსრკ საშუალო მაჩვენებელი კი - 41 სტუდენტია[3]. ომისშემდგომ პერიოდში საქართველო ინარჩუნებს განათლების პოტენციალის ზრდის მაღალ ტემპს, თუმცა უნდა ითქვას, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის განათლების პოტენციალების გამოთანაბრების პროცესი დაიწყო.

შემცირების ტენდენციის მიუხედავად, განათლების პოტენციალის ზრდის ტემპი 70-იან წლებში მაინც მაღალი იყო. 1970-1979 წწ. პერიოდში სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის განათლების პოტენციალი უახლოედებოდა ერთმანეთს (ცხრილი 49), რაც ძირითადად განაპირობა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლამ, ხოლო 1979-1989 წწ. სოფლის მოსახლეობის განათლების პოტენციალის ზრდის ტემპის ჩამორჩენა განპირობებულია მოსახლეობაში სტრუქტურული ცვლილებებით, კერძოდ, სოფლის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესებით, განათლების მაღალი პოტენციალის მქონე კონტინგენტის სოფლიდან ქალაქად გადაადგილებით, მსხვილი სოფლების ქალაქის ტიპის დასახლებებად გარდაქმნით და ა. შ.

ზემოაღნიშნულ პერიოდში სწრაფად გაიზარდა უმაღლესი განათლების მქონეთა კონტინგენტი. 1970-1989 წწ. ყოველ 1000 მცხოვრებზე უმაღლესი განათლების სპეციალისტთა რიცხოვნობის ზრდამ 219% შეადგინა (ცხრ. 50) უფრო მეტად სოფლის მოსახლეობაში მოიმატა უმაღლესდამთავრებულთა რაოდენობამ (262%).

განათლების დონის ზრდას კიდევ უფრო რეალურად გამოხატავს 15 წლის და უფროსი ასაკის ყოველ 1000 კაცზე განათლების საფეხურებრივი დონეების დინამიკის დახასიათება. უკანასკნელ ოთხ აღწერათაშორისო პერიოდში ამგვარად გამოხატული განათლების დონეების ცვლილება იხ. (ცხრილი 51).

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, განათლების პოტენციალი გამოიხატება ერთი მცხოვრების სწავლების საშუალო ხანგრძლივობით. საქართველოს 10 წლის

---

[1] Маханкова М. Т. Уровень образования важнейшая качественная характеристика трудовых ресурсов. В кн.: Трудовые ресурсы: социально-экономический анализ. М.: Экономика, 1976, с. 61.

[2] Особенности демографического развития в СССР. М.: Финансы и статистика, 1982, с. 40.

[3] Народное хозяйство СССР за 70 лет. Статистический ежегодник. М.: Финансы и статистика, 1987, с. 550.

საქართველოს მოსახლეობის განათლების პოტენციალის ზრდა 1970-1989 წწ.[1]

	განახლების პოტენციალი: ათასი კაც-წელი			განათლების საერთო პოტენციალის ზრდა, პროცენტი		
	1970	1979	1989	1970-1979	1979-1989	1970-1989
საქართველო						
სულ:	27278	36881	47374	135,2	129,1	173,7
ქალაქად	15862	21350	28002	134,6	131,2	177,0
სოფლად	11416	15531	19372	136,0	125,0	170,1
		მლნ მანეთი			ზრდა, პროცენტი	
საქართველო						
სულ:	8529	11721	15298	1.37	1.31	1 79
ქალაქად	5264	7223	9691	1 37	1 34	1.84
სოფლად	3265	4498	5607	1 38	1.25	1 72

[1] ცხრილები NN 49-58 გაანგარიშებულია შესაბამისი წლების მოსახლეობის აღწერების მასალების საფუძველზე, რასაც შემდგომ სქოლიოებში აღარ მიეუთითებთ.

და უფროსი ასაკის მოსახლეობისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 1979-1989 წწ. აღწერათაშორისო პერიოდში 8,9 წლიდან 10,5 წლამდე გაიზარდა. ქალაქის მოსახლეობაში 10,0 წლიდან - 11,2 წლამდე, სოფლისაში - 7,7 წლიდან 9,7 წლამდე. თუ 1979 წელს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობაში განსხვავება 2,3 წელი იყო, 1989 წლისათვის ეს განსხვავება 1,5 წლამდე შემცირდა.

განათლების პოტენციალის გამოთანაბრების ტენდენცია შეიმჩნევა საქართველოს ცალკეული რეგიონების, ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების მიხედვითაც (ცხრ. 52). სხვაობა ცალკეულ ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებს შორის განათლების პოტენციალში მინიმალურია, განხილულ პერიოდში შემცირებულია 1,5-დან 1,3 წლამდე. ეს განსხვავებაც, არსებითად, რეგიონების ურბანიზებულობით განისაზღვრება.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკის უთანაბრო რეგიონული განვითარების მიუხედავად, ხარისხობრივი თვალსაზრისით, შრომითი პოტენციალი შედარებით თანაბრადაა განაწილებული. გამოთანაბრების პროცესი კვლავაც გრძელდება. ეს წინაპირობებს ქმნის საწარმოო ძალთა სხვა ელემენტების უფრო თანაბარი

(ცხრილი 50)

უმაღლესი და საშუალო განათლების დონის მაჩვენებლები საქართველოს მოსახლეობაში 1978-1989 წწ

	აქვს განათლება						შესაბამისი განათლების მქონე კონტინგენტის ზრდა, %					
	უმაღლესი			დაუმთავრებელი უმაღლესი, საშუალო სპეციალური, საშუალო ზოგადი, არასრული საშუალო			უმაღლესი			დაუმთავრებელი უმაღლესი		
	1970	1979	1989	1970	1979	1989	1970-1979 წწ.	1979-1989 წწ.	1970-1989 წწ.	1970-1979 წწ	1979-1989 წწ	1970-1989 წწ.
საქართველო	58	85	127	382	495	613	147	149	219	130	124	160
ქალაქად	100	135	184	457	529	607	135	136	184	116	115	133
სოფლად	21	33	55	314	459	622	157	167	262	146	136	198

ცხრილი 51

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განათლების დონის ცელილება 1959-1989 წწ.

15 წლის და უფროსი ასაკის ყოველ 1000 მცხოვრებზე აქვს განათლება	1959	1970	1979	1989
უმაღლესი	54	84	115	151
დაუმთავრებელი უმაღლესი	15	21	21	24
საშუალო სპეციალური	61	79	112	187
საშუალო ზოგადი	153	241	328	363
არასრული საშუალო	211	207	198	152
დაწყებითი	186	184	142	86

ცხრილი 52

განათლების პოტენციალის ზრდა საქართველოს ბუნებრივი-ეკონომიკური ზონების მიხედვით 1970-1989 წწ.
(სწავლის ხანგრძლივობა, წლებში)

ბუნებრივი-ეკონომიკური ზონა	1970	1979	1989	ზრდის ტემპი, %		
				1970-1979	1979-1989	1970-1989
აღმოსავლეთის	5,6	7,3	8,3	130	114	148
აღმოსავლეთ						
ცენტრალური	6,6	8,7	9,0	132	103	136
დასავლეთ						
ცენტრალური	6,3	8,1	9,0	129	111	143
დასავლეთის	6,3	7,9	8,8	125	111	140
სამხრეთის	5,1	6,9	7,7	135	112	151
აფხაზეთი	6,2	7,6	8,7	123	114	140
აჭარა	5,9	7,3	8,3	124	114	141

რეგიონული განლაგებისათვის, კვალიფიციური დარგების განაწილებაში დიდი რეგიონული უთანაბრობის შერბილებისათვის.

რეგიონული თვალსაზრისით, მიმდინარეობს განათლების პოტენციალის გამოთანაბრების პროცესი სხვადასხვა რანგის დასახლებულ პუნქტებს შორისაც. ამჟამად, თბილისსა და საშუალო და პატარა ქალაქებს შორის განათლების

პოტენციალია სხვაობა მინიმალურია (ცხრ. 53). გაწიანასწორებულია თბილისისა და დიდი ქალაქების მოსახლეობის განათლების პოტენციალი. პრაქტიკულად გათანაბრდა საშუალო, პატარა ქალაქებისა და დაბების განათლების პოტენციალი. ამდენად, მრეწველობისა და სხვა ქალაქწარმოქმნელი დარგების შედარებით თანაბარი განლაგების, წარმოების ტერიტორიული დეკონცენტრაციის ხელშემშლელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება - სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დიდი რეგიონული დიფერენციაციე - თანდათან იცვლება. განათლების პოტენციალის რეგიონული გამოთანაბრების პროცესი თბილისის ზრდის შესლუდეისა და საშუალო და პატარა ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური აქტივიზაციის პრობლემის გადასაჭრელ წინაპირობებს ქმნის.

ისტორიულ-კულტურული განვითარების თავისებურებათა გამო, დიდხანს იყო შენარჩუნებული საგრძნობი განსხვავება საქართველოში მცხოვრები ცალკეული ეთნიკური ჯგუფების განათლების პოტენციალში. უკანასკნელი ოცწლეულის მანძილზე სწრაფად მოხდა მათი განათლების დონეების გამოთანაბრება (ცხრ. 54). ამას ხელი შეუწყო რეგიონიც საყოველთაო საშუალო ზოგად განათლებაზე გადასვლამ, ასევე ეროვნულ უმცირესობათათვის საქართველოში განათლების მიღების მაქსიმალური პირობების შექმნამ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ძირითადი ეროვნების - ქართველების განათლების პოტენციალმა მეოთხე ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლა და მხოლოდ ებრაელთა განათლების დონის მაჩვენებლებს ჩამორჩება.

ცხრილი 53

განათლების პოტენციალის ზრდა სხვადასხვა რანგის დასახლებულ პუნქტებში 1970-1989 წწ.

დასახლებული პუნქტების რანგი	10 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის სწავლების საშუალო ხანგრძლივობა. წელი			თბილისის დონიდან გადახრის მაჩვენებელი, წელი		
	1970	1979	1989	1970	1979	1989
თბილისი	9,32	10,61	11,71	0,0	0,0	0,0
დიდი ქალაქები	8,49	10,1	11,70	-0,83	-0,51	-0,01
საშუალო ქალაქები	8,23	9,73	11,06	-1,09	-0,88	-0,65
პატარა ქალაქები	7,43	8,83	10,58	-1,89	-1,78	-1,13
ქალაქის ტიპის დაბები	7,38	7,73	11,04	-1,94	-2,88	-0,67
სოფლები	6,03	7,70	9,70	-3,29	-2,91	-2,01

ნახტომისებურად გაიზარდა აზერბაიჯანელების, აფხაზების, ქურთების განათლების დონე. საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებების განათლების პოტენციალის მაჩვენებლებში სხვაობა 4 წლიდან 2,9 წლამდე შემცირდა.

როგორც უმაღლესი, ისე, საერთოდ, ყველა კატეგორიის სპეციალისტთა მაჩვენებლების მიხედვით, ძირითადი ეროვნება - ქართველი მოსახლეობა - მეოთხე ადგილზეა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოში მცხოვრები რუსების, უკრაინელების განათლების პოტენციალი აშკარად აღემატება საკუთარ რესპუბლიკებში ამ ეროვნებათა განათლების დონის მაჩვენებლებს, რაც იმას ადასტურებს, რომ საქართველოში რუსებისა და რუსულენოვანი მოსახლეობისათვის არათუ არ ყოფილა შეზღუდვები, არამედ, შეიძლება ითქვას, უკეთესი პირობებიც იყო, ვიდრე საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე. რასაკვირველია, ვითვალისწინებთ, რომ მათმა ნაწილმა განათლება რუსეთ-უკრაინაში მიიღო, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ უმაღლესდამთავრებულთა მაშინ არსებული მკაცრი განაწილების წესის მიუხედავად, ეს

ცხრილი 54

საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეროვნებების მოსახლეობის განათლების პოტენციალის ცვლილება 1979-1989 წწ. (15 წ. და უფროსი ასაკის ათას მცხოვრებზე გაანგარიშებით)

ეროვნება	სწავლების საშუალო ხანგრძლივობა, წელი		სპეციალისტთა განათლება					
			1979			1989		
	1979	1989	უმაღლესი	დაუმთავრებელი უმაღ.	საშუალო სპეციალური	უმაღლესი	დაუმთავრებელი უმაღ.	საშუალო სპეციალური
ქართველი	7,1	11;0	95	18	92	166	27	203
აფხაზი	6,1	10,3	66	13	59	126	31	156
სომეხი	6,4	10,0	51	11	53	92	15	137
რუსი	7,6	10,8	92	15	103	169	20	205
აზერბაიჯანელი	4,7	9,2	27	5	29	63	6	90
ბერძენი	5,9	9,8	54	13	49	104	16	140
ოსი	6,0	10,0	48	10	52	107	21	139
უკრაინელი	8,2	10,8	99	16	136	171	20	220
ქურთი	4,9	9,2	10	3	15	25	6	76
ებრაელი	8,7	12,1	200	29	88	327	38	176

კონტინგენტი საქართველოში დაბრუნდა. არ ცვლის ხელს მიერ გამოქვეყნებულ მოსახლეობას ე. წ. რუსულენოვანი მოსახლეობისათვის საქართველოში კარგი სოციალურ-ეკონომიკური პირობების არსებობის შესახებ. რასაკვირველია, არ გვაიწყდება ის გარემოებაც, რომ რუსი და უკრაინელი მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქად და შედარებით მაღალურბანიზებულ რეგიონებში ცხოვრობს და, ნაწილობრივ, ესეც განაპირობებს მათი მაღალი დონის განათლების პოტენციალს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა.

ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებული სპეციალისტთა რიცხოვნობით ჯერ კიდევ შეინიშნება დიდი ნამორჩენა ქურთ და ასერბაიჯანელ მოსახლეობაში. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის უკანასკნელ აღწერათაშორისო პერიოდში უმაღლესდამთავრებულთა რიცხოვნობა ასერბაიჯანელებში 2,3-ჯერ, ქურთებში - 2,5-ჯერ გაიზარდა. ხოლო საშუალო განათლების სპეციალისტებისა - შესაბამისად - 3-ჯერ და 5-ჯერ. ეს ყველაზე მაღალი ტემპია. იგი საბოლოოდ საგრძნობლად დააახლოებს საქართველოში მცხოვრები ერების განათლების პოტენციალს, რაც სოციალურად, ეკონომიკურად და პოლიტიკურადაც დადებითი ტენდენციაა.

საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეროვნებების განათლების პოტენციალების დაახლოების პროცესი კიდევ უფრო ნათლად აისახა ერთი მცხოვრების განათლების საშუალო პოტენციალის ღირებულებით მაჩვენებლებში გამოთვლით (ცხრ. 55).

ცხრილი 55

საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეროვნებების მოსახლეობის განათლების საშუალო პოტენციალის ცვლილება 1979-1989 წწ. (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის მიხედვით), მანეთი

ეროვნება	1979	1989	ზრდა 1970-1989, პროცენტი
ქართველი	2337	3711	158,8
აფხაზი	1919	3322	171,1
სომეხი	1910	3043	159,3
რუსი	2452	3656	149,1
ასერბაიჯანელი	1343	2618	194,0
ბერძენი	1752	3040	173,5
ოსი	1814	3097	170,7
უკრაინელი	2658	3680	138,4
ქურთი	1288	2450	190,2
ებრაელი	3155	4632	146,8

როგორც ვხედავთ, აქაც ქართველებმა განათლების პოტენციალის საშუალო მაჩვენებლებით მეოთხედან მეორე ადგილზე გადაინაცვლეს. თუ 1979 წელს ქართველების პოტენციალი ყველაზე დაბალი პოტენციალის ერთეულების მაჩვენებელს 1,8-ჯერ აღემატებოდა, 1989 წლისათვის აღემატება 1,5-ჯერ. ამრიგად, განათლების პოტენციალის გამოთვლის სხვა მეთოდითაც, ჩვენს მიერ მიღებული შედეგები მთლიანად დასტურდება.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ზოგადი ტენდენციების აღნიშვნის შემდეგ, ეკონომიკაში დასაქმებული მოსახლეობის განათლების პოტენციალითა და შრომის ასაკში მყოფი მოსახლეობის განათლების პოტენციალის დინამიკის ჩვენებით უფრო მეტად გამოიხატება რესპუბლიკის შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი მხარე (ცხრ. 56).

როგორც ცხრილიდან ჩანს, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში განათლების პოტენციალის ზრდის ტემპი თანდათან კლებულობს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა მოხდა. შემდგომ პერიოდში მატებას ერთ მოსახლეზე და, ამ

ცხრილი 56

საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის განათლების პოტენციალი (სწავლების საშუალო ხანგრძლივობა, წელი)

მოსახლეობის ჯგუფი	1959	1970	1979	1989	ზრდა, %			
					1959-1970	1970-1979	1979-1959	1959-1989
დასაქმებული მოსახლეობა სულ:								
ორივე სქესი	6,01	8,83	10,37	11,65	147	117	112	194
მამაკაცები	6,28	8,70	10,44	11,60	139	120	111	185
ქალები	5,66	8,42	10,31	11,70	149	122	113	207
ქალაქის მოსახლეობა								
ორივე სქესი	8,12	9,93	11,33	12,31	122	114	107	152
მამაკაცები	9,02	9,90	11,32	12,25	123	114	108	153
ქალები	8,24	9,97	11,34	12,38	121	114	109	150
სოფლის მოსახლეობა								
ორივე სქესი	4,66	7,22	9,32	10,78	155	129	116	231
მამაკაცები	5,00	7,42	9,47	10,82	148	128	114	216
ქალები	4,29	7,00	9,16	10,75	163	131	117	251

შემთხვევაში, ერთ დასაქმებულზეც, ძირითადად, საშუალო სპეციალური სასწავლებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტების ზრდა ან შემცირება განსაზღვრავს.

1959-1989 წწ. შემცირდა დიდი განსხვავება სოფლისა და ქალაქის დასაქმებული მოსახლეობის განათლების პოტენციალში. უნდა შეენიშნოთ, რომ ეს შემცირება მოხდა მსხვილი სოფლებისა და ზოგი რაიცენტრის ქალაქის და ქალაქის ტიპის დაბის რანგში გადასვლის, ანუ სოფლის მოსახლეობაში ყველაზე „განათლებული" დასახლებული პუნქტების ადმინისტრაციული გარდაქმნების პირობებში. თუ გავითვალისწინებთ სოფლებისა და ქალაქების ეკონომიკურ სტრუქტურას და კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მათ მოთხოვნილებას, ეფექტურობა, არსებული განსხვავების კიდევ უფრო შემცირება ახალი დისპროპორციების გაჩენის საფრთხეს შექმნის.

რაც შეეხება დასაქმებულ მოსახლეობაში ქალთა და მამაკაცთა კონტინგენტების განათლების დონის მაჩვენებლებს, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად როგორც სოფლად, ისე ქალაქად ეს დონეები გაათანაბრებულია. უნდა ითქვას, რომ სოციალურ-სამეურნეო ყოფის ფემინიზაციის მაჩვენებლებით საქართველო მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებსაც კი არ ჩამორჩება, რაც, ჩვენი აზრით, პროგრესული მოვლენაა. იმავდროულად, შეუძლებელია, არ დაეინახოთ, რომ ქალის გენერაციული ფუნქციის რეალიზაციისათვის ჩვენს პირობებში ეკონომიკის ამ დონით ფემინიზაცია თავისებური ხელშემშლელი ფაქტორი გახდა.

სხვადასხვა ასაკობრივი კონტინგენტების განათლების პოტენციალის შეფასებას სათანადო ყურადღება უნდა მივაქციოთ შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი ასპექტების კვლევის პროცესში. როგორც გამოთვლებმა გვიჩვენა, შრომის ასაკის მოსახლეობის განათლების დონეები ასაკის ზრდისადმი შემდეგი დამოკიდებულებისაა (ცხრ. 57). მცირე განსხვავებაა აქტიურ - 40 წლამდე მოსახლეობის განათლების პოტენციალსა და მომდევნო ასაკობრივ ჯგუფების მაჩვენებლებს შორის. აღნიშნული სხვაობა კიდევ უფრო შემცირდა 1970 წლის შემდეგ, ხოლო 1989 წლისათვის პრაქტიკულად გამოთანაბრდა.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ე. კ. ვასილევას მიერ შემოთავაზებული განათლების დონის კვლავწარმოების კოეფიციენტის (d) გამოყენება[1]:

$$d = \frac{\overline{X}_{25\text{-}29}}{\overline{X}_{30\text{-}54(59)}}$$

სადაც $\overline{X}_{25\text{-}29}$ — ახალგაზრდა თაობის განათლების საშუალო დონეა;

[1] Васильева Э. К. Социально-экономическая структура населения СССР. М.: Статистика, 1978. с. 71.

X 30-49 — უფროსი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის განათლების საშუალო დონე.

საქართველოს მოსახლეობაში აღნიშნული კოეფიციენტი 1970 წელს ერის 1,134, 1979 წელს - 1,163, 1989 წლისათვის იგი დაუახლოვდა ერთს (1,054), რაც იმას ნიშნავს, რომ განათლების დონის მატება სტაბილიზდა. ამის ძირითადი მიზეზია ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სტუდენტთა კონტინგენტის შედარებითი სტაბილურობა, რაც, თავის მხრივ, განაპირობა მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობაში შედარებით ძლიერმა და პერიოდების მიხედვითაც თანაბარმა სწრაფვამ განათლებისადმი. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, სსრკ სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, განათ-ლებისადმი ლტოლვა საქართველოში მეორე მსოფლიო ომამდელ პერიოდში განსაკუთრებული ინტენსიურობით გამოვლინდა.

მაშასადამე, არსებითი ნიშანი, რომელიც აშკარად გამოიკვეთა სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის განათლების პოტენციალის ასაკობრივი ანალიზისას, ისაა, რომ 1970 წლის შემდგომ ასაკობრივ გაღიარებულ-ებათა და საერთო განათლების მქონე პირების სამუშაოზე შენარჩუნების

ცხრილი 57

საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის განათლების პოტენციალის მაჩვენებლები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში (სწავლების საშუალო ხანგრძლივობა, წელი)

ასაკობრივი ჯგუფი	1970	1979	1989
15 წლამდე	4,68	4,72	6,5
15-19 წელი	9,07	10,41	10,8
20-24 -„-	9,91	11,00	11,7
25-29 -„-	9,92	11,50	12,3
30-34 -„-	9,47	11,37	12,2
35-39 -„-	8,64	10,60	12,3
40-44 -„-	8,84	9,87	12,1
45-49 -„-	8,92	9,01	11,5
50-54 -„-	8,11	9,14	10,9
55-59 -„-	7,12	9,19	10,4
60-64 -„-	6,13	8,84	10,6
65-69 -„-	5,45	7,82	11,0
70 და მეტი	4,42	6,65	10,2

შედეგად საპენსიო ასაკის კონტინგენტის განათლების პოტენციალი რადიკალურად გაიზარდა.

საქართველოს შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი ზრდის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია სპეციალისტთა განათლების შეფასება და მისი ზრდის ანალიზი.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ანალიზისას ცალკე უნდა გამოიყოს რამდენიმე მწვავე პრობლემა, კერძოდ: ა) სპეციალისტთა რაოდენობრივ-სტრუქტურული ოპტიმუმის; ბ) უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა თანაფარდობის; გ) სპეციალისტთა მომზადების ხარისხის. არაა გამორიცხული, რომ ამ პრობლემათა ურთიერთდაკავშირებულობის გამო, მსჯელობისას ისინი ''ხოგჯერ ერთადაც კი წარმოვადგინოთ, მაგრამ ვთქვათ, რომ აღნიშნული საკითხები ცალ-ცალკე დეტალურ შესწავლას მოითხოვს.

ზემოთ დასახელებული პრობლემისადმი ყურადღების გააქტიურებას გვაიძულებს მრავალი კითხვა, რომლებზეც პასუხის გაუცემლობა და, ცხადია, გადაუჭრელობა, შესაძლოა, მომავალში საქართველოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზიც გახდეს. მითუმეტეს, რომ ამის სიმპტომები უკვე სახეზეა. ბოლო დროს განათლების სფეროს განვითარებაში თავი იჩინა მრავალმა უარყოფითმა ტენდენციამ, რომლის შეუფასებლობა და უყურადღებოდ დატოვება საქართველოს წინაშე მდგომ ზოგიერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიზანს საფუძველს გამოაცლის.

როგორც არაერთხელ მივუთითეთ, საქართველოში სპეციალისტთა მომზადების რაოდენობრივი მაჩვენებლები მაღალია და დიდად აღემატება ეკონომიკურად ჩვენი ქვეყნის დონეზე მდგომ ქვეყნებს. განსაკუთრებით დიდია მატების ტემპი მატერიალური წარმოების დარგებში. მოსახლეობის ორ უკანასკნელ აღწერათაშორისო პერიოდში (1979-1989 წწ.) აქ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა ზრდამ ყოველ 1000 დასაქმებულზე გადაანგარიშებით 60%-ს გადააჭარბა (ცხრ. 58), მაშინ, როცა არასაწარმოო დარგებში მატებამ მხოლოდ 11,7% შეადგინა.

დიდია სპეციალისტებით გაჯერების ზრდა მრეწველობაში, აქ დასაქმებული ყოველი 10 კაციდან 4 სპეციალისტია. ისეთ პროგრესულ დარგებში კი, როგორიცაა „ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა", „მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება" - ყოველი მეორე. ეს ისეთი მაჩვენებელია, რომელიც სპეციალისტთა ნაკლებობაზე წუხილის საფუძველს არ იძლევა. თუმცა ჩვენში გამოშვებული პროდუქციის არცთუ მაღალი ხარისხი სპეციალისტთა განათლებულობისა და პროფესიული დონის შესახებ მრავალ კითხვას სვამს.

არასაწარმოო დარგებში დასაქმებულთა უმეტესობა სპეციალისტია, ეს დარგები ხასიათდებოდა სპეციალისტებით გაჯერების მაღალი მაჩვენებლებით, და, იმავდროულად შედარებით დიდი ფარული უმუშევრობით,

სახალხო მეურნეობის დარგების სპეციალისტებით გაჯერების მაჩვენებლები (ყოველ 1000 დასაქმებულზე)

სახალხო მეურნეობის დარგები	უმაღლესი		დაუმთ. უმაღ. და საშ. სპეციალური	
	1979	1989	1979	1989
მატერიალური წარმოების დარგები.	72	116	131	228
მრეწველობა	105	150	155	264
სოფლის მეურნეობა	26	45	84	151
სატყეო მეურნეობა	106	156	149	211
ტრანსპორტი	71	112	158	263
კავშირგაბმულობა	74	135	216	337
მშენებლობა	154	195	147	232
ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება	102	137	257	373
მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და გასაღება	155	179	182	296
დამზადება	152	156	211	283
საინფორმაციო-გამოთვლითი მომსახურება		499		237
სხვა დარგები	373	299	142	233
არასაწარმოო დარგები:	351	392	224	280
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	81	147	154	270
საყოფაცხოვრებო მომსახურება	81	86	154	256
ჯანდაცვა, ფიზკულტურა, სოცუზრუნველყოფა	202	238	341	408
განათლება	534	557	192	223
კულტურა და ხელოვნება	287	339	245	319
მეცნიერება და სამეცნიერო მომსახურება	505	606	136	158
კრედიტები და სახელმწიფო დაზღვევა	201	249	395	477
მმართველობა	348	428	219	263
პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები	319	436	151	214
ყველა დარგი სულ	150	199	156	240

რაც საბასრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში თანდათან ოფიციალური უმუშევრობაში გადაიზრდება.

§ 3. სპეციალისტთა მომზადების პრობლემები

რამდენიმე წლის წინ სპეციალისტთა ჭარბწარმოების საკითხს შესაძლოა გამორჩეული ყურადღებით არ შეეხებოდით, მაგრამ ამჟამად, საერთო ეკონომიკური დაცემის დროს, როცა საქართველოში არასახელმწიფოებრივ, ფასიან სასწავლებლებში ახალგაზრდობის კონცენტრაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო, გაჩნდა სერიოზული საფრთხე, რომლის გაუთვალისწინებლობა მომავალში ბევრი სოციალური გამწვავებისა თუ ეკონომიკური ჩავარდნის მიზეზი გახდება.

ჩვენ ვთვლით, რომ მითითებული სასწავლებლების დაარსებამდეც სპეციალისტთა მომზადების რაოდენობა არ შეესაბამებოდა ეკონომიკური განვითარების დონით განსაზღვრულ მოთხოვნილებას. ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაიწყო ჭარბწარმოება, უმთავრესად დაუსწრებელი სწავლების მასობრივი გავრცელების ხარჯზე, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა სპეციალისტთა მომზადების ხარისხს. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი იყო მომზადების მასშტაბების განსასაზღვრა და ლიმიტირება დასავლეთისა და უმთავრესად აშშ პარამეტრებითა და მიმბაძველობით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტთა მომზადებაში დასავლეთისადმი დაწევის კამპანია მარტო სსრკ-ს, და, მათ შორის, საქართველოს, ავადმყოფობა არ ყოფილა. მაგ., ბულგარელი ნ. პოპოვი და ა. მალიშევსკი ხაზგასმით მიუთითებენ ბულგარეთში 70-იან წლებში სპეციალისტთა მომზადების არნახულ ტემპს. როგორც კრიტიკულად შენიშნავენ, ბულგარეთში 8 წელიწადში (1971-1977 წწ.) უმაღლესდამთავრებულთა წილი სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მოსახლეობაში 3-ჯერ გაიზარდა[1].

უფრო პარადოქსულია უმაღლესი განათლების ზრდის პარამეტრები კუბაში, სადაც მარტო 10 წელიწადში (1971-1980 წწ.) უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი 8-ჯერ გაიზარდა, სტუდენტთა რიცხოვნობა 4,5-ჯერ, უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა რიცხოვნობა კი მხოლოდ 2-ჯერ. გაბატონდა დაუსწრებელი სწავლება[2].

60-იან წლებში სპეციალისტთა რიცხოვნობის მკისიერი ზრდის პარალელურად, ჩვენში დაიწყო და გაძლიერდა ფარული უმუშევრობის თავისებური ფორმა

---

[1] Развитие высшего образования в условиях НТР в социалистических странах. М.: МГУ, 1981, с. 11.

[2] Статистический ежегодник стран-членов Совета Экономической Взаимопомощи. М.: Финансы и статистика, 1989, с. 429.

- სპეციალისტთა სტატუსის შეუსაბამო დასაქმება და უხარისხო მუშაობა, რასაც ხელი შეუწყო იმანაც, რომ, როგორც ი. ვ. ბესტუჟევ-ლადა ამტკიცებს „გონებრივი შრომის იმიტაცია უფრო ადვილია, ვიდრე ფიზიკურისა"[1]. იგი განსაკუთრებით დამახასიათებელია სპეციალისტთა მუშაობის სფეროში, მითუმეტეს მაშინ, როცა სახელმწიფოს პრინციპული მიზანი ტოტალიტარული, საყოველთაო დასაქმებაა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოში სპეციალისტთა მუშაობის სფეროში შეიქმნა ფარული უმუშევართა დიდი კონტინგენტი, რომელიც საბჭოთა მეურნეობაზე გარდამავალ პერიოდში თანდათან წარდაიქმნება ოფიციალურ უმუშევართა არმიად და კიდევ უფრო გაამწვავებს დასაქმების პრობლემებს ეკონომიკური აღმავლობისა და სტაბილიზაციის უახლოეს წლებშიც კი.

უნდა ითქვას, რომ როგორც სსრკ-ში მთლიანად, ისე საქართველოში 70-80-იან წლებში სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის შემცირებისა და სტაბილიზაციის მცდელობა იყო. მაგ., საქართველოში 1970-1971 სასწავლო წლის დასაწყისში უმაღლეს სასწავლებლებში 89321 სტუდენტი სწავლობდა, 1988-89 წელს ეს კონტინგენტი 85594 სტუდენტამდეა შემცირებული. შემცირებასა და სტაბილიზაციას ხელი უნდა შეუწყო სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებისათვის. მიიღეს მთავრობის რამდენიმე დადგენილება სწავლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, მაგრამ რეალური წინსვლა ამ საქმეში არ განხორციელებულა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაკლოვანებათა და პრობლემათა მიუხედავად, სტუდენტთა მომზადებაში კატასტროფული მდგომარეობა მაინც არ შექმნილა.

იმის ნაცვლად, რომ 1990-იან წლებში კიდევ უფრო ნათლად დანახულიყო სპეციალისტთა მომზადების ტრადიციული სისტემის მრავალი ნაკლი და მის რადიკალურ გაუმჯობესებაზე მიმართულიყო ძალისხმევა, მთელი ყურადღება უმაღლესი სასწავლებლების ქსელის ფორსირებულ გაფართოებაზე გადავიდა. ეს გაფართოება მოხდა ფასიანი არასახელმწიფოებრივი სასწავლებლების მასობრივი დაარსებით არამარტო დიდ ქალაქებში, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა რანგის დასახლებულ პუნქტებში.

1992 წლის 1 ივნისისათვის საქართველოში უკვე ფუნქციონირებდა 270 არასახელმწიფოებრივი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი, სადაც პირველ კურსზე ირიცხებოდა 38982 სტუდენტი და მოსწავლე, მათგან 208 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა 31647 სტუდენტი[2]. საერთოდ კი, ამ დროისათვის რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში პირველ კურსზე ირიცხებოდა 4-ჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე წინა წელს. მარტო „საერთაშორისო ეკონომიკის" სპეციალობაზე ჩარიცხული იყო 5280 სტუდენტი. სტუდენტთა მიღება შემდგომ უფრო გაიზარდა და უმრავლეს შემთხვევაში,

---

[1] Бестужев-Лада И. Мир нашего завтра. М.: Мысль, 1986, с. 119.

[2] საქართველოს განათლების სამინისტროს მონაცემები.

პრაქტიკულად, უკონკურსო გახდა, რაც არც შეიძლება იყოს სხვაგვარად იქ, სადაც ყოველი მეორე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებული სტუდენტი ხდება. ეს უკვე სპეციალისტთა აბსურდული ზეჭარბწარმოებაა არამარტო განვითარებადი ქვეყნისათვის, არამედ ყველაზე განვითარებულ ქვეყნებისათვისაც კი. მართლაც, როგორც მსოფლიოს უმაღლესი სასწავლებლების საინფორმაციო მასალის ანალიზი გვიჩვენებს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით არათუ საქართველოს დონეზე მდგარ, არამედ განვითარებით ბევრად აღმატებულ, მოსახლეობით საქართველოს ტოლ ქვეყნებში არ მოიძებნება უმაღლესი სასწავლებლების მიახლოებული რაოდენობაც კი. მაგალითად, შვეიცარიაში უმაღლეს განათლებას ემსახურება ათიოდე უნივერსიტეტი[1].

გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ სპეციალისტთა ჭარბწარმოება სხვა საბაზრო ქვეყნებისათვისაცაა დამახასიათებელი, თუმცა იქ დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს ამ მოვლენას. მაგ., აშშ-ში ყოველთვის აქტიური მსჯელობის საგანი იყო და მიაჩნდათ სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით საზოგადოების მნიშვნელოვან ნაკლად. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ე. ბარისი თავის სტატიაში „ჭარბგანათლების სოციალური და პოლიტიკური შედეგები", რომელიც 1983 წელს გამოვიდა ნიუ-იორკში[2], გამოყოფს „ჭარბგანათლების" ოთხ მთავარ სოციალურ და პოლიტიკურ შედეგს. ესენია: შრომით დაუკმაყოფილებლობა, პოლიტიკური რადიკალიზმი, პოლიტიკური გაუცხოება და უარის თქმა გაბატონებულ მერიტოკრატულ იდეოლოგიაზე.

ბარისმა 1977-1978 წლებში ჩაატარა შერჩევითი გამოკვლევები. „ჭარბგანათლების" ხარისხი იზომებოდა მომუშავის განათლების ფაქტობრივი დონისა და მისი პროფესიისათვის საჭირო განათლების დონის შედარებით. განათლების საჭირო დონე იზომებოდა 6 ბალიანი სისტემით, რომელიც აშშ შრომის სამინისტროს მიერ იყო დადგენილი. გამოვლინდა, რომ მუშაკთა 21%-ს ჰქონდა აშკარად ჭარბი განათლება, ვიდრე ამას მათ მიერ შესრულებული სამუშაო მოითხოვდა. რაც შეეხება უმაღლესი განათლების სპეციალისტებს, სიჭარბე აღინიშნა მათი კონტინგენტის 64%-ში[3].

როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, სპეციალისტთა ჭარბმომზადების გამო სისტემატურად გამოთქვამდნენ შეშფოთებას ამერიკულ პრესაშიც: „ბოლო უნდა მოელოს იდეას, რომლის თანახმადაც განათლების ყოველ მსურველს აუცილებელია იგი ჰქონდეს. ორი ათეული წლის განმავლობაში ამ მადეზორიენტირებელმა აზრმა გადატენა ამერიკის კოლეჯები იმ ხალხით,

---

[1] იხ. დაწვრილებით: World List of Universities, Paris, 1985, p. 334.

[2] აღნიშნული სტატია ითარგმნა და დაიბეჭდა რუსულადაც წიგნში: США: Экономика и образование. М.: ИНИОН. 1989, с. 215-240.

[3] США: Экономика и образование. М.: ИНИОН. 1989. с. 217.

რომელიც იქ არაფერი ესაქმებათ"[1]. იმავდროულად, აშშ სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, 1995 წლისათვის ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზრდება იმ სამუშაო ადგილების რაოდენობა, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ განათლებას: გაჩნდება თითქმის 800 ათასი სამუშაო ადგილი დამლაგებლებისათვის (რაც სამჯერ მეტია, ვიდრე კომპიუტერის სპეციალისტებისა) და 600 ათასი სამუშაო ადგილი სახკვების სფეროში[2]. ეს ხდება ეკონომიკურად ყველაზე მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, სადაც ყველაზე მეტია სოციალური დაკვეთა უმაღლესი განათლების სპეციალისტებზე, სადაც მათი დასაქმების რეალური პირობებია.

ა. პ. ივანოვის გაანგარიშებით, რომელიც უმთავრესად ემპირიული მასალის ანალიზს ეყრდნობა, მოცემული დარგისათვის ყოველი ზედმეტი სპეციალისტის მომზადების ხარჯები 1,75-ჯერ აღემატება სპეციალისტთა ნაკლებობით გამოწვეულ ზარალს[3].

საქართველოს სახალხო მეურნეობის სპეციალისტებით გაჯერების მაჩვენებლების ზერელე შედარებაც კი აშკარად გვიჩვენებს, თუ რა ჭარბადაა გაჯერებული საქართველოს ეკონომიკა, მისი მატერიალური წარმოება და მრეწველობა სპეციალისტთა კადრებით. მაგალითად, 1980 წელს მატერიალურ წარმოებაში ყოველი 1000 დასაქმებულიდან სპეციალისტთა რიცხოვნობა (მმართველობაში დასაქმებულ სპეციალისტთა ჩათვლით) აშშ-ში 170 იყო[4], საქართველოში - 203, მრეწველობაში შესაბამისად -193 და 142 (1983 წ. უკვე 184), აშშ სოფლის მეურნეობაში - 35, საქართველოში - 56[5]. აშშ და საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი კლასიფიკაციის განსხვავებისა და, საერთოდ, სტატისტიკურ მაჩვენებელთა არცთუ სრული შესადარისობის მიუხედავად, საქართველოს და აშშ კაპიტალის ტექნიკური შედგენილობის დიდ სხვაობათა ფონზე ჩვენში მატერიალური წარმოებისა და მისი უმნიშვნელოვანესი დარგების სპეციალისტებით გადაჯერების სურათი აშკარადაა გამოხატული.

1988 წლის მონაცემებით, ჩვენი გაანგარიშებით, სახალხო მეურნეობაში ყოველ 1000 დასაქმებულზე უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხოვნობით საქართველო ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან 1,78-ჯერ აღემატება ბულგარეთს, 1,33-ჯერ უნგრეთს, 1,87-ჯერ გდრ-ს, 1,83-ჯერ პოლონეთს[6].

---

[1] Образование в современном мире, М.: Педагогика, 1986, с. 117.

[2] იქვე გვ. 117.

[3] Иванов А. П. Определение потребности в специалистах и затрат на их подготовку. Л.: ЛГУ, 1984, с. 108.

[4] Зарецкая С. Л. Кадры специалистов США в условиях НТР. М.: Наука, 1985, с. 47-48.

[5] შრომა საქართველოში. თბ., სტატკომიტეტი, 1991, გვ. 77.

[6] გაანგარიშებულია: Статистический ежегодник стран-членов Совета Экономической Взаимопомощи. М.: Финансы и статистика, 1989 с. 415-416. Народное хозяйство Грузинской ССР в 1987 г. Тб.: Сабчота Сакартвело, 1988, с. 175, 178.

1980-იან წლებში საფრანგეთში, რომლის მოსახლეობა 10-ჯერ აღემატება საქართველოს მოსახლეობას, მხოლოდ ორჯერ მეტი ინჟინერი მ'ხადებოდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციით[1].

ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, როგორიც ფინეთია, უმაღლესი განათლება აქვს ყოველ მეათე მცხოვრებს[2], საქართველოში ყოველ მერვეს.

ამრიგად, საქართველოში 1980-იან წლებში უკვე აშკარად იყო გამოკვეთილი სპეციალისტთა ჭარბმომზადების პროცესი, რომელიც სპეციალისტთა შედარებით უხარისხო მომზადების ერთ-ერთი მიზეზი იყო, მაგრამ 90-იან წლებში არასახელმწიფოებრივი, ფასიანი სასწავლებლების დაარსების ბუმმა საქართველო დააყენა მსოფლიოსათვის არნახული, სპეციალისტთა ზეჭარბწარმოების წინაშე, რომლის კატასტროფული შედეგები მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდება.

მიგვაჩნია, რომ რადგან ჯერ კიდევ ჩანასახშია საბაზრო ურთიერთობები, განათლების სფეროს განვითარების მთლიანად ბაზარზე მინდობა დაუშვებელი იყო. საბაზრო ურთიერთობების პირობებში სპეციალისტთა მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების პროცესი ხანგრძლივია და რამდენიმე წელს გრძელდება. ამის მიზეზი სპეციალისტთა მომზადების ხანგრძლივობაა. ყველაზე მეტად ამ სფეროში უნდა გამოვიყენოთ სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები, რათა მაქსიმალურად შერბილდეს ბაზრისათვის დამახასიათებელი კრიზისული მოვლენები. ამიტომაცაა, რომ უცხოეთში სპეციალისტთა პროგნოზირებისა და სახელმწიფო ლიმიტირების პრაქტიკაა ალიარებული. ჩვენც სპეციალისტთა უმუშევრობას უნდა ვებრძოლოთ არამარტო მაშინ, როცა ფაქტის წინაშე დავდგებით, არამედ საჭიროა წინასწარი პროგნოზირებით განვსაზღვროთ ამ კატეგორიის სამუშაო ძალის მომზადების პარამეტრები, და სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით ავიცილოთ ჭარბწარმოება თუ არა, ზეჭარბწარმოება მაინც. სხვა შემთხვევაში, გარდაუვალად მიგვაჩნია სამუშაო ძალის ფორმირებისა და მოთხოვნის მკვეთრი დისბალანსი, რითაც ვერ ავცდებით მწვავე სტრუქტურული უმუშევრობის კატასტროფულ შედეგებს.

სპეციალისტთა ჭარბმომზადების უარყოფითი შედეგი მარტო მათი უმუშევრობით არ ამოიწურება. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი სპეციალისტთა მომზადების ხარისხის დაცემაა, რომელიც, საბოლოოდ, ამ თავისებური „პროდუქციის" სრულ ფალსიფიკაციაში გამოვლინდება. შევეცდებით ამის არგუმენტირებას.

სპეციალისტთა ხარისხობრივი მომზადების ერთ-ერთი უმთავრესი

---

[1] Баланов Ю. К., Рыжов В. А. Профессиональная подготовка кадров в условиях капитализма. М.: Высшая школа, 1987, с. 140.

[2] Федоров В. Финляндия сегодня. М.: Знание, 1990, с. 27.

პირობა უმაღლესი სკოლის მატერიალურ-ფინანსური ბაზაა. როგორც აღვნიშნეთ, განათლებაზე დანახარჯების მოცულობა, მეთოდოლოგიურად, განათლების პოტენციალის გამომხატველიცაა. ამდენად, განათლებასა და სპეციალისტთა მომზადების დანახარჯებზე მსჯელობისას თავისებურად განათლების პოტენციალის შეფასების ეს ხერხიც წარმოჩინდება.

განვითარებულ ქვეყნებში უხარმაზარი სახსრები იხარჯება განათლებაზე. მაგალითად, აშშ-ში 1986 წელს მარტო უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადებაზე 102 მლრდ. დოლარი დაიხარჯა[1]. 80-იან წლებში აშშ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა წლიური გადასახადი საშუალოდ 4 ათასამდე დოლარი იყო[2]. ჯერ კიდევ 1977-1978 წლებში ერთი სტუდენტის სწავლების ე. წ. „სოციალური ღირებულება" წელიწადში 5 ათასი დოლარი იყო[3]. ყოველივე ამის ფონზე უნდა აღინიშნოს, რომ იგივე 80-იან წლებში სსრკ-ში (ცხადია, საქართველოშიც) ერთ სტუდენტზე გაანგარიშებით წლიურად იხარჯებოდა მხოლოდ 850 მანეთი[4]. გ. ადეიშვილის გაანგარიშებით, სტუდენტთა მომზადების სრული საზოგადოებრივი დანახარჯები გაცილებით მეტია (მთლიანად 20 ათასი მანეთი)[5], მაგრამ ბევრად ნაკლები, ვიდრე აშშ-ში. მაგ., ვ. მირონოვი ასახელებს აშშ უნივერსიტეტებში ერთი სტუდენტის სწავლის მთლიან დანახარჯებს 50-100 ათას დოლარს (პრესტიჟულ კერძო სასწავლებლებში 170 ათას დოლარს)[6].

1950-იანი წლებიდან სსრკ-ში განათლებაზე დანახარჯები იზრდებოდა აბსოლუტურად, მაგრამ ნელი ტემპით. ამავე დროს, მცირდებოდა შეფარდებითად. მაგ., 1950 წელს იგი ეროვნული შემოსავლის 1,6% იყო, 80-იანი წლების ბოლოს კი - მხოლოდ 0,8%. ერთ სტუდენტზე დანახარჯების შეფარდება მოსახლეობის ერთ სულზე მოსულ ეროვნულ შემოსავალთან 1950 წელს 2,3-ის ტოლი იყო. 80-იანი წლების ბოლოს ეს შეფარდება 0,4-ის ტოლია, ე. ი. 6-ჯერაა შემცირებული. ამავე პერიოდისათვის იგივე შეფარდება აშშ-ში 1,0-ს უდრის, გფრ-ში - 1,5, ხოლო ჩინეთში - 3,0[7].

---

[1] Георгиева Г. С. Высшая школа США на современном этапе. М.: Высшая школа, 1986, с. 19.

[2] იქვე გვ. 18.

[3] Каландия Б. Г. Интеллигенция в современном буржуазном обществе. Тб., ТГУ, 1987, с. 120.

[4] Бутенко Н. Ю. Воспроизводство специалистов с высшим образованием. Киев: КГУ, 1990, с. 36.

[5] გ. ადეიშვილი. წარმოების ინტენსიფიკაცია და სპეციალისტთა კადრების მომზადების საკითხები. -თბ.: „საბჭოთა საქართველო", 1988, გვ. 81.

[6] Миронов В. Б. Проблемы образования в капиталистических странах в условиях НТР. В кн.: Образование в современном мире. М.: Педагогика, 1986, с. 113.

[7] Кривенко Л. В. Качество труда: Факторы роста. Харьков: Основа, 1990, с. 107-108.

ჩვენ მიერ განხილული ციფრობრივი მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ერთი სტუდენტის მომზადებაზე დანახარჯების სიმცირე გარკვეულად განაპირობებდა სპეციალისტთა დაბალ კვალიფიკაციას სსრკ-ში და, მათ შორის, საქართველოშიც.

დღევანდელ საქართველოში, როცა ერთი სტუდენტის მომზადებაზე რეალური დანახარჯები სახელმწიფო სასწავლებლებში კატასტროფულად შემცირდა და მიხერული გახდა, ხოლო არასახელმწიფოებრივ სასწავლებლებში 50-100-ჯერ ნაკლებია საერთაშორისო სტანდარტების ცოდნის მქონე სპეციალისტის მოსამზადებელ აუცილებელ ხარჯებზე. მომზადების დონის დაცემა გარდაუვალია. ასეთი შესლუდული სახსრების პირობებში სტუდენტთა კონტინგენტის არნახული გაზრდა დანაშაულებრივი პოლიტიკაა. ეფექრობთ, ვერ ავცდებით მომზადების სრულ ფალსიფიკაციას.

უმაღლესი განათლების ქსელის ფორსირებული გაფართოების დროს ახალი სასწავლებლების გახსნა მოხდა ყოველად შეუფერებელ არატიპურ შენობებში. ისინი იჯარის წესით შესახლდნენ უმთავრესად საშუალო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში. მცირე სახსრების გამო ახლო მომავალში ახალი შენობების აგება პრაქტიკულად გამორიცხულია, რაც ხელშემშლელი გარემობაა არასახელმწიფოებრივ სასწავლებლებში სპეციალისტთა ხარისხიანი მომზადებისა. უაღრესად სუსტია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სხვა შემადგენელი ელემენტებიც.

უმაღლესი განათლების სისტემის რაციონალურობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სასწავლებელთა ოპტიმალური ზომა, განლაგების ხელსაყრელობა, კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის დონე და ა. შ. თავის დროზე აღნიშნულ საკითხს დიდი მნიშვნელობა მიანიჭა გ. ადეიშვილმაც[1].

სასწავლებლის სიდიდის ოპტიმალურობა მისი რაციონალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. ცნობილი სპეციალისტები დ. ჩუპრუნოვი და ე. ჟილცოვი სახლვარგარეთის ქვეყნების განათლების სისტემების კრიტიკული ანალიზისას მივიდნენ დასკვნამდე, რომ უმაღლესი სასწავლებლის ოპტიმალური ზომა 8-12 ათასი სტუდენტის ფარგლებშია[2]. არასახელმწიფოებრივი სასწავლებლების გახსნამდე საქართველოში, 1989-90 სასწავლო წლისათვის, უმაღლესი სასწავლებლის საშუალო სიდიდე 4900 სტუდენტია, რაც რესპუბლიკის სპეციფიკის გათვალისწინებით მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდა საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებს. ამჟამად კი 200-ზე მეტ

---

[1] გ. ადეიშვილი, წარმოების ინტენსიფიკაცია და სპეციალისტთა კადრების მომზადების საკითხები. -თბ.: საბჭოთა საქართველო, 1988, გვ. 72.

Чупрунов Д. И., Жильцов Е. Н. Экономика, организация и планирование высшего образования. М.: Высшая школа, 1988, с. 87.

უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა რაოდენობა საშუალოდ 1000-საც ვერ აღწევს. სასწავლებლების სპეციალიზაციაც სრულიად დაუსაბუთებელია. ჯერ კიდევ 1992 წლიდან ერთი და იგივე სპეციალობა მზადდება რამდენიმე ათეულ უმაღლეს სასწავლებელში (ცხრ. 59). სამწუხაროდ, საქართველოში შემორჩა და კიდევ უფრო გაუმართლებლად დაეიწროვდა სპეციალიზაციის ის ნომენკლატურა, რომელსაც თავისებური გამართლება აქვს დიდ ქვეყანაში. არც ადრეულ წლებში იყო საქართველოსათვის რაციონალური უმაღლეს სწავლებაში არსებული სპეციალიზაციის დონე. მაშინ მარტო ეკონომიკური პროფილით 20-მდე სპეციალობა მზადდებოდა. ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ 80-იან წლებში საჭირო იყო სპეციალობათა გამსხვილება, უფრო ფართო პროფილის სპეციალობით მომზადება. სხვაგვარად, სპეციალობათა მიხედვით დასაქმება საქართველოს პირობებში გაძნელებულია და აზრს კარგავს. ბოლო წლებში კი ისეთი სპეციალობის შემოღება, როგორიცაა „მინერალური წყლების ჩამოსხმის ეკონომისტი", „განათლების ეკონომისტი" და ა. შ. მეტად გაამწვავებს მომავალში სპეციალისტთა დასაქმების პრობლემას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სსრკ-ში არსებულ მომზადების ვიწროპროფილურ სისტემას აკრიტიკებენ ლ. ი. ჩუპრუნოვი და ე. ნ. ჟილცოვი[1]. იგი კრიტიკის საგანია აშშ-შიც[2]. მეორე მხრივ, როგორც ვ. სოკოლინსკი წერს, გერმანიაში უნივერსიტეტის, ან ზოგჯერ სამინისტროს გადაწყვეტილებით, ეკონომისტთა მომზადება ორი-სამი მსხვილი სპეციალობის მიხედვით ხდება. ყოფილი გფრ-ის ტერიტორიაზე ეს სპეციალობებია: სახალხო მეურნეობის სპეციალისტი და საწარმოს ეკონომისტი. ზოგან არსებობს: სპეციალისტი საგაჭრო ბიზნესის სფეროში და ეკონომისტ-მასწავლებელი. ზედა კურსებზე რამდენიმე საგნის კომბინაციის არჩევით თვითონ სტუდენტები ახდენენ თავის სპეციალიზაციას[3]. შვედი პროფესორის ტ. კიხლმანის აზრით, მეტისმეტი სპეციალიზაციის გამო სტუდენტები თავის განათლებას აღიქვამენ არა როგორც მთლიან პროცესს, არამედ როგორც ცოდნის სხვადასხვა ფრაგმენტების ერთობლიობას[4].

ამრიგად, ვთვლით, რომ საქართველოში სპეციალობათა არსებული ნომენკლატურა არ შეესაბამება სპეციალისტთა მომზადების მიზნებს. მოსახლეობის არსებული და მოსალოდნელი ტერიტორიული მობილობის პირობებში ვიწრო სპეციალობის მიხედვით დასაქმება არარეალურია. სპეციალობათა გაბნევა მრავალ სასწავლებელში დაუშვებელია, კონცენტრაცია აუცილებე-

---

[1] იქვე. გვ. 88.

[2] ბ. კალანდია, ჩ. ჯაში. უმაღლესი სკოლა და უმაღლესი განათლების პრობლემები ამერიკის შეერთებულ შტატებში. თბ. 1988.

[3] Соколинский В. Подготовка экономистов в университетах ФРГ. Вестник высшей школы, 1992, N 1, с. 71.

[4] Кихльман Т. Общественная ответственность инженера. // Вестник высшей школы, 1991, N 7, с. 91-92.

ლია. უმჯობესია სასწავლებლების სპეციალიზაცია, ჯუჯა სასწავლებლების უნივერსალური პროფილის შესაფუდეა.

უმაღლესი სასწავლებლების ქსელის ფორსირებული გაფართოებისას აუცილებელია სასწავლებელთა განლაგების რაციონალურობის შეფასება. ეს ურთულესი საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. ჩვენ მივუთითებთ მხოლოდ ზოგიერთ მხარეზე.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტების მომზადება შეიძლება იქ, სადაც არის ადგილობრივი

ცხრილი 59

სტუდენტთა და მოსწავლეთა რიცხოვნობა არასახელმწიფოებრივ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში (1992 წ. 1 ივნისის მდგომარეობით)[1]

სპეციალობები	რამდენ სასწავლებელში მზადდება მოცემული სპეციალობა	სტუდენტთა რიცხოვნობა
ეკონომიკისა და სამართლის	60	14160
მათ შორის:		
საერთაშორისო ეკონომიკისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთკავშირების	55	5280
ფილოლოგიურ-პედაგოგიური	67	13985
მათ შორის:		
ფილოლოგიური	51	5520
დაწყებითი	44	3185
სკოლამდელი აღზრდა	33	1795
ჟურნალისტიკა	28	1985
უცხო ენები	48	1500
საინჟინრო-ტექნოლოგიური	21	1777
სამედიცინო	49	4230
ხელოვნების	21	830
სოფლის მეურნეობის	8	870
ფიზკულტურისა და სპორტის	14	390
დანარჩენი	52	2800

[1] შედგენილია საქართველოს განათლების სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებელია კონტინგენტი, მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; პირველი კლასის, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიები, მსხვილი სამეცნიერო დაწესებულებები, დიდი ბიბლიოთეკები და ა. შ.

ის ტერიტორიულ-ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფილ სსრკ ტერიტორიაზე ყალიბდებოდა, ეყრდნობოდა გიგანტური ქვეყნისათვის არცთუ მიუღებელ, წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის პრინციპებს, მეტ-ნაკლებად გამოხატავდნენ და შეესაბამებოდნენ წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის ეკონომიკური ეფექტურობის კანონზომიერებებს. ტერიტორიული კონცენტრაციის ეკონომიკური ეფექტურობა საფუძვლად ედო ჩვენში ეკისტიკურ პოლიტიკას, განსახლების სისტემის ფუნქციონირებას, მის ტრანსფორმაციას. განსახლების ჩამოყალიბებული სისტემა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოსათვის მთლად რაციონალური არ აღმოჩნდა; ათეულობით წლები დასჭირდება ამ სისტემის ოპტიმალურ გარდაქმნას.

როგორც ურბანიზაციის საყოველთაო კანონზომიერებებით, ისე ზემოთ აღნიშნული მიზეზებითაცაა განპირობებული, რომ ჩვენში დიდი ქალაქი, საზოგადოების ტერიტორიული ორგანიზაციის თვალსაზრისით, ყველაზე განვითარებული ორგანიზმია ამჟამად: ეს შეეხება მის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა მხარეებს. იგი კულტურის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ცენტრია. ამ მრავალფუნქციურ ქალაქში ჩამოსული სტუდენტი არამარტო სპეციალობას ეუფლება, არამედ ადაპტირდება უფრო მაღალგანვითარებულ სოციალურ გარემოში, ითვისებს ამ განვითარებული ტერიტორიული ერთეულის ცხოვრების სხვა სასარგებლო მხარეებსაც, რომელიც შემდგომ გადააქვს პერიფერიაში, რაც პროგრესული მოვლენაა. ამდენად, მსხვილი ქალაქი, ჩვენ შემთხვევაში თბილისი, მარტო სპეციალობის დაუფლების ადგილი არაა. მისი სოციალურ-კულტურული მნიშვნელობა რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეებიდან, განსაკუთრებით, აგრარული რეგიონებიდან სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტებისათვის განუზომელია.

ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო უმაღლესი სკოლის, როგორც პატარა ქალაქებში ქალაქწარმომქმნელი ფაქტორის, როლი უმნიშვნელოა. ის პოზიცია, რომელიც გამოხატულია ფასიანი სასწავლებლების შესახებ უამრავ საგაზეთო პუბლიკაციაში და მდგომარეობს რაიცენტრებში უმაღლესი სასწავლებლების განლაგების სტიმულირებაში, არასწორია. იგი საშუალო და პატარა ქალაქების განვითარების პრობლემის დამახინჯებული გააზრებიდან მომდინარეობს. დასავლეთის ათასწლოვანი უნივერსიტეტო ქალაქების მაგალითად მოტანა ურბანიზაციის გენეზისისა და მისი თავისებურებების უცოდინარობის შედეგია. თბილისიდან ცნობილ მეცნიერთა შეთავსებით მიწვევა რაიცენტრებში განლაგებულ უმაღლეს სასწავლებლებში და, როგორც

ზოგი აღნიშნავს, ამით ამ ქალაქებიდან მოსახლეობის მიგრაციის ინტენსივობაზე ზემოქმედება, მიგრაციის მარეგულირებელი გაგებაა. მარტო ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1992 წლის 1 ივნისისათვის საერო სასწავლებლებში სტუდენტთა 14% მოდიოდა პატარა ქალაქებსა და სოფლებზე, ჩვენი აზრით, უმაღლესი განათლების პროფანაციის უტყუარი ნიშანია.

უმაღლეს სასწავლებელში მისაღები კონტინგენტი აუცილებელია, ფლობდეს იმ კონკრეტული ცოდნის მინიმუმს, რომელსაც შესაძლებელი გახდება უმაღლესი განათლების პროგრამებით გათვალისწინებული ცოდნის „დაშენება". ამ ათიოდე წლის წინათ (და უფრო ადრეულ წლებშიც), როცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა დღეანდელთან შედარებით ბევრად ეფექტიანად ფუნქციონირებდა და კერძო რეპეტიტორობის ინსტიტუტიც დიდ როლს ასრულებდა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტის ცოდნის დონის პრობლემა მაინც მწვავედ იდგა. მაგ., 1986 წელს საქართველოში მისაღები გამოცდების ჩამბარებელთა შორის მნიშვნელოვანი კონკურსი არ გამართულა. საშუალოდ 100 ადგილზე დადებითად ჩააბარა მხოლოდ 110 აბიტურიენტმა[1]. ამჟამად კი, უკვე ალიარებული ფაქტია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლის დონე მკვეთრად დაეცა. რეპეტიტორებთან მომზადებულთა რიცხოვნობამ რამდენჯერმე დაიკლო. მაგ., 1979 და 1980 წლებში ჩვენ მიერ ჩატარებული ანკეტური გამოკითხვით გაირკვა, რომ თბილისის უნივერსიტეტის შრომის ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტთა 84,7% გაიარა რეპეტიტორთა სკოლა. ამჟამად კი ფასიან სასწავლებლებში ჩარიცხულთა მხოლოდ მიზერული ნაწილი თუ ემზადება რეპეტიტორთან. არც უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის პრობლემა არსებობს. რეპეტიტორობის ხარჯები ოჯახის ბიუჯეტებში ფასიან უმაღლეს სასწავლებლებში შესატანი თანხით შეიცვალა. დღეანდელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უძლურია, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტის რამდენჯერმე გაზრდის პირობებში მას მიაწოდოს მომზადებულ აბიტურიენტთა ის რაოდენობა, რომელიც მინიმალურად მაინც დააკმაყოფილებდა მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს. ასეთ პირობებში ფართოდ გავრცელდა ფორმალური, არაობიექტური გამოცდების პრაქტიკა, ბევრგან კი უგამოცდოდ ჩარიცხვის წესი. ცოდნის მინიმუმის უქონლობამ კი უსაფუძვლო გახადა უმაღლესი განათლების პროგრამის ათვისების პერსპექტივა.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც არასახელმწიფოებრივი უმაღლესი სასწავლებლების ქსელის ფორსირებულმა გაფართოებამ დააყენა, არის მათი პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიციური კონტინგენტის პრობლემა.

ცნობილია, რომ პროფესორ-მასწავლებელთა კონტინგენტი რაოდენობრივ-ხარისხობრივად შედარებითი სიმყარით ხასიათდება. ეს სიმყარე მათი

---

[1] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1988 წ., -თბ.: საქართველო, 1990, გვ. 111.

ფორმირების დიდი ხანგრძლივობითაა განპირობებული. სასწავლებელთა ქსელისა თუ სტუდენტთა კონტინგენტის მატების მყისიერი ცვლილებები პროფესორ-მასწავლებელთა ხარისხობრივი სტრუქტურის გაუარესებით ხასიათდება. ბოლო წლებში სტუდენტთა კონტინგენტის რამდენჯერმე გაზრდის შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ამ კატეგორიის სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების დაფარვა. ამიტომაც მოხდა, რომ ახლადგახსნილი სასწავლებლები თითქმის მთლიანად შეთავსებით მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებით დაკომპლექტდა. მიღებულ სტუდენტთა უმეტესი ნაწილის სწავლება პრაქტიკულად მთლიანად შეთავსებულ შრომას დაეყრდნო.

შეთავსებით შრომა დასაშვები და გავრცელებული იყო ადრეც. მაგრამ რადგან იგი დაკავშირებულია ადამიანის დროის ბიუჯეტთან და ფსიქოფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, მისი გამოყენების არეალი ყოველთვის პრობლემატური იყო. მითუმეტეს, პრობლემატურია შრომის ეფექტურობა მრავალშეთავსების პირობებში, როგორც ამას ამჟამად ხშირად აქვს ადგილი.

სტუდენტთა კონტინგენტის ზრდაში დასავლეთისადმი თვითმიზნური გამოდევნებით იყო განპირობებული, რომ სსრკ-ში ვერ ხერხდებოდა უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა გაუმართლებლად დიდი პედაგოგიური დატვირთვის შემცირება. იგი სამუშაო დროის ფონდის 2/3-ზე მეტი იყო და შემორჩა ამჟამადაც. სამუშაო დროის მხოლოდ ერთი მესამედია გათვალისწინებული მეცნიერული კვლევისათვის, რაც საკმარისი არაა. უმაღლესი სკოლის ლექტორი ამავე დროს წამყვანი მეცნიერიც უნდა იყოს, სხვაგვარად გამორიცხულია შემოქმედებითად მოაზროვნე სპეციალისტთა მომზადება. ამიტომაცაა, რომ აშშ-ში ყველაზე კვალიფიციურ მეცნიერთა 60%-ზე მეტი დასაქმებულია უმაღლესი განათლების სისტემაში[1]. იქ, საზოგადოდ, უმაღლესი სასწავლებლის ლექტორის აქტიური მეცნიერული მოღვაწეობა აუცილებელია[2]. ეს, ცხადია, გათვალისწინებულია იქ პედაგოგიურ დატვირთვაში. მაგ., აშშ უნივერსიტეტებში მასწავლებელთა 78%-ს კვირაში 12 საათიანი პედაგოგიური დატვირთვა აქვს, მათგან 18%-ს კი არა უმეტეს 4 საათი, დანარჩენი დრო (დროის ბიუჯეტის ორ მესამედზე მეტი) ხმარდება სამეცნიერო მუშაობას. მართალია, აშშ-იც 80-იანი წლების დასაწყისში მასწავლებელთა სამ მეოთხედს ჰქონდა დამატებითი საქმიანობა: იყენენ სხვადასხვა კომპანიების მეცნიერ-კონსულტანტები, მაგრამ დამატებითი საქმიანობიდან შემოსავალი მათი ძირითადი ხელფასის 25%-ს არ აღემატებოდა[3].

ჩვენში ბოლო ხანს ფართოდ გავრცელებული 2 და ხშირად მეტი განაკვეთის შეთავსების სისტემა დაემყარა მეცნიერული მუშაობისათვის

---

[1] Образование в современном мире. М.: Педагогика, 1986, с 121.

[2] Кокорев В. Ю., Соколов В. В. Научный потенциал высшей школы США. М.: Наука,. 1985.

[3] Зарецкая С. Л. Кадры специалистов США в условиях НТР. М.: Наука, с, 39.

განკუთვნილი დროის შესლუდვას. ლექტორთა დროის ბიუჯეტში სრულიანად ლექციების კითხვა გაბატონდა, რამაც პრაქტიკულად გამორიცხა უმაღლესი სკოლის პედაგოგთათვის აუცილებელი მეცნიერული მუშაობის შესაძლებლობა. გაჩნდა მათი სწრაფი დეკვალიფიკაციის საშიშროება. იმავდროულად უნდა შევნიშნოთ, რომ არასახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს არ გააჩნიათ არათუ კვლევითი ბაზები, არამედ სამეცნიერო განყოფილებებიც კი. მათი საქმიანობა არ ითვალისწინებს მეცნიერულ კვლევას. ამიტომ მათ ახლო მომავალში ადგილობრივი მაღალკვალიფიციური პერსონალის ფორმირების არავითარი პერსპექტივა არ გააჩნიათ.

მეტად გაუარესდა სწავლების ეფექტიანობის გაზომვადი ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელი - 1 პედაგოგზე სტუდენტთა რიცხოვნობა. 80-იანი წლების ბოლოს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში იგი 12-15 სტუდენტი იყო. ამჟამად კი, მრავალშეთავსებადი დატვირთვისას იგი გაორმაგდა, ზოგან გასამმაგდა კიდეც. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში 9500 სტუდენტს 1500 მაღალკვალიფიციური ლექტორი ემსახურება. ეს ერთ მასწავლებელზე დაახლოებით 6 სტუდენტია[1]. საქართველოში ძალისხმევა ერთი პედაგოგის სტუდენტებით დატვირთვის შემცირებისაკენ უნდა მიმართულიყო და არა პირიქით.

საბოლოოდ, ზემოთ მოყვანილი არგუმენტების თავის მოყრით მივალთ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი პირობები, რომელიც საჭიროა უმაღლესი განათლების პროცესის თუნდაც მინიმალურ დონეზე წარმართვისათვის, ახლადგახსნილი არასახელმწიფოებრივი უმაღლესი სასწავლებლების დიდ უმრავლესობას არ გააჩნია. მოსალოდნელია იქ მოსწავლე კონტინგენტის ცოდნის ფალსიფიკაცია. სპეციალისტთა შეუხლუდავი მომზადება დაუშვებელია, რადგან იგი, სხვა სოციალურ პრობლემებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გამორიცხავს აბიტურიენტთა ნორმალურ შერჩევას.

მეორე მხრივ, ჩვენი მსჯელობა სრულებითაც არ ნიშნავს, რომ, საზოგადოდ, უარვყოთ არასახელმწიფოებრივი სასწავლებლების არსებობა და ფასიანი უმაღლესი განათლება. როგორც აღვნიშნეთ, მთავარი პრობლემა მათ არსებობაში კი არ არის, არამედ სტუდენტთა კონტინგენტის დაუსაბუთებელი ზრდის შეზღუდვაში, მათი რაოდენობისა და სტრუქტურის ოპტიმიზაციაში. ჩვენი აზრით, სანამ საბაზრო ურთიერთობები სრულად არ ჩამოყალიბდება და არ განისაზღვრება ბაზრის რეალური მოთხოვნა სპეციალისტებზე, მათი მომზადების კერძო ინიციატივები მასობრივი არ უნდა გახდეს; მით უმეტეს, რომ რეპუბლიკაში ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის სისტემა, როგორც მათი საქმიანობის თვითრეგუ-

[1] Еркевич С. Массачусетский технологический. / Вестник высшей школы. 1991, №6 с. 79.

ლირების ეფექტური მექანიზმი. ამჟამად დასაშვებია, მაგ., მსხვილ სამეცნიერო ცენტრებთან შექმნილ უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტთა შეზღუდული რაოდენობის მომზადება. ჩვენი აზრით, უფრო ეფექტურია სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ადრე არსებულ სტუდენტთა კონტინგენტის ფარგლებში სწავლის ქირის გადამხდელ აბიტურიენტთა ნაწილის ჩარიცხვა. სწავლის ქირა მთლიანად უნდა დაემატოს უმაღლესი სასწავლებლის საბიუჯეტო ფონდს.

უნდა აღინიშნოთ ისიც, რომ აზრი, თითქოს საბაზრო მეურნეობის პირობებში შეუძლებელი იყოს განათლების, მათ შორის უმაღლესი განათლების, თუნდაც მთლიანად სახელმწიფო სახსრებით ფუნქციონირება, არასწორია. ამის მაგალითია საფრანგეთი, სადაც უნივერსიტეტებში სტუდენტთა მომზადების დანახარჯების 99% -ს სახელმწიფო გაიღებს, თანაც მის 96,2%-ს ცენტრალიზებულად. ინგლისის უნივერსიტეტების სახსრებში მხოლოდ 8%-ია სტუდენტთა შენატანი თანხა, აშშ კი - მხოლოდ 20,3%[1].

სპეციალისტთა მომზადების პრობლემებში მნიშვნელოვანია ოპტიმალური თანაფარდობის დამყარება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადებაში. როგორც წესი, საშუალო განათლების ტექნიკოსები ორ-სამჯერ უნდა აღემატებოდნენ ინჟინრებს. ამ აზრს იზიარებენ როგორც აშშ, ისე ყოფილი სსრკ მეცნიერები, რომელიც დამოწმებული აქვს ს. დ. ზარეცკაიას[2]. ორი სხვადასხვა დონის სპეციალისტთა პრინციპულად ასეთსავე თანაფარდობას ადასტურებს ე. ჟილცოვისა და ნ. ოტტენბერგის კონკრეტული გაანგარიშებანიც, სადაც პროდუქციის სირთულის მიხედვით იგი ვარირებს 1:2,12-დან 1:3,54-მდე[3]. აშშ-ში 1982 წელს 100 დიპლომიან ინჟინერზე 154 ტექნიკოსი მოდიოდა, ანუ შეფარდება იყო 1:1,54[4]. 1983 წლისათვის კი საქართველოში, პირიქით, უმაღლესდამთავრებულნი აღემატებოდნენ საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებს შეფარდებით: 1:0,7. მაშინ, როცა ლიტვაში აღნიშნული შეფარდება იყო 1:1,14, ლატვიაში - 1:1,3; ესტონეთში - 1:1,3, რუსეთში - 1:1,4[5].

---

[1] Клочков В. В. Экономика образования: иллюзии и факты. М.: Мысль 1985, с. 127.

[2] Зарецкая С. Л. Кадры специалистов США в условиях НТР М.: Наука, 1985. с.21; Бушмарин И. В. Развитые капиталистические страны: исследование трудовых ресурсов. М.: Мысль, 1975, с.141-142; Иванов Н.П. Научно-техническая революция и вопросы подготовки кадров в развитых странах капитализма. М.: Наука, 1971, с.84

[3] Развитие высшего образования в условиях НТР в социалистических странах. М.: МГУ, 1981, с. 104-105.

[4] Зарецкая С. Л. Кадры специалистов США в условиях НТР М.: Наука, 1985, с. 22.

[5] Раянгу В. А. Экономические проблемы определения перспектив подготовки кадров. М.: Наука, с. 8.

1988 წელს უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტთა თანაფარდობა ბულგარეთში იყო 1:2, გდრ-ში - 1:2, პოლონეთში - 1:2,5, ჩეხოსლოვაკიაში - 1:3[1].

ყოფილი სსრკ რესპუბლიკებიდან მარტო საქართველოს რესპუბლიკაა, სადაც უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა გამოშვება 1989 წლისათვის აღემატებოდა საშუალო სპეციალური სასწავლებლების გამოშვებულ კონტინგენტს. აღნიშნულ წელს ყოველ 10 ათას კაცზე გადაანგარიშებით საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა 30 კაცმა, საშუალო სპეციალური - 28. მაშინ, როცა ლიტვაში შესაბამისად -24 და 42, ლატვიაში - 23 და 38, ესტონეთში - 19 და 31, უკრაინაში - 27 და 44, მოლდავეთში - 19 და 37[2].

90-იან წლებში, განსაკუთრებით არასახელმწიფოებრივი სასწავლებლების ქსელის გაფართოების შემდგომ, საქართველოში ზემოაღნიშნული დისპროპორცია უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტთა შორის კიდევ უფრო გაიზარდა. შემცირდა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღება. ამის მიზეზი, თავის მხრივ, ბევრი მათგანის უმაღლეს სასწავლებლად გარდაქმნაა, ბევრგან კონტინგენტის დაუკომპლექტებლობა და ა. შ.

აღნიშნული დისპროპორცია სპეციალისტთა უმუშევრობის, ან, საუკეთესო შემთხვევაში, უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა შეუსაბამო დასაქმების წინაპირობაა, რაც შრომითი პოტენციალის გამოუყენებლობაში, ფლანგვაში გამოვლინდება.

შრომითი პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით ძირითადი სასწავლებლებისა და სპეციალობების მიხედვით აბიტურიენტთა და სტუდენტთა შედარებით თანაბარ ხარისხობრივ-რაოდენობრივ განაწილებას უსარმაზარი მნიშვნელობა აქვს. იგი ინტელექტუალურ-გენეტიკური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობაა. შედარებით მომზადებული კონტინგენტების გადაჭარბებული კონცენტრაცია ამა თუ იმ „პრესტიჟულ" სპეციალობებზე არც ამ პროფილის სპეციალისტთა მომზადებაზე ახდენს დადებით ზეგავლენას, არც სხვა სპეციალობათა დაკომპლექტებას უწყობს ხელს. სამწუხაროდ, იშვიათია აბიტურიენტთა ინელექტუალურად ძლიერი კონტინგენტით საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების დაკომპლექტება. სხვა სასწავლებლებთან შედარებით აქ ყოველთვის ცოტა იყო მედალოსნები, რესპუბლიკურ და

---

[1] Статистический ежегодник стран членов Совета Экономической Взаимопомощи. М.: Финансы и статистика, 1989, с. 415-416.

[2] Народное хозяйство СССР в 1989 г. М.: Финансы и статистика. 1990, с. 208.

საერთაშორისო ოლიმპიადებსე გამარჯვებული აბიტურიენტები. არსებული სელექციის სისტემა შემდგომში, უმეტეს შემთხვევაში, შედარებით სუსტ მეცნიერთა და ლექტორთა კონტინგენტს იძლევა, რაც ტალღისებურად გადაეცემა. ხდება სტუდენტთა და, ბუნებრივია, შემდგომ მათგან გამოსულ მასწავლებელთა კონტინგენტის თანდათანობითი ხარისხობრივი გაუარესება.

მეორე მხრივ, ძლიერ აბიტურიენტთა გადაჭარბებული თავმოყრა რამდენიმე პროფილის სასწავლებლებსა თუ სპეციალობაზე ქმნის არაჯანსაღ კონკურენციას სტუდენტთა მიღებისას და შემდგომი მუშაობისას. ხდება ინტელექტის ფლანგვა და შეუსაბამო დასაქმებით 'შრომითი პოტენციალის მხოლოდ ნაწილობრივ გამოყენება.

ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელ მოსწავლეთა სწორი პროფორიენტაციის სისტემის ჩამოყალიბებას. ამჟამად კი, როგორც წესი, შერჩევა ხდება უმთავრესად მშობელთა და ახლობელთა პროფორიენტაციულ უნარზე დაყრდნობით, სტიქიურად, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში, გამოხატავს გუშინდელ დღეს და ვერ ჭვრეტს პერსპექტივას.

სასწავლო პროცესის ხარისხიანი წარმართვისათვის საჭიროა, აგრეთვე, სასწავლო პროგრამების მეცნიერული დამუშავება. ჩვენი აზრით, არსებული პროგრამები ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ეკლექტიკურ ნარევს, არ არის ორგანულად ინტეგრირებული და თავისი სირთულის მიუხედავად, სპეციალობის შესახებ ფრაგმენტული ცოდნის მიღების წინაპირობებს ქმნის.

ამჟამად მეტად პრობლემატური გახდა მეცნიერული ინფორმაციის მიღება. მთელი რიგი სპეციალობებისათვის, რომლებიც უშუალოდ საბაზრო ეკონომიკას სწავლობენ, რუსული ლიტერატურა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ინფორმაციაზე აუცილებელ მოთხოვნილებას. თვით რუსული ლიტერატურის შემოტანა რესპუბლიკაში მინიმუმამდე შემცირდა, ხოლო ცენტრალურ ბიბლიოთეკებში - თითქმის შეწყდა. ინფორმაციული ვაკუუმის მდგომარეობა თუ ხანგრძლივად გაგრძელდა, სერიოზული პრობლემები შეექმნება არამარტო სპეციალისტების მომზადებას, არამედ, საერთოდ, ერის ინტელექტუალურ წინსვლას.

სპეციალისტთა მომზადებაში მეტად მნიშვნელოვანი გახდა უცხო ენის ფაქტორი, რუსულთან ერთად სხვა საერთაშორისო ენის სწავლების საკითხი. მცირე გამონაკლისის გარდა, ჩვენი საშუალო სასწავლებლები ჯერ ამისათვის მზად არ არიან. ამ პრობლემის გადასაჭრელი გზების ძიება დასაჩქარებელია.

განათლების პოტენციალის სწორად ფორმირებისა და რაციონალური გამოყენებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწავლების სხვადასხვა ფორმის: - დღის, საღამოს, დაუსწრებელი კონტინგენტების სწორად განსაზღვრას, მათ შორის ოპტიმალური თანაფარდობის მონახვას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში ეს თანაფარდობა ოპტიმალური არასდროს ყოფილა. 60-იან წლებში აკვიატებულმა ლოზუნგურმა პოლიტიკამ

სოციალური და ეკონომიკური განვითარებით უმოკლეს დროში აშშ-ს დაწევის შესახებ, ყოფილ სსრკ-ში არასწორად განსაზღვრა და დაამახინჯა განათლების სტრატეგიაც. 1960-1970 წწ. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ოდენობა საქართველოში თითქმის გაორმაგდა: 56 ათასიდან 89 ათასამდე გაიზარდა და მიაღწია 1960-1990 წწ. პერიოდის ყველაზე მაქსიმალურ სიდიდეს როგორც აბსოლუტურად, ისე ყოველ 10 ათას მცხოვრებზე გაანგარიშებით (ცხრ. 60). ამან ბიძგი მისცა იმას, რომ 60-იანი წლებიდან დაიწყო უპირატესად დაუსწრებელი ფორმით სტუდენტთა მომზადების „ფართოდ გაშლა". თუ მეორე მსოფლიო ომამდე დასწრებული განყოფილების სტუდენტთა კონტინგენტის შეფარდება დაუსწრებელ განყოფილებასთან იყო 3:1, უკვე 1965 წლისათვის ეს თანაფარდობა დაუსწრებლის სასარგებლოდ შეტრიალდა და გახდა 1:2, ანუ ამ პერიოდში ყოველი 3 სტუდენტიდან 2 დაუსწრებელ ან საღამოს განყოფილებაზე სწავლობდა. ამ შეფარდებამ შემდგომ დიდი სიმყარე გამოიჩინა და მხოლოდ 1975-1976 სასწავლო წელს გათანაბრდა, 80-იანი წლებიდან თანდათან უფრო რაციონალური გახდა, თუმცა, ოპტიმუმს ვერ მიაღწია.

ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში 1988/89 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილების სტუდენტთა ხვედრი წილი უფრო მაღალი იყო. მაგ., ბულგარეთში იგი უდრიდა 74%-ს, უნგრეთში-70%-ს, გდრში-85%, პოლონეთში-76%, ჩეხოსლოვაკიაში-82%, რუმინეთში-63%[1].

საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფორმა არსებობს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც, რასაკვირველია, დასაშვები მასშტაბით, თანაც სწავლების ორგანიზაცია და ხარისხი რადიკალურად განსხვავდება ჩვენში არსებულისაგან. როგორც აშშ უმაღლესი სკოლის შესახებ არსებული გამოკვლევებიდან ჩანს, ამ ქვეყანაში ადრე დაუსწრებელი ფორმა საერთოდ არ არსებობდა, ხოლო ამჟამადაც საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლები დიპლომს არ გასცემენ თუკი დაუსწრებლად გაავლილი სასწავლო კურსების რიცხვი ჯამში ორ სემესტრს აღემატება. საღამოს სწავლებაც, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გაერცელდა აშშ-ში სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნილების გამო, აღიარებულია მეტად დაბალეფექტურად, რომლის ძირითად მიზეზად სამუშაო დღის შემდგომ სტუდენტთა მიერ სასწავლო მასალის აღქმის უნარის დაქვეითებას ასახელებენ[2]. თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთათვის სალექციო-საკონსულტაციო სწავლება ერთ-ორ თვესაც არ გრძელდება, ამასთან, მათთვის სპეციალურად დაწერილი სახელმძღვანელო ლიტერატურა თითქმის არ

---

[1] Статистический ежегодник стран членов Совета Экономической Взаимопомощи. М.: Финансы и статистика, 1988, с. 430.

[2] Проблемы высшей школы за рубежом. М.: МГЗПИ, 1990, с. 20.

დღის, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა რიცხოვნობა და თანაფარდობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 1940/41–1987/88 სასწავლო წწ.[1]

სწავლების ფორმა	სასწავლო წელი									
	1940-1941	1950-1951	1960-1961	1965-1966	1970-1971	1975-1976	1980-1981	1985-1986	1988-1989	1995-1996
სტუდენტთა კონტინგენტი, ათასი										
დღის	21,1	24,2	25,2	25,3	38,4	42,9	51,8	49,7	51,2	48,5
საღამოს	-	0,2	4,9	11,4	19,1	16,7	14,2	14,7	13,9	13,5
დაუსწრებელი	7,4	10,6	26,2	39,9	31.8	23,2	19,8	24,1	20,5	20,3
სულ	28,5	35,0	56,3	76,6	89,3	82,8	85,8	88,5	85,6	82,3
ხვედრითი წონა, %										
დღის	74,0	69,1	44,8	33,0	43,0	51,8	60,4	56,2	60,0	68,9
საღამოს	-	0,6	8,7	14,9	21,4	20,2	16,6	16,6	16,1	16,4
დაუსწრებელი	26,0	30,3	46,5	52,1	35,6	28,0	23,0	27,2	23,9	24,7
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

არსებობს, უკვე ნიშნავს სპეციალისტთა გამოშვების ფალსიფიკაციას. ამ პირობებში დაუსწრებელი სწავლება მინიმუმამდეა შესამცირებელი და იგი მხოლოდ გამონაკლისის სახით უნდა არსებობდეს.

§4. განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციის ძირითადი პრობლემები

განათლების რეფორმის აუცილებლობა ყოფილ სსრკ-ში 1980-იან წლებში უკვე მომწიფებული იყო. ამ დროისათვის შეიქმნა კონცეფციები, რომლებიც კრიტიკულად აანალიზებდნენ განათლების არსებულ სისტემას, ხედავდნენ მის არსებით ნაკლოვან მხარეებს, ინერტულობას. ამ კონცეპციათა იდეა იყო,

[1] ცხრილი შედგენილია: Народное хозяйство Грузинской ССР в 1975 году. Тб.: Сабчота Сакартвело. 1977, с. 206; Народное хозяйство Грузинской ССР в 1988 году. Тб.: Сакартвело, 1990, с. 106.

განათლების სისტემა დინამიური გაეხადათ. მაგრამ, რადგანაც მთელი საბჭოგადოებრივი სისტემა თანდათან ჩიჩში ეკვეოდა, ცხადია, განათლების სისტემის განცალკევებულად მყარ საფუძველზე დაყენება შეუძლებელი იყო; თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ ვნახეთ, განათლებაზე დანახარჯების ზრდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაბამისი არ იყო. თანდათან თავი იჩინა საშუალო სკოლებში მოსწავლეთა „ატესტატიზაციისა" და უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა „დიპლომიზაციის" ტენდენციებმა. ეს პროცესი სსრკ რესპუბლიკებში მეტ-ნაკლებად ყველგან განვითარდა, აქ საქართველო გამონაკლისი არ ყოფილა.

80-იან წლებში განათლების სისტემის მოწესრიგების ცდებმა უშედეგოდ ჩაიარა. თუმცა ინერციით, სსრკ განათლების სისტემა, რომელსაც აშკარად აჩნდა ტოტალიტარიზმის ნიშანი, მაინც ფუნქციონირებდა. ოღონდ ისიც აშკარა იყო, რომ თანდათან თმობდა პოზიციებს.

სსრკ დაშლამ, საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა, უფრო სწორედ, ეკონომიკურმა ნგრევამ მძიმე დაღი დაასვა განათლების სისტემის განვითარებას. რეალურად, საშუალო სკოლებში შეწყდა ცოდნის „წარმოება". ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში მათი ქსელის სრულიად უსაფუძვლო გაფართოების გამო ფორმალური (ხშირად ფიქციური) ხასიათი მიიღო და ახალგაზრდობის დროის ფონდის არნახული ფლანგვა გამოიწვია.

უმაღლეს განათლებაში ორი უარყოფითი მოვლენა განვითარდა. ჯერ ერთი, ქვეყანას სრული ეკონომიკური კრიზისის პირობებში არ შეეძლო არათუ უმაღლესი სასწავლებლების ქსელის გაფართოება, არამედ შენარჩუნებაც კი. მეორე, სპეციალისტთა მომზადება ხდებოდა შრომის ბაზრის მოთხოვნების სრული გაუთვალისწინებლობით. ეს პროცესი გრძელდება ამჟამადაც.

რასაკვირველია, ხელისუფლება შეეცადა, რამენაირად გამოესწორებინა განათლების კრიზისი. ამიტომაც, დაიწყო საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით განათლების სისტემის გარდაქმნა.

შეიძლება დაიბადოს კითხვა, რომ, საზოგადოდ, რეფორმა, რომლის განხორციელება ჩვეულებრივ სტაბილურ ეკონომიკურ ვითარებაშიც ყოველთვის წარმატებით არ მთავრდება, იყო თუ არა აუცილებელი და ასეთი უსახსრობის პირობებში რა წარმატება შეიძლება ჰქონოდა?

მაგრამ, მეორეს მხრივ, რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა და მიმართულება უსახსრობის დასაძლევად განათლების დაფინანსების არასახელმწიფოებრივი წყაროების მოძებნაც იყო. იგი ნიადაგს უმზადებს კერძო ფასიანი განათლების სექტორს და არეგულირებს განათლების ფინანსურ ბაზას. მოსალოდნელია, რომ განათლების სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციას უდიდესი წინააღმდეგობებიც შეხვდება, მაგრამ თუ ჭეშმარიტად შეეაფასებთ, სხვა გამოსავალი პრინციპულად არ არსებობდა.

სხვა საქმეა, შეიძლებოდა, ან შეიძლება თუ არა თავიდან აეცილებინა რიგი პრობლემებისა, რომელიც განათლების სისტემაში გაჩნდა. აქ უმაღლესი სასწავლებლების არნახული ტემპით გახსნა პოლიტიკური ვაკხანალიის პერიოდში დაიწყო. ამ დროს, ბუნებრივია, კონტროლი სუსტი იყო და ლიცენზიები გაიცემოდა არა რაღაც კრიტერიუმების, აუცილებელ მოთხოვნათა დაცვით, არამედ ხშირად ძლიერთა ამა ქვეყნისათა დაწოლით, ზოგჯერ ანგარებითაც. მაგრამ შემდგომ ამ ქსელის კიდევ უფრო გაფართოება, როგორც ზემოთაც ვაჩვენეთ, უსაფუძვლო იყო. იეორიულადაც კი, გამორიცხული იყო, რომ ქვეყანას, რომელსაც არ შეეძლო მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა პურის მინიმალური ნორმებითაც კი, მყისიერად ორჯერ გაესარდა უმაღლესი განათლების ისედაც გაბერილ ქსელში სტუდენტთა რიცხოვნობა. აუცილებელი კრიტერიუმებით რომ ეხელმძღვანელათ უმაღლესი სასწავლებლების დაარსების ლიცენზირებისას, შეიძლება რამდენიმე საერო სასწავლებლით ამოწურულიყო ამ მხრივ განათლების სისტემის გაფართოება. ამდენად, შესაძლებელი იქნებოდა, თავიდან აგვეცილებინა თუ საწყის ეტაპზე არა, შემდგომად მაინც სპეციალისტთა მომზადების ჰიპერტროფიული მოვლენები.

დაეუბრუნდეთ ისევ განათლების რეფორმის აუცილებლობის შესახებ მსჯელობას. მეტად გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეთ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის ამოცანებს, ცენტრალიზებული, ავტორიტარული მართვიდან დემოკრატიულ მართვაზე გადასვლის ამოცანებს. რაკი კონსტიტუციურად ეს გზა აირჩია ქვეყანამ, საჭიროა განათლების სისტემის ისეთი გარდაქმნა, რაც ყველაზე მეტად შეესაბამება საბაზრო მეურნეობის პრინციპებს. ეს არის სპეციალისტთა ისეთი მომზადება, როცა მათ შეეძლებათ თავიანთი ცხოვრების განმავლობაში ბაზრის მოთხოვნების მიხედვით შრომითი (პროფესიული) მონაცვლეობა. ასეთ პრინციპებზეა აგებული დასავლეთში სპეციალისტთა მომზადების სისტემები. ამიტომ მათი გამოცდილების მიხედვით უნდა მოხდეს მკაცრად უნიფიცირებული სისტემიდან ალტერნატიული ვარიანტების მქონე სისტემაზე გადასვლა. საქართველოს განათლების სისტემის მომავალი მოდელი მრავალსაფეხურიანია[1]. მრავალ-საფეხურიანობა განათლების სისტემას ხდის მოქნილს და უფრო მოსარგებს საბაზრო მეურნეობის პირობებისადმი, შრომის ბაზრის მოთხოვნებისადმი. ასეთი გარდაქმნა, ჩვენი აზრით, აუცილებელი იყო.

ცალკე უნდა შეეეხოთ საბაზო განათლების საფეხურს, რომელიც საეალდებულოა და, აქედან გამომდინარე, უფასოა ყველასათვის. ეს არ გამორიცხავს ამ საფეხურზე კერძო სექტორის არსებობას, პირიქით, თანდათან

---

[1] განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა და მისი რეალიზაციის გეგმა. თბილისი, განათლების სამინისტრო, 1995.

ვრცელდება ფასიანი სკოლების ქსელი, რომლებიც უკვე წარმატებით ფუნქციონირებენ.

70-იან წლებში, როცა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა მოხდა, თავისი ჩანაფიქრით ეს იყო პროგრესული ნაბიჯი, მაგრამ როგორც პრაქტიკამ გვაჩვენა, ეს იყო ნაადრევი, რასაც შედეგად მოჰყვა არა განათლების რეალური წინსვლა, არამედ საშუალო სკოლებში „ატესტატიზაციის" პროცესის განვითარება. ამან ხელი შეუშალა ცოდნის წარმოების ხარისხობრივ სრულ-ყოფას. ამჟამინდელი სისტემა კი, რომელიც ცხრაწლედის სავალდებულობას აკანონებს და უზრუნველყოფს სახელმწიფო დაფინანსებით, საესებით პასუხობს განათლების სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების რეალი-ზაციის ამოცანებს.

საშუალო განათლების ბოლო საფეხურზე სწავლების ნაწილობრივი ფასიანობა, როცა კონტინგენტის შერჩეული 30 პროცენტი სახელმწიფო ხარჯზე სწავლობს, ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე სავსებით აკმაყოფილებს სასელექციო პოლიტიკის მოთხოვნებს, სახელმწიფოებრივ და ჰუმანურ მიზნებს. აქ არის ფართო არჩევანი როგორც უნივერსალური განათლების გაღრმავებაზე აგებული, ისე გაძლიერებული პროფილური სწავლებისა. პროფილური განათლება ჩანასახობრივად ადრეც არსებობდა ჩვენში, მაგრამ რეფორმა ითვალისწინებს მის კლასიკურ ფორმას სასწავლებელთა ცალკეული ტიპების მიხედვით.

პროგრესის მაჩვენებელია საშუალო სპეციალური სასწავლებლების (კოლეჯი) ფუნქციათა გამრავალფეროვნება. გაფართოვდა კოლეჯდამთავრებულთა უფლებები. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ჩაირიცხონ პროფილის მიხედვით უმაღლესი სასწავლებლის მესამე კურსზე.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საშუალო განათლების სპეციალისტების მომზადება საქართველოში შეფერხდა მაშინ, როცა მათი თანაფარდობა უმაღლესი განათლების სპეციალისტებთან დაირღვა. რეალურად ჩვენს ეკონომიკას სჭირდება უფრო მეტი საშუალო განათლების სპეციალისტი, ვიდრე ეს ამჟამადაა. ამიტომ ამ სასწავლებლებში მოსწავლეთა მიზიდვის სახელმწიფოებრივი სტიმულირება აუცილებელია.

განათლების ეტაპობრივი სისტემა ინერგება უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც უნივერსიტეტებთან ერთად უფრო მეტი გასაქანი ეძლევათ დარგობრივი, პედაგოგიური, ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლების განვითარებას.

სავარაუდოა, რომ ორეტაპიანობა უნივერსიტეტებში იმოქმედებს სწავლების ხარისხზე, სტიმულს მისცემს კარგ სწავლას. მაგისტრატურის შემოღება - ესაა სტუდენტთა შემოქმედებითი სწავლების რადიკალური სრულყოფის საუკეთესო ფორმა. მაგისტრატურაში საუკეთესო სტუდენტთა მცირე

კონტინგენტის 'შერჩევამ, მათთან ინდივიდუალური მუშაობის აუკარა გაძლიერებამ უნდა გაზარდოს სწავლების ინტენსიურობა, დამოუკიდებლობა და შემოქმედებითობა.

არ უნდა გამორიცხოს, რომ ორეტაპიანი სწავლება თავდაპირველად ბევრ წინააღმდეგობას წააწყდება. შესაძლოა, გაძნელდეს მაგისტრატურისათვის სტუდენტთა სწორი შერჩევა, განვითარდეს მაღალი ნიშნის მისაღებად ყოველგვარი ხერხების გამოყენება, რაც, სამწუხაროდ, ქართული სინამდვილისათვის უცხო არაა. მაგრამ ამგვარ მოვლენებს დროულად უნდა დაუპირისპირდეს სტუდენტთა სამაგისტრო შერჩევის მეტად მკაცრი სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს ჩვენს პირობებს და გზას დაუხშობს სელექციაში სიმახინჯეებს.

მეტად პრობლემატურია და პრინციპულად გასაანალიზებელი მაღალი აკადემიური დონის სტუდენტთა უფასო სწავლების საკითხი. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო უნდა გამოვიდეს არა ფორმალური, არამედ რეალური დამფინანსებლის როლში. სრულიად არასაკმარისია ასპირანტურის ფინანსური მდგომარეობა თვით ამჟამინდელი რეალობის ყოველმხრივი გათვალისწინებითაც კი. აუცილებელია, ასპირანტთა მომზადებაში სახელმწიფო შეკვეთას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცეს. იგი უნდა იყოს არამარტო უფასო, არამედ მატერიალურად სტიმულირებული. ასპირანტი, თუკი იგი გაიმარჯვებს შესარჩევ კონკურსში და არ მზადდება მიზნობრივად, სრულიად განთავისუფლებული უნდა იყოს გადასახადისაგან. იგი უნდა მზადდებოდეს სახელმწიფოს ხარჯზე. რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ეს ის მცირე კონტინგენტია, რომელსაც უნდა დაეყრდნოს სახელმწიფო მმართველობა და მეცნიერება მომავალში. უკიდურეს შემთხვევაში, ასპირანტთა მომზადებაში უნდა განვითარდეს გრძელვადიანი სახელმწიფო კრედიტების შელავათიანი სისტემა. სხვაგვარად გაძნელდება ნიჭიერ მაგისტრთა საასპირანტო კონკურსებში მიზიდვა, არ მოხდება მეცნიერებაში ერის ინტელექტის კონცენტრაცია. ეს შეასუსტებს ქვეყნის ინტელექტუალურ პოტენციალს და, ცხადია, შრომით პოტენციალსაც.

რასაკვირველია, არ გამოვრიცხავთ ასპირანტთა მიზნობრივ, ფასიან მომზადებასაც. მაგრამ როდესაც დისერტაციების მომზადება და განსაკუთრებით კი დაცვა ფერხდება (ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება) იმის გამო, რომ დისერტანტს არა აქვს 'შემოსავალი დაცვის ორგანიზაციისათვის, ეს უკვე პარადოქსული ვითარებაა და არ გამომდინარეობს სახელმწიფოს ფინანსური გაჭირვებიდან ან საბაზრო მეურნეობის პრინციპებიდან. ამიტომ მკაცრად უნდა დაისვას საკითხი დისერტაციების დაცვის ფინანსური უზრუნველყოფის რადიკალური გაუმჯობესების 'შესახებ.

უპირველესი ამოცანა, რომელიც ეკონომიკური აღმავლობის დაწყებისთანავე უნდა მოგვარდეს, არის განათლების სისტემის მუშაობა [illegible]

ანასლიაურების სრულყოფის საკითხი. ჯერჯერობით პრობლემატურია არათუ სამუშაო ძალის ნორმალური კვალიფიკაცია, არამედ საშუალო და უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა ფიზიკური არსებობის შენარჩუნება. სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასების დამახინჯებულმა პოლიტიკამ, რომელსაც უსახსრობის გარდა უცოდინარობის ბეჭედიც ახია, დაუსაბუთებელი სადიფერენციაციო სისტემის გამო კადრების არასწორი გადანაწილება გამოიწვია. პედაგოგთა კონტინგენტი აღარ ივსება ახალგაზრდა ნიჭიერი კადრებით, რაც უახლოეს წლებში უმწვავეს პრობლემებს შექმნის განათლების სისტემაში. მოსაგვარებელია მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვაც. საშუალო სასწავლებლებში პედაგოგიური დატვირთვის ამჟამინდელი „მოწესრიგება" იძულებითი ნაბიჯია. საჭიროა პედაგოგთა შრომის ნორმატივების მეცნიერული შემუშავება როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სკოლისათვის.

უმაღლეს სასწავლებლებში უნდა აღდგეს და მკაცრად დაინერგოს პროფესორ-მასწავლებელთა საკალდებულო მეცნიერული მუშაობა, რასაც გასათვალისწინებელია სამუშაო დროის ფონდის არანაკლებ ნახევარი. მეცნიერული მუშაობა საკალდებულო უნდა იყოს ყველა ტიპის უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან გამორიცხულია კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადება, მათთვის საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისა და შემოქმედებითი ჩვევების გამომუშავება იმ შემთხვევაში, თუ მათი პედაგოგები აქტიური მკვლევარები არ არიან. პედაგოგიურთან ერთად მეცნიერული მუშაობა საკალდებულო უნდა იყოს საერო უმაღლესი სასწავლებლებისათვის და იგი უნდა იყოს მათი ატესტაციის მთავარი პირობათაგანი. ატესტაციით უნდა გამოირიცხოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორებად ისეთი პირების დატოვებაც, რომლებიც მეცნიერებისათვის უცნობნი და უცხონი არიან. ასეთი „დირექტიული" მსჯელობა საბაზრო მეურნეობის პრინციპებისათვის გვერდის აქცევა არაა. ეკონომიკის პროდუქციის ხარისხის სახელმწიფო რეგულირება, კონტროლი, რომელიც ამჟამად და ახლო მომავალშიც აუცილებელია.

კვლავაც პრობლემატური რჩება სტუდენტთა კონტინგენტის რეგულირება. როგორც ვნახეთ, მათმა ჭარბწარმოებამ კულმინაციას მიაღწია. სპეციალისტთა მომზადება ისეთი პროდუქციის წარმოებაა, როცა შრომის ბაზარზე მოთხოვნის მიწოდებით დაბალანსება რამდენიმე წლის შემდგომ ხდება. ამიტომაცაა, რომ განვითარებული სახელმწიფო სხვებზე უფრო მეტად „ცოდნის წარმოების" რეგულირებაში ერევა. სხვა შემთხვევაში, ბაზრის მექანიზმს უჭირს დიდი წინააღმდეგობებისა და სხვადასხვა დანაკარგების ფარგლში სპეციალისტებზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება, მითუმეტეს მაშინ, როცა საბაზრო მეურნეობა ფორმირების საწყის სტადიაშია. ამიტომ, საჭიროა განისაზღვროს, მეცნიერულად დასაბუთდეს სპეციალისტებზე პროგნოზული მოთხოვნილება. მათგან ნაწილის მომზადების დაფინანსება

მთლიანად სახელმწიფომ უნდა იკისროს, ნაწილიც სხვადასხვა ფინანსური წყაროებით მომ'სადდეს. რაც შეეხება საერო სასწავლებლებს, საჭიროების შემთხვევაში მათაც შეუძლიათ მიიღონ სახელმწიფო დაკვეთა. მაგრამ, რაც მთავარია, სპეციალისტთა რიცხოვნობა არ უნდა გასცდეს პროგნოზით გათვალისწინებულ რაოდენობრივ და სტრუქტურულ მაჩვენებლებს. ამისათვის უნდა გამოიძებნოს მექანიზმი, რომელიც შეესაბამება საბაზრო მეურნეობის პრინციპებს და, ამავე დროს, ხელუდაეს სპეციალისტთა ჭარბწარმოებას. ჩვენი აზრით, ამის განხორციელებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია სასწავლებელთა აკრედიტაციისა და ატესტაციის სისტემის ფორმირებას და მის შემდგომ სრულყოფას.

თავი V. შრომითი პოტენციალის განაწილება და მისი სრულყოფის გზები

§ 1. შრომითი პოტენციალის ტერიტორიული განაწილება

შრომითი პოტენციალის რაციონალური ტერიტორიული განაწილება და მისი შემდგომი ოპტიმიზაცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. იგი გამოიხატება შრომითი რესურსების ტერიტორიული პროპორციების შესაბამისობით წარმოების განლაგების პროპორციებთან, სამუშაო ადგილებისა და სამუშაო ძალის ტერიტორიული დაბალანსებულობით, უმუშევრობის ტერიტორიული ფაქტორების მოქმედების ინტენსიურობის შემცირებით. ტერიტორიული პროპორციების სრულყოფა შრომითი რესურსების ფორმირების რეგულირების ერთ-ერთი ამოცანაა და, საერთოდ, შრომითი პოტენციალის სრულყოფილი რეალიზაციის პირობათაგანია.

შრომითი პოტენციალის ფორმირებაში ოპტიმალური ტერიტორიული პროპორციულობის უზრუნველყოფა დიდადაა დაკავშირებული განსახლების სისტემის სრულყოფის პრობლემებთან და, პირიქით, განსახლების ოპტიმიზაციამ უნდა შექმნას შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და რეალიზაციის პირობები.

საქართველოში, როგორც მრავალფეროვანი გეოგრაფიული თავისებურებების ქვეყანაში, სადაც ჩამოყალიბებულია მკვეთრად განსხვავებული ბუნებრივ-ეკონომიკური ზონებისა და მათი ქვეზონების სისტემა, განსახლების პოლიტიკა განსაკუთრებით მჭიდროდაა დაკავშირებული მოსახლეობის მიგრაციულ პოლიტიკასთან.

ყოფილ სსრკ-ში მიგრაციული პოლიტიკა უფრო გლობალურ ამოცანებს ისახავდა, ვიდრე ეს პატარა რესპუბლიკებისათვის იყო ხელსაყრელი. დიდხანს დაბეჯითებით ცდილობდნენ, დაესაბუთებინათ კავკასიიდან და შუა აზიიდან მოსახლეობის გადანაწილების აუცილებლობა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მიმართულებით. სსრკ მთელ ტერიტორიას ყოფდნენ 3 მაკროზონად (დასავლეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთის). კავკასია, ყაზახეთი და შუა აზია შედგენდნენ სამხრეთ მაკროზონას და მიჩნეული იყო, რომ აქედან მიგრაციული პოლიტიკის გატარებით მოსახლეობა უნდა გადანაწილებულიყო

აღმოსავლეთის მაკროზონაში[1]. ამის ძირითად საბუთად მოჰქონდათ აღნიშნული მაკროზონების განსხვავებული ბუნებრივი რესურსები და დემოგრაფიული პოტენციალები. ეს მიმართულება სსრკ მიგრაციული პოლიტიკის დედაარსიც იყო და ამ'ხე იყო აგებული სსრკ-ში მატერიალური სტიმულირების ტერიტორიული დიფერენციაციის მთელი სისტემა. მიგრაციულ პოლიტიკაში თითქმის მთლიანად იგნორირებული იყო ეროვნული ინტერესი, რესპუბლიკათა სუვერენიტეტი.

ეთნიკური ფაქტორები რომ დიდ როლს ასრულებენ მიგრაციაში, ეს საყოველთაოდ აღიარებულია, მაგრამ გადაჭარბებულია მათი მოქმედების მხოლოდ საქართველოსა და სომხეთის გარემიგრაციული პროცესების ახსნისას გახსენება: „დანარჩენ რესპუბლიკებში (ლაპარაკია საქართველოსა და სომხეთზე - მ. ტ.) მიგრაცია დიდად დამოკიდებულია არამარტო ეკონომიკურ, არამედ ეთნიკურ ფაქტორებზეც. ამგვარი პროცესები ძნელია, შეაფასო და ერთმნიშვნელოვნად მოახდინო მისი პროგნოზირება[2]. არა გვგონია, თუნდაც ბალტიისპირეთში რუსების ემიგრაციას ნაკლები წინააღმდეგობა შეხვედროდა ეთნიკური გარემოს მხრივ, მაგრამ იქ რუსი მოსახლეობა უფრო დიდი ინტენსიურობით ჩადიოდა 90-იან წლებამდე. იქ ეკონომიკური სტიმულები ჭარბობდნენ ეთნიკურ წინაღობებს. საქართველოში კი ცხოვრების დონე არ ყოფილა ბალტიისპირეთის დონეზე. თანაც საეჭვოუდოა, რომ რუსიფიკაცია ბალტიისპირეთში მეტად სტიმულირდებოდა და იქაური დაბალი დემოგრაფიული პოტენციალის გამო მეტი შედეგიც ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ოფიციალურად გაფორმებული მიგრაციული პოლიტიკა არ არსებობდა, ბევრი რესპუბლიკური ღონისძიება ხშირად მიგრაციული პოლიტიკის ამოცანებით იყო დატვირთული.. მაგ., თავის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილოეთ მთიანეთიდან მოსახლეობის სამრეწველო ცენტრებში ჩასახლებას, ხოლო შემდგომ, როცა მთიანი რეგიონების დემოგრაფიული პოტენციალი შესუსტდა, დაიწყო მთიანი რეგიონების დეპოპულაციის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს გამოიხატა უამრავ დადგენილებებში, ღონისძიებებში, ფორმალურ, და რეალურ სტიმულებში, ეკონომიკურ დოტაციებში და პროტექციონისტულ საქმიანობაში. ამჟამად, როგორც ვნახეთ, საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთის რეგრესული დემოგრაფიული განვითარების ტენდენცია გამოკვეთილად ჩამოყალიბდა, რაც

---

[1] Хорев В. С. Размещение населения и стратегия территориального развития: Запад-Восток-Юг. в кн.: Демографические аспекты ускорения социально-экономического развития. Ч. 4. Киев: ИЭАН УССР. 1987, с. 3-5. Размещение населения в СССР. М.: Мысль, 1986, с. 116-141; Денисенко М. Б. Ионцев В. А., Хорев Б. С. Миграциология, М.: МГУ, 1989, с. 66-71.

[2] Денисенко М. Б., Ионцев В. А., Хорев Б. С. Миграциология. М.: МГУ, 1989, с. 68.

აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფო მიგრაციული პოლიტიკის განხორციელებას. ამას ისიც დაემატა, რომ ჩრდილოეთ მთიანეთზე გადის საქართველოს სახმელეთო საზღვრის მნიშვნელოვანი ნაწილი. საზღვრისპირა ტერიტორიების დეპოპულაციის გაგრძელება შემდგომში, შესაძლოა, დიდი პოლიტიკური მარცხის მიზეზადაც იქცეს.

ამრიგად, საქართველოში მიგრაციული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს ჩრდილოეთ მთიანეთის დემოგრაფიული პოტენციალის გაძლიერება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოო-ბუნებრივი რესურსების ათვისების სტიმულირებით უნდა გამოიხატოს. დემოგრაფიული სტაბილურობის მნიშვნელოვანი გარანტია, ჩვენი აზრით, სხვა მიმართულებებთან ერთად, რეკრეაციული მეურნეობის ათვისებაში და მის საერთაშორისო მეურნეობრივ სპეციალიზაციაში უნდა ვეძებოთ.

მეორე მიმართულება მიგრაციული პოლიტიკისა არის საქართველოს ცალკეული რეგიონების ეთნიკური ათვისება: იქ სადაც მოსახლეობა შეთხელდა ასეთი მიგრაციული პოლიტიკის უქონლობის გამო, ან სუსტი ეთნოდემოგრაფიული პოლიტიკის გამო. ესაა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მხარეებში ქართული ეთნოგარემოს გაძლიერება-აღდგენა, მხარეების ეთნიკური ათვისების სტიმულირება. ცხადია, ყოველთვის ეგულისხმობთ, რომ ეს არ უნდა მოხდეს აქ მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა შეზღუდვის ხარჯზე. ამავე დროს ისტორიული ქართული სოფლების აღდგენა და ახალი ქართული ახალშენების შექმნა. სახელმწიფოს პოლიტიკური უშიშროების ინტერესებიდანაც გამომდინარეობს, რაც როგორც ზემოთ, დემოგრაფიული ოპტიმუმის კრიტერიუმთა შესახებ მსჯელობისას აღვნიშნეთ, გათვალისწინებულია ბევრი სახელმწიფოს პოლიტიკაში. აღნიშნულის გარდა, ჩვენი მიგრაციული პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანა ახლო მომავალში უნდა გახდეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ეთნიკური სტრუქტურის აღდგენა, ქართველ და აფხაზ ლტოლვილთა სრული დაბრუნება.

მიგრაციული პოლიტიკის მესამე მიმართულება არის ცალკეული მხარეების სამეურნეო ათვისება, რომელსაც ზოგჯერ თან სდევს ეთნოდემოგრაფიული ათვისებაც. როგორც ადრე ვაჩვენეთ და შემდგომადაც ვნახავთ, საქართველოსათვის განსაკუთრებითაა დამახასიათებელი სასოფლო რეგიონების მოსახლეობის ბუნებრივ-საწარმოო რესურსებით, მათ შორის მიწის ფონდით უზრუნველყოფის მაჩვენებელთა დიდი დიფერენციაცია, ეს მოსახლეობის ქვეყნის ტერიტორიაზე მეტისმეტი უთანაბრო განაწილების შედეგია. მისი რეგულირება და პერმანენტული ტერიტორიული გადანაწილება აუცილებლობას წარმოადგენს. მაგ., ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ სასოფლო სამეურნეო სავარგულებით ერთი მცხოვრების, ან ერთი შრომისუნარიანის უზრუნველყოფის დიდი რეგიონული ამპლიტუდა, რაც მოსახლეობის

რეგიონული გადანაწილების აუცილებლობას გეკარნახობს. ეს გადანაწილება უფრო მეტად ეფექტიანია, თუ სახელმწიფოებრივ დონეზე ხორციელდება.

მეორე მხრივ, საჭირო ხდება ერცელი სასოფლო სამეურნეო საკარგულების ირიგაცია და მელიორაცია, უფრო ინტენსიური აღვილისება. ასეთი პერსპექტივა კელავაც დიდია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებში. რაც დამატებითი სამუშაო ადგილების პერსპექტივებს სახავს; ეს სამუშაო ადგილები, უმთავრესად, მოსახლეობის ჩასახლებით და ლასაქმებით დაბალანსდება. სამხარეო-ადმინისტრაციულმა დაყოფამ და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებების გაზრდამ არ უნდა გამოიწვიოს ჩასახლების პროცესის შეფერხება. იგი სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყდეს და ადგილობრივი ორგანოების ფუნქციონირებაში სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანად იქნეს მიჩნეული.

ბუნებრივია, მიგრაციული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს გარე მიგრაციის მართვა. იგი შეეხება როგორც სტაციონარულ, ისე შრომითი მიგრაციას. ამის საჭიროება განსაკუთრებით მაშინ დგება, როცა ქართველი მოსახლეობის სხვა ქვეყნებში გასელა ინტენსიური ხდება. საჭიროა კარგად იქნეს შესწავლილი გარემიგრაციული ნაკადები, მათი მიგრაციის მთავარი მიზეზები. სტიმულები, მოტივები და საჭირო შემთხვევაში გარე მიგრაციის სარეგულირებლად სხვადასხვა ხასიათის ეკონომიკური (ზოგჯერ ადმინისტრაციულიც) ღონისძიებანი. გარე მიგრაციით რესპუბლიკის შრომითი პოტენციალის კარგვა უნდა კომპენსირდებოდეს ემიგრანტთა სამუშაო ძალის ფორმირებაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ ამოგებით. ეს გასათვალისწინებელია საკანონმდებლო დოკუმენტებში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თბილისის ზრდის შეკავებისა და საშუალო და პატარა ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური აქტივიზაციის პოლიტიკის გატარებას. აქ ერთჯერადი ღონისძიებებით ხელშესახები შედეგის მიღწევა შეუძლებელია. აღნიშნული პოლიტიკა საქართველოში ტარდებოდა მრეწველობასა და სხვა ქალაქწარმომქმნელ დარგებში (ტრანსპორტი, ტურიზმი და ა. შ.) სამუშაო ადგილთა ტერიტორიული განაწილების სახელმწიფოებრივი რეგულირებით, ზოგჯერ მკაცრი ადმინისტრაციული შეზღუდვებითაც[1]: თუმცა, ცნობილია, რომ ადმინისტრაციული შეზღუდვები მხოლოდ დამხმარე როლს თამაშობენ.

ამჟამად, საბაზრო მეურნეობაზე გადასვლისა და საყოველთაო დემოკრატიზაციის პირობებში გაიზარდა მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის თავისუფლების ხარისხი. უკვე აღარ მოქმედებს ანალოგიურად

[1] დაწვრილებით: მ. ტუხაშვილი. შრომითი რესურსების ფორმირება და გამოყენება საქართველოს საშუალო და პატარა ქალაქებში. თბ., ისეს, 1990.

სპეციალისტთა განაწილების სისტემა და აღარ ტარდება ტოტალიტარული ხასიათის სხვა ღონისძიებანი მოსახლეობის მასობრივი გადანაწილების სფეროში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა აიღოს მსხვილ ქალაქების ზრდის შეხლუღვეის პოლიტიკაზე. პირიქით, იგი საბაზრო ეკონომიკის კანონების გათვალისწინებით უფრო მოქნილი უნდა გახდეს. თუ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას გავითვალისწინებთ, სადაც მეტ-ნაკლები წარმატებით ხორციელდება ეს პოლიტიკა, იგი უნდა დაეყრდნოს ეკონომიკურ შეხლუდვებს, კერძოდ, საშუალო და პატარა ქალაქებში და რეგიონებში სამუშაო ადგილთა განლაგების ეკონომიკურ სტიმულირებას საგადასახადო პოლიტიკისა და შეღავათიანი საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით. ამით მიიღწევა საქართველოს ტერიტორიაზე შრომითი რესურსების განაწილების უფრო რაციონალური პროპორციულობა.

გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად, რესპუბლიკაში არსებობს მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი საბინაო ფონდი. საცხოვრებელი ფართით მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებელი პატარა ქალაქებსა და სოფლებში ძლევანდელი ეკონომიკის განვითარების დონესთან შედარებით აშკარად მაღალია. ახლო მომავალში არცაა მოსალოდნელი საბინაო მშენებლობის სერიოზული გაიაფება და გაუმჯობესება. მილიანობაში თუ განვიხილავთ, საბინაო ფონდი უფრო რაციონალურადაა განლაგებული ქვეყნის ტერიტორიაზე, ვიდრე მოსახლეობის გადანაწილება მიმდინარეობს ამჟამად. ამიტომ სამუშაოს „ადგილზე მიტანის" ცნობილი პოლიტიკა ამ თვალსაზრისით კელავაც ეფექტიანია. თუმცა, რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს უარის თქმას სამუშაო ადგილების ახალი კონცენტრაციის კერების შექმნაზე, მითუმეტეს, თუ მას განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. მაგრამ როგორმე თავიდან უნდა ავიცილოთ მსხვილ ქალაქებში მოსახლეობის ზეკონცენტრაცია, ქოხმახების ახალი უბნების გაჩენა, რაც არაა გამორიცხული თბილისში ახალ სამუშაო ადგილთა დიდი ოდენობით კონცენტრაციის პირობებში. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტოტალიტარული მართვიდან ლიბერალურ-დემოკრატიულ საბაზრო პირობებზე გადასვლით სამუშაო ადგილთა განლაგების ტერიტორიული რეგულირების პროცესი არ გაადვილებულა.

შრომითი რესურსების ტერიტორიული განაწილება, რომელიც ანალოგიურია მოსახლეობის ტერიტორიული პროპორციებისა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდებოდა წარმოების განლაგებისა და ტერიტორიული კონცენტრაციის ფაქტორების მოქმედებით. წარმოება ვითარდებოდა და კონცენტრირდებოდა იმ მიმართულებით, სადაც იგი იაფდებოდა. ამიტომაცაა, რომ იგი განლაგდა უმთავრესად ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალის ირგვლივ, რამაც მოსახლეობის შესაბამისი კონცენტრაცია გამოიწვია.

მეორეს მხრივ, გეგმიანი მეურნეობის პირობებში სახელმწიფო ცდილობდა, გაეთვალისწინებინა შრომითი რესურსების ფაქტორი და კომანდური ეკონომიკა, ნაწილობრივ, აღწევდა მიზანს. 70-იან წლებში მრეწველობის განლაგებას მიეცა ისეთი მიმართულება, რომელიც მოახდენდა საქართველოს რეგიონების შედარებით თანაბარი სამეურნეო ათვისებას და შეამცირებდა მოსახლეობის ზეკონცენტრაციით გამოწვეულ ჰიპერტროფიულ მოვლენებს. ამის დასტურია მრეწველობის განლაგების სქემები, საწარმოო ძალთა განლაგების პროგრამები, რომლებიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ ხორციელდებოდა. აღნიშნული პრინციპული მიდგომა მრეწველობის განლაგებისა და რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეების გამოთანაბრებისა კელავაც უნდა გახდეს საწარმოო ძალთა განლაგების ერთ-ერთი ძირითადი პირობაითაგანი, მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების ქვეკუთხედი საბაზრო მეურნეობის ფუნქციონირების პირობებში. თუმცა რეგულირების ძველი მექანიზმი, რომელიც სამუშაო ადგილთა მკაცრ ტერიტორიულ დაგეგმვას ემყარებოდა, როგორც აღვნიშნეთ, აღარ გამოდგება. საჭიროა ბაზრის მექანიზმის შესაბამისი ეკონომიკური სტიმულების სისტემის შექმნა. იგი შეიძლება განხორციელდეს რეგიონული საინვესტიციო და საგადასახადო პოლიტიკით, რეგიონული განვითარების სპეციალური ფონდების შექმნით. ყოველივე უნდა აისახოს საკანონმდებლო აქტებში.

საქართველოს რეგიონების, ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების, სხვადასხვა რანგის ქალაქების მოსახლეობისა და შრომითი რესურსების განაწილებაში ცვლილებები 80-იანი წლების მეორე ნახევარში აშკარად შენელდა. ეს სამუშაო ადგილების განაწილების ტერიტორიული ცვლილებების შენელებასთან ერთად განაპირობა დემოგრაფიული გადასვლის დამთავრების მოახლოებამ და, საერთოდ, შობადობისა და ბუნებრივი მატების შემცირებამ. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვითარებაშიც შრომითი რესურსების ბუნებრივ ზრდაში რეგიონული დიფერენციაცია საგრძნობია, რაც შრომითი რესურსების გადანაწილების ცვლილებებშიც აისახა (ცხრილი 61).

განხილულ 1970-1990 წწ. პერიოდში შრომითი რესურსების განაწილების ცვლილებებში გამოვლენილ ძირითად ტენდენციათაგან აღსანიშნავია ის, რომ მიმდინარეობდა საქართველოს რეგიონების მოსახლეობის გადანაწილება აღმოსავლეთ ცენტრალურ ზონაში თბილისის საქალაქო აგლომერაციის სწრაფი ზრდის გამო. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს შრომითი რესურსების ხვედრითი წონა საქართველოს შრომითი რესურსებში 1970 წელს არსებული 54%-დან 1990 წელს 57%-მდე გაიზარდა.

მეორე გამოვლენილი ტენდენციაა აჭარისა და აფხაზეთის შრომითი რესურსების მაღალი ტემპით ზრდა 1970-1985 წლებში და შემდგომში ამ ტენდენციის გაგრძელება. მართალია, ბოლო წლების პოლიტიკურმა მოვლენებმა აფხაზეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის იძულებითი ტერიტორიული

გადაადგილება გაძლიერდება. მაგრამ საეჭვოა საქართველოს ტერიტორიული მოლიანობის აღდგენის შემდგომ არამარტო აფხაზეთში, არამედ, საერთოდ, საქართველოს ზღვისპირა ზოლში შრომითი რესურსების კონცენტრაციის პროცესის კვლავაც გაგრძელება. ზღვისპირა ზოლში მოსახლეობის კონცენტრაცია გლობალური მოვლენაა. მოსახლეობის ხვედრითი წონის განუხრელი ზრდა დამახასიათებელია რგორც მთელი მსოფლიოს ზღვისპირეთისათვის, ისე შავიზღვისპირეთისათვისაც[1].

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოს შავიზღვისპირა ზოლს. ამის გარანტიაა „კავკასიის დერეფნის" ფუნქციის ზრდა, შავი ზღვის რეკრეაციულ მეურნეობის საერთაშორისო როლის გაზრდა, შავი ზღვის სანავსადგურო ქალაქების სატრანსპორტო ფუნქციის გაძლიერება. საეჭვოა დასავლეთის ბუნებრივ-ეკონომიკური ზონის ზღვისპირა ზოლის სწრაფი სამეურნეო აქტივიზაცია, რაც ახალი სამუშაო ადგილების ინტენსიური შექმნით, შრომითი რესურსების მიზიდვითა და ზღვისპირა ზოლში მათი სიმჭიდროვის ზრდით გამოიხატება. ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური გახდება, თუ მოხერხდება კოლხეთის დაბლობის შემდგომი მელიორაცია, მეორადი დაჭაობების შეჩერება.

ცხრილი 61

საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებში შრომითი რესურსების განაწილება 1970-1990 წწ., ათასი კაცი

ბუნებრივ-ეკონომიკური ზონა	1970	1985	1990	1990წ. 1970 წ-თან, %	1990წ. 1970 წ-თან, %
ალმოსავლეთი	218,5	246,6	245,5	112,3	99,6
ალმოსავლეთ ცენტრალური	1113,7	1409,8	1423,4	127,8	101,0
სამხრეთი	100,4	112,9	113,3	112,8	100,4
დასავლეთ ცენტრალური	445,7	480,3	478,0	107,2	99,5
დასავლეთი	328,9	333,1	332,1	101,0	99,7
აფხაზეთი	273,0	309,4	312,6	114,5	101,0
აჭარა	152,9	214,9	219,1	143,3	102,0
ალმოსავლეთ საქართველო	1432,6	1769,3	1782,2	124,4	100,7
დასავლეთ საქართველო	1200,5	1337,7	1341,8	111,8	100,3
ველი საქართველო	2633,1	3107,0	3124,0	118,6	100,5

[1] Морское хозяйство. Социально-экономические аспекты формирования и развития. Киев: Наукова думка, 1986, с. 64-66.

აქ დაჭაობებული და ჭარბტენიანი ტერიტორიის მხოლოდ 40%-მდეა ამოშრობილი[1]. საფიქრებელია, რომ საქართველოს 'ლევისპირა 'ხოლის სამეურნეო აქტივიზაცია საგრძნობ ზეგავლენას მოახდენს მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ტერიტორიულ განაწილებაზე. დასავლეთის ბუნებრივ-ეკონომიკური 'სინდან სხვა რეგიონებში მოსახლეობის ინტენსიური გადანაწილება შენელდება.

სამხრეთ ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში მოსახლეობის შედარებით ინტენსიური ბუნებრივი მატების მიუხედავად, მიგრაციის უარყოფითი სალდოს გამო, შრომითი რესურსების რიცხოვნობა 1970-1990 წწ. საშუალოს დაბალი ტემპით გაიზარდა, 80-იანი წლების მეორე ნახევარში სტაბილიზდა. მოსახლეობისა და შრომითი რესურსების სტაბილიზაციაზე იმოქმედა შრომითმა მიგრაციებმა, რესპუბლიკის გარეთ სარფიან საშოვარზე ინტენსიურმა გასვლებმა, რომელიც ხშირად სტაციონარული მიგრირებითაც მთავრდებოდა.

1970-1985 წწ. თითქმის ორასი ათასი კაცით, ერთი მესამედით, მოიმატა თბილისის შრომითმა რესურსებმა (ცხრილი 62), რაშიც მექანიკური ზრდის

ცხრილი 62

შრომითი რესურსების დინამიკა საქართველოს მხარეებში 1970-1990 წწ.

მხარე	1970	1985	1990	1985წ. 1970 წ-თან. %	1990წ. 1985 წ-თან. %
კახეთი	218,5	246,6	245,5	112,9	99,6
თბილისი	561,3	753,6	766,2	134,2	101,7
ქვემო ქართლი	277,0	326,2	327,8	117,8	100,5
მცხეთა-მთიანეთი	59,4	76,3	75,7	128,4	99,2
სამცხე-ჯავახეთი	120,4	137,5	137,9	114,2	100,3
იმერეთი	402,8	445,0	443,5	110,5	99,7
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	43,0	35,3	34,5	82,1	97,7
სამეგრელო ზ. სვანეთი	241,8	243,7	242,8	100,8	99,6
გურია	87,1	89,4	89,3	102,6	99,9
აფხაზეთი	273,0	309,4	312,6	113,3	101,0
აჭარა	152,9	214,9	219,1	140,5	102,0

[1] საქართველოს ბუნება და მეურნეობა. თბ.: მეცნიერება, 1988, გვ. 21.

ფაქტორის წილი დიდია. ამ ფაქტორის მოქმედება არაპირდაპირ, ასაკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებისაც საგრძნობია. აღნიშნულ პერიოდში თბილისის წილი რესპუბლიკის შრომით რესურსებში 21,3%-დან 24,5 პროცენტამდე გაიზარდა.

მხარეებს შორის შრომითი რესურსების ყველაზე მეტი ზრდა აღინიშნა აჭარაში, მიუხედავად იმისა, რომ აქედან სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში შრომითი რესურსების მსხვილი კონტინგენტები მიგრირდა. აღნიშნულ პერიოდში აჭარის ხვედრითი წონა საქართველოს შრომით რესურსებში 5%-დან 7%-მდე გაიზარდა.

1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს ექვს მხარეში დაიწყო შრომითი რესურსების რიცხოვნობის შემცირება. თუ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისათვის იგი ადრეც დამახასიათებელი იყო, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიისათვის შედარებით ახალი ტენდენციაა. შრომითი რესურსების რიცხოვნობის შემცირებაზე იმოქმედა მოსახლეობის ბუნებრივი მატების კლებამ, შრომითი რესურსების მიგრაციამ, ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციამ, ფაქტობრივად მომუშავე პენსიონერთა რიცხოვნობის სტაბილიზაციამ და ა. შ.

შრომითი რესურსების ტერიტორიულ განაწილებაში მკვეთრ უთანაბრობას ნათლად გამოხატავენ ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებში შრომითი რესურსების სიმჭიდროვისა და დამუშავებული მიწების განაწილების მაჩვენებლები (ცხრ. 63). აჭარაში შრომითი რესურსების სიმჭიდროვე 3,5-ჯერ მეტია აღმოსავლეთის ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონასთან შედარებით, ხოლო თუ დასახლებული ტერიტორიის მიხედვით ვიანგარიშებთ - 3,7-ჯერ მეტი სიჭარბე აღინიშნება.

დასახლებული ტერიტორიის მიხედვით საქართველო მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებს მიეკუთვნება, თუმცა იგი საკმაოდ შორსაა ტერიტორიის პოტენციალური ტევადობისაგან.

აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის ბუნებრივ-ეკონომიკური ზონები გამოირჩევიან დასახლებულ ტერიტორიაზე შრომითი რესურსების დაბალი სიმჭიდროვით, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ზონებში განხორციელებულ ორგანიზებულ ჩასახლებათა ეფექტიანობას და ამ კურსის კვლავაც გაგრძელების პერსპექტიულობაზე. აქ შრომითი რესურსების ერთ პირზე, აგრეთვე, სოფლის მერნეობაში ერთ დასაქმებულზე მიწით უსრუნველყოფა სხვა რეგიონებთან შედარებით ბევრად უკეთესია. თუ გავითვალისწინებთ პერსპექტივაში ირიგაციისა და მელიორაციის განხორციელების შესაძლებლობებს და მოსალოდნელ სამეურნეო შედეგებს, აღნიშნული რეგიონების დემოგრაფიული ტევადობა კიდევ უფრო გაიზრდება, ორგანიზებულ ჩასახლებებს უკეთესი პირობები შეექმნებათ.

აშკარაა დიდი უთანაბრობაა გამოხატული მრეწველობაში დასაქმებულთა

ცხრილი 63

შრომითი რესურსების ტერიტორიული განაწილებისა და სიმჭიდროვის მაჩვენებლები საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებში 1990 წ.

ბუნებრივ-ეკონომიკური ზონა	შრომითი რესურსების სიმჭიდროვე, ერთ კვ. კმ-ზე კაცი	შრ. რეს. სიმჭიდროვე, დასახლებული ტერიტორიის[1] ერთ კვ. კმ-ზე კაცი	დამუშავებული მიწების ფართობი		შრომითი რესურსების განაწილება, %	მრეწველობაში დასაქმებულთა განაწილება, %	სოფლ. მეურნეობაში დასაქმებულთა განაწილება, %	მრეწვ. ძირითადი ფონდების განაწილება, %	დამუშავებული მიწები	
			ათასი ჰა	%					შრ. რეს. ერთ პირზე, ჰა	სოფლ. მეურნეობაში დასაქმებულზე, ჰა.
აღმოსავლეთი	22	69	280	25,0	7,9	4,4	16,7	4,9	1,14	2,9
აღმ. ცენტრალ.	64	170	342	30,0	45,6	56,5	22,6	51,7	0,24	2,6
სამხრეთი	22	65	89	7,8	3,6	1,4	6,4	1,1	0,79	2,5
დას. ცენტრალ.	44	124	132	11,6	15,3	18,5	15,7	19,4	0,28	1,6
დასავლეთი	35	92	172	15,2	10,6	9,5	19,6	7,3	0,52	1,6
აფხაზეთი	36	112	87	7,7	10,0	4,7	10,8	11,9	0,28	1,5
აჭარა	76	256	32	2,7	7,0	5,0	8,2	3,7	0,14	0,7
აღმოსავლეთ საქართველო	48	138	711	62,8	57,0	62,3	45,7	57,7	0,40	2,7
დასავლეთ საქართველო	42	121	423	37,2	43,0	37,7	54,3	42,3	0,32	1,4
მთელი საქართველო	45	130	1134	100	100	100	100	100	0,36	2,0

[1] დასახლებული ტერიტორიის ფართობი აღებულია წიგნიდან: საქართველოს მოსახლეობა და მეურნეობა. ობ.: მეცნიერება, 1988, გვ. 61.

რეგიონულ განაწილებაში. აღმოსავლეთ-ცენტრალური ბუნებრივ-ეკონომიკური ზონაში, სადაც შრომითი რესურსები კონცენტრირებულია თბილისი-რუსთაველის აგლომერაციაში, თავმოყრილია საქართველოს მრეწველობის ძირითადი ფონდების ნახევარზე მეტი და ამ დარგში დასაქმებულთა 57%. ბუნებრივია, ეს განაპირობა მრეწველობის განვითარების და განლაგების ობიექტურმა პირობებმა, მაგრამ სტრატეგიული განვითარების ამოცანები მოითხოვენ სხვა რეგიონების სამრეწველო განვითარებასაც. ჩვენ მას მარტო განლაგების შრომითი ფაქტორებიდან არ ვესაღერავთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ ფაქტორსაც შესაბამის მნიშვნელობას ვანიჭებთ. სამრეწველო განვითარების მხრივ თავის შესაძლებლობებს აშკარად ჩამორჩება აღმოსავლეთისა და სამხრეთის ბუნებრივ-ეკონომიკური ზონები.

სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა პროგრესული იდეა და პროექტები ქუთაისის, როგორც საქართველოს მეორე სამრეწველო-კულტურული ცენტრის დაჩქარებული განვითარებისა. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ერთიანი, ეფექტიანი განსახლების სისტემის ფორმირებაში და სამუშაო ადგილთა რაციონალურ ტერიტორიულ განაწილებაში; საერთოდ, დასავლეთ საქართველოს სამეურნეო-კულტურულ აქტივიზაციისათვის.

საქართველოში მოსახლეობისა და შრომითი რესურსების კონცენტრაცია ქალაქწარმომქმნელი დარგების გამო კელავაც გაგრძელდება რესპუბლიკაზე გამავალი ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალების ირგვლივ: დაწყებული ქვემო ქართლიდან დამთავრებული სოხუმითა და ბათუმით. ამას ხელს შეუწყობს თანამედროვე საავტომობილო ტრასებისა და სხვა მნიშვნელოვანი გზების გაყვანაც.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ზღვისპირეთის სამეურნეო და რეკრეაციული როლის ზრდა ახალ სამუშაო ადგილთა კონცენტრაციის წინაპირობებს ქმნის. გასათვალისწინებელია სოხუმი-ბათუმი (ოჩამჩირე-სუფსა) სარკინიგზო და სანაპირო საავტომობილო გზის გაყვანის ეფექტიანობა, განსახლების სისტემის სრულყოფაში, სანაპირო ზოლის სრულ ათვისებაში მათი მნიშვნელობა.

განსახლების სისტემისა და სამუშაო ადგილების კონცენტრაციის ეფექტიანობასთან ერთად ანგარიშგასაწევია სამუშაო ადგილთა შედარებით თანაბარი სივრცობრივ-გეოგრაფიული განაწილების უზრუნველყოფა, მათი განლაგებისას შრომითი ფაქტორის მაქსიმალური გათვალისწინება, არსებული საკომუნიკაციო ქსელის გაფართოება. საკარაუდოა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ საავტომობილო ტრასების (მათ შორის სამაჩაბლოზე გამავალი) სრული დატვირთვა და ახლების მშენებლობა. დღის წესრიგიდან არ უნდა მოიხსნას ტრანსკავკასიის სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანის საქმეც, რომლის განხორციელებაზე (რასაკვირველია ეკოლოგიური პირობების დაცვით) უნდა დაინტერესდეს რამდენიმე სახელმწიფო.

საქართველოზე გამაეალი საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალები მათი მიმდებარე ტერიტორიების ეფექტიანი განსახლების თავისებური გარანტიაა.

როგორც ზემოთ განვიხილეთ, განსახლების სისტემის ტრანსფორმაციასა და შრომითი რესურსების მოთხოვნა-მიწოდების ტერიტორიულ-დარგობრივ რეგულირებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომითი ქანქარისებრი მიგრაციის ფუნქციონირებას.აღნიშნული მოვლენა ამჟამად გამოცოცხლებას განიცდის და "შრომითი რესურსების თანაბარი განაწილების სპეციფიკური გზაა.

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს შრომითი რესურსების განაწილებაში რეგიონული გამოთანაბრება თვითმიზანი იყოს. იგი განსახლების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სახოგადოდ, პოსტინდუსტრიული საზოგადოების და, ჩვენი აზრით, მისი სივრცობრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობათაგანია. მიუხედავად . წარმოების ეფექტიანობის დიდი ტერიტორიული დიფერენციაციისა, რეგიონულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუშალოს ტერიტორიული პოლარიზაციის დროებით ეფექტიან ტენდენციებსა და უფრო გლობალური ხასიათის, ხანგრძლივ ეპოქაზე გათვლილ საზოგადოების ტერიტორიული ორგანიზაციის სქემებს. დაეყრდნოს. საქართველოში, როგორც მრავალრეგიონიან ქვეყანაში, აღნიშნულის განსახორციელებლად გაცილებით მეტი ძალისხმევა იქნება საჭირო, ვიდრე თანაბარი ბუნებრივ-გეოგრაფიული განვითარების ქვეყანაში (ვთქვათ, ლიტვაში). რეგიონული ფაქტორი ჩვენში ძლიერია და განვითარების სტრატეგიულ სქემებში მისი მოქმედება უფრო მეტ ანგარიშგაწევას მოითხოვს.

§ 2. დასაქმებულთა დარგობრივი განაწილება

შრომითი რესურსების დარგობრივი განაწილება შრომითი პოტენციალის განაწილების მნიშვნელოვანი სახეა. სტაბილური განვითარების დროს მისი ევოლუცია გლობალური ხასიათისაა. იგი შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ნათლად გამოხატული მხარეა. ხშირად დარგობრივი პროპორციები ასახავენ საზოგადოების ეკონომიკური განვითარების დონეს. ზოგჯერ ამ პროპორციების მიხედვით გამოიყოფა ეკონომიკური განვითარების საფეხურები (აგრარული, ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული საზოგადოებები).

თუ ზოგადად განვიხილავთ, ეკონომიკის განვითარება განსაზღვრავს შრომითი რესურსების დარგობრივ სტრუქტურას. ამასთან, პატარა სახელმწიფოები ბუნებრივ-საწარმოო რესურსების და საერთაშორისო სპეციალიზაციის დარგების დიდი ხვედრითი წონის გამო, ქმნიან სპეციფიკურ დარ-

გობრივ სტრუქტურებსაც, თუმცა, სტრუქტურის ევოლუციის პრინციპულ სქემას მაინც ვერ უხვევენ.

კრიზისამდელ საქართველოში ეკონომიკის ხანგრძლივი, სტაბილური განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა დასაქმებულთა ისეთი დარგობრივი განაწილება, რომელიც გამოხატავდა როგორც ეკონომიკური განვითარების ღონეს, ისე მის საერთაშორისო (საკავშირო) სპეციალიზაციის ხარისხს. ამკარად გამოიხატებოდა აგრარულიდან ინდუსტრიული განვითარებისაკენ ცვლილებები, თუმცა, მრეწველობაში დასაქმებული იგი ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირო დონეს და ყოფილ სსრკ ბევრ რესპუბლიკას. ეს ისტორიულ მემკვიდრეობასთან ერთად განპირობებული იყო ბოლოდროინდელი რეგიონული პოლიტიკითაც, რომელშიც კვლავ აღმოცენდა განაპირა მხარეების „აგრარულ დანამატად" შენარჩუნების ელემენტები.

ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, როგორც წესი, სწრაფად იცვლება დასაქმებულთა დარგობრივი პროპორციები. ამის მიზეზია სხვადასხვა დარგში კრიზისის უთანაბრო განვითარება. იგი უფრო მეტად ვითარდება იმ დარგებში, რომელთაც მეტად აქვთ განვითარებული სხვა საწარმოებთან კოოპერაციული კავშირები. სსრკ-ში ერთიანი ეკონომიკური სისტემის გამო ასეთი კავშირები უხარმაზარ სივრცეში იყო განაწილებული, რომლებიც სსრკ დაშლის შემდგომ სხვადასხვა სახელმწიფოში აღმოჩნდა, მათ კი სრულიად ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები გაუჩნდათ. მეორეს მხრივ, ეს სახელმწიფოები ერთდროულად აღმოჩნდნენ კრიზისულ ვითარებაში. არც ის უნდა გამოგვრჩეს მსჯელობიდან, რომ ტოტალიტარული დაგეგმვის სისტემაში საწარმოო-კოოპერაციულ კავშირებს ადმინისტრაციული ძალები აკავშირებდათ. ამიტომაც იყო, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ხშირად, სურვილის მიუხედავად, ამ საყოველთაო მძიმე ვითარებაში მეტად გაძნელდა ეკონომიკური კავშირების აღდგენა, რაც კიდევ უფრო გააძნელა კავკასიაში დატრიალებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, ეთნოკონფლიქტებმა და ბევრ რეგიონში პოლიტიკურმა ქაოსმა, რამაც რესპუბლიკის ეკონომიკა იზოლაციაში მოაქცია.

კრიზისმა პირველ რიგში იმ დარგებში შეკვეცა დასაქმება, რომელთაც ყველაზე განვითარებული საწარმოო-კოოპერაციული კავშირები ჰქონდათ. მსხვილ მანქანათმშენებელ ქარხნებს რესპუბლიკის გარედან ათასობით საწარმო და ორგანიზაცია აწვდიდა პროდუქციას. ამიტომ შექმნილ ვითარებაში მრეწველობამ, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობამ, რეალურად, კრახი განიცადა, ხოლო დასაქმების სხვა ძირითად დარგებს - მსუბუქსა და კვების მრეწველობას სანედლეულო და გასაღების ბაზრები გამოეცალათ. ამას დაემატა სამოქალაქო ომისა და ეთნოკონფლიქტების დროს საომარი მოქმედებებით გამოწვეული პირდაპირი ნგრევა და ქონების დატაცება.

ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა-განვითარების ამოცანები ორ მიმართულებად ჯგუფდება: ესაა ადრე არსებული სიმძლავრეების მაქსიმალური აღდგენა,

რაც ბევრ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელია, მეორეს მხრივ, ახალი სტრუქტურული პოლიტიკის ფორმირება და გატარება, რომელიც უკვე ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების შეოხებით ფორმირდება. ეს ფუკანასკენელი ნაწილობრივ შეცელის საქართველოს ეკონომიკის საერთაშორისო სპეციალიზაციას, რაც მის შიგა სტრუქტურულ ცვლილებებშიც აისახება.

ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა და ახალი სტრუქტურების ფორმირება სანგრძლივი პროცესია, რასაც ადასტურებს საერთაშორისო გამოცდილება. აღნიშნული სტრატეგიული კურსის განხორციელება მოითხოვს ადგილობრივი ბუნებრივ-საწარმოო რესურსების მაქსიმალურ ათვისებას, სოფლის მეურნეობის სრულ ინდუსტრიალიზაციას, მრეწველობის აღდგენა-განვითარებას, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ბაზაზე შრომატევადი, მაღალკვალიფიციური პროგრესული დარგების, მათ შორის მანქანათმშენებლობის განვითარებას, რისი მყარი საფუძველიც საქართველოს შრომითი პოტენციალი უნდა გახდეს.

საქართველოს შრომითი პოტენციალი, რომელიც ეკონომიკის სხვა კომპონენტებთან შედარებით ყველაზე მეტადაა შენარჩუნებული, სტრუქტურული თვალაზრისით უფრო და უფრო მეტ როლს ითამაშებს ეკონომიკურ ზრდაში, იმ დარგების განვითარებაში, რომლებშიც ადამიანის ფაქტორის როლი სულ უფრო მომეტებულად იზრდება.

იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის მიხედვით დასაქმების დარგობრივ დაჯგუფებებში ბევრი სპეციფიკური მომენტია, ისინი მაინც, არსებითად, ერთნაირად ასახავენ შრომითი პოტენციალის დარგობრივ განაწილებას. იმ მიზნით, რომ დინამიკაში სწორად ასახულიყო დასაქმებულთა დარგობრივი პროპორციების ცვლილებები, პრინციპულად არ გადავუხვიეთ ჩვენს სტატისტიკაში გამოყენებულ კლასიფიკაციებს. თუმცა უახლესი მოვლენების ანალიზისას ყურადღებას ვამახვილებთ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში აქცენტირებულ პროპორციებზეც (მაგ. მომსახურების ცალკე გამოყოფა).

არსებული სტატისტიკური მასალის გათვალისწინებით ეკონომიკის დარგები გავაერთიანეთ სამ სექტორში, რომელშიც ყველაზე გამოკვეთილად აისახება, ჩვენი აზრით, დასაქმებულთა განაწილებაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებები. ეს სექტორებია: ა) სოფლის მეურნეობა და სატყეო მეურნეობა, ბ) მრეწველობა და მშენებლობა, გ) ყველა სახის მომსახურება (დანარჩენი დარგები).

ამის გარდა, გასაანალიზებელია მატერიალური და არამატერიალური სფეროების დასაქმებულთა პროპორციის ცვლილება, აგრეთვე, მატერიალურ-ნივთობრივ წარმოებასა და საწარმოო ინფრასტრუქტურას შორის თანაფარდობა, ეკონომიკის ცალკეული დარგის ხვედრითი წონის დინამიკა, მრეწველობაში დასაქმებულთა დარგობრივი განაწილება და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ დარგებში დასაქმებულთა რიცხვი მოცემულია სიობრივი შემადგენლობის მიხედვით. კრიზისის პერიოდში საწარმოები და ორგანიზაციები ყოველმხრივ შეეცადნენ, არ გაენთავისუფლებინათ თავიანთი საწარმოო პერსონალი ახლო მომავალში წარმოების სრულად ამოქმედების იმედით. ამიტომაც დასაქმებულთა შესახებ ოფიციალური სტატალრიცხვის ციფრებში შედიან ხანგრძლივ შვებულებაში მყოფნიცა და ეპიზოდურად მომუშავენიც. სხვათა შორის, უნდა ვივარაუდოთ, რომ წარმოების ამოქმედება ან მისი მასშტაბების ზრდა პროპორციულად არ გაზრდის დასაქმებულთა რიცხოვნობის მაჩვენებელს ზემოაღნიშნული ვითარების გამო.

როგორც ზემოთ გამოვყავით, ეკონომიკის განვითარების დონის მიხედვით ცალკეული სექტორის ხვედრითი წონა ცვალებადია (ცხრილი 64).

თუ კრიზისამდელ პერიოდს განვიხილავთ, პირველი სექტორიდან სამუშაო ძალა გადანაწილდა სხვა სექტორებში (მეორე და მესამე სექტორი). ამ დროს თანაფარდობის ცვლილებები სტაბილურადაა გამოხატული, რადგან იგი მიმდინარეობდა პრაქტიკულად სრული დასაქმებისა და ეკონომიკის სტაბილური განვითარების ვითარებაში. ამ წლებში ხდებოდა სოფლის მეურნეობიდან შრომითი რესურსების როგორც შეფარდებითი (ეკონომიკაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილის შემცირება), ისე აბსოლუტური გამოთავისუფლება. 1970 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში

ცხრილი 64

საქართველოს ეკონომიკაში დასაქმებული მოსახლეობის განაწილება სექტორების მიხედვით (პროცენტობით)[1].

სექტორები	1970	1980	1985	1990	1995	2000
I სექტორი (სოფლისა და სატყეო მეურნეობა)	37	31	27	26	29	25
II სექტორი (მრეწველობა და მშენებლობა	27	27	28	30	21	32
III სექტორი (მომსახურება)	46	42	45	44	50	43
სულ	100	100	100	100	100	100

[1] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა. სტატისტიკური წელიწდეული, თბ.: საქართველო, 1990, გვ. 21-22. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. თბ.: აზრი, 1996, გვ. 246-247. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის პირველადი მასალა.

დასაქმებული იყო 523 ათასი კაცი, 1980 წელს - 584 ათასი, 1985 წელს კი - 579 ათასი. დაიწყო ამ დარგში დასაქმებულთა აბსოლუტური რიცხოვნობის შემცირება და პროგნოზულ გააგარიშებებშიც, რომელიც ეკონომიკის სტაბილურ ზრდას ვარაუდობდა, 2000 წლამდე პერიოდში სოფლის მეურნეობა თანდათან აბსოლუტურად ამცირებდა დასაქმებულთა რიცხოვნობას. რაც შეეხება აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა შეფარდებით შემცირებას, იგი უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა.

მართალია, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილით საქართველო (26%) მსოფლიოსაშუალო მაჩვენებელთან (48% - 1991 წ.) გაცილებით პროგრესულ ვითარებაში იმყოფებოდა, მაგრამ აშკარად ჩამორჩებოდა განვითარებულ ქვეყნებს (7% საშუალოდ 1991 წ.)[1]. ეს ჩამორჩენა განპირობებული იყო როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სპეციფიკით, შრომატევადი კულტურების მაღალი წილით, მექანიზაციის შედარებით დაბალი დონით, ისე რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების შესაბამისი დონით. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა, რაც საქართველოს გააჩნდა 1980-იანი წლების ბოლოს, ამჟამინდელი განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი იყო 1950-იანი წლების მეორე ნახევრისა და 1960-იანი წლების დასაწყისისათვის.

რაც შეეხება მრეწველობას, განვითარებულ ქვეყნებში 60-იანი წლების შემდგომ მიმდინარეობს მრეწველობის ხვედრითი წონის სტაბილიზაცია და შემდგომი შემცირების პროცესი. ამ ქვეყნებში, განხილულ პერიოდში, მრეწველობაში დასაქმებულთა წილი მთლიანად დასაქმებულთა შორის 37%-დან 26%-მდე დაეცა. ეს გამოიწვია მრეწველობაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად შრომის ნაყოფიერების სწრაფმა ზრდამ სხვა დარგებთან შედარებით.

1990 წელს საქართველოს მრეწველობაში ჩაბმული იყო ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა 20,3%, 560 ათასი კაცი (ცხრ. 65). ჩვენი აზრით, 80-იან წლებში მრეწველობის ხვედრითი წონა სტაბილიზდა დაბალ დონეზე. ამის მიზეზი საქართველოში მანქანათმშენებლობის სათანადო დონეზე განუვითარებლობამაც განაპირობა. ევროპის პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში 80-იანი წლების დასაწყისში მრეწველობასა და მშენებლობაში დასაქმებულთა წილი მაქსიმალური იყო და უდრიდა გდრ-ში 50,9%, ჩეხოსლოვაკიაში - 48,1%[2]. და ა. შ. მრეწველობის მაღალი ხვედრითი წონის

---

[1] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა. სტატისტიკური წელიწდეული, თბ.: საქართველო, 1990, გვ. 21-22. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. თბ.: აზრი, 1996, გვ. 246-247. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის პირველადი მასალა.

[2] Статистический ежегодник стран-членов СЭВ, 1987 г. М.: Финансы и статистика, 1988, с. 409-413.

დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკის ძირითად დარგებში
1970-2000 წწ., პროცენტობით

დარგები	1970	1990	1995	2000
მრეწველობა	17,9	20,3	16,9	20,7
მშენებლობა	9,1	10,1	3,9	11,2
სოფლის მეურნეობა	37,0	25,2	28,6	25,1
ვაჭრობა, სახ. კვება, დამზადება,				
მატ. ტექნ. მომარაგება	5,9	6,5	7,1	7,5
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	7,0	4,2	2,8	3,4
მატ. წარმოების დანარჩენი დარგები	1,0	3,2	0,8	1,2
არამატერიალური წარმოების დარგები	22,1	30,5	39,9	30,9
სულ	100	100	100	100

„სტადია" გაიარეს განვითარებულმა ქვეყნებმა. ამ დარგში დასაქმების წილის შემდგომი შემცირება გამოწვეულია არა სამრეწველო პროდუქციის მოცულობის კლებით, არამედ მომსახურების სფეროს უპირატესი განვითარებით, რის საფუძველსაც იგივე მრეწველობა იძლევა. ამიტომაც საფიქრებელია, რომ საქართველოში მრეწველობაში დასაქმებულთა, კერძოდ, კი მანქანათმშენებლობაში ჩაბმულთა რიცხოვნობის უპირატესი ზრდა აუცილებელი იყო.

მაშასადამე, მსოფლიო გამოცდილების მიხედვით, არცერთი ქვეყანა არ განვითარებულა მაღალ დონეზე ისე, რომ მის მრეწველობას არ გაევლოს 25-30%-იანი პერიოდი დასაქმებულთა შორის. ინდუსტრიული საზოგადოების განვითარების ძირითადი ნიშანიც ესაა და/თუ საქართველოში ეკონომიკურ აღმავლობას ვივარაუდებთ, მრეწველობაში დასაქმებულთა წილმა 25-30%-ს მაინც უნდა მიაღწიოს, რაც ამჟამინდელი შრომითი რესურსების რიცხოვნობისა და მაღალი დასაქმების პირობებში 750-900 ათას კაცს უდრის.

როგორც სტატისტიკური აღრიცხვა გვიჩვენებს, 1995 წელს 1990 წელთან შედარებით მრეწველობას მუშაკთა მხოლოდ 52% შემორჩა (მშენებლობას - 24%, ტრანსპორტს - 42%). საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა ითვალისწინებს მრეწველობაში 2000 წლისათვის დასაქმებული იყოს 549-570 ათასი კაცი, რაც თითქმის ორჯერ მეტია 1995 წელს დასაქმებულთა რიცხოვნობაზე. თუ რეალურად ვიმსჯელებთ, 1995 წელს დასაქმებულთა ნაწილი მხოლოდ სტატისტიკურ მაჩვენებლებშია ასახული და პროდუქციას არ ქმნის. აქედან სინამდვილეში, 2000 წლისათვის 1995 წელთან შედარებით მრეწველობაში დასაქმებულთა ნამდვილი რაოდენობა, თუ კი ზემოთ

მოტანილ ციფრამდე მიეალთ, უნდა გაიზარდოს არა ორჯერ, არამედ სამჯერ და უფრო მეტჯერაც, რაც ზედმეტად ოპტიმისტური უნდა იყოს. მითუმეტეს, ცნობილია, რომ 1988 წელს არსებული 14 მლრდ მანეთის ნაცელად მრეწველობის პროდუქციის გამოშვება ვერ გადააჭარბებს 7 - 7,5 მლრდ ლარს[1], რაც კიდევ უფრო ამაგრებს ჩვენს ეჭვს. ვფიქრობთ, საეარაუდოა, რომ მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა 2000 წლისათვის ვერ გადააჭარბებს ნახევარ მილიონს. შემდგომ წლებში კი საჭირო გახდება ამ დარგში დასაქმებულთა რიცხოვნობის 30-50%-ით გადიდება. საქართველოში მრეწველობაში სამუშაო ადგილთა განუხრელი ზრდა ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობად მიგეაჩნია უახლოეს ათწლეულში.

როგორც ვნახეთ, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი კრიზისის წლებში მყისიერად შეიცვალა და განვითარდა შებრუნებული მიმართულებით, კერძოდ, დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 29%-მდე გაიზარდა. თუმცა, აბსოლუტური მაჩვენებლებით, რომელიც სტატალრიცხვითაა მოცემული, სოფლის მეურნეობაში ჩაბმული შრომითი რესურსები 200 ათასი კაცითაა შემცირებული. მართალია, მოხდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში დასაქმებულთა შემცირება, წარმოების შეკვეცა, მაგრამ, საეარაუდოა, რომ სოფლის მეურნეობაში ფიზიკურ პირთა რიცხოვნობა არ შემცირდებოდა. გასათვალისწინებელია, რომ წარმოების საერთო მოცულობის შემცირებასთან ერთად მკვეთრად შემცირდა შრომის ნაყოფიერება. ამასთან, საკარმიდამო ნაკვეთის ნორმების გაზრდამ სოფლის მეურნეობაში ჩაება სოფლად მცხოვრები შრომისუნარიანი მოსახლეობის მაქსიმალური ოდენობა. მართალია, სამუშაო დროს ფონდის გამოყენება არასრული გახდა, მაგრამ ფიზიკურ პირებში თუ ვიანგარიშებთ, დასაქმებულთა რიცხოვნობის შემცირება, შესაძლოა, უმნიშვნელო მასშტაბის იყოს ან, საერთოდ, გაზრდილი იყოს სოფლის მეურნეობაში ჩაბმულთა ოდენობა.

ახლო მომავალში სოფლის მეურნეობიდან მუშახელის გამოთავისუფლება შრომის დაბალი ნაყოფიერების გამო მოსალოდნელი არაა, თუმცა, შემდგომ, ეკონომიკის განვითარების კვალობაზე იგი აუცილებლად მოხდება. სოფლის მეურნეობის განვითარების ბუნებრივი შესაძლებლობანი შეზღუდულია, შრომის ნაყოფიერების ზრდა კი შეუზღუდავია, რაც დასაქმებულთა რიცხოვნობის შემცირების საფუძველია.

თუ საქართველოში მიიღწევა სოფლის მეურნეობის ისეთი ხარისხობრივი განვითარება, რომელიც იყო, ვთქვათ, კრიზისამდელ ჩეხოსლოვაკიაში, მაშინ საქართველოს სოფლის მეურნეობაში მუდმივად დასაქმებულთა რიცხოვნობა არ გადააჭარბებს 300-350 ათას კაცს. აქ ჩვენ ვითვალისწინებთ ჩვენში

---

[1] საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. თბ.: აზრი, 1996, გვ. 247.

შრომატევად კულტურათა მაღალ ხვედრით წონასა და შრომის მექანიზაციის დაბალ ეფექტიანობას საქართველოს რელიეფის სირთულისა და მიწის ნაკვეთთა დანაწევრიანების მაღალი ხარისხის გამო. ამიტომ, უნდა ეცადოთ, შრომითი რესურსების სხვა დარგებში გამოყენება, რომელთაგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მრეწველობა უმნიშვნელოვანესია. თუ მრეწველობაში შრომითი რესურსების გადანაწილება შეფერხდა, მოსალოდნელია სამუშაო ძალის ემიგრაციის გაძლიერება და მასობრივი უმუშევრობის შენარჩუნება.

კრიზისის დროს, ჩვენს მიერ გამოყოფილ III სექტორში დასაქმებულთა შემცირება ყველაზე მეტად მოხდა ვაჭრობასა და ტრანსპორტში. საერთოდ კი, აღნიშნული სექტორის ხვედრითი წონა დასაქმებულთა მთლიან რიცხოვნობაში გაიზარდა. ჩვეულებრივ, სტაბილურ სიტუაციებში ზრდა დადებითი მოვლენაა, ეკონომიკის განვითარების პროგრესულობის მაჩვენებელია. მაგრამ ჩვენ შემთხვევაში, კრიზისის პერიოდში III სექტორში დასაქმებულთა წილის მატება, თანაც ასეთი მაღალი ტემპით ანომალიური მოვლენაა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატურ გეგმაში საესებით სწორადაა მისი შემცირება 2000 წლამდე გათვალისწინებული.

რაც შეეხება მატერიალურ და არამატერიალურ სფეროებს შორის დასაქმებულთა განაწილებას, იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფორმირდებოდა არამატერიალურ სფეროში დასქმებულთა წილის განუხრელი ზრდის ნიშნით (ცხრილი 66).

აღნიშნული განაწილება შრომის საზოგადოებრივი ნაყოფიერების დონის ცვლილებებსაც გამოხატავს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისის დროს მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა უფრო მეტი შემცირების გამო იგი არ ასახავს აღნიშნულ დამოკიდებულებას და ამ შემთხვევაში კრიზისის სილრმის თავისებური გამომხატველია.

ცხრილი 66

დასაქმებულთა განაწილება მატერიალური და არამატერიალური წარმოების სფეროებს შორის, 1970-2000 წწ. პროცენტი

სფერო	1970	1980	1985	1990	1995	2000
მატერიალური წარმოება	75,9	70,5	70,2	69,5	60,1	69,1
არამატერიალური წარმოება	24,1	29,5	29,8	30,5	39,9	39,9
სულ	100	100	100	100	100	100

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2000 წლისათვის ნაკარაუდევია დარღვეული პროპორციულობის აღდგენა. ლოგიკურად, ეს უნდა ნიშნავდეს ეკონომიკის სრულ აღდგენას, შესაბამისად, ცხოვრების დონის აღდგენასაც. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია, რომ საბაზრო მეურნეობა ეკონომიკის განვითარების ერთი და იმავე დონის პირობებში მომსახურების სფეროში ასაქმებს უფრო მეტ ადამიანს, ვიდრე ავტორიტარული გეგმიანი მეურნეობა.

ეკონომიკაში დასაქმებულთა მთელი მასა (მცირერიცხოვანი „კუსტარების" გამოკლებით) სახელმწიფო და კოოპერაციულ სექტორში იყვნენ დასაქმებულნი. პრივატიზაციის შედეგად ძლიერ სწრაფად გაიზარდა წარმოების კერძო სტრუქტურაში დასაქმება (ცხრილი 67).

ცხრილი 67

დასაქმებულთა განაწილების ცვლილება სექტორების მიხედვით, 1990-1995 წწ., პროცენტობით[1]

სექტორი	1990	1991	1992	1993	1994	1995
სახელმწიფო სექტორი	75,5	75,1	69,3	64,7	62,6	56,6
კოოპერაციული სექტორი	15,0	13,3	9,9	8,0	5,7	6,7
კერძო სექტორი	9,4	11,6	20,7	27,2	31,6	36,6
რელიგიის მსახურნი	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	0,1
სულ	100	100	100	100	100	100

ვინაიდან სახელმწიფო სექტორში ძლიერ დიდია ფარული უმუშევრობა, ამიტომ ცხრილში სექტორებს შორის თანაფარდობა კიდევ უფრო სხვაა. სახელდობრ, კერძო სექტორში უფრო მეტია დასაქმებული, ვიდრე იგი ოფიციალური აღრიცხვითაა მიცემული. პრაქტიკულად, საქართველოში ჩამოყალიბდა დასაქმების მრავალსექტორიანი ფორმა.

საქართველოს შრომითი რესურსების რიცხოვნობა, რომელიც 1990-1995 წწ. შემცირდა მიგრაციის უარყოფითი სალდოსა და შიგაასაკობრივი ფაქტორების შედეგად, 1995 წლის შემდგომ პერიოდში გაიზრდება შრომის ასაკის საზღვრების ცვლილებათა გამო. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, 1995 წელს რესპუბლიკის შრომითი რესურსების რიცხოვნობა 3034 ათასი კაცი იყო. მათგან მხოლოდ 57% იყო დასაქმებული, 43% კი წარმოადგენდა დაუსაქმებელს. ეს უკანასკნელი ციფრობრივად 1305 ათას კაცს უდრის,

[1] საქართველოს სოციალური და დემოგრაფიული მდგომარეობა თბ.: 1996, გვ. 21.

რომელთაგან, როგორც უმუშევარი, რეგისტრირებული იყო მხოლოდ 64 ათასი, უმუშევრის სტატუსი კი ჰქონდა 10 ათას კაცს, ე. ი. დაუსაქმებელთა 0,8%-ს. ეს ნიშნავს, რომ უმუშევართა სოციალური დაცვის სახელმწიფოებრივი სისტემა მხოლოდ სიმბოლური იყო თავისი უკიდურესად მცირე შესაძლებლობების გამო.

1980-იან წლებში საქართველოში შრომითი რესურსების დასაქმებამ საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია, რაც, პრაქტიკულად, მოსახლეობის სრულ დასაქმებას უდრიდა. რასაკვირველია, ადგილი ჰქონდა ფარულ უმუშევრობას, როცა მუშა-მოსამსახურენი სრულად არ იყვნენ დატვირთულნი, მაგრამ მთლიანობაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ მიღწეული იყო საყოველთაო დასაქმება. 90-იანი წლების დასაწყისში და, შემდგომ, კრიზისის პერიოდში მოხდა მუშაკთა დიდი მასის გამოთავისუფლება, რამაც დასაქმების კოეფიციენტი 57 პროცენტამდე დაიყვანა. თუ ადრე, დაუსაქმებელი მოსახლეობა (უმეტესად ქალები) 300 ათასს არ აღემატებოდნენ, ამჟამად ეს ციფრი ერთი მილიონით გაიზარდა, რამაც სტრატეგიულ ამოცანად ერთი მილიონი სამუშაო ადგილის შექმნის საჭიროება დასახა.

ეფიქრობთ, გულუბრყვილობა იქნება, რომ 2000 წლამდე ერთი მლნ ახალი სამუშაო ადგილის შექმნა ვიგარაუდოთ. სხვა რომ არაფერი, მას რამდენიმე მლრდ ლარის კაპიტალდაბანდება დასჭირდება. მაგრამ მასში ამჟამად გაჩერებული, უმოქმედო სამუშაო ადგილების ამოქმედებაც ოგულისხმება, რაც მოსახლეობის კატასტროფულ დაუსაქმებლობას რადიკალურად შეამცირებს და მიუახლოვებს ნორმალურ ვითარებას, რომლის შემდგომ აქცენტი გადატანილ უნდა იქნეს წარმოების განვითარების ინტენსიურ ფაქტორებზე.

Трудовой потенциал Грузии

Формирование и распределение

Резюме

Политический и экономический кризис Грузии стал основой развития демографического кризиса, в результате чего неестественно ускорился процесс демографического перехода и создалось нестабильное положение в развитии демографической базы трудового потенциала.

Грузия по параметрам своего демографического развития и демографической системе трудового потенциала находится на уровне развитых государств, а по современному уровню экономики относится к развивающимся странам, что обусловливает парадоксальную ситуацию в отношении количественного роста демографических ресурсов и соответственно трудового потенциала. Это особое положение предопределяет необходимость разработки и проведения властью неординарной демографической политики, осуществления оригинальных программ по социальной защите, а также пересмотра критериев демографического оптимума и его учета в государственной политике.

Уменьшение влияния последствий второй мировой войны на эволюцию демоструктур трудового потенциала вызвало сдерживание в демографическом развитии вследствие новых политических явлений, в результате чего вновь усилились волнообразность возрастных структур и связанные с ней ожидаемые диспропорции на рынке труда, отрицательное влияние демографических вариаций на систему образования. Обострились проблемы, предопределенные неравномерностью демографической нагрузки трудоспособных. В условиях разрушенной экономики это сопровождалось беспрецедентным для развывающейся страны демографическим старением населения и трудовых ресурсов, что еще более повысило демографическую нагрузку трудоспособного населения Грузии лицами пожилого возраста, затруднило пенсионное обеспечение.

Сложности в управлении формированием трудового потенциала создаются резко дифференцированными этнорегиональными структурами, асинхронным протеканием демографического перехода в регионах, дифференцированностью формирования трудовых ресурсов, что надо предусмотреть при разработке и проведении демографической и региональной политики.

Одной из сложнейших задач является восстановление прежней

демографической ситуации в Абхазии и Самачабло после возвращения беженцев, нормализация процесса формирования в них трудового потенциала, предпосылкой которой представляется своевременное преодоление демографического кризиса в контингенте беженцев и в государственной демографической политике выдвижение на передний план задач их демографического роста.

Влияние пространственной мобильности населения Грузии на динамику трудового потенциала усиливается. Повышение интенсивности внешней миграции соответственно снижает трудовой потенциал, требует комплексного научного изучения миграционных потоков и разработки государственной миграционной политики, основой которой должна послужить более совершенная законодательная система.

Развитие в неестественном направлении внутримиграционных потоков под воздействием кризиса в Грузии должно быть подчинено государственному регулированию, с тем чтобы восстановить прежнюю миграционную ситуацию и нормализовать межпоселенческие трудовые связи. Это будет способствовать нормализации функционирования системы расселения, сформированной в период стабильного развития, и оптимальному региональному распределению трудового потенциала.

Несмотря на сложнейшее экономическое положение, задачи оптимизации территориального распределения трудового потенциала требуют сразу же после начала экономического роста возобновления разработки и осуществления программ по организованной миграции, что обходится весьма дорого, однако материалы исследования свидетельствуют в ряде случаев об их неизменности и особом значении в совершенствовании территориальных пропорций трудового потенциала, хозяйственном освоении отдельных регионов.

Хотя городская система расселения в настоящее время находится во временном статической состоянии, все же необходимо и впредь неуклонно проводить курс на ограничение роста Тбилиси и социально-экономическую активизацию средних и малых городов. При этом надо создать систему стимулирования сравнительно равномерного территориального размещения рабочих мест, соответствующих рыночным отношениям.

С целью смягчения отрицательного влияния нерациональных миграционных потоков на формирование трудового потенциала следует повысить комплексность развития экономики отдельных регионов, в том числе горной зоны, и ускорить процесс хозяйственной диверсификации.

На протяжении всего XX столетия на основе активной образовательной политики достигнут высокий образовательный потенциал населения и максимальная насыщенность народного хозяйства специалистами. В 90-е годы в условиях чрезмерного ослабления материально-финансовой базы, необходимой для качественного совершенствования трудового потенциала и существенного снижения на рынке труда спроса на специалистов, беспрецедентное расширение сети высших учебных заведений создало критическое положение в соотношении спроса и предложения специалистов на рынке труда. Станут неизбежными их безработица, неэффективная занятость, весьма неэффективная реализация трудового потенциала, вообще возникновение гипертрофических явлений в социальном развитии, особенно резкое ухудшение качества подготовки специалистов, фальсификация качественного роста трудового потенциала. Необходимо совершенствование механизма государственного регулирования системы образования, развитие системы аккредитации и аттестации учебных заведений, обязательность нормативов финансовых затрат на подготовку специалистов на базе международных образовательных стандартов, а также ускорение реформы образования.

Необходимым условием подъема экономики и роста трудового потенциала Грузии является также восстановление системы подготовки специалистов среднего образования и кадров квалифицированных рабочих и ее приспособление к рыночным условиям, в целом осуществление мероприятий по оптимизации квалификационного уровня и совершенствованию структуры кадров.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

თავი I. შრომითი პოტენციალი, მისი სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები 5

თავი II. საქართველოს შრომითი პოტენციალის ფორმირების დემოგრაფიული ბაზა 20

§ 1. ეკონომიკისა და მოსახლეობის განვითარების ერთიანობა და ურთიერთგანპირობებულობა 20

§ 2. საქართველოს მოსახლეობის კვლავწარმოების ძირითადი ტენდენციები 24

§ 3. მოსახლეობის ბუნებრივი მატების გავლენა შრომითი პოტენციალის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე 37

§ 4. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგიონული თავისებურებანი 41

§ 5. მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება 55

§ 6. საქართველოს მოსახლეობის პროგნოზული გაანგარიშებანი 75

§ 7. მოსახლეობის შრომითი პოტენციალის დემოგრაფიული შეფასება 84

§ 8. დემოგრაფიული ოპტიმუმის კრიტერიუმთა სპეციფიკურობა 91

თავი III. მოსახლეობის მიგრაციის გავლენა შრომითი პოტენციალის ფორმირებასა და ტერიტორიულ განაწილებაზე 98

§ 1. მოსახლეობის მიგრაცია, მისი ინფორმაციული ბაზა და შესწავლის ამოცანები 98

§ 2. გარე მიგრაცია 101

§ 3. გარე შრომითი მიგრაცია 112

§ 4. ურბანიზაცია და სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის მიგრაციის პრობლემა 118

§ 5. მიგრაციული პროცესების თავისებურებანი სხვადასხვა რანგის ქალაქებში 125

§ 6. მიგრაცია მთიანი რეგიონებიდან 130

§ 7. ორგანიზებული მიგრაცია 137

§ 8. შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია 141

თავი IV. განათლების პოტენციალი, როგორც შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი კომპონენტი 146
§ 1. განათლების პოტენციალი და მისი გაზომვის ზოგიერთი მეთოდი 146
§ 2. საქართველოს მოსახლეობის განათლების პოტენციალის ზრდა და სტრუქტურული დახასიათება 150
§ 3. სპეციალისტთა მომზადების პრობლემები 163
§ 4. განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციის ძირითადი პრობლემები 180

თავი V. შრომითი პოტენციალის განაწილება და მისი სრულყოფის გზები 187

§ 1. შრომითი პოტენციალის ტერიტორიული განაწილება 187
§ 2. დასაქმებულთა დარგობრივი განაწილება 198

Трудовой потенциал Грузии: Формирование и распределение. Резюме 208

გამომცემლობის რედაქტორი მ. ბიორგობიანი
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი.
კორექტორი მ. ქუმსიაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.VI.98.
საბეჭდი ქაღალდი 60 X 84 1/16.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 13,25
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,36
ტირაჟი 400 შეკვეთა № 88

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028 ი. ჭავჭავაძის პრ., 14

გამომცემლობა „მერიდიანი", „კაბადონი",
გურამიშვილის გამზ., 74.